სერგი (გიორგი) საჯაია

შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში

მეოთხე ნაწილი

თბილისი - 2016 წ.

უაკ (UDC) 328(479.224)
ს-372

რედაქტორი — გივი კილასონია

გამოცემის რედაქტორი — ზურაბ ქობალია

კომპიუტერული
უზრუნველყოფა — ქეთევან ხორგუაშვილი

ISBN 978-9941-9440-7-9

≈*≈

1. „გია გვაზავა არის უკიდურესად არაკომპეტენტური პიროვნება!..“

„არ შეიძლება, ახალი ნაბიჯი გადავდგათ, ვიდრე მომხდარს არ შევაფასებთ!..“ - ამბობს ბატონი სერგი საჯაია, ვისთანაც ინტერვიუ 26 აგვისტოს ჩავწერეთ. ეს რუსეთის მიერ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების დღეა. რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, ქვეყნის ისტორიაში ეს ტრაგიკული თარიღი არავის გახსენებია (არც „ნაციონალებს“, არც „მეოცნებეებს„), მაშინ, როცა თავად აფხაზეცებმა (და არა აბხაზებმა, ს. საჯ.) ზარზეიმით აღნიშნეს „დამოუკიდებლობის“ ილუზორული დღესასწაული. მეტიც, ამ თემაზე თავად პუტინმაც კი გააკეთა კომენტარი. რა ხდება ასეთ ფონზე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, სადაც სხვა თუ არაფერი, თარიღების დამახსოვრება მაინც ევალებათ?“..

სერგი საჯაია - მწერალი, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი შარვაშიძისა და ზვიად გამსახურდიას პრემიათა ლაურეატი:

- რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, იგი უნდა მუშაობდეს აფხაზეთის დეოკუპაციის სტრატეგიაზე და უნდა ჩამოაყალიბოს სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით. დევნილების სოციალური უზრუნველყოფა და სხვა საკითხები არის თანამგზავრი პრობლემა, რომელზეც მუშაობს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. რამდენად კომპეტენტურია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო და შეუძლია თუ არა ამ მხრივ თავი გაართვას დასახულ ამოცანას? იმის მიუხედავად, რომ იქ მუშაობს არაერთი კომპეტენტური პიროვნება, აფხაზეთის დეოკუპაციის სტრატეგია ამ ინსტიტუციაში საბოლოოდ ვერ ჩამოყალიბდა. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო ასეთი წინადადებით უფრო მაღალ სახელმწიფო ორგანოებში ვერ შევიდა, იმიტომ, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობაში დღეს არის არაკომპეტენტური, კორუმპირებული და არაკეთილსინდისიერი ადამიანი, მისი თავმჯდომარის - გია (იგივე ელგუჯა) გვაზავას სახით.
- ***გვაზავამდე სხვა იყო, მანამდე კიდევ სხვა, მაგრამ სტრატეგიული გეგმა არავის დაუდევს, ინიციატივა არავისგან ყოფილა.***
- გვაზავამდე ვინც იყო, საუბედუროდ, არც ის გახლდათ კომპეტენტური ამ საკითხებში, მაგრამ მან ჩვენი ძალისხმევით ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფი მაინც შექმნა. თუმცა იყო ხელისშემშლელი ფაქტორებიც - იმდროინდელ ხელისუფლებას არ სჭირდებოდა აფხაზეთის დეოკუპაციის სტრატეგია, როგორც სახელმწიფო პოლიტიკა. ვვარაუ-დობდი და ახლა დავრწმუნდი, რომ ეს არც დღევანდელ ე. წ. ხელისუფლებას არ სჭირდება. დამეთანხმებით თუ არა სხვა საკითხია,

მაგრამ ვფიქრობ, ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართ-ველო ისევ ოკუპირებული არის და მას განაგებენ კვლავ და კვლავ ***„ნამესტნიკები“***. სხვა თემაა, რუსეთისა თუ ვაშინგტონის... „ნამესტნიკი“ ***„ნამესტნიკია“*** და ის არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას. რაც შეეხება აწგანსვენებული თ. ნადარეიშვილის დროინდელ ხელისუფლებას, კორუფცია მაშინაც იყო, მაგრამ თ. ნადარეიშვილი ვითარების მძევალი გახლდათ, კი ბატონო, მის ირგვლივ, ყველგან და ყველაფერში იყო კორუფცია და სხვანაირად იქ მას არავინ გააჩერებდა, მიუხედავად ამისა, ნადარეიშვილი ცდილობდა რაღაცებისთვის თავმობმას.

- ***შევარდნაძისა და სააკაშვილის დროსაც იყო ბევრი შეხვედრა, მოლაპარაკებები და ა. შ. თუმცა შედეგი არ დამდგარა.***
- ვერც დადგებოდა! ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დეოკუპაციის საკითხი დედან სინამდვილეში უნდა განხილულიყო და არა იმპერიების მიერ თავსმოხვეული სტერეოტიპებით. მთავარი საკითხი აქ ისაა, რომ ქართველი კაცი დააჯერეს, ვითომცდა, ის არ გახლავთ აფხაზი და აფხაზეთი არ არის საქართველო. უფრო ზუსტად: ჩრდილო-დასავლეთ საქართველო!.. ეს ომი მოხდა იმისათვის, რათა გასაგნებულიყო ხედი - ქართულ-აფხაზური ომისა! თავსმოხვეული, ჩასაფრებული და მიზნობრივი პროპაგანდა გაჰკიოდა: ვის და ვის შორის მოხდა ომი? - ქართველებსა და აფხაზებს შორის. სად მოხდა ომი? - აფხაზეთში. ესე იგი, რა გამოდის? - ოკუპანტი ხარ. დიახ, რა გინდა ქართველს აფხაზეთში, რას ეომები? ჩვენი წინგაუხედაობის და უვიცობის გასწვრივ, ხედავთ, რა გააკეთეს? ხედავთ, რა დაამტკიცეს მსოფლიოში? დამიჯერეთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ ყველას არ ესმის სინამდვილე, სხვაგან კი არა, ჩვენ არ ვიცით ეს, სხვას როგორ გავაგებინოთ?! აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არიან პიროვნებები, რომელთაც ეს საკითხი ღრმად ესმით, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკა არ არის. ამ 5-6 წლის წინათ აფხაზეთის სამთავრობო ვებგვერდზე დაიდო სეპარატისტების გავრცელებული დივერსიული ინფორმაციის ***„საპირწონე“***. უფრო მკაფიოდ გეტყვით, რაც მოხდა: სეპარატისტებს კარგი პატრონები ჰყავთ და მათი დახმარებით ყველაფერს აკეთებენ. გაავრცელეს მცდარი, ყალბი, მაგრამ სინამდვილეს მიახლოებულ სამოსში კარგად შეფუთული ინფორმაცია, რომ აფხაზეთი არ არის საქართველო და ა. შ. როგორ უპასუხეს სეპარატისტებს? ამათ ოფიციალურ, სამთავრობო ვებგვერდზე დადეს კონსტანტინე მაჭავარიანის ნაშრომი აფხაზეთზე (მეცხრამეტე საუკუნეში ცხოვრობდა ეს პიროვნება და სეპარატისტების საქმეები აკეთა). რაკი ნახეს ავტორის გვარი, იფიქრეს, კ. მაჭავარიანი ქართველების საწინააღმდეგოს არ დაწერდაო... არც წაიკითხეს, რა ეწერა

ამ ე. წ. ნაშრომში, ისე დადეს ვებგვერდზე. არადა, ამ ***„ნაშრომში“*** ეს ვაი მაჭავარიანი იმპერიის დაკვეთით ***„ამტკიცებდა“***, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო აფხაზეთი არ არის, ეს ის მაჭავარიანია, რომელიც ე. წ. აფხაზეცური ანბანის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო. ანუ გაკეთდა აგრესორ-სეპარატისტთა სასარგებლო საქმე!!!

- ***„უკეთესს“ გეტყვით: მე ვნახე საქართველოს სახელით გამოტანილი განაჩენი, სადაც შავით თეთრზე მოსამართლე წერდა, რომ აფხაზეთი საქართველოს ტერიტორია არ არის... ამას მოსამართლე აცხადებდა, სულ რაღაც, 2 თუ 3 წლის წინათ.***
- არ მიკვირს და რატომ, იცით? ამათ არ იციან აფხაზის, როგორც რაობის, ვინაობის, უფრო მეტიც, დედანი შინაარსის ქართველთა გონითი განფენის სივრცეში მოპიროვნებულკიდითი-კიდე: ასე მაგალითად, - ჰაკი აბბა არის აფსუა კაცი, რომელიც თავდადებულია უჯუშ ემხასთვის და თავიც გასწირა მისთვის. უჯუშ ემხა ვინ არის? - აფხაზი, ანუ ქართველი კაცი. ე. ი. აი, ეს გახლდათ ჩვენი ურთიერთობა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, დიახ, ეს იყო ჩვენი ურთიერთობის ფორმულა. ახლა რა მოხდა? - საკმარისი გახდა, „***ჰაკისთვის შეექმნათ“*** პოლიტიკურ-ადმინისტრაციული აბრა აფხაზეთის ასსრ-ის სახით და პასპორტში მისთვის ჩაეწერათ ***აფხაზეც-ი***, რომ იგივე ჰაკი აბბამ ტყვია დაახალა უჯუშ ემხას. გნებავთ, ჩავატაროთ ტესტი. გავარკვიოთ, რამდენი აღიქვამს ამას ამგვარად: აი, რისი საყოველთაო გაშუქება, გნებავთ, განიმანსვეტება ვერ მოახერხა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ. გეტყვით ერთ მაგალითსაც: ჩვენს დევნილობაში 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკულ მოვლენებს ყოველთვის აღვნიშნავდით ვოვა ვეკუას მემორიალთან, აქ, თბილისში. მე გამათავისუფლეს სამსახურიდან და ამ ღონისძიების ჩატარება აკრძალეს. რა შუაშია სერგი საჯაია? ეს ჩემი ღონისძიება იყო? თქვენც ხომ იცით, რომ 15-16 ივლისს გათვალი-წინებული გახლდათ, აფხაზეთშიც იგივე განმეორებულიყო, რაც ფერ-განაში მოხდა? ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ და აფხაზეთ-სამეგ-რელოს მოსახლეობამ ეს არ დაუშვა და ღალიძგის შეტაკების შემდეგ მაინც მოახერხა პროცესის მოქცევა წინგამხედავ კალაპოტში. ვამაყობ, რომ მონაწილე ვარ ამ პროცესების. აი, ამაზე უნდა აიგოს დღეს იდეო-ლოგია! აი, როგორ ჩაიშალა ძუძუმტეობის პრინციპით იმპერიის მაშინ-დელი ჩანაფიქრი! არც წელს ჩაატარა ეს ღონისძიება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ. მეტსაც გეტყვით: გაიხსენეთ, რა დღე იყო 26 აგვის-ტო? ამ დღეს აღიარა რუსეთმა ე. წ. აფხაზეთისა და ქართულ მიწაზე შეკოწიწებულ ცრუ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. გაიკითხეთ, თუ ახსოვს, ან შესაბამისად რაიმე ღონისძიება თუ ჩაატარა აფხაზეთის ა/რ-ის

უმაღლესმა საბჭომ? აგრესორ სეპარატისტებისა და რუსიზმის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში კი ამ დღეს ზეიმით დაინგრა ყველაფერი, პუტინმაც კი მისცა ამ თემაზე სეპარატისტთა ჟურნალისტებს ინტერვიუ. დიახ, მხოლოდ აფხაზეთის ა/რ-ის სახელმწიფო სტრუქტურებს აქ, დევნილობაში, გახსენებითაც კი არ გახსენებიათ ეს სათავზარო დღე, არამცთუ საპირწონე რამე დადეს. ძალიან გულგატეხილი ვარ იმით, რომ არც საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ მიაქცია ამ თარიღს ყურადღება.

- ***რა ხდება ახლა გვაზავას უწყებაში?***
- მე გ. გვაზავა, თავის დროზე, არაკომპენეტურობასა და ელიტურ კორუფციაში ვამხილე. ბუნებრივია, კორუმპირებული კაცი, აფხაზეთის დეოკუპაციის საკითხზე, მრავალი მიზეზის გამო, ვერ იმუშავებს.
- ***ფულის კეთება პატრიოტიზმს ხელს უშლის?***
- არათუ ფულის მკეთებლებმა, კრიმინალებმაც კი, თავის დროზე, შიგადაშიგ ძალიან კარგი პოზიცია დაიკავეს სამშობლოსთან მიმართებით (თუმცა, ეს მაინც გამონაკლისია და არ შეიძლება, კანონზომიერებად ჩაითვალოს). მაგრამ გ. გვაზავა არის კი პატრიოტი?! გ. გვაზავა ის პიროვნებაა, რომელიც ყველანაირ ქაოსში ცდილობს კატასავით ოთხ ფეხზე დახტეს, ეს არის მისი ცხოვრების წესი. გვაზავა ***„მარხულობს“***, ეკლესიაში დადის, ასე იცნობენ მას, მაგრამ ეკლესიაში ფარისევლებიც დადიან. გვაზავას მარხულობა არის ფსევდორიტუალი. თავის მოკვლას რა გამართლება აქვს, მაგრამ ცხოვრებაში შეიძლება ჩავარდე იმგვარ ვითარებაში, როცა გონებისგან უმართავი ხდები. გახსოვთ, ალბათ, დევნილმა ქალბატონმა თავი რომ დაიწვა. გ. გვაზავამ იცით, რა გააკეთა? - ბიუჯეტში ფული არ არისო და თანამშრომლებში ააგროვა ფული. იმ ქალბატონის დაკრძალვაზე აგროვებული ფულით ნაყიდი გვირგვინით მივიდა. ამას გააკეთებს მორწმუნე ადამიანი?! მიმიხვდით, რას გეუბნებით? აი, ეს არის გ. გვაზავა! მაგას მე იმას კი არ ვუჩივი, რატომ გაცვია ეს პერანგი-მეთქი და არც მის ჯიბეში ვაფათურებ ხელს, მაგრამ როდესაც სეპარატისტების საინფორმაციო სამსახური უმაღლეს დონეზეა, შენ კი შენდამი დაქვემდებარებულ უწყებაში მიზნობრივად გაქვს ყველაფერი ჩაშლილი და საბიუჯეტო სახსრებს არამიზნობრივად ხარჯავ, არ ვთქვა?! ამ ადამიანებს არავინ აკონტროლებს. ისინი არიან ელიტური კორუფციის ჭანჭიკები, მათ აქვთ ფერისცვალების გამორჩეული ნიჭი. ეს ადამიანები, რომლებმაც მე სამსახურიდან მხოლოდ იმიტომ დამითხოვეს, რომ სააკაშვილი გავაკრიტიკე, დღეს მ. სააკაშვილს ***„ებრძვიან“*** და ბ. ივანიშვილს ***„თანადგომას“*** უმტკიცებენ.
- ***სად იხარჯება უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი?***

- ყოველ შემთხვევაში, ის არ ხმარდება დევნილი მოსახლეობის სასიცოცხლო საკითხებს. მე კარგად ვიცი, რაც ხდება შიგნით და არ ვსაუბრობ გარედანჩასაფრებულის დადარაჯებით. თ. ნადარეიშვილმა, რომელსაც ვაკრიტიკებდი შექმნილი მდგომარეობის გამო, მომიგზავნა რამდენიმე ცნობილი ადამიანი. მაშინ, პოლიტიკური მოსაზრებით, უმუშევარი ვიყავი. დღემდე, ეროვნული ხელისუფლების შემდეგ, ყველა ხელისუფლება ჩემთვის ეგრეთ წოდებულ ხელისუფლებად რჩება. როდესაც თ. ნადარეიშვილისგან შემოთავაზება მივიღე, ეროვნული მოძრაობის კოალიციაში კოტე ჩოლოყაშვილთან, იგორ ჩხეიძესთან, ია მუხრანელთან და სხვებთან ერთად განვიხილე ეს შემოთავაზება. ერთხმად გადაწყდა, რომ მე უნდა მემუშავა და ქართული საქმე მეკეთებინა. სხვა თემაა, რაც გავაკეთე, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ამ დროიდან ნიუანსებში ვიცი იქ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს კულუარებში რაც ხდება და ა. შ. თქვენ მე მკითხეთ, სად იხარჯება ეს თანხაო? თ. ნადარეიშვილის შემდეგ მანდ (სადაც დეპარტამენტის უფროსი ვიყავი) არც ერთ კაბინეტში არ მომისმენია დეპუტატთა უმრავლესობიდან ისეთი საკითხების განხილვა, რომელიც აფხაზეთის დეოკუპაციის თემას ეხებოდა.
- ***აბა, რას საქმიანობდნენ?***
- ყავის სმა ცოდვად არ ჩავთვალოთ, ეს თანამგზავრი პროცესია... აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საკვანძო ***„საქმიანობაა“*** ისეთი თემების განხილვა, როგორიც არის თუ რამდენი ლიტრი ბენზინი ერგებათ, როდის დაერიცხებათ პრემია? ***(რისთვის იქნება პრემია, ეს კი არ აინტერესებთ, არამედ როდის იქნება...)*** და მსგავსი ყოფითი პრობლემები; დადიან საზღვარგარეთ, ყიდულობენ მანქანებს, თავიანთ ამორტიზებულ მანქანებს მიჰყიდიან უმაღლეს საბჭოს და ა. შ. სუფთა აღებ-მიცემობაა. *სამწუხაროდ, დღეს საქართველო მიზნობრივად აქციეს დახლად, - დასაქმება ჰქვია ქართველი კაცის დახლთან დგომას! ყველაზე დიდი დახლი, რომელსაც ზნეობა ვერ აკონტროლებს, გახლავთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო. ეს ხდება მიზანმიმართულად.*
- ***გამოდის, მართალია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს სტრუქტურა, როგორც ასეთი, არცაა საჭირო.***
- ამ მოსაზრებაში დიდი საფრთხეა. ამ მიმართულებითაც არის სამუშაო, რაც არ შედის მათ ინტერესებში. აქ რა მოხდა, იცით? 90-იან წლებში აფხაზეთის ე. წ. ქართულმა პარტოკრატიამ ეროვნულ მოძრაობაში თავისი კადრების დელეგირება მოახდინა. უმეტესობა ***„მრგვალი მაგიდის“*** სახელით კი არის არჩეული, მაგრამ ისინი ნომენკლატურულად იყვნენ ***„მრგვალ მაგიდაში“***, იმიტომ, რომ მაშინ ეს მოსაგები პოზიცია იყო, მაგრამ მსოფლმხედველობრივად უმეტესობა ის ადამიანია, რომელმაც მახვილი

ჩასცა თვით *„მრგვალ მაგიდას“*. გია გვაზავას საქმიანობაა იმ ადამიანების დევნა, რომლებიც მას ამხელენ და ავლენენ მის ბაცაცურ ბუნებას: - მომარაგების დეპარტამენტის უფროსი, თვითონაც ბაცაცა, იმდენად აღაშფოთა ამ ვაითავმჯდომარის მადამ, ვერ ვიკადრებ, თქვენთან გავიმეორო ის სიტყვები, რაც მან გ. გვაზავას სახალხოდ უძახა. გ. გვაზავა კი მშვიდად განაგრძობს მუშაობას იმ ხალხთან, ვის წინაშეც გამოლანძღეს უკანასკნელი სიტყვებით.

- ***მუშაობს ის კაცი ისევ?***
- არა, გაათავისუფლა, როგორც მე... და მე რატომ გამათავისუფლა, იცით? დახურულ სხდომაზე მტკიცებულებებით ვამხილე გ. გვაზავას არაკომპეტენტურობა და არაკეთილსინდისიერება. თავიდან ერთი-ერთზე ვეუბნებოდი, შემდეგ პრეზიდიუმის წინაშე ვთქვი, კოლეგები კი გავაფრთხილე, - ეს ჩვენში დარჩეს, გარეთ არ გავიტანოთ, სირცხვილია-მეთქი, მაგრამ მერე თავად გაიტანეს. რით დამაშანტაჟეს? რამდენიმე წიგნი მაქვს დაწერილი, რომლითაც ასევე ვამხელდი მ. სააკაშვილსა და მის გარემოცვას. რა გააკეთეს ამათ, იცით? შეადგინეს *„დანოსი“* ჩემს საწინააღმდეგოდ, მოაწერეს ხელი და გაუგზავნეს მ. სააკაშვილს, უშიშროებას და ა. შ. ერთი სიტყვით, მიჩივლეს...
- ***რაზე, წიგნებს რატომ წერო?***
- შენ ხარ პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო, როგორ გაბედე და მიხეილ სააკაშვილს როგორ აკრიტიკებო?! აქ უკვე შედგა ვაჭრობა: 2011 წლის 18 აპრილი იყო, აპარატის უფროსმა მაჩვენა განცხადება, რომელსაც დეპუტატთა ჯგუფი აწერდა ხელს, მასში ეწერა, რომ მე ვაკრიტიკებ მ. სააკაშვილს და ა. შ. მოკლედ, აპარატის უფროსმა მითხრა, რომ ესენი გააგზავნიდნენ ამ წერილს მ. სააკაშვილთან თუ სამსახურიდან არ წავიდოდი. თან მითხრა: გყავს შვილი (რომელიც თანამდებობაზე მუშაობს) და რად გინდა დაპირისპირება, გაგანადგურებენ, წყნარად წადიო. ეს საბუთები არსებობს, ჰაერზე კი არ ვამბობ? ერთი კი არა, ორი განცხადება დაწერეს და გააგზავნეს. ოფიციალურად რეორგანიზაცია დაარქვეს ამ ყველაფერს, ჩემს დეპარტამენტს შეუცვალეს სახელი და 10 ახალი თანამშრომელი მიიღეს. აღდგომის წინა დღეებში, მიტევების კვირაში გააკეთა ეს გია გვაზავამ.
- ***...და ბოლოს, სად არის გამოსავალი?***
- ღმერთმა არ ქნას, გამოსავალი არ იყოს! აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არიან ადამიანები, რომელთაც ტვირთის აწევა შეუძლიათ, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკა არ არსებობს აფხაზეთის ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დეოკუპაციის შესახებ.
- ***ახლა ყველაფერი გადააქვთ არჩევნების შემდეგ პერიოდზე...***

- ტერიტორიული მთლიანობა ქვეყნის პრიორიტეტული საკითხია და ეს ვიცით ყველამ, უფრო სწორედ, უნდა ვიცოდეთ. თითქმის ერთი წელი სრულდება, რაც ახალი ხელისუფლებაა. მე არც ერთი წლის წინათ მქონდა დიდი ილუზია, რომ ეს იქნებოდა მსოფლმხედველობრივი სიახლე. ჩემდა სამწუხაროდ, გამართლდა ჩემი მოსაზრება. აქ მოხდა ნომენკლატურული დაპირისპირება, სადაც გაიმარჯვა ბ. ივანიშვილის გუნდმა. მსოფლმხედველობრივი და სტრატეგიული განსხვავება აქ არაფერია, ერთი გუნდი მეორეს ეჯიბრება ქართველი ერის ინტერესების გამოსახვაში კი არა, ნაკლები დანაკარგებით როგორ შეუგდონ აგრესიულ გლობალიზმს დახლზე საქართველო. აი, ამაში შეერკინნენ ერთმანეთს. გამოსავალი, სამწუხაროდ, არ არის დამოკიდებული დევნილ მოსახლეობაზე, ეს უნდა იყოს სრულიად საქართველოს ნება, სრულიად საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ნება! აფხაზეთის დეოკუპაციას სჭირდება პოლიტიკური, ისტორიული, სამართლებრივი და ა. შ. ასპექტთა სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბება. არ შეიძლება, ბრმად აკეთო რამე, ბრმად გაკეთებას დალის ხეობისა და ახალგორის ჩაბარება მოჰყვა. დაწყებული ტერმინოლოგიიდან, დამთავრებული ისტორიული ფაქტებით, ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი. ეს დღევანდელი საარზროვნო მენტალიტეტით ძალიან რთულია. აქ საჭიროა მიზანდასახული, აწონილ-დაწონილი ხედვები, სუფთა ხელები და ერისკაცული თავდადება. აი, ამიტომ ვიყავი მათთან მე "თეთრი ყვავი" და ამის გამო გავხდი მიუღებელი ამ ჯოგური ფეხაწყობისთვის.

გაზეთი "ქრონიკა +", 17/09-23/09, 2013 წელი

≈*≈

2. კაცღმერთული თავაწყვეტების წიაღში, ანუ ნუ ენდობი ამათ, ისინი თქვენ, დევნილებო, სულში გაფურთხებენ!..

„რამეთუ ჰყავ სამართალი ჩემი და მშჯავრი ჩემი,
დაშჯედ საყდართა ზედა, მსაჯულო სიმართლისაო...“
ფსალმუნი, კანონი მეორე - 9;
„ხოლო ვის უყუარს სიცრუვე, მას სძულს სული თვისი...“
იქვე - 10.

„მარტო ვარ“- უბადო საუკუნის ქარბორიათა შემომწუხრებას მიუპირწონა ქვეყნის დიდმა ჭირისუფალმა დავით კლდიაშვილმა საკუთარ სულს ჩამოწალდული ეს ოხვრა, რათა მედროვეთა მარად სიყრუეს, როგორც საცოლის თვალწინ გაწნულ სილას, ცხრასკნელქვეშეთშიც კი ჩასდევნებოდა

აგანგაშებული ღაღადი იმაზე, რომ არ შეიძლება, ეროვნული ჭრილობების გასწვრივ განცხრომის უფლება გაუპიროვნო პირად პატივმოყვარეობას.

დიახ, ბატონებო, როგორ არ ვიცი თავმდაბლობის ფასი, მაგრამ რა ვქნა, მარტო ვარ მეც, რადგან სწორედ ამგვარად ყურდახშობილთა ფეხაწყობის გამოსაფხიზლებლად გამოვაქვეყნე ჩემი წიგნები, რომლებშიც ვცადე დამესურათხატა საქართველოსთვის *თავსმოხვეულ ღვთისწყრომათა აღმგველობა*. სამწუხაროდ, *საზოგადოებამ ყური არ ათხოვა საგანგაშოდ დარისხულ ზარებს*.

უბედურება ის გახლავთ, რომ, როგორც ყოფილი, ანუ მ. სააკაშვილის ქართველთსპობითი ხელისუფლება, რომელიც მე ჩემს წიგნებში ქვეყნის საწინააღმდეგო საქმიანობაში ვამხილე, რაც ანგარიშგასაწევი თანამდებობის დაკარგვად დამიჯდა, ასევე, დღევანდელი ხელისუფლება ამერიკასა თუ ტექნოკრატიულ ევროპას *(აგრესიულ გლობალიზმსა და მის დივერსიულ ეთნოფაბრიკაციებს)* ჩვენი ქვეყნის გამჩირაღდნებელ ლამპრად აღიქვამს. უფრო მეტიც, იგი დემოკრატიის კერად მიაჩნიათ (შევნიშნავ, რომ აგრესიული გლობალიზმის მიერ გახმოვანებული „დემოკრატია“ გახლავთ დიდმპყრობლური პაროლი და მას საერთო არაფერი აქვს სახალხო ხელისუფლებასთან). სინამდვილეში ამ ე. წ. ზედემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც კრემლის თითისქნევებს ჩაენაცვლა, უფრო სწორად, ჩაეწყვილა და ისიც ქვეშუნაგურად იტორება, თავის მხრივ, უამრავი ინტერვენცია აქვს განხორციელებული *(ტაივანის ოკუპაცია 1949 წელს; კორეის სამარ მოქმედებებში ჩათრევა 1950 წელს; დომინგოს რესპუბლიკის ანექსია 1965-66 წლებში; გრენადის ტრაგიკული მოვლენები 1983 წელს; სისხლისღვრები ავღანეთში, ერაყში, ეგვიპტეში, ლიბიასა და ა. შ.)*.

ეს ჩამონათვალი კიდევ შეიძლება განვაგრძოთ, მაგრამ ამჯერად იგი არაა ჩვენი მსჯელობის საგანი.

ასეთ ვითარებაში თუ თვალფხიზლად შევაფასებთ მოვლენებს, ძნელი დასანახი არ უნდა გახდეს, რომ საქართველო ამჟამად აშშ-ის ინტერვენციის ქვეშ იმყოფება, ანუ ე. შევარდნაძის, მ. სააკაშვილისა თუ ბ. ივანიშვილის არაეროვნული პოლიტიკის შედეგად აშშ-მა მოახერხა ხილული საომარი მოქმედებების გარეშე, ქვედადინებური შენიღბული დივერსიების ამოქმედებით განეხორციელებინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც მოჰყვა ქვეყნის დენაციონალიზაციისათვის ახლებური ტექნოლოგიების დანერგვა *(ეთნოდივერსიული ფაბრიკაციები)*: უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ საფინანსო-სამეურნეო ინტერვენცია, რამეთუ კისერზე გვაწევს 12 მილიარდდოლარიანი საგარეო ვალი, აქედან გამომდინარე შედეგებით, რის გამოც ტექნოკრატიული დასავლეთის აგრესიულ გლობალიზმს ყურებით ვყავართ დაჭერილი, რაც გვასაგნებს კოლონიალიზმის ისეთ ამაზრზენ ფორმაციაში, როგორიცაა *ვასალიტეტი*.

მხოლოდ დაუძინებელ, მოსისხლე მტერს შეიძლებოდა ამ ხარისხის ზიანი მიეყენებინა ერის სააზროვნო თუ სამოღვაწეო ყოველდღიურობისთვის, როცა ნებისმიერი ე. წ. უმცირესობა, გნებავთ სქესობრივი, ეთნიკური, სარწმუნოებრივი და ა. შ. არც მეტი, არც ნაკლები, საოკუპაციო კონტინგენტად მოთადარიგდა და დადგინდა ქართველთა ქვეყანაში.

მიუხედავად იმისა, რომ მ. სააკაშვილს ჩანაცვლებული ახალი ხელისუფლება ნახევარსიმართლითა და მიზნობრივი ზედაპირულობით აღიარებს წინამორბედის ბოროტმოქმედულ საქმიანობას, თვალფხიზელი გონებისთვის არ უნდა გაჭირდეს იმის გასიგრძეგანება თუ რა უთანასწორო ბრძოლაში ჩავები მ. სააკაშვილის ბოროტმოქმედებათა მხილებით. სამწუხაროდ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა იმხანად სახალხო ინტერესებს, ანუ თავის ამომრჩეველთა განაწეს კი არ დაუჭირა მხარი, არამედ, სასწრაფოდ გაიპიროვნა ბაცაცა გ. გვაზავას, ასევე თაღლით ა. წოწონავას, დ. გვაძაბიას, გ ლომინაძისა თუ სხვათა ლეღვისფოთლობა და დამაბეზღეს მ. სააკაშვილის ხელისუფლებასთან, ამავე დროს პოლიტიკური შანტაჟით მაიძულეს, დამეტოვებინა სამსახური *(როგორც მოსალოდნელი იყო, მათ მ. სააკაშვილსაც მალე უღალატეს).*

ასეთ შემთხვევაში მე მაკვირვებს, რომ აფხაზეთის საზოგადოებრიობისთვის რატომ არაა შეურაცხმყოფელი ის, რომ გ. გვაზავა, ა. წოწონავა, დ. გვაძაბია, გ. ლომინაძე, რ. ცატავა და ა. შ. სწორედ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავკაცები ბრძანდებიან და თავიანთი თაღლითობით დღემდე თვალებში ნაცარს აყრიან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს *(აფხაზეთის)* მრავალჭირნახულ მოსახლეობას და არა მხოლოდ მათ.

ზემოთხსენებულთა სულიერ დაცემას საზღვარი არ გააჩნია!..

...მკითხველს მათი (აფხაზეთის "დევნილი" ხელისუფლების) ამგვარი სულხრწნადობა ასე გაუსაჯარისდა ამ დღეებში: *„პატარა ამბავს მოგიყვებით, თუმცა, ნამდვილად საინტერესოს, იმაზე, თუ როგორ ხდებოდა თანხების გაქრობა აფხაზეთის ა/რ-ის მინისტრთა საბჭოში. სამწუხაროდ, ამის მაგალითად უნდა გამოვიყენო ისტორია ისეთი წესიერი ადამიანისა, როგორიც სოხუმის დაცემის დროს დაღუპული გურამ გაბისკირიაა. პოლკოვნიკი გურამ გაბისკირია კი ის კაცი გახლდათ, რომელსაც სოხუმის დაცემის დღეს, 27 სექტემბერს, იმ საუბედუროდ გახმაურებულ კადრში აფხაზეცმა უბრძანა ჟიული შარტავასთან ერთად დატყვევებულს - „დაიჩოქეო", - მან კი კაცობად აამრისხანა, „ნიკაგდაო ვ ჟიზნი!" - ამავე დროს კადრში მისი მამაპაპური გინება ისმის. ამის შემდეგ ის გაიყვანეს და ქუჩაში დახვრიტეს."*

გაზეთ „ქრონიკას" ხელში ჩაუვარდა დოკუმენტი, რომელიც 2003 წლის 16 სექტემბრითაა დათარიღებული. იგი მოცულობით ვრცელი არ არის და ამიტომ მას სრულად წარმოგიდგენთ: „მოკლედ, აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს, რომ მხარდაჭერილ იქნას მიმდინარე წლის 27 სექტემბერს „ხსოვნისა და იმედის" დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით სოხუმის მერიის წინადადებები აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მერის გურამ

გაბისკირიას ხსოვნის უკვდავსაყოფი, დაღუპულ მეომართა ხსოვნის პატივისმიმგები და მათი ოჯახების მორალური და მატერიალური მხარდაჭერის ღონისძიებები (თან ერთვის). ამ დღის აღსანიშნავად დამტკიცდა სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. დ. ცანავა - აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

2. გ. ჩიქოვანი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

3. ბ. ნაყოფია - აფხაზეთის ფინანსთა მინისტრი;

4. ჯ. ჯანელიძე - აფხაზეთის განათლების მინისტრი;

5. ს. ქეცბა - აფხაზეთის კულტურის მინისტრი;

6. თ. ჩოჩია - აფხაზეთის ტელერადიო კომპანიის თავმჯდომარე.

მოკლედ, ეს ხალხი შეიკრიბა და გადაწყდა, რომ დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს (ბატონი ბ. ნაყოფია), უზრუნველყოს ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დაფინანსება. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ დ. ცანავას.

ამ დოკუმენტს ხელს აწერს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი რუდიკ ცატავა.

გურამ გაბისკირიას საფლავის მოსაწყობად გამოიყო 6000 ლარი. აქვე იყო გათვალისწინებული ტრანსპორტის ხარჯი - 200 ლარი. სპეციალური ღონისძიება - 1000 ლარი. დაღუპულ მეომართა შვილებისთვის დახმარების გაწევა - თითოზე 30 ლარი და სულ 3000 ლარი, სხვა მცირე ხარჯები - 150 ლარი და სულ ჯამში, 10350 ლარი.

როგორც ხედავთ, თანხა გამოიყო იმ საფლავის მოსაწყობად, რომელიც დღესაც არ არსებობს. სოხუმის მერის გურამ გაბისკირიას ნეშტის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. ასევე, დღემდე არ მომხდარა დაკარგული ცხედრის ე. წ. სიმბოლური დასვენება საქართველოში და მისი, ასევე სიმბოლური საფლავის რაიმე სახით მონიშვნა. ასე რომ, ეს თანხა, რომელიც წესით ნამდვილად კარგ საქმეს უნდა მოხმარებოდა, ჰაერში გაუჩინარდა. გულსატკენი ის არის, რომ თანხის გამოყოფის შემდეგ, ერთი ფილაც არ დადებულა საფლავისთვის" (თამარ ოქრუაშვიული, გაზ. „ქრონიკა", 17-23 ივნისი, 2013 წ.).

ამრიგად, აფხაზეთიდან დევნილი ნებისმიერი ადამიანისთვის ზნეობრივი გმირი ხელმოთბობის საშუალება გახდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა ერთი ნაწილისათვის ანუ ამ ჯოგისთვის, თუმცა იმ დროისთვის *(და დღემდე)* მისი საფლავის ადგილსამყოფელი უცნობი იყო *(და არის)*...

არადა, უიმედო საქმეა, ამ ხალხში უფლისმიერი ნებადართულობე-ბისკენ მიდრეკილებები ეძებო. ამაში ამ ჯოგს გზაკვალს ურევს მათი შინაგანი არნდომა, იყონ თავისუფალი, ანუ ზნეობისკენ განაბიჯებული პიროვნებები. ამით ისინი, როგორც თავად ხედავთ, იქცნენ სულტიელობის უფსკერობათა სახეზოგად სურათად. მათ გადათელეს საზოგადოებაში ცხოვრების მთავარი წესი - ზოგადად საზოგადოების ან თუნდაც მისი იმ ნაწილის პატივისცემა, რომელიც, რაღაც მიზეზის გამო, ამ წუთისათვის მეორე მხარედ იქცა, რადგან

გაემიჯნა მათ ხელმრუდობას. სამწუხაროდ, წინმსწრებმტკიცებითი *(აპრიორული)* ჯიუტობით ისინი ცდილობდნენ მის განადგურებას ისე, რომ ღირებულებას არ ეძებენ. მათი ხელგარჯილობა მხოლოდ ერის მიზანმიმართულ გამოთაყვანებას ემსახურება. მათ ფეხებზე ჰკიდიათ ის, რომ არ შეიძლება მიზანი იყოს ადამიანის, მით უფრო, მართალი კაცის მორალური განადგურება (გადავლა). ო, რა სიამოვნებით წამიკიდებდნენ ცეცხლს!.. თავიანთი საქმიანობით ეს ხალხი ვერ იქცა ერის დუღაბად, პირიქით, ერის ეროზიას იწვევენ პირადი ცხოვრების წესით. სამწუხაროდ, ამ წუთისთვის ამ ჯოგიდან 14 ფიგურანტი, როგორც უკვე ნახეთ და ქვემოთ კვლავაც შეეფეთებით, დღეს იღწვის არა სულიერ განწმენდისა თუ მონანიებისთვის, არა და არა, ბატონებო, ისინი ხმაშეწყობით ორკესტრირებენ მათი ბოროტმოქმედებებისგან აღაღადებული ცოდვების ხმაჩასახშობად.

***

წმინდა წერილი გვაფრთხილებს: ***„ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა...“ (მერვე ნეტარება).***

სიმართლეს ვერ აეჯებირები, რადგან ***„რამეთუ დავდუმენ მე, განკფდეს ყოველნი ძვალნი ჩემნი ღაღადებითა ჩემითა მარადღე...“ (ფსალმუნი 31.).***

უნდა დამეთანხმოთ, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არასახალხო, ბაცაცური ბუნების გასასიგრძეგანებლად საჭიროა მისი ნამდვილი შინაარსის სათავეთა მოთვალსაწიერება.

სწორედ ***ამ სათავეებიდან მოხდა*** ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ანუ აფხაზეთში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის ***გზაკვალარევა***, მისი ნამდვილი წევრების „გაუვნებელყოფა“ და ასეთ ***ეროვნულ-სახალხო დარაზმულობაში პარტოკრატიისათვის სანდო, მისგან მოსადავებული სულგაყიდულობის ჩანერგვა***.

ბუნებრივია, ყოველგვარი ამპარტავნებისა და თვითმარქვიობის გარეშე მეც ამ „გაუვნებელყოფილებში“ ანუ ა. მარკოზიას, ნ. კვაშილავასა და მრავალ სხვათა შორის მოვიაზრებ საკუთარ თავს, ხოლო სტუკაჩ-ნასედკების შვონდერ-შარიკოვულ თუ პავლიკმოროზოვულ მოხალისეებში კვლავაც გამოვარჩევ წითელ გენერალ გ. ლომინაძის ნაცად ხელისბიჭუნებს ***(გოგუნებს)*** ნ. მგალობლიშვილს, ნ. ლორთქიფანიძეს, თ. მჟავიას, ზ. ნადარეიშვილს, მ. ძოძუაშვილს, ზ. კოპალიანსა და მათ გვერდით იმათაც, რომელთაც საკუთარი ტყავის გადასარჩენად, თუმცა ჩურჩულით აღიარებდნენ და ეზიზღებოდათ გ. ლომინაძის ზემოთხსენებული ხელისბიჭები, მაგრამ პირში წყლის ჩაგუბებით ხელი შეუწყვეს მათთვის საკაცღმერთო კვარცხლბეკების აღმართვას.

ვინაიდან იმხანად მათ მოახერხეს ჩემთვის *"კოლხური კოშკის"* ბჭისკარის დახშობა, თავის დროზე მე დავწერე 400 გვერდიანი წიგნი, რომელშიც საკმაოდ საფუძვლიანი *(არ დავმალავ)*, რიგ შემთხვევაში მკაცრი საუბარი მქონდა *"კოლხური კოშკის"*, ამ ეროვნული ნიშანსვეტის მექონგურეთა მიმართ.

წლების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იმხანად გაზეთ *"ახალი ერას"* რედაქტორი ე. ჯაველიძე მზად იყო იგი თავიდან ბოლომდე გამოექვეყნებინა და ამ მიზნით ვ. მირცხულავასაც აშუამდგომლებინა, ეს წიგნი მე დავწვი, მაგრამ რამოდენიმე გადარჩენილი გვერდი ახლახან აღმოვაჩინე ჩემს ხელნაწერებში. კიდევ ერთხელ გადავიკითხე და სულ სხვა თვალით შევხედე ამჯერად მათ. ჯერ ერთი, ვფიქრობ, ისინი გამოხატავენ იმ დროის ავან-ჩავანს და მეორეც, აქ გამოთქმული აზრი კვლავ მიმაჩნია 80-90-იანი წლების სახეზოგადობად. მესამეც - ამ ნაწილში არ მოხვდა ის მასალა, ძირითადად რის გამოც არ მივიჩნიე მიზანშეწონილად წლების წინ ზემოთდასახელებული წიგნის გამოქვეყნება.

მაშ, ასე, გთავაზობთ 17 წლის წინ დაწერილ და შემდგომ საგანგებო მოსაზრებით ჩემივე ხელით განადგურებული წიგნიდან გადარჩენილ ნაწყვეტებს, დიახ, საქმე ისაა, რომ ამ საკითხებზე მე ამგვარადვე ვფიქრობ დღესაც, თუმცა, ვიმეორებ, სწორად მოვიქეცი, როცა ამ წიგნის ის მონაკვეთი, სადაც ვრცელი საუბარი მქონდა ზოგიერთ ისეთ საკითხზე, რომელიც ჩემთან ერთად უნდა ჩავიდეს სამარეში: გავანადგურე:

***

ვინ ბრძანდებით თქვენ, ანუ მწუხრისბჭობანი „კოლხური კოშკის“ საფიხვნოში თუთაშხა

„უკანასკნელად გაიბრძოლა მელოგინემ, დაავლო ხელი
სიგრძეზე გაბმულ თოკს. ერთი ისეთი შეჰკივლა, ცას
ვარსკვლავი მოსწყვიტაო. ბუსუსებიანმა, შავმა მორიელმა
გადაირბინა უსახსროდ დაგდებულ ფეხზე, მიაშურა
თავის დიდ დედას - ბნელ ღამეს...“
დიდოსტატი კონსტანტინე - „ტაბუ“

ქრისტესმიერნო,

მწუხრზე დავუდრიკე თავი ილორის წმინდა გიორგის - ჩემი და თქვენი წინაპრების სალოცავს, გონებაში კვლავ გავიერთსხეულე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს *(აფხაზეთის)* მშობლიური კიდეგანები, - ჩვენი

ცხუმ-აფხაზეთური ვინაობის ხაწა თუ მადლი და ასე მუხლის ჩოქვით ვევედრები წმინდა გიორგის *(იდიდოს მისი სახელი!)*, ნუ გამაბოროტებს თქვენი, ნებსითი თუ უნებლიე ხელშეწევნის წყალობით ჩემს თავზე ახანძრებული თივის ზვინების გამო, ღვთივდადგენამ მომმადლოს სათნოების და სიყვარულის ნიჭი, რათა არა გეცრუოთ და ***მხოლოდ სიმართლე გელაპარაკოთ.***

ამასვე გირჩევთ თქვენც. ახსენეთ ***„კოლხური კოშკის“*** მეციხოვნეთა მფარველი სუჯუნის წმინდა გიორგი და მიემოწაფეთ უფლის ნებას: ჩაუღრმავდით საკუთარ თავს, მიმოიხედეთ, ძალიან გთხოვთ, ამჯერად როგორმე შეძელით აპრიორული აკვიატებებისგან თავდაღწევა და ნუ დაემგზავრებით რეალობის არაადექვატურ აღქმას, რაც მთავარზე უმთავრესია, გახსოვდეთ ქრისტე ღმერთი!..

ქრისტესმიერნო, საქართველო უფრო დიდია, ვიდრე ჭყონდიდელ-აღმაშენებელიც კი, რუსთაველიც და ილიაც, დიდოსტატი კონსტანტინეც, წამებული ზვიადიცა და სულნატანჯი მერაბიც... სრულიად ქართველური ქუდზეკაცობის წინაშე უდიდესმა ვალმოხდილმაც კი ასე თავმდაბლურად მიგვანიშნა სულიერი ფეხაწყობისკენ, ***„...ფეხი დამადგითო გულზე ყოველმან“***, ხოლო ***„კოლხური კოშკის“*** სულიერმა მოძღვარმა მამა ამბროსი ხელაიამ ამნაირად დაგვიზუსტა მამულიშვილის რაობა: ***„სული ჩემი - უფალს, გული - საქართველოს, ლეში თქვენ - მტარვალებს“***, რისთვისაც იგი საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ და მადლიერმა ერმა წმინდანად შერაცხა.

თვით ლიბო უბზარო ***„კოლხური კოშკის“*** ბჭისკარზე, ანუ თქვენსავე საბრძანისშია მოასომთავრებული, რომ მხოლოდ უფალია უდიადესი ყოველთა იბერიელთა გიორგიანული ლასკარის მარადმშობლიურ თვალსაწიერზეც, - დიდება მის მადლს და ამ რჯულისკანონს ყოველდღიური წაკითხვა სჭირდება, ***ქალბატონო მანანა!..***

*თქვენ, - სრულიად საქართველოს ეროვნული მოძრაობის მგლოვიარე დედას (წესით ასეა), განგებამ დაგანათლათ, ყოფილიყავით ეროვნულ-სახალხო თანხმობისა და გაერთსხეულებული ძალისხმევის წარმძღოლი, მაგრამ ამისათვის ძალიან ცოტაა შესაბამის სახლმმართველობაში დადასტურებული **„კოლხური კოშკის“** მემკვიდრის ცნობა. მივიჩნევ რა თავს ასეთი შინაარსის უღალატო, უფრო მეტიც, მოუსყიდველ მეციხოვნედ, კეთილმოსურნედ გეთათბირებით: საქართველოს ეროვნული ააღმართებისათვის თქვენ **„კოლხური კოშკის“** ჭერქვეშეთიდან უნდა დაიმზითვოთ წმიდა წერილი, ათი მცნების საწყაო, ქრისტესმიერი სწავლება, საერთოდ, ჯვარცმისა და მარტვილობის თავმდაბლური ნიჭი, სათნოება და მოყვასის სიყვარული. უნდა დაგმოთ ნომენკლატურულ-რევანშისტული რეციდივი. ერთხელ და სამუდამოდ ვიგაკვეთილოთ 1991 წლის დეკემბრის*

უბედურებათა როგორც ობიექტური, ასვე სუბიექტური მიზეზები და მე თუ დამეჯერება, ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში. სწორედ მას სჭირდება უმცდარი გასიგრძეგანება, აქედან გამომდინარე, გრძოლას ეროვნული ხელისუფლების აღდგენისათვის სამისდღემშიოდ უნდა ჩამოეწალდოს მკვდრადშობილი ამოჩემება, აკვიატებები, ლოზუნგური ჰოოპუნა და ნომენკლატურულ-ამბიციური, საკუთარ ცხვირს იქით ვერ გამცდარი, - ვითომპოლიტიკური „თვალსაწიერი“. ამავე დროს, ძალიან და ძალიან, სიკვდილ-სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, წამგაუცდენლად შეიხსენებდეთ ერისკაცის მოწოდებას: საქართველო გიყვარდეთ თქვენში და არა თქვენი თავი საქართველოში. ***ამ წუთში, როცა ამ წერილზე ვმუშაობ, ვტირი!.. მამაკაცური ქვითინით ვტირი.***

მე, თქვენ, ჩემო ქრისტესმიერო დაო, თავს ძმური სიალალითა და უანგარობით გიდრეკთ, მაგრამ თქვენზე უფრო - დედასაქართველო მიყვარს და ეს, თქვენ, "ჯოლხური კოშკის" დედას, - ერის ჭირისუფალს, უნდა გახარებდეთ!..

კიდევ და კიდევ თავს უფლებას მივცემ, გაგიმეოროთ: ვთვლი რა თავს ***„ჯოლხური კოშკის“*** სწავლებათა სულიერ მოწაფედ, ვალდებული ვარ შეგახსენოთ: ქალბატონო მანანა, ადამიანი შეიძლება ისე ჩახვიდე სამარეში, არ გეღირსოს ***„ჯოლხური კოშკის“*** თვალშევლების ბედნიერება და როდესაც უფალი დაგაჯილდოებს საღვთო მადლით, რომ შეაღო ეროვნული ლასკარის ბჭისკარი, - ***მოწიწებით უნდა დაიდრიკო თავი, რადგან შენ სრულიად ქართველურ სიწმიდეთა ჭერქვეშეთში ხარ, მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი, - ამ საფიხვნოში ჩაწერილი ბრძანდები თუ არა საუბნო სახლმმართველობის მიერ, ეს ციხიონი ერის თვალგახელის სიფხიზლეა და მის ქონგურებთან დგომა, როგორც მესვეურისათვის, ასევე რიგითისათვის სახალხო მოვალეობა და პასუხისმგებლობაა.*** იგი, როგორც ერის ცნობიერი ციხე-სიმაგრე, ყოველთა ქართველთა გამოზაფხულებად დაადგინა მეოცე ასწლეულმა და არავისა აქვს უფლება ***(თუნდაც აქ ჩაწერილ მის იურიდიულ მემკვიდრეს)***, გაასარაველიანოს ***„ჯოლხური კოშკის“*** ეროვნული პოხიერება.

იმპერიის ჩექმებით დაქუსლული, ნახანძრალი და ნატყვიარი ***„ჯოლხური კოშკის“***, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ყველაზე ნაღდი და საიმედო სვლაგეზის ხელყოფა გრძელდება. ეს ვერაგობა მრავალგანტოტებითი მიმართულებებით იქსელება და არ დაგიმალავთ, ნებით თუ უნებლიეთ, მტერი თქვენი ხელებითაც ეცდება ამის მიღწევას. ეროვნული აბრის ქვეშ, ჩასაფრებული ავმოსურნე ყოველმხრივ მოიწონებს და წააქეზებს უვიცობას, თავხედობას, მკვდრადშობილ აკვიატებებს, ურთიერთბეზღობებს, შექმნის ე. წ. ნასედკებისა და სტუკაჩების ქვეუწყებებს და გააპიროვნებს მათ ***„ჯოლხური კოშკის“*** ყველა უანგარო თანამდგომზე. ***„ჯოლხური კოშკის“*** ციხიონსა და მერაბ კოსტავას ფეხნადგამ ეზოს აქცევს გულუბრყვილოთა გაშარჟებულ გოლგოთად, რის გამოც დაიშლება სახალხო

დარბაისელთა ფეხაწყობა და ეროვნული მოძრაობა, გათითოკაცდება ქუდზეკაცური ძალისხმევა.

მნიშვნელობა არა აქვს წინასწარგანზრახული, მიზანმიმართული გეგმაზომიერებით თუ სტიქიური შემთხვევითობით, აშკარაა, რომ ავმოსურნე ძალისხმევათა შედეგის მიხედვით მტრის მიერ ქვეშქვეშურად მოსადავებული ***„მრგვალი მაგიდის“*** გარშემო (რომელსაც არაფერი აქვს საერთო დიდი ზვიადის ძალისხმევასთან) ადამიანი იქცა საცდელ ნედ-ლეულად: ჩასაფრებული და შენიღბული ძალები ცდილობენ, მოყვასში დაანგრიონ პიროვნება, ხოლო საზოგადოებრივი ერთსულოვნება - სულტიელ კრებითობად აქციონ... ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ისინი ზნეობრივ ***„მე“***-ს - მხოლოდ ქედდაღუნული აზროვნების უფლებას აძლევენ.

თქვენ ბრძანებთ, რომ არსებული რეჟიმი უღმერთოა. სწორია, იგი ნამდვილად სატანური სიცხადე, ანუ გატიალების სიბილწეა. ამიტომ გვერდშიც გიდგავართ და თავიც გაგვიწირავს. ეს ძალები გაჰყვირიან, რომ ქრისტეს გზას ადგანან, დაამხობენ ეშმაკისეულს. მერედა როგორ, როცა ჯვრის ნაცვლად შოლტი უჭირავთ, მარტვილის ფეხშიშველი ნაბიჯების მაგივრად ჩექმებით იქუსლებიან, ათი მცნებისა და სახარების გვერდით ეშმასეულ ხვანჯებს ქსელავენ, ***„კოლხური კოშკისეული“*** ყოფაქცევის წილ, წარმართული თავაწყვეტით დათარეშობენ, რად გვინდა უღმერთოს გამარჯვება უღმერთოზე?!. რა შეიცვლება ამით?!

ნებისმიერი, რომელიც სიმართლის სახელით სიმართლეს ებრძვის, იუდაა. ვინც ეროვნული სიმართლის აბრას თავისი ნომენკლატურული თვითმომარაგებისთვის იყენებს, - ასევე არის იუდა, ხოლო ის, ვინც სიმართლის სახელით სიმართლეზე თვალს ხუჭავს - პოტენციური კი არა, უკვე ფეხადგმული ტარტაროზია!..

გასაგებია, მთელი თავისი არსებობის მანძილზე ***„კოლხური კოშკი“*** გახლდათ ეროვნული სულისკვეთების ნიშანსვეტი. სწორედ ამიტომ ებრძოდა მას წამგაუცდენლად საბჭოთა სახელმწიფო. სხვადასხვა ხერხებით, ილეთებით, მოგვერდებით, დივერსიებითა და ა. შ. დიახ, დაჟინებით ცდილობდა იგი მის გზაკვალარევას. საბედნიეროდ, მიუხედავად ამ ხანგრძლივი და უთანასწორო ბრძოლის დამანგრეველი შედეგებისა, მაინც გადარჩა მთავარი - ***<u>აქედან დანახული ქართველთა გონითი განფენის სივრცე!..</u>***

დიახ და დიახ, დიახ-მეთქი, ამის გამოა, რომ ***„კოლხური კოშკის“*** წინააღმდეგ ქართველმოძულე ჩასაფრება ყველა საშუალებით, მათ შორის წესლქვემოთა, არარაინდული მცდელობებით შეტევას შეტევაზე ანხორციელებს დღესაც.

მე არ მინდა ამ საცოდაობისთვის გაგიმეტოთ თქვენ, ჩემთვის ქრისტესმიერი ვინაობა!.. კი ბატონო, მესმის, რომ თქვენ, უპირველეს

ყოვლისა, ადამიანი ბრძანდებით, შესაბამისად, რაღაც გიხარიათ, გწყინთ, იღლებით, გამოგრჩებათ, ყველაფერს ვერ გაითვალისწინებთ, შეცდომასაც დაუშვებთ, ხმას აუწევთ, ვიღაცას გაუწყრებით, მოკლედ, ყოფით ყოველდღიურობაში თქვენი სიძლიერითა თუ სისუსტით არსებობთ.

...მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ვინაიდან, სადღეისოდ თქვენს მიზნობრივ საკუთარ გარემოცვაში მხოლოდ საეჭვო შედეგზე გათვლილ მაამებლურ თავის კანტურს აჩვევენ თქვენს ჯოგურად მოაზროვნე კრებითობას, რომელ-მაც ვატყობ, ამჯერადაც შესძლო თქვენი დარწმუნება ***„ჩემს ცუდკაცობაში“***, ამ შემთხვევაში ჩემი ***„ენით უთქმელი თავხედობის“*** გამო, ჩვეული თითისქნევით შესძახეთ თურმე: - ***„ვინ ყოფილა ეს და რა უნდაო ამ...“***

მოიცათ!.. სანამ სიტყვას დაასრულებდეთ, შეგაწყვეტინებთ და ნუ ჩამითვლით თავხედობად ამას, - საქმე ის გახლავთ, რომ იმას, რასაც სხვათა მიმართ მტყუან-მართლის განურჩევლად, ყოველ გზაჯვარედინზე თქვენზე უბოდიშოდ გაიძახიან, დიახ, დიახ, მიჭირს, მაგრამ ხომ უნდა იცოდეთ, ვიღაცამ ხომ უნდა თქვას: ეს კაცუნები, საზოგადოების არც თუ ანგარიშ არ გასაწევ წრეში, ისევე არც თუ ორაზროვნად ამტკიცებენ, რომ ....მტრისას, რასაც ამტკიცებენ, ცოდვა კი დამბრალებელს ჰქონდეს, ამიტომ ნუ ჩქარობთ, დადინჯდით, აწონ-დაწონეთ!..

რაც შეეხება იმას, თუ ვინ ვბრძანდები მე, ამას ახლავე შევახსენებ თქვენს გულმავიწყ, უმადურ და ლაგვა გარემოცვას, - სიგუა-კიტოვანური გათენგიზებებისა თუ ჯაბა იოსელიანის ვითომ ზეკაცური გაფხორებისგან ძიქვა ჩასველებულებს, უკაცრავად, რა თქმა უნდა, გეთანხმებით, რომ შემოაშრათ იგი ახლა და ამჯერად, გრგვინვის მიჩუმათება თავიანთი ***„ძალისხმევის“*** ნაჭირნახულევი ***მესიანური მადლმოსილება ჰგონიათ და ცდილობენ ცისქვეშეთის კანონზომიერებად მოგვახვიონ იგი***. ამ ბრიყვებმა ნეხვის რაობა, რაკიღა მასაც მზის სხივი სწვდება, თავიანთ ***„ღვთივრჩეულობად“*** დაიდგინეს და პავლიკმოროზოველის ჩასაფრებული წარამარაობით, ლამის მთელს საქართველოს სამისდღემშიო ბეგარა დაუკანონონ და ეს იმიტომ, რომ ბატონი ზვიადის გასწვრივ, რიგ მამულიშვილთა გვერდით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე, მოაჩიქორთულეს პირადი ხელომოწერები.

აი, ეს გახლავთ საბედისწერო!.. დიდი ზვიადის ღვთივკურთხეული, - ეროვნული ჭერქვეშეთი - ***„კოლხური კოშკი“*** მიზნობრივად შემოხიზნულ სულით მედროვეთა და უწიგნურთა დაუპატიჟებელ საფიხვნოდ რომ იქცა...

- იმას ვამბობდი, ჰო, თქვენ, იკითხეთ ვინ ყოფილაო, ეს?!.

- მე ისა ვარ, ვინც თქვენი პირადი მითითებით (ვიცი, ვიცი, რომ დასანანი გაუგებრობა მოგახვიეს თავს), 1990-91 წლებში საავგანაჩენოდ რომ ვიყავი გამეტებული თქვენგან ***(მაოცებს და მიკვირს, რომ მხოლოდ „კოლხური***

კოშკის“ ერთგულების გამო)! მე ისა ვარ, ვისაც თქვენი განკარგულებით, იმავე 1990-91 წლებში, ზურგში ჩასაცემ მტრის ლახვარს რომ მიწარამარებდნენ თქვენი ***„საიმედო“*** წითელი გენერლის - გივი ლომინაძის ანუ - ვაი ჩვენს თავს, - ვითომ ბატონი ზვიადის მომხრე აფხაზეთის ასსრ ***„ქართული“*** პარტოკრატიის ხელისბიჭები და მუხლზე სასკუპი გოგუნები? მე ისა ვარ, ვინაც თქვენი დირექტივების თანახმად მთელის სიმკაცრით ვიწვნიე, როგორც მაშინ ამბობდნენ, ***"მანანების"*** მრისხანე რეპრესიები! დიახ, მე ისა ვარ, ვინც ყოველივე ამის და მიუხედავად, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებისა და შემდგომ ატალღებულ სისხლის მორევებში თქვენს ჩასაძირად გამეტებული ხომალდის გემბანზე ჩემი სინდისითა და ნებით, საქართველოს ქუდზეკაცად და თქვენი თანადგომისთვის რომ ამოვედი! არაფერი შეგეშალოთ, - თქვენი ღირსეული თანადგომისთვის და არა მლიქვნელური მაამებლობისთვის აღმოვჩნდი იქ!.. ამიტომ, არა, სულაც არაა დაყვედრება, დღეს ***„კოლხურ კოშკში„*** თავშემოფარებულ პირფერ დეზერტირს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დევნილი წევრის მანდატს რომ მიფრიალებს როგორც ***„ჯვარცმული“*** თუ შევახსენებ და მასთან ერთად თქვენც თუ გაისიგრძეგანებთ, რასაც ხმამაღლა არ ვიტყვი და არ გაკადრებთ, - ***<u>არადა, სწორედ ეს გაიმკაფიოვეთ.</u>*** - მე ისა ვარ, ვინც იმპერიათა ძალადობით დამხობილი ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას განსაკუთრებული დავალების, ეროვნული ცნობიერების შესაბამისი იდეოლგიისა და მისი პროპაგანდის საკითხებზე რომ ვმუშაობდი საველე-სასანგრო პირობების ჯოჯოხეთში. თანამოაზრეებთან ერთად გამოვეცით გაზეთები, პირადად ვხელმძღვანელობდი იატაკქვეშა რადიოგა-დაცემებს, ვადგენდით და ვავრცელებდით საველე ფურცლებსა და პროკლამაციებს, ვაყალიბებდით, ვასაჯარისებდით პოლიტიკურ განცხადებებს, რისთვისაც მეთოდურად ვმუშაობდით საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და მათ დახარისხებაზე. ჩემი ასეთი სახიფათო საქმიანობის საფუძველი გახლდათ საოკუპაციო რეჟიმის მიერ ხელყოფილი და გაუქმებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, - ქვეყნის ძირითადი კანონი, სრულიად საქართველოს სახალხო ნებით დადასტურებული 1991 წლის 31 მარტის ეროვნული ძეგლისდება და, რაც მთავარია, ჩემი გზამკვ-ლევი და მფარველი გახლდათ წმიდა სახარება და დიდი რჯულისკანონი.

მეამაყება და ხმამაღლა ვამბობ, მე ისა ვარ, ვინც 1992 წელს ჩემს თანამებრძოლებთან ერთად შევერკინე, თავიდანვე მკვდრადშობილ, სამეგრელოსათვის არამშობლიურ შემოჩეჩებს. დიახ, ისე მოხდა, რომ კვლავ ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცენტრად და სტეფანე შაუმიანის მენტალიტეტისათვის ღვიძლ სატახტოდ გადაქცეული თბილისიდან თავსმოხვეული, კოლხეთისთვის უცხო სეპარატისტული რეციდივები,

კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვიმეორებ, ჩემი და ჩემი მეგობრების ძალისხმევით გახდა ჩასაწალდი ეგრის-აფხაზეთში და ბოლოს, მე ისა ვარ, ვინც გაიერთსხეულა ბატონი ზვიადის ბრძანება, ***„გახსოვდეთ, საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის“***-ო და იარაღით ხელში ჩემს შვილთან, 19 წლის ყმაწვილთან ერთად მამულს ვიცავდი.

რა ვუყოთ მერე, ამისათვის 1992-93 წლებში რამოდენიმეჯერ გადავურჩი ვათანძარათა ხელებიდან დახვრეტას. ამცდა მტრის ტყვია და ჭურვიც, ორჯერ გაძარცვეს და მერე სულაც გადასწვეს ჩემი საკარ-მიდამო, ბოლოს კი შურობუმუც გამისხვისეს, სამაგიეროდ, უდიდეს ჯილდოდ მივიჩნევ ამ ჩემი ნაჯაფის ბატონი ზვიადისეულ შეფასებას: ***„ჭყონდიდელის ძალისხმევა გადაარჩენს-ო საქართველოს“***...

ამ ყოფნა-არყოფნის წამწუთებში სულაც არა ვყოფილვარ მარტო, რამდენი ჩემზე ღირსეული ჩაიჩეხა ვერაგობის ქურსუმში, ბოლოს და ბოლოს, გავწყდით ხალხი და ვისაც თქვენი ახალი, საიდანღაც სახელ-დახელოდ შეკოწიწებული გარემოცვის სურვილის და მიხედვით თითი უნდა უმრისხანოთ, მასზე ის მაინც ხომ უნდა იცოდეთ, ეკუთვნის თუ არა მას ეს?!.

1992-93 წლების არც ერთ საერისკაცო საფიხვნოსა თუ გადარჩენა-არგადარჩენის უფსკრულის თავს არ გავრიდებივარ უფლის ხატებას თვალს ვუსწორებ და ისე ვაცხადებ, - ამ, ჩვენი სამშობლოსათვის საბედისწერო წამ-წუთებში თავგასამეტებლად მე არსად გადავყრივარ ავთო რცხილაძეს, ლადო ცოფურაშვილს, დალი ფიროსმანაშვილს, ავთო კვეტენაძეს, სხვებსა და სხვებს, სამაგიეროდ, იმ ზნეობრივი მდგრადობის დღეთა გამომჭედი შემოქმედები, მათ შორის წამებულნი და საპყრობილეში ცოცხლად დამარხულნი, დღეს ამ ოდიოზების მიერ ***„მოღალატეებად“*** ცხადდებიან.

...არ მეუფეობს ქრისტესმიერება დღეს ასე სახელდახელოდ ***„კოლხურ კოშკში“*** თვითდადგენილ თვითმარქვიათა საფიხვნოში, თუნდაც ასგზის დაიბრალონ ცხუმ-აფხაზეთის მესადავეობა და სათითაოდ დაიკიდონ კისერზე ***„მრგვალი მაგიდის“*** აბრა!.. სიტყვა გამიგრძელდა!.. და ბოლოს, ღმერთმა გაშოროთ გასაჭირი, თორემ... ჩვეულებისამებრ კიდევ მიგატოვებთ თქვენი გარემოცვა. მაშინ მეც და ჩემისთანები ვიქნებით სწორედ ის, ვინც მომავალშიც დავდებთ თავს ***„კოლხურ კოშკთან“***!..

ერთი ტკივილიანი ამბავი კი უნდა შეგახსენოთ და არა იმიტომ, რომ დაგვიანებულ ქირას ვითხოვ. არა, მე ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, როცა სრულიად საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმმართველ ***„კოლხურ კოშკს“*** ნაბიჯაურევლად დავუდექი გვერდით. გაიხსენეთ, ქ. იჯევანში, იმ უღმერთო დღეების დროს რომ გეახლათ ედუარდ გოკარიანი, - წარმოშობით იჯევანელი, მერე კოდორელ მეგრელებში ჩამოსიძებული (1992 წლის ზამთარში მასთან შეაფარა თავი

უმადურმა ა. რცხილაძემაც). ეს პატიოსანი კაცი თავის თავს, წარმოშობით ლორედან ვარო, ასე უწოდებდა ამ მხარეს. მას ქ. იჯევანში გავლენიანი სანათესაო, სახლიკაცობა და მკვიდრი ძმა ჰყავდა. როცა თქვენი დატყვევებისა და ხუნტისათვის გადაცემის საფრთხე შეიქმნა, იმ ედუარდმა, ჩვენს ვიწრო წრესთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად, იჯევანსა და ახლო-მახლო დაბა-სოფლებში, თავისი გავლენიანი სანათესაოს დახმარებით, მიტინგებზე ხალხს მოუწოდა, არმენიის ხელისუფლებისათვის მოეთხოვათ, ვერაგობაზე ხელი აეღოთ, თორემ ცხუმ-აფხაზეთის არმენი მოსახლეობა მძევალი გახდებოდა... თუ არმენეთის ხელისუფლება ხუნტის პირობებს მიიღებს და დააკმაყოფილებს, - ამით თავის თანამოძმეებს აფხაზეთში მახვილს ჩასცემსო ზურგში, - ვინაიდან ვითარება უმართავი გახდებაო, - მიტინგებზე სიმწრისგან ოფლად იღვრებოდა ბატონი ედუარდი!..

ამ წამოწყებას ეროვნული წინააღმდეგობის სხვა კონსტრუქციულმა საორგანიზაციო დასკვნებმაც მოიუსწრო, რომელთა შორიდან მეთვალყურე სულაც არ გახლდით... (*„დრო რომ მოალის“,* ითქმევა მაშინდელ პირნათელთა სახელები, დღეს იჯევანის ამბებით ხელმომთბარ ყვარყვარეებს თავის დროზე ჩამოწერს ჟამთაბერი, ის ამჩატებულები კი, რომლებიც ვიღაც *„ძრავათა მძღოლებთან“* რომ იღებენ პომპეზურ სურათს, თავიანთი ხელით ამოხევენ საკუთარი ალბომებიდან თვითმარქვიათა სიფათებს).

დიახ, ეს ედუარდ გოკარიანი, მადლიერმა პრეზიდენტმა იქ, იჯევანში, სასაუბროდ მიიწვია. საუბრის დასასრულს ჰკითხა: *შენ ისეთი დიდი საქმე გამიკეთე, საიდან, ვინ მოგასწავლაო ჩემთან?!.*

- ბატონო ზვიადო, უპასუხა მაშინ მეგრელებში ჩამოსიძებულმა, - *მე ერთი მასწავლებელი მყავს და ეს კაცი ბატონი სერგი საჯაიაა!*

- თან მეშინოდაო, მოგვიყვა ამას წინათ ველოდი მირცხულავასა (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრსა) და მე, - ბატონი ზვიადი მედროვეებმა ისე დაარწმუნეს სერგის მტერობაში, რომ ვფრთხილობდი, არ გამომაგდოს-მეთქი.

გაქვავდა, თურმე, ბატონი ზვიადი მოულოდნელობისგან, მერე წამოდგა და ნერვიულად დაიწყო ბოლთის ცემა. ამის შემდეგ სულ მალე მე მის საგანგებო დავალებებს ვასრულებდი.

აი, ეს კაცი ვარ, ქრისტესმიერნო და რას ვიფიქრებდი, რომ იმავე წლის მომდევნო თვეებში, თქვენი *”ყურადღების წყალობით”*, ასეთი განცხადების გაკეთება დამჭირდებოდა: *გაზეთი ”აღდგომა”, 1992 წლის 7 აგვისტო, რუბრიკა „ბოლო წუთს“: ”ბატონო ზვიად, ვერც კომუნისტურმა დიქტატურამ, ვერც მომდევნო ხელისუფლებამ, როცა „კოლხურ კოშკში“ „შერისხული“ ვიყავი აფხაზეთის „მრგვალი მაგიდის“ იმ წევრთა დასმენებისა და ცილისწამებების საფუძველზე, რომელნიც დღეს თქვენ განგიდგნენ და ხუნტის ბანაკიდან აქეთ გებრძვიან, - ვერც დღეს, როდესაც სისხლიანი ხუნტის წარმომადგენლები მემუქრებიან, რომ შეიძლება*

ლიკვიდირებული ვიქნე, ვერ მოიძებნა საცდური, გავმდგარიყავი „კოლხური კოშკის“ მსოფლმხედველობიდან.

მიზეზს, რომლის გამოც გაზეთის რედკოლეგიიდან გავდივარ, აქ ვერ დავწერ, მე ეს შემიძლია მოგახსენოთ პირადად თქვენ თუ საჭიროდ ჩათვლით. ნუთუ, ეს ქვეყანა მართლა უღმერთოა?! უღრმესი პატივისცემით, მარად „კოლხური კოშკის“ ერთგული სერგი საჯაია“.

დრომ აჩვენა, რომ ის ჯოგური კრებითობა, რომელიც ავბედითი ხვანჯუებით ირთობდა თავს მაშინ თქვენი გულმოწყალების ქვეშ, დღეს პირწმინდად საოკუპაციო რეჟიმის სამსახურშია და *„კოლხურ კოშკს“* ლაფს ესვრის. მე და ჩემისთანები დავრჩით უანგაროდ აქ.

ამიტომ, კეთილს ინებებთ, თითს დაწევთ და ყურსაც გულისხმიერად დამიგდებთ: - ნუ შეგეშლებით იმ პირღია კაცუნებში, თქვენი ნებართვით ბოძებულ თავიანთ დეპუტატობას, პრეფექტობას და მინისტრობას რომ მისტირიან დღემდე, ხოლო თავიანთი ჭირვეული, - გულზე ცრუქაქუნა მჯიღის ბრაგუნით, ლამის შლეგურ რაობად აქციონ ეროვნული სულისკვეთების ღვთივდადგენილი და უწმინდესი შინაარსი.

მე არ გაყვედრით თავგანწირვას, „კოლხური კოშკის“, ე. ი. საქართველოს წინაშე ეს ჩემი მამულიშვილური მოვალეობა გახლდათ და გახლავთ, უფალსა ვთხოვ, კვლავ და კვლავ მომმადლოს ძალისხმევა სამშობლოსთვის თავგასაწირად, მაგრამ ***ამავე მოვალეობიდან გამომდინარე, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიცხადო:*** ბრძანდება კი თქვენი გარემოცვა *„კოლხური კოშკის“* მეციხოვნე?!.

საოცრად საეჭვო კანონზომიერებასა ვარ დაკვირვებული: ყოველგვარი გარჯა *„კოლხური კოშკის“* თვალგახელისდა შესაბამისად - როგორც წესი, თქვენს გარშემო სოხუმიდან შემოჯოგებული კრებითობისგან საბოლოოდ იწიხლება და გაიძევება, ღალატად და სუკის საქმიანობად ცხადდება... და ეს სავსებით ბუნებრივია, - ისინი ხომ აფხაზეთის *„ქართულ“* პარტოკრატიას წარმოადგენენ.. სრულიად უღრუბლო ცაზე პარტნომეკლატურათა მიზნობრივი დავალების შესაბამისად ახერხებენ მტრად გამოაცხადონ, ზოგჯერ კი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაგვიპირისპირონ თავიდანვე ქართველებისადმი კეთილგანწყობილი ადამიანი, სამაგიეროდ, ვერ წაართმევთ, რაღაც გენიალური ნიჭი აქვთ ეროვნული ცნობიერებისათვის ვინმეთა, უწიგნურთა, მედროვეთა და უპირადხმოთა გარშემოკრების. ამის დადასტურებაა ამგვარ უვიცთა და მედროვეთა პირადი ჯირითი სააფხაზეთო საქმეებში, არადა, მათი ხელგა-მოღება ცხვირიდან სისხლის გადმოჩანჩქერებად ექცა ცხუმ-აფხაზეთს!..

ჯერ კიდევ 1988 წელს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის ეროვნულ-სახალხო მოძრაობაში ორი მიზანმიმართულება გამოიკვეთა, - პირველი, სრულიად საქართველოს ანტიიმპერიულ-

ანტირუსისტული წინააღმდეგობის ცხუმ-აფხაზეთის ნაწილი, რომლის თაოსნობის პატივი ერგოთ ვოვა ვეკუას, არკადი მარკოზიას, სოსო ადამიას და სხვებს (ჩემს თავსაც მოვიაზრებ სწორედ აქ). სამწუხაროდ, მათ მიზნობრივად შემოენაკადა აფხაზეთის ასსრ *„ქართული“* პარტოკრატიის ნომენკლატურული შინაარსი, რაც საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიერ ეროვნული მოძრაობისკენ *„დელეგირებულ კადრებში“* გაისაგნა. აი, ეს გახლავთ მეორე და დივერსიული მიზანმიმართულება, რომელმაც შესძლო ცხუმ-აფხაზეთის ჭეშმარიტი ეროვნულ-სახალხო მოძრაობის გაუვნებელყოფა, დაქსაქსვა, ბლოკირება და ფიზიკური განადგურებაც კი. გამოთავისუფლებულ ადგილებზე აღზევდა ისევ და ისევ მაფიურ-კრიმინალური პარტნომენკლატურის ვითომ ქართული *„დირექტო-რიადი“* - აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის, გენერალ გივი ლომინაძის მეთაურობით, რომელმაც თავისი აგენტურა **”კოლხური კოშკის”** მსოფლ-მხედველობისთვის ვინმე მანანა ძოძუაშვილისა და როგორც საზოგადოებაში ჩურჩულებენ, *„სადაც ჯერ არს“* იქაური შარიკოვის - ნუგზარ მგალობლიშვილის თავკაცობით გაიხელისბიჭა *(უფრო გვიან მათ შემოეშველა ჯემალ გამახარია და ძმანი მისნი)*. წითელმა გენერალმა გ. ლომინაძემ ისინი ცხუმ-აფხაზეთის უკვე ეგრეთ წოდებულად ქცეულ *„მრგვალ მაგიდას“* ჩაუყენა სათავეში... და კიდევ, რაც შეეხება მ. ძოძუაშვილს, ეს, მანამდე სოხუმის „იმნაირ“ ქალებშიც კი სრულიად უცნობი აბორტმახერი, იგი *„კოლხურ კოშკში“* ავმოსურნედ შემოღწეულთა უახლოესი და უგულითადესი თანამო-საქმე გახდა... სულისჩამდგემელი ინტრიგებისა და ჩასაფრებების, ნგრევის, წიოკობის...

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები, ეს არაერთხელ განვაცხადე ხმამაღლა, 1991 წლისათვის სწორედ გ. ლომინაძის ძალისხმევითა თუ მ. ძოძუაშვილის, ნ. მგალობლიშვილისა და კომპანიის ხელგარჯილობით, დიახ, სწორედ ზემოთხსენებული წითელი გენერლის სამუშაო კაბინეტში დაიგეგმა და იქ დადგინდა დეპუტატობის კანდიდატთა *„მრგვალი მაგიდისეული“* სიაც, რომელთაგან სუყველამ, როგორც ერთმა, არა თუ უგანა, - ლახვარი ჩასცა *„კოლხურ კოშკს“* შემდგომში, რითაც, რაც ყველაზე სათავზაროა, მათ ხელი შეუწყვეს ცხუმ-აფხაზეთში ქართული *(ე. ი. აფხაზური)* მშობლიურობის აღგვასა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს გასხვისებას.

ჯერჯერობით უვიცობიდან გამომდინარე შეცდომები მგონია თქვენი პირადი სააფხაზეთო *„ღვაწლი“* და თუ ამ საკითხზე საუბარი კიდევ მომიწევს *(მომიწევს, ალბათ)*, მე თქვენ აუღელვებლად მოგახსენებთ თქვენს გვერდით მ. ძოძუაშვილმა, ნ. მგალობლიშვილმა და სხვებმა რაშიც დააღალატეს აფხაზეთის საკითხებში ბატონი ზვიადის კონსტრუქციული პროგრამა.

ქრისტესმიერნო,

როგორც ქრისტიანმა უნდა გითხრათ, რომ ეს ჯოგი ავგულა და ავმეხსიერება ბრძანდება, რაც ღვთისმოშიშს არ შეეფერება. საპირადო წყენა მათ საქვეყნო ინტერესებზე მაღლა შეუძლიათ, დააყენონ: ასე მაგალითად, 1990 წლის დასაწყისშივე მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის სათათბიროსა და პირადად ბატონი ზვიადის წარდგინებით მე ამ საქველმოქმედო წამოწყების რწმუნებულად დავინიშნე ცხუმ-აფხაზეთში. იმ დროს ე. წ. პოლიტიკური საზოგადოება, ჯგუფი ან კლანი არ დარჩენილა ამ მხარეში, რომელიც ჩემთან საქმის ჩაწყობას არ ცდილიყოს, - ფული გავაკეთოთო. ეს ხალხი, მას შემდეგ, რაც მე გავაძევე, თქვენ გულმხურვალე მეგობრებად გაიხადეთ, ჩემი ანათემისა და ბლოკირების ხარჯზე. რა თქმა უნდა, ვერ დავიჯერებ, რომ თქვენთან დაახლოება ის ჯადოსნური კვერთხი გახდა, რამაც ამ ვერცხლზე სულ გაყიდულებს ფულით ხელის გაჭუჭყიანებაზე ააღებინებდა ხელს. ნეტავი კი, მაგრამ ***დრომ ეს ასე არ დაადასტურა!*** მახსოვს, ერთხელ ქალბატონი მ. ძოძუაშვილის მეუღლე მობრძანდა და ვიღაცისთვის სესხი მთხოვა, გაირკვა, რომ ქ. ტყვარჩელიდან უნდა ჩემოეყვანა ქ. სოხუმში თავისი ნათესავი და მისთვის უნდოდა, სახლი ეყიდა.

მე ავუხსენი მერაბ კოსტავას სახელობის ფონდის ამოცანები, ვუთხარი თუ როგორ ჭირდა, სეპარატისტული ეთნოკრატიის მიერ თითქმის აკრძალული იყო (განსაკუთრებით გუდაუთსა და ტყვარჩელში) ქართველების ჩაწერა, ამიტომ, რადგან ჩვენი ამოცანა მოსახლეობის ყოფითი პრობლემების მოგვარება არ გახლდათ მარტო და რაკიღა ეს ქართველი, მადლზე ტყვარჩელში ჩაწერილი ყოფილა, იქვე, რა ფასის სახლიც გინდათ, ისეთს გაყიდვინებთ-მეთქი.

გამინაწყენდნენ და ***„სადაც ჯერ არს“,*** მიჩივლეს, ხოლო, როდესაც, მათი განმარტებით, აქედანური რისხვა-დანაბარები გადმომცეს, რომ მათთვის გამომეყო სესხი, მე ვუპასუხე: - ეს ეწინააღმდეგება მერაბ კოსტავას ფონდის წესდებასა და აფხაზეთის ძირძველი, მკვიდრი მოსახლეობის სტრატეგიულ მიზნებს-მეთქი. მ. კოსტავას ფონდი, რომლის თითოეულ კაპიკს ეროვნული მოძრაობა, სახალხო ქუდზეკაცობა და ჩვენ ნაწილ-ნაწილ ვაგროვებდით, მე არ შემეძლო ვიღაცის ამბიციური კეთილმოწყობისთვის გამენიავებინა და ასეც ვუპასუხე განმკარგულებლის დაინტერესებულ შიკრიკს, - ***თუ ქალბატონი მანანა გეხმარებათ თქვენი ნათესავის ტყვარჩელიდან - სოხუმს გადმოსახლებაში, მას არც სათანადო თანხის მოძიებაც არ გაუჭირდება-მეთქი*** და ამით დავამთავრე საუბარი.

ძალიან ძვირად დამიჯდა ეს ***(იმ დროის საწყაოთი გაუგონარი „თავხედობა“)***, მაგრამ ამაზე ვრცლად ვწერ ჩემს ნარკვევში ***„რა მოხდა მერაბ კოსტავას ფონდში, ანუ ვინ ჩაშალა „კოლხური კოშკის“ დემოგრაფიული პროგრამა***

ცხუმ-აფხაზეთში“ ?!. ამჯერად ამაზე სიტყვას არ განვაგრძობ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩვენს *(ეროვნული მოძრაობის)* მიერ ლაგამამოდებულმა ქართული მიწის გამყიდველმა აფხაზეთის ასსრ *„ქართულმა“* პარტოკრატიამ მოახერხა საქმის მისთვის ჩვეული ჩაწყობა და მანანა ძოძუაშვილი თუ ნუგზარ მგალობლიშვილი, გნებავთ, გივი ლომინაძე, ვაჟა ადამიას ძალიან, ძალიან დიდად დამაეჭვებელი ხელგამოღებით, ჩემი ფონდიდან ჩამოშორების შემდეგ ვითარების ბატონ-პატრონები გახდნენ, რითაც მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ილიასეულმა გამეცადინებამ, მათ ზურგსუკან და მათი ნების საწინააღმდეგოდ კორუფციული ხასიათი მიიღო ცხუმ-აფხაზეთში.

ჩვენ კი, ჩვენ, ბატონი მერაბისა და ბატონი ზვიადის რწმუნებულები, *„გაეროვნულებული“* ოფიციოზის მიერ *(გუშინ საქართველოს რომ ყიდდა და მომავალში გასხვისებას რომ უმზადებდა)*, დიახ, აფხაზეთის ასსრ პარტოკრატიისა და მისი ქვეუწყების ე. წ. აფხაზეთის სამხარეო *„მრგვალი მაგიდის“* მეშვეობით ბრბოდქცეული მასების ჯადომოხერხებით *„ერის მოღალატეებად“* ვცხადდებოდით და ვისაც არ ეზარებოდა თითს ჩვენსკენ იშვერდა. ამ დროს აფხაზეთის უკვე ე. წ. ეროვნულ მოძრაობად გადაქცეული *„მრგვალი მაგიდის“* პოლიტიკური აბრის ქვეშ, აფხაზეთის პარტოკრატიის მიერ *„მხილებული მტრების“* ე. ი. ჩვენს ნაცვლად საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის პარტნომენკლატურული დირექტორადი ხელმძღვანელობდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ძირძველი მოსახლეობის ყოფნა-არყოფნის *საკითხებს. ქრისტესმიერნო ჩემნო, უწყოდით თუ არ უწყოდით, თქვენ ყოველივე ამის აქტიური თანამონაწილე ბრძანდე-ბით და მის კატასტროფულ შედეგებზე პასუხისმგებლობა, ღვთისა და ერის წინაშე, უნდა აიღოთ!..*

***

თახაშხა

„მთელი თვე ეგდო წაქცეული სამრეკლო წმ. ზაქარიას ეკლესიის ეზოში, როგორც მკვდარი ღმერთის უშველებელი, უპატრონო ლეში. აწვიმდა სამრეკლოს. აწვიმდა საყდარს...“

დიდოსტატი კონსტანტინე - „ზარები გრიგალში“

ბუნებრივია *„კოლხური კოშკისკენ“* დღეს მოცლის გამო გამოორღობებულ და ეროვნული მოძრაობის *„დენთ უყნოსავ“* აქტივისტებში თავისთავად დაიბადება კითხვა, თქვენი პოლიტიკური გათვლების ზოგიერთ სიმცდარეზე და მათ საეჭვო შინაარსზე რატომ ადრე არ ვიღებდი ხმას და კეთილმოსურნედ არ გელაპარაკეთ?!

არ არის ეს ასე! თუ გაიგებთ, ძალიან კეთილმოსურნედ გესაუბრებით ახლაც. სიმართლის ნიშნისმოგებით არ თქმის ყოფაქცევა არავისგან არა მაქვს სასესხებელი, ასევე, არც არასოდეს არ ვყოფილვარ ***„კოლხურ კოშკთან“***“ეოოპუნას აცეტებული მოღრიალე: უკვე მოგახსენეთ, რომ ჩემთვის ეს ციხიონი მხოლოდ და მხოლოდ ზნეობრივი და ეროვნული თვითდადგენის საწყაოა, რის გამოც, თავიდანვე ხელებდაკაპიწებული, როგორც კოლხეთში იტყვიან, ვმაჟირანდი ***(სიმინდის მეორე - საბოლოო გათობნა)*** სარეველებისაგან ჩემ წილს - სხვათა გვერდით მეც ვმარგლავდი ამ საკარმიდამოს. სწორედ ამიტომ, უფლებას ვიტოვებ, მოგმართოთ და დაბეჯითებით გთხოვოთ, დავდგეთ წმიდა გიორგის ხატთან, ნუ ვიტყვით ხმამაღლა, მაგრამ თქვენ და მე ხომ ვიცით, რაც როგორაა და ამჯერადაც რანაირად ქვეგამხედვარე ციდაკაცობა გადამეღობა...

რა ვქნა, არა ვარ ხელისბიჭად, მლიქვნელად და თავის მოკანტურედ დაბადებული!..

...და მაინც, ნურავინ დავობს ამაზე, - 1997 წელს, ***„კოლხური კოშკის“*** ბინადართა დევნილობიდან ჩამობრძანების შემდეგ უნდა ამოვდგომოდით თუ არა გვერდში მათ: - ორი აზრი არაა, უნდა ამოვდგომოდით...

ვინაიდან, იმ დროისათვის ეროვნული მოძრაობისათვის ***„ზვიადურ შინაარსად“*** თავს იქნა მოხვეული თ. კიკაჩეიშვილისა და ჯ. გამახარიას ვითომ ეროვნული, სინამდვილეში ნასედკური, რიგ შემთხვევაში კი შვონდერ-შარიკოვული თარეში ***„მრგვალი მაგიდის“*** პოლიტიკური აბრისათვის, რომელმაც შესძლო ერისკაცთა მამულიშვილური ძალისხმევის გათითოკაცება და მისი ჩათრევა სექტანტურ თუ ოდიოზურ საქმიანობაში, საჭირო გახდა ეროვნულ-სახალხო ფეხაწყობის ქმედითი და არსებითი აღდგენა.

ასეთ დროს, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ნაცად ზნეობრივ სახმობად და უტყუარ პოლიტიკურ პაროლად კვლავ და კვლავ რჩებოდა ***(და მარადჟამს დარჩება) – „კოლხური კოშკის“*** ღვთივკურთხეული, სრულიად ქართველთა გამაერთსხეულებული შინაარსი. თქვენ, „***კოლხური კოშკის“*** მგლოვიარე დედას, გევალებოდათ და გეკუთნოდათ სანათას ნაბიჯი და თუ ქრისტესმიერი თავმდაბლობის ნიჭსაც მოიმადლებდით, ჩვენ შეგვეძლო ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ჩიხური მდგომარეობიდან გამოყვანა, რადგანაც სუყველა, როგორც ერთი, მზად ვიყავით, ჩვენთვის მანამდეც ცნობილ ზოგიერთ ახირებას და პოლიტიკურ სიელმეს ფხიზელ თვალგახელად გადავმყნობოდით.

ეს ასეც მოხდა პირველ ხანებში, მაგრამ, თურმე, არ ეძინა ეშმაკს: ზოგიერთებმა ღმერთკაცობის მკვდრადშობილი თავაწყვეტა დაიდგინეს

ყოფაქცევად და ასეთ დროს, როგორც წესი, სულ ცოტა, ფეხს იმტვრევენ ხოლმე!..

(შედეგის თვალსაზრისით, როგორც დრომ აჩვენა, მთლად მარჯვე ვერ გამოდგა ის აშკარად არათავმდაბლური თავშეკავება, - რომლის შედეგადაც, ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ბერმუხა, „კოლხური კოშკის“ იმდროინდელ ფეხაწყობას, თავი არ აიტკივა და შორიდან დაელოდა.

ცნობილია, რომ უპატრონო ეკლესიას ეშმაკი ეპატრონება. ეს ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა, რასაც თავიდან ავიცილებდით თუ კი ერისკაცი მახვშები დაძლევდნენ არც თუ უსაფუძვლო თავარიდებას და სწორედ, როგორც „კოლხური კოშკის“ სიმწყობრე, კეთილმოსურნე და თავდადებული ჭირისუფალი, აქ, ამ წმინდა ჭერქვეშეთში, ეროვნული ციხიონის ამ მგლოვიარე დედას, თავის კუთვნილ და ღირსეულ კველაზე დასვამდნენ, თან ზნეობრივი აღვირის საკუთარ ხელში აღებით შეეშველებოდნენ და "კოლხური კოშკის" დიასახლისის გვერდით არ ათობარიკებდნენ უვიცობასა თუ თავხედობას).

უპირველეს ყოვლისა,დადგა დრო კი არა, დაგვიანდა კიდეც, ცხუმ-აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) საკითხებში დაშვებული შეცდომების მკვეთავ მიზეზებში გავერკვეთ. ხმამაღლა ვამბობ, 1990-91 წლებში აფხაზეთის პარტოკრატიისა და ეროვნულ მოძრაობაში მათი "დელეგატების" მიერ სწორედ *„კოლხურ კოშკისეულ“* ცნობიერ მემკვიდ-რეობაზე უბოდიშო ლაგამამოდების შედეგად, ეროვნული მოძრაობა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში *(აფხაზეთში)* აღმოჩნდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო *(შემდგომში რესპუბლიკური)* კომიტეტის ე. წ. *„ქართული“* პარტოკრატიის ხელში. გენერალ გ. ლომინაძის უწყებრივ-მიზნობრივი დაინტერესების, ასევე ე. წ. *„მრგვალი მაგიდის“* თვითდადგენილ მესვეურების მ. ძოძუაშვილისა და ნ. მგალობლიშვილის ხელგამოღების შედეგად, იგი *(აფხაზეთის ე. წ. „მრგვალი მაგიდა“)*, იყო რა, რბილად რომ ვთქვათ, დანაშაულებრივად არაკომპეტენტური, მხოლოდ ნომენკლატუ-რული ამბიციების ამარა დარჩა, რამაც ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ-სახალხო მოძრაობას, წინააღმდეგ ბატონი ზვიადის ზნეობრივი და პოლიტიკური გეზისა, თავს მოახვია ჩიხური ვითარება. როგორც ამ საბედისწერო ჭერ-ჩამოქცევის თაოსნებს, დღემდე ზნეობრივი თუ სამართლებრივი შეფასება არ მისცემია გ. ლომინაძის, მ. ძოძუაშვილის, ნ. მგალობლიშვილის, ა. დავითაიასა თუ სხვათა არასახალხო საქმიანობას.

1990 წლისათვის საქართველოს კპ გაგრის ქალაქკომის მეორე მდივანმა, ქართველმა თამაზ ნადარეიშვილმა *(ე. შევარდნაძესთან ერთად ცხუმ-აფხაზეთის გამსხვისებელმა) „დატოვა“* სკკპ რიგები *(სინამდვილეში სუკის მიერ დელეგირებულ იქნა ეროვნულ მოძრაობაში და დღეს ხედავთ ამას თქვენც, თავის ადგილს დაუბრუნდა)*. იმავდროულად საქართველოს კპ ოჩამჩირის რაიკომის პირველმა მდივანმა, აფსუა კაცმა - კონსტანტინე სალიამ გულწრფელად დააგდო სკკპ წევრის მოწმობა, თანაც ასეთი განმარტებით: *- ეს მანდატი ჩემგან*

ჩემი მშობლიური ვინაობის წინააღმდეგ საქმიანობას მოითხოვს, ამ პურის წიგნაკს დაღუპვისაკენ მიჰყავს ქართველი და აფსუა სახლიკაცები, ამიტომ ვუარყოფო ამიერიდან მას!.. (უარყოფაცაა და უარყოფაც, კ. სალიამ ეს განცხადება გააკეთა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ფორუმზე და სახალხოდ დახია პარტბილეთი). ამის გამო, უკვე სკკპ წევრყოფილს, უნდობლობის გამოცხადებით, ხელკეტებით და ტყვიითაც კი - ბრძოლა გამოუცხადეს იქედან სეპარატისტული ეთნოკრატიის ხროვამ, ხოლო აქედან კი მგალობლიშვილ-ძოძუაშვილის *„ქსა-ჰარიქამ“*, რითაც სახალხო მოძრაობისკენ გზა მოუჭრეს მას. სამაგიეროდ თ. ნადარეიშვილის მიზნობრივი ცრუმოძრაობა *(ილეთი)*, გ. ლომინაძის, ნ. მგალობლიშვილის, მ. ძოძუაშვილისა და ა. დავითაიას დასტურის შესაბამისად, მამულიშვილობად შეფასდა. დიახ, ბატონებო, კ. სალიას ერისკაცული გამიჯვნა კომუნისტურ პარტიასთან შეუმჩნეველი დარჩა, როგორც იტყვიან, *„სადაც ჯერ არს“*.

ახლა გეკითხებით მე თქვენ, კ. სალიას სახლიკაცებად რომ ამოვდგომოდით მაშინ, გამოგვეჩინა წინდახედულება და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად აგვერჩია, ამით ხომ ოჩამჩირის აფსუა მოსახლეობის ნაწილს ჩამოვაშორებდით სეპარატისტულ აღვირახსნილობას და მათი სახელით, როგორი წყალუხვობით შემოენაკადებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე 1991 წლის 9 აპრილს ბატონი კოტეს სახლიკაცური ხელმოწერა... დღეს ისიც ვაღიაროთ, რომ იმავე ტყვარჩელსა და გუდაუთაშიც 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიულ არჩევნებში შეიძლებოდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსთვის მიზანშეწონილი, აფხაზეთის მშობლიური შინაარსის შესაბამისი შედეგები გვქონოდა. დიახ, შეიძლებოდა, მაგრამ ამას მგალობლიშვილ-ძოძუაშვილის ფაფხური არ ჰყოფნიდა, არც სურდათ, ხოლო ვისაც შეეძლო, ხალხის მტრად ჰყავდათ გამოცხადებული!

მკაფიოდ და პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არა გ. ლომინაძის, ნ. მგალობლიშვილის, ა. დავითაიას, მ. ძოძუაშვილისა და ა. შ. ორპირობა და ღალატი, მოსახლეობასთან კარგად დალაპარაკების შემთხვევაში თვით გუდაუთში შეიძლებოდა კენჭი ეყარათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ვ. კომახიას, კ. ოზგანსაც კი... მეტსაც გეტყვით, შემდგომში გ. ლომინაძის, ნ. მგალობლიშვილისა და სხვათა ღალატი აგრესორ-სეპარატისტებთან გარიგებაში გადაიზარდა, როდესაც მათ ოჩამჩირეში მოგებული არჩევნები გაუყალბეს „არაკეთილ საიმედო“ ლ. მარშანიას და ქართველთა გენოციდის ერთ-ერთ თაოსანს ა. აშხაწავას ამოუდგნენ მხარში.

აი, *„ქართული“* პარტოკრატიის მაშინდელი *„კოლხური კოშკისეულობა“*: წითელი გენერლის გ. ლომინაძის, მ. ძოძუაშვილის, ხელისბიჭ ნ. მგალობლიშვილისა და პოლიტბიჭუნა ა. დავითაიას გემოვნებით შერჩეული აფხაზეთის ე. წ. ”მრგვალი მაგიდის” მთელი პოლიტიკური წინდახედულება.

არადა, ბატონ კ. სალიასავით ფიქრობდა მაშინ ძალიან ბევრი, მათ შორის ისეთი აფსუა საზოგადო მოღვაწეები და ანგარიშგასაწევი დარბაისლები, როგორიც ბრძანდებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თავშეწირული *(ღმერთმა გაანათლოს)* რაულ ეშბა და იური ანუა, რომელმაც სოხუმის მახლობლად, კომანის *(იოანე ოქროპირის)* უძველესი ეკლესია აღადგინა თავისი ხარჯებით, უვლიდა ქართულ *(აფხაზურ)* სიწმინდეებს, თავად თარაშ ემხვარისებური მენტალიტეტის აფხაზი ბრძანდებოდა. იგი სეპარატისტებმა წამებით მოკლეს. ასევე ფიქრობდნენ და მოღვაწეობდნენ პატიცემული რაჟდენ ბარციცი - მახვშის დარი დარბაისელი გუდაუთაში, სოხუმში ჯონი გუბაზი, არკადი ხაშბა, კი ბატონო, კომუნისტი, მაგრამ ქართველ-აფსუათა ურთიერთობაში ძუძუმტეობის მომხრე ლორიკ მარშანია, რომელმაც, რაკი ყველა გზა მოვუჭერით, სეპარატისტულ ეთნოკრატიასთან თანამშრომლობას, რა ქნას,ისევ, როგორიცაა, ისეთი თბილისი არჩია.

მრავალი აფსუა სახლიკაცის გვარ-სახელის დასახელებისგან, გასაგები მიზეზების გამო, ამჯერად თავს შევიკავებ, ვიტყვი მხოლოდ ერთს, 1995 წლის შემოდგომაზე, მოსკოვში სასტუმრო *„როსიას“* რესტორანში აფხაზეთიდან დეპორტირებულმა აფსუა და ქართველმა *(აფხაზმა)* სახლიკაცებმა, როგორც ამ შეხვედრის მონაწილე ველოდი მირცხულავა იხსენებს, ერთ ჭირისუფლად ითავისტკივილეს ცხუმ-აფხაზეთის ზიარი უბედურება.

აი, ამ ხალხს ეძახდნენ თქვენი განუსაზღვრელი ნდობით აღჭურვილი მზირები მტერს და ერეკებოდნენ სრულიად საქართველოს ჭერქვეშეთიდან რჯულუცხო სეპარატისტთა ეთნოკრატიის ვერაგული კრებითობისაკენ.

უფრო მეტსაც გეტყვით, ჩვენ, 1991 წლის ადრე გაზაფხულზე სოხუმის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ჯონი გუბაზისა *(აფსუა)* და მისი პირველი მოადგილის, გულივერ მელიას *(ქართველი)* ხელმძღვანელობით არაერთგზისი სახლიკაცური საუბრის შედეგად მოვიმხრეთ აფხაზეთში აფსუა სახლიკაცების ანგარიშგასაწევი ძალა, რომელიც სეპარატისტულ-ეთნოკრატიული აგრესიის ვ. არძინბასეულ ბანაკს, როგორც იმპერიათა დასაყრდენს და ანტი-აფხაზურს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირის-პირდა. ამ ძუძუმტეთა დეპუტაციამ 1991 წლის აპრილში თბილისს მოავლინა გულივერ მელია. ჩვენი, ე. ი. აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის დავალებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებმა ვ. მირცხულავამ და დ. ქებურიამ მოამზადეს შესაბამისი საშვი, რომლის საფუძველზეც, ჩასაფრებულთა წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნემო ბურჭულაძემ. წამოჭრილი საკითხები იმდენად კონსტრუქციულ გასაგნებას ღებულობდა, რომ ბატონმა ნემომ აფხაზეთიდან წარმოგზავნილი

სახალხო დელეგატი სასწრაფოდ წარუდგინა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას: თავსატკივართა განხილვით ძალზე კმაყოფილი დარჩა ბატონი ზვიადი, რა თქმა უნდა, თავად დელეგატიც, რომელმაც ეს შედეგი სასწრაფოდ აცნობა სოხუმში როგორც ქართველ, ასევე აფსუა დარბაისლებს. აღფრთოვანებულმა ძუძუმტე ხალხის უხუცესებმა აწ განსვენებულ გულივერს სთხოვეს, მეორე დღისთვის მოენახულებინა საქართველოს ეროვნული გმირის - მერაბ კოსტავას დედა, ქალბატონი ოლღა, გადაეცა მისთვის მათი სახელით სამძიმარი და მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის კეთილმოწყობას შეწეოდა მეორე დღისათვის საგანგებოდ გამოგზავნილი მცირეოდენი თანხით. სამწუხაროდ, ისევ და ისევ ლომინაძე-მგალობლიშვილ-ძოძუაშვილის ყოვლისშემძლეობამ, ჩასაფრებულ ავმოსურნეთა ზურგის ქარის წყალობით, ეს გამეცადინებაც ჩაწალდა, მას დაერქვა „მექრთამე და პარტოკრატ გულივერ მელიას ოინი“ და მოვლენებმა საუბედურო განვითარება ჰპოვა. ეროვნული ხელისუფლების „*კოლხური კოშკისეული“* სწორი სააფხაზეთო პროგრამა, რაღაც იდუმალი ქვედადინებებითა და საეჭვო ”რწმუნებულ-ექსპერტების” (გ. ლომინაძე, ნ. მგალობლიშვილი, მ. ძოძუაშვილი, თ. მჟავია, ა. დავითაია და ა. შ.) წყალობით, აქ, თბილისში საოცრად სახიჩარ სახეს იღებდა.

რად ღირს მარტო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 4 დეკემბრის საორგანიზაციო დასკვნები: ამ დროს, როცა გამარჯვებულმა ეროვნულმა ხელისუფლებამ სრულიად საქართველოში, მათ შორის ცხუმ-აფხაზეთში ბატონი ზვიადის ხელმძღვანელობით დაიწყო საბჭოთა სახელმწიფო კონსტრუქციების მშვიდობიანი დემონტაჟი, თანაც რუსეთის აშკარა თუ ფარული აგრესიის პირობებში, მართალია, სახალხო ნებისგან იძულებით, მაგრამ მაინც 1989 წლის საუბედურო მოვლენათა შემდგომ პირველად მან მოახერხა აფხაზეთის ეთნოკრატიულ ხელისუფლებს ხმამაღლა ეღიარებინათ სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობა. ამ დროს, არც მეტი, არც ნაკლები, ისევ და ისევ საუბედუროდ, აფხაზეთში ქართველი კოლაბორაციონისტების წყალობით, დიახ, დიახ, კვლავაც გ. ლომინაძის, ნ. მგალობლიშვილის, მ. ძოძუაშვილის, თ. ლორთქიფანიძის, თ მჟავიას (ეს ორი აშკარა მეღუმურგილე იყო), ა. დავითაიასა და ა. შ. მიერ წინგაუხედავად დაზუსტებული უფლებიდან გამომდინარე, აფხაზეთს ერთპიროვნულ ხელისუფლად მოევლინა სეპარატისტული იდელოგიისა და მისი რეალიზაციის ახალი მესვეური - ვლადისლავ არძინბა.

ე. წ. ქართულმა მხარემ ურთიერთქიშპობის გამო ვერ მოასწრო აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ქართველი თავმჯდომარის კანდიდატურა წარმოედგინა, შედეგად ეს საკითხი არ გადაჭრილა. ამის

გამო, *„ქართველთა“* პარტნომენკლატურული *„დირექტორიადის“* ღალატით აღშფოთებული საზოგადოებრიობის სახელითა და მხარდაჭერით იმხანად სოხუმის რაიონის გაზეთში *„შრომა“* ამ საკითხზე ჩემს ვრცელ წერილში გავასაჯარისე ე. წ. ქართული პარტოკრატიის მიერ ჩადენილი მორიგი ღალატი, გავაფრთხილე საზოგადოება, რომ *გასაგებია დირექტორიადის“* - ამ საბჭოთა *„არაფორმალების“ „პროგრამა მაქსიმუმი”*, მაგრამ *„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“*, ესეც *„ხალხური სიბრძნეა“*-მეთქი *(1991 წლის 10 იანვარი).* ასეც მოხდა, იმ დროის ე.წ. *„ზვიადისტური დირექტორიადი“*‘- მის სამხარეო *„მრგვალ მაგიდასთან“* ერთად, დღეს ე. შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირშია უკლებლივ, ბევრია ”მრგვალი მაგიდის” იმდროინდელი ნებიერი მათ რიგებში!...

1991 წლის 17 მარტს, როგორც გახსოვთ, საბჭოთა ხელისუფლებამ დანიშნა სსრკ ერთიანობის მხარდასაჭერი ე. წ. რეფერენდუმი, ხოლო ორი კვირის შემდეგ, 31 მარტს გაიმართა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩატარებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ამომდგომი საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი.

აფხაზეთის ბერძენმა მოსახლეობამ, რომელიც კრემლს ინტერფრონტულ ეთნონედლეულად მიაჩნდა, ეროვნული მოძრაობის მიერ ჩატარებულ ასხნა-განმარტებათა გეგმაზომიერების შედეგად, რიგი შავრაზ-მელი გამონაკლისის გარდა *(მაგ. სეპარატისტული ”აიდგილარის” ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნ. პატულიდი და სხვ.)*, ბოიკოტი გამოუცხადა სსრკ ე. წ. ერთიანობას და მხარი დაუჭირა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკი-დებლობას *(იმ ოპონენტებს, რომლებიც წამომაძახებენ, - შენ დედა ბერძენი გყავს და ამიტომ ვარდისფერში სახავ ამ საკითხსო, შევახსენებ, 1992 წლის თებერვალ-მარტის გაზეთებში „აფხაზეთის ხმასა“ და „შრომაში“ გამოქვეყნებულ ჩემს წერილებს ზოგიერთი ვაიბერძნის ანტიქართულ დემარშებზე.*

...და მეორეც: 1993 წლის გვიან შემოდგომაზე სოხუმის რ-ნის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში აგრესორ სეპარატისტებმა და ე. წ. ბაგრამიანელმა ბოევიკებმა პედაგოგ მერი ანასტასიადის სახლში მასთან ერთად გამოკეტეს მისი თითქმის 90 წელს მიღწეული დედ-მამა, 4 წლის დისშვილი, კიდევ 14 მეზობელი, სუყველა ბერძენი და ქართველებისადმი თანაგრძნობის გამო ცოცხლად ამობუგეს (ზოგიერთი წყარო ირწმუნება, რომ მაშინ ოცდაათზე მეტი უმწეო ადამიანი დაიღუპა) - ცოცხლად დაწვეს!..

ამ მოსახლეობაში აფხაზეთის ანტიქართული ეთნოკრატია წლობით აღვივებდა ქართველთა სიძულვილს და მაინც... ეს ასე მოხდა, როგორც მოგახსენეთ.

სულაც არ მივიჩნევ უადგილოდ ან გადამეტებულად თუ შეგახსენებთ, რომ ამ ხალხთან ათ წელზე მეტი ვიმუშავე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელად და ქართველთა სიძულვილის გამკვდარშობილებაში ჩემი მცირეოდენი წვლილიცაა).

იმას მოგახსენებდით, ბერძენი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, ვიმეორებ, ძირითადი და უპირატესი ნაწილი არ გაერთიანდა ანტიქართულ პოლიტიკურ ბლოკ *„სოიუზში“ (უფრო გვიან, დიახ, დიახ, ხმისჩახლეჩამდე კიდევ ერთხელ ჯიუტად გახსენებთ ამას, 1993 წლის შემოდგომაზე სეპარატისტული აგრესიის ხროვამ, ამ და ომის დროს გამოვლენილი არა გამცემლური პოზიციის გამო, ბესლეთის ხეობაში, სოხუმის მახლობლად, მოაწყო ბერძენი მოსახლეობის გენოციდი)*. ჰოდა, აფხაზეთის ე. წ. „მრგვალ მაგიდად„ წოდებულმა პარტნომენკლა-ტურამ, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 29 სექტემბრის არჩევნებში მოახერხა ასეთი ხალხმრავალი და საიმედო მოკავშირის ბედის ანაბარად მიტოვება მხოლოდ იმიტომ, რომ *მ. ძოძუაშვილმა შეგახსენათ, სერგი საჯაიას დედა ბერძენი ჰყავსო, ე. ი. ბერძენთა თემები „არაკეთილსაიმედო ელექტრორატი“ არისო*. ასეთ დროს, რომ არა ამ ხალხის მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება, შესაბამისად აფხაზეთში ”ქართული” პარტოკრატიის განკარგულებისა, აფხაზეთის პარტნომენკლატურული *„დირექტორიადისა“* თუ ე. წ. მრგვალი მაგიდის პოლიტიკური უწიგნურობითა და უტაქტობით თავისუფლად შეეძლო ესარგებლა იმავე სეპარატისტულ აგრესიას და ეცადა ამ ელექტორატის გამოყენება თავის სასარგებლოდ ქართველთა საწინააღმდეგოდ.

საბედნიეროდ, ბერძენი საზოგადოებრიობის უმრავლესობას კარგად ახსოვდა ის ყურადღება, როცა ბატონმა ზვიადმა, ჯერ კიდევ 1991 წლის 31 მარტის სახალხო-საყოველთაო რეფერენდუმის წინ, მათთან საგანგებო თანაბჭობისათვის თავის რწმუნებულები რომ გამოგზავნა.

1991 წლის 27 აგვისტოს, გაზეთში *„შრომა“,* ვინაიდან აფხაზეთის ასსრ თავისებურება და სპეციფიკა ამას მოითხოვდა, მე ვურჩიე აფხაზეთის *„მრგვალი მაგიდის“* წევრებს, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წარედგინათ აფხაზეთში *„ბერძენი საზოგადოებრიობის რწმუნების მქონე, კეთილმოსურნე და კეთილსინდისიერი, სრულიად საქართველოს ერთიანობის პატივმცემელი მოქალაქე, დღეს რისკის დრო არაა, ამას მოითხოვს ზნეობა, ამას მოითხოვს პოლიტიკური წინდახედულება“ (მით უმეტეს, რომ ბერძნულმა თემმა თანადგომა 1918 – 21 წლებშიც გამოავლინა, კერძოდ, ბერძენი ი. ფაშლიდი გახლდათ განათლებული, შორგახედული და მოუსყიდველი მესაძირკვლე საქართველოს დამოუკიდებლობის)*... გაგიგონია, ვინ გისმინა?

ქალბატონო მანანა, სწორედ 1991 წლის 17 და 31 მარტს, ბატონი ზვიადის ძალისხმევითა და აფხაზეთის მშობლიურსახოვანი, მკვიდრი მოსახლეობის წამგაუცდენელი მოღვაწეობის შედეგად ძლივს გამოდა-რებულ ცხუმ-აფხაზეთის პოლიტიკური ცის ქვეშეთში, როგორც ისინი ჩვეული უტიფრობით ირწმუნებოდნენ, თქვენთან შეთანხმების შემდგომ

საქართველოს ჯანდაცვის ვაი მესვეურს მ. ძოძუაშვილს საოცრად მოუნდა დენთის კასრზე ასკინკილა და ანცობანა.

საუბარია იმაზე, რომ ეროვნულ მოძრაობას მოტმასნული საქმოსნები და ასე ვთქვათ ***„მოჩალიჩე“*** წრეები, ***„კლანურ-პროფესიული“*** ლობირების გზით იქმნიდნენ პოლიტიკური უსაფრთხოების ჭერს ***(ე. წ. კრიშას)***, რომლის ქვეშაც ისინი ეროვნული ინტერესების ფეხზე დაკიდებით თავიანთ მომხმარებლურ მიზნებს ანხორციელებდნენ. ცხუმ-აფხაზეთის პირობებში ასეთი ***„მძლავრი პროფესიული ლობი“ (სხვა მრავალი ამის მსგავსის დარად)*** გახდა ე. წ. ექიმების გაერთიანება, რომლის მთავარი მიზანი სულაც არ გახლდათ ჯანდაცვა.

ამ ოდიოზური კლანიდან ე. წ. ***„მრგვალ მაგიდაში“*** წარდგენილ და შემდეგ აფხაზეთში "გამრგვალმაგიდებული" პარტოკრატიის წაბიძგებით ხელისუფლებაში აღზევებულ მ. ძოძუაშვილს ასეთმა საქმოსნურმა საფიხვ-ნომ გასამრჯელოდ მოსთხოვა აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის მინისტრად დაენიშნა თავიანთი კაცი.

იმისათვის, რომ მოსახსნელად საჭირო კომპრომატები შეეგროვებინა ამ მოვალეობის შემსრულებელ მერი ჯანგველაძეზე, მ. ძოძუაშვილს უნდა ჩაეტარებინა ამ სამინისტროს კომპლექსური შემოწმება, რასაც დრო, ნერვები და ა. შ. სჭირდებოდა. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ დიახაც ასეთ უჭკუობაზე და უგნურებაზე ამხედრდა იგი იმ დღეებში, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ბედი წყდებოდა, ანუ 17-31 მარტს მოუნდა ქალბატონ მანანა ძოძუაშვილს საეგზეკუციო ექსპედიციის ჩატარება აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის სამინისტროში. ეს კი სულხან-საბას ცნობილი იგავისა არ იყოს, სწორედ რომ ვირის ***„სამღერის თქმას“*** და აქლემის საპასუხო ***„სამაიას“*** ჰგავდა (იმისათვის, რათა კარგად გაისიგრძეგანოთ თუ რაზე ვსაუბრობ, მკაფიოდ უნდა შეიხსენოთ, რომ სწორედ იმ ხანად ტარდებოდა-მეთქი საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ორი - 17 და 31 მარტის რეფერენდუმი. იმ დროს, როცა აფხაზეთის ა/რ-ში კრემლი სეპარატისტულ ეთნოკრატიაზე დაყრდნობით უეჭველ გამარჯვებას გეგმავდა, ეროვნული მოძრაობისთვის მ. ძოძუაშვილის ახირებათა თავსმოხვევა არათუ წინგაუხედაობა, უფრო მეტიც, პირწმინდა ღალატი გახლდათ..

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის სისტემაში ქართველი მედიკოსების საგრძნობი ნაწილი საქმიანობდა ***(იმავე დროს, ეროვნული მოძრაობის ქმედითი ძალა)***, განა გვცალოდა 17 მარტს, იმპერიის წინააღმდეგ საყოველთაო ყოფნა-არყოფნის დღეს, მ. ძოძუაშვილის ინტრიგული ლაშქრობებისთვის გაგვემეტებინა და ეროვნული ქუდზეკაცობისათვის მოგვეწყვიტა მედიკოსები, მათ შორის ათასობით ქართველი ექიმი, ექთანი და სანიტარი?!

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ქალბატონი მერი ჯანგველაძე აფხაზეთის ა/რ-ის სხვა მინისტრებს სჯობდა, თორემ მათზე ნაკლები არ გახლდათ, გარდა ამისა, იგი ამ მხარეში გავლენიანი აფსუა კომლის დედა გახლდათ, რომელსაც საბედნიეროდ, უდიდესი გავლენა ჰქონდა მის აფსუა ნათესაობაზე, ამ შემთხვევაში ღირდა, რას გვაძლევდა მისი ასეთი ჩასაფრებული მოხსნა?!. ეს იყო ხეპრული წინდაუხედაობა, რომელიც არ პირველი იყო და არ უკანასკნელი გ. ლომინაძის, ნ. მგალობლიშვილის, მ. ძოძუაშვილისა და მათ თანამოსაქმეთა კაცღმერთობისთვის.

თქმულის გათვალისწინებით, გასაგები უნდა იყოს, ეროვნულ მოძრაობას მ. ძოძუაშვილის უდროო სტუმრობით თუ რა სიმძიმის დოლაბი დაგვეკიდებოდა კისერზე. ***„თქვენის ნებართვით“*** რა თქმა უნდა, როგორც ისინი ***„ამტკიცებდნენ“.*** კიდევ ვიმეორებ, იმ დროისათვის ცხუმ-აფხაზეთისათვის კრემლის მიერ თავსმოხვეულ სიცხადეში აფხაზეთის ა/რ-ის ჯანდაცვის მინისტრი მ. ჯანგველაძე არც რამეს გვიშავებდა და არც რამეს გვმატებდა. ამავე დროს იგი, როგორც ექიმი, არ ბრძანდებოდა მ. ძოძუა-შვილივით საყველპურო პროფესიონალი, კეთილსინდისიერი მკურნალი გახლდათ და მას, ცნობილ ექიმს, ლოზუნგური აქციებით არ სჭირდებოდა თავისი ხელმოცარული პროფესიული ავტორიტეტის კომპენსირება.

ისევ და ისევ გეკითხებით და მიპასუხეთ: საერთოდ, იყო მაშინ ასეთი კრიჭაში დგომის დრო ან ვის სჭირდებოდა ეს და ამისმაგვარები?!.. ნუთუ ასე ძნელი იყო, დაგვენახა ზემოდანაც და ქვემოდანაც იმპერიის კბილალესილი ყბები?!

სწორედ ამიტომ, ჩვენ ეს უადგილო დემარშები აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ აღვკვეთეთ. ძვირი კი დაგვიჯდა, მაგრამ შევძელით!

უფრო მეტიც, 1991 წლის 6 აპრილს მ. კოსტავას საზოგადოების აფხაზეთის სამხარეო ორგანიზაციის კონფერენციაზე, თანამოაზრეთა მხარდაჭერით, ჩემს გამოსვლაში საჯაროდ დავგმე ის დესტრუქციული ძალები, რომლებიც ***„კოლხური კოშკის“*** ციხიონის ჭერქვეშ არა ***“კოლხურ კოშკურად“*** ირჯებოდნენ.

ამის შემდეგ, მართალია, თანამოაზრეებთან ერთად აფხაზეთის ***„მრგვალი მაგიდიდან“ „ალერსიანად დამასვენეს“***, მაგრამ იმათგან, ვინც ჩვენ ავმოსურნედ გვისაფრთდებოდა და თქვენც (როგორც ისინი ამტკიცებდნენ და საზოგადოებაც ასე მიიჩნევდა) მხარს უჭერდით, სუყველანი, დრომ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ***„კოლხური კოშკის“*** ძვლის მკვნეტელნი აღმოჩნდნენ.

ბარემ, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ (კვლავ წინგაუხედაობის გამო) ზემოთხსენებული რეფერენდუმის დღეებში მოუნდა მაინც და მაინც

აფხაზეთის ე. წ. *„მრგვალი მაგიდის“* წარდგინებით გალის რაიონში დანიშნულ პრეფექტსაც თავდასამკვიდრებელი თითისქნევები *(იმპერიის მიერ ინსპირირებულ კონფლიქტურ სიტუაციას ალღო ვერ აუღო ვერც აფხაზეთის სამხარეომ, ვერც გალის რაიონების "მრგვალმა მაგიდამ", ან უფრო სწორად, ალღოც აუღო და დავალებაც პირნათლად შეასრულა?!)*. იმას ვამბობდი, ყოვლად გაუმართლებელი თავაშვებების შედეგად დაიწყო იმხანად გალის რაიონის პრეფექტურისა და სეპარატისტული ოფიციოზის მხარდაჭერით ჯერ გაუუქმებელმა რაიაღმასკომმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არა სახალხო-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ეროვნულ-სახალხო ნებათა შესაბამისად ჩამოსაყალიბებლად, არამედ, გავლენის სფეროების გადასანაწილებლად, რომლის ფორმალური საბაბი რაიონული გაზეთის რედაქტორის თანამდებობიდან გაძევება გახლდათ და 17 მარტის რეფერენდუმი ისე შემოხრიგინდა ისტორიულ საბედიანოში, ისეთი დრიბლინგით დაულაშქრა ვ. არძინბამ კარი გალელებს, რომ ამ რაიონის ახლად დანიშნულმა ***„ეროვნულმა ხელისუფლებამ“*** პირღიად თვალის მიდევნებაღა შესძლო მხოლოდ.

რა იყო ეს, ღალატი თუ უვიცობის ხვიხვინი, ეს თქვენ განსაჯეთ, მაგრამ შედეგი ხომ სათავზარო აღმოჩნდა?!

იყო ერთი უვიცობა კი არა მარტო, ღალატი უფრო: 1991 წლის 17 მარტს, როდესაც კრემლი რეფერენდუმს ატარებდა სსრკ-ის შესანარჩუნებლად, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად (გამოკლებულის ნაცვლად) გ. ლომინაძის, ნ. მგალობლიშვილისა და მ. ძოძუაშვილის ძალისხმევით კენჭისყრა სცადა ცნობილმა ოდიოზმა მურმან ომანიძემ. ეს იყო სატყუარა, - ამომრჩეველი, რომელიც მისთვის ხმის მისაცემად მივიდოდა, ასევე გაფორმდებოდა სსრკ ერთიანობის მხარდამჭერად. ენით უთქმელი ბრძოლა დაგვჭირდა ამ უჭკუობის ასაცილებლად.

რომელი ერთი შეგახსენოთ: 1991 წლის 6 აგვისტოს ქ. სოხუმის რესპუბლიკურ სტადიონზე გაიმართა ქართველი საზოგადოებრიობის თავყრილობა, რომელსაც წინ უძღოდა 23 ივლისიდან - 5 აგვისტომდე აფხაზეთის ასსრ-ში კრემლის მიერ მოთადარიგებული ე. წ. პოლიტიკური ბლოკის *„სოიუზის“* მძლავრი ანტიქართული აქციები, რომლის დაწესრიგება ბატონ ზვიად გამსახურდიას საკმაო ძალისხმევად დაუჯდა. საქმე კონსტრუქციული ნაბიჯებისაკენ დაიძრა, წინ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარების პერსპექტივა გამოიკვეთა. *„სტადიონზე“* ათიათასობით ქართველი და ასობით არაქართველი, მათ შორის აფსუა მოვიდა იმ იმედით, რომ დარბაისელ, წიგნიერ და, კეთილმოსურნე პასუხებს მიიღებდა წამოჭრილ საკითხებზე. სამწუხაროდ, ამჯერადაც ვითარების აწონ-დაწონვისა და შესაბამისი საპირწონეების დაძებნის ნაცვლად იმატა უსაგნო, მხოლოდ კრიჭაში დგომაზე გათვლილმა ხმაბოდვებმა, შედეგად გ. ლომინაძის, ნ. მგალობლიშვილის, მ. ძოძუაშვილის, ა. დავითაიასა და ა. შ.

„მთავარსარდლობით“ დაგეგმილმა ღონისძიებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უკან მიუხედავად გაინაბიჯა კრემლის დაკვეთათა შესაბამისად, სადაც წინდახედული მსჯელობის მაგივრად უგნურთა თვითდამკვიდრებამ გამოიორღობა. *„სოიუზის“* მიზანიც ეს იყო, - ქართველობის თავყრილობა ჩაეთრია მისგან გათვლილ დივერსიულ პოლემიკაში.

ამდენად, აფხაზეთისათვის ასე სასიცოცხლო საკითხი - არჩევნები, მიტინგზე მიღებულ რეზოლუციებში ვერ გამოიკვეთა, არ იქცა ამ ძალისხმევის მთავარ საკითხად, მეტიც, იგი ჩაიძირა *„ანტისაბჭოთა“* აბსტრაქ-ტული ბოღმის მორევში... ასეთ დროს ვერავითარ ნუგეშად ვერ გამოდგა ერთ-ერთი ორატორის *(საქართველოს რესპუბლიკის შს მინისტრის - დ. ხაბულიანის)* ქადილი - *„ღმერთმა ნუ ქნას, თორემ მე წინ გაგიძღვებითო...“ (ამასთან დაკავშირებით იხილეთ ს. საჯაია, „ფრთხილად, სახიფათოა...“, გაზეთი „შრომა“ 17 აგვისტო, 1991 წ.). ღმერთმა არა, მაგრამ ეშმაკმა კი ქნა და იმათგან, ვინც, აბა, გამიშვიო, ძალაზე იყო, - ვინ სად ჩაიჩურთა და საითკენ გარბოდა, კაცმა არ იცოდა, ხოლო ასიათასობით ლტოლვილი, ამ თავყრილობაზე ერთ-ერთი მობაქიეს მიერ თავის დროზე არასასიკეთოდ დარიგებული იარაღითაც გაიძარცვა, უმოწყალოდ დაიქუსლა სწორედ მის ოდაბადეში“.*

დიახ, ახლაც თვალწინ მიდგას იმ დღეს ასე ხეპრულად აჟღარუნებული ცრუქაქუნა საჭურველი და იმავე სტადიონზე მოსული მცირეოდენი, *მაგრამ მაინც ადამიანური იმედით მობრძანებული ძუძუმტე აფსუების ხავსჩაჭიდებულობა, სახტად დარჩენა თუ გაწბილება: - რა გაუკუღმართებულად გასაჯარისდა “კოლხური კოშკის“ ჭემარიტი აფხაზურობა მაშინ!*

როგორ გგონიათ, ვისი მიზანსცენებით ჩატარდა ეს ე. წ. თავყრილობა ესოდენ ფეთქებადსაშიშ წამწუთებში?! - ვისი და (...) დასტურით (ასე ირწმუნებოდნენ გ. ლომინაძე, ნ. მგალობლიშვილი და მათი ხელისბიჭები) და საეჭვოდ აკრიახებული მ. ძოძუაშვილის წინამძღოლობით! - მაშინ რატომ ვდუმდი? - არ ვდუმდი, ხმის ჩახლეჩამდე გავყვიროდი: საქართველოს ძირძველ კუთხეში მოვლენები შეიძლება, უმართავი გახდეს, ასეთ შემთხვევაში ყველა პოლიტიკური საზოგადოების ყველანაირი ფირმანი და თვით დეპუტატის მოწმობა ფარატინა ქაღალდია-მეთქი *(იხილეთ ზემოთ დამოწმებული წერილი)*.

მისმინეთ მაშინ? - არა! სათანადო მითითებით სოხუმის ოთხივე კუთხით აროხროდნენ ქალობისთვის ამორტიზებული დედაკაცები და მათმა ამძუვნებულმა თარეშმა მე, როგორც *„ზვიადის მტერს“*, ჩემდამი რწმუნებულ საშუალო სკოლაში ჩაულეწავი სარკმელი არ დამიტოვა!.. ნიშნის მოგებით არ გახსენებთ, მომიტევებია, მაგრამ ისევ ამისკენ რომ მიდის საქმე, რა ვიფიქრო, რა ვთქვა?!

არ ვიცი, შეძლებთ კი დამიჯეროთ, მაგრამ ღმერთი ხომ ხედავს, - მე მაინც ბედნიერი ვიყავი მაშინ ჩემი ქვეყნის ეროვნული ყოველდღიურობით.

მეგონა, რომ სრულიად საქართველომ ***„კოლხურ კოშკს“***, - ანუ ქრისტესმიერი გზისა და ეროვნული თავისუფლების სახმობს აუწყო ფეხი და ამ დროს ჩემთვის, რაც მართალი მართალია, ცოტა ვერაკაცურად ჩაცემული ლახვარი ჩემს პირად სათავშიცემოდ დავიდგინე.

1991 წლის 20 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს - ბატონ ზვიად გამსახურდიას ვეახელით არკადი მარკოზია, ანზორ გვარამია, ზურაბ კვარაცხელია, ხუტა ცალანი, თამაზ შამფრიანი, მე და სხვები, სულ 27 კაცი, ჩვენს შორის იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები ჯ. საჯაია, ვ. მირცხულავა და რ. კემულარია.

ამ დეპუტაციის მიზანი გახლდათ, ბატონი ზვიადისთვის განგვემარტა ის, რომ ცხუმ-აფხაზეთის სინამდვილეში ***„მრგვალი მაგიდის“*** აბრა ხელში ჩაიგდო მაფიურ-კრიმინალური და პარტოკრატიული კლანის ნომენკლატურამ - ე. წ. დირექტორიადმა, რომელმაც ეროვნული მთავრობის სახელით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ცხუმ-აფხაზეთის საწინააღმდეგო თარეში დაიწყო. შეუდგა ანგარიშსწორებას, საკადრო ქაოსის თავსმოხვევას, საკრემლო გეგმათა შესაბამის ეთნოკონფლიქტური სიტუაციის ხელშეწყობას, ეროვნული მოძრაობის საჩინო წევრების დისკრე-დიტაციასა და ამის ხარჯზე თავისი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფი-ლებას.

ასე და ამრიგად, **<u>ქრისტესმიერნო</u>**, მ. ძოძუაშვილისა და ნ. მგალობლიშვილის დანაშაულებრივ არაკომპეტენტურობას, ადრე თუ გვიან, აფხაზეთის საკითხები ჩიხში უნდა მოემწყვდია. ასეც მოხდა: აფხაზეთის "მრგვალ მაგიდად" წოდებულ პარტნომენკლატურულ ***„დირექტორიადს“*** 1991 წლის დეკემბერში და შემდგომ (ისევე, როგორც მანამდე) რომ არ ეღალატა ***„კოლხური კოშკისათვის“***, ასე ადვილად ვერ გაიმარჯვებდა სისხლიანი პუტჩი. ბუნებრივია, ვერც საომარი ავანტიურის ინსპირირება გახდებოდა შესაძლე-ბელი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მომდევნო წელს, ვერც სეპარატისტული ეთნოკრატიის აგრესია ამოიღებდა ხმას და ჩრდილო კავკა-სიის ეროვნული მოძრაობებიც, ბოლოსდაბოლოს, გაერკვეოდნენ ე. წ. აფხაზეცური რესპუბლიკის საბჭოთა კონსტრუქციაში.

ზემოთხსენებულ შეხვედრას ბატონ ზვიადთან, წინ ძნელად გადასალახავი ზღუდე უძღოდა. კერძოდ: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მისაღების წინ შესასვლელი ჩვენთვის სახელდახელოდ ჩაიხერგა. აფხაზეთიდან ***"ზედნაპოვნთა"*** და ბედისმა-ძიებელთა ვიწროპარტიული ჯოგი მ. ძოძუაშვილის წინამძღოლობით მიზნობრივ ძვრაუქმნელობად აღიმართა. ქალბატონი მანანა (ძოძუაშვილი) მდიდრულ ფლოსტებში და კიდევ უფრო მდიდრულ ხალათში გამოხვეული

სარდლობდა ამ ნახირს (საწოლიდან ახლადწარმომხტარს ჰგავდა). როგორც კი ბატონი ზვიადის კაბინეტს მივადექით, თადარიგდაჭერილმა ჯანდაცვის მინისტრმა თავგანწირვით იწივლა: *„- სანამ ბატონ ზვიადთან შეხვალთ, ჩემს მკერდზე გადაივლითო...“* ბოლოსდაბოლოს, როცა საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე ვახერხებდით თავმჯდომარესთან შეღწევას, აი, ეს წუთი გაიხსენეთ, ქალბატონო მანანა, კი ბატონო, სასიამოვნო არაა, უხერხულია, მაგრამ უნდა გაიხსენოთ: მ. ძოძუაშვილმა თქვენ დაგირეკათ, აგიხსნათ მდგომარეობა და შველა გთხოვათ. თქვენც მაშინვე, დიახ, დიახ,. იმწუთსვე დაუკავშირდით ბატონ ზვიადს, რაღაც ჭერჩამოქცევისმაგვარი მოიმიზეზეთ... *(ვაღიაროთ, ბატონი ზვიადის შორს ვერ გამხედვარე გარემოცვა ყოველმხრივ ცდილობდა იგი „მრგვალი მაგიდის“, გეთანხმებით, ვინ დაობს, ეროვნულ, მაგრამ ამ შემთხვევაში ვიწრო უწყებრივ მოღვაწედ შემოეზღუდა და მასთან, თუნდაც სუბორდინაციულ მეურვეობაში არ აღმოჩენილიყო განსხვავებული აზრი)*.

ამ წრეებში დავიწყებული იყო ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყანა არაა რაფინირებული სახალხოობა. მასში საზოგადოების ყველა სპექტრი თანამოსაქმეობს და ცხოვრობს: ღვთისმსახურები და მათხოვრები, ქვეყნის მმართველები და ხაზინის ქურდები, ამშენებლებიც და დამქცევებიც, პატიოსნები და მრუშები, განათლებულები და უწიგნურები, მემარცხენეები და მემარჯვენეები. ქვეყნის მესვეური ყველა ამათი ხელმძღვანელია და ამ, უხეშად რომ ვთქვათ, ნედლეულით უნდა შექმნას წმიდა სახარების, ათი მცნების, ეროვნული რჯულკისკანონისა თუ გიორგიანული ყოფაქცევის საფუძველზე განაბიჯებული საზოგადოების სახალხო-სახელმწიფოებრივი ზნეობა და აქედან გამომდინარე პოლიტიკა.

...კიბისთავზე დავხვდით მე, არკადი მარკოზია და ანზორ გვარამია კაბინეტიდან სასწრაფოდ გამოსულ ბატონ ზვიადს, რა ექნა, გამობრუნდა უკან, ვესაუბრეთ, გავაცანით ჩვენი ჩამოსვლის მიზეზები.

სანამ ჩემს იქ წარმოთქმულ სიტყვას გაგაცნობდეთ, წინასწარ გეტყვით, აქ წამოჭრილი საკითხების გარშემო კონსტრუქციული დასკვნები ვერ გაკეთდა, სამაგიეროდ, მოვლენათა შემდგომი განვითარება და ამ დეპუტაციის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება, საუბედუროდ, განსაზღვრა აფხაზეთის *„ქართულმა“* პარტოკრატიამ, რაც მან სისრულეში მოიყვანა ა. დავითაიას, ნ. მგალობლიშვილისა და მ. ძოძუაშვილის ხელებით. ჩემს თავზე არაა საუბარი. ხელისუფლების დამოკიდებულება ჩვენი საწუხარისადმი აფხაზეთის უსაჩინოეს დარბაისელთა სულში ჩაფურთხება გამოვიდა და ყველაფერი გააკეთდა ჩვენს *„გასაუვნებელსაყოფად“*: *„ყარაყორუმს“* სასწრაფოდ დაიბარეს ა. გვარამია და მშვილდში გაატარეს, მერე *„მოეალერსნენ“* ბატონ ა. მარკოზიას, ჩვენს ამალაში მყოფი დეპუტატები ხომ მაინც იქა ჰყავდათ, მიაქან-მოაქანეს ისინი და მეც, ეს *„ჯერ არნახული*

თავხედი“ „არამკითხე“, - სულ *„კეთილმოსურნედ“* აღმოვჩნდი კარებმოჯა-ხუნებული.

დღეს მაინც ხომ ხედავთ, რა დაუჯდა ქვეყანას, თქვენსა და ჩემს სამშობლოს ეს.

რატომ **ქრისტესმიერნო**, რად გეგონათ და გგონიათ ყველაფერში თქვენი თავი უმცდარი?! არადა, აი, რა ვუთხარით მაშინ ბატონ ზვიადს *(ეს მასალა დაიბეჭდა ჩემს წიგნში „დღეები ცხედართა უხმო კივილისა“, თბილისი, 2007 წელი, გვ. 485. რომელსაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტთა გარკვეულმა ჯგუფმა მ. სააკაშვილთან უჩივლა)*. ამ მასალას ხელმეორედ ვერ გამოვაქვეყნებ, გეტყვით მხოლოდ იმას თუ რაზე იყო საუბარი:

1. აფხაზეთის *„რგვალ მაგიდას“* მართავს აფხაზეთის ე. წ. ქართული პარტოკრატია;
2. აფხაზეთის *„ართულ“* პარტოკრატიასა და სეპარატისტულ ეთნოკრატიას შორის მთელი უთანხმოება ნომენკლატურული ხასიათისაა;
3. აფხაზეთში *„ქართული„* პარტოკრატიის *„დირექტორიადი“* არ ემსახურება ეროვნულ-სახალხო საქმეს *(„კოლხური კოშკის“, გნებავთ „მრგვალი მაგიდის“ ცნობიერებას)*;
4. მ. ძოძუაშვილსა და ნ. მგალობლიშვილს მართავს საბჭოთა წითელი გენერალი გ. ლომინაძე და ა. შ.

ჩემდა საუბედუროდ, ჩვენი გულისტკივილისა და ღაღადის დასახშობად ისეთი ხელმრუდე ხელგარჯილობით ჩაწალდ-ჩამოწალდა ყველანაირი გულისყური თქვენმა საიმედო *„დირექტორიადმა“*, რომ ყურდახშობილი აღმოჩნდა ყველა დონის საფიხვნო. მეც შევეშვი კართა უშედეგო ატალახებას და მაშინ, როდესაც 1991 წლის 2 სექტემბერს, ქ. თბილისში, კინოს სახლთან კრემლიდანური პროვოკაცია მოეწყო, საქვეყნო ქუდზეკაცობას არც თუ ღარიბ ნათესავად შევენაკადე და ცხუმ-აფხაზეთში ხმამაღლა მოვუწოდე ყველას, ამავდგომოდით *„კოლხურ კოშკს“*, რადგან *„...ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართველი ხალხის პოლიტიკურ ორიენტირს იძულებით წარმართავდნენ ვითომოქტომბრის, ვითომბელადთა გაწვდილი ხელის მიმართულებით, „კოლხური კოშკის“ მიდამო იყო სრულიად საქართველოსთვის ის პობიერი მიწა, რომელშიც კომუნისტური მიკრობებით ძარღვგამობრული ერის ზერმუხა, ერთადერთ, სასწაულად გადარჩენილ საღ ფესვს ირწყლულებდა...“ (გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 1991 წლის 21 სექტემბერი)*.

იმავე ხანებში ვიფიქრე, შევეშველები-მეთქი ეროვნულ ხელისუფლებას და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში აი, ასეთი საარჩევნო პროგრამით წარვდექი:

1.„თვით არსი აფხაზეთის ასსრ-ის არის მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის დიდმპყრობლური ტაქტიკა. ასეთმა ადმინისტრაციულ-პოლიტიკურმა ცნებამ, სათანადო ეთნოკრატიული და პარტოკრატიული ინსტიტუტების

წარმოშობით, ქართულ-აფსუურ ურთიერთობაში შექმნა ჩიხური ვითარება, რაც მოითხოვს საბჭოთა დივერსიული სტრუქტურების სასწრაფო დემონტაჟს და ამ რეგიონში ქართველი ერისა და აფსუა ხალხის ისტორიული ტრადიციებით განპირობებულ, მორდუობითა და ძუძუმტეობით, ადამიანის ზნეობრივი კოდექსითა და ადამიანთა უფლების დაცვის საერთაშორისო სამართლის ნორმებზე აგებული თვითმმართველობის დამკვიდრებას სრულიად საქართველოს შემადგენლობაში (საუბარია აფხაზეთში, ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქართველთა (აფხაზთა) და აფსუათა შიდაფედერაციის პრინციპზე უნიტარული საქართველოს პირობებში და ა. შ.);

2. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში და 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. ამავე დროს, - ქართველი ერის თვითგამორკვევის უფლებების აღიარება საქართველოს იმ მიწა-წყალზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო, თავის დროზე ვერ იქცა ერთა ლიგის დაინტერესების სუბიექტად;

3. რელიგიური და ეთნიკური შემწყნარებლობა საქართველოს ყველა მოქალაქის მიმართ და ნებისმიერი ეთნოპროფილის, ეროვნული ენის, კულტურისა თუ ადათ-წესების პატივისცემა. სახელმწიფოს როალისტურ წყობილებაში მართვის ისეთი სისტემების დანერგვა, რომელიც გამორიცხავს თვითმპყრობლობას და დიქტატურას. შერეული სისტემის საკუთრების ხელშეწყობა, ფერმერული მეურნეობის განვითარება, მიწის კერძო პირობებში ზღვრული ნორმის ფარგლებში მემკვიდრეობითობის უფლებით გადაცემა;

4. კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების დამოუკიდებლობისა და ეთნოხედების აღდგენა, მათი ყოველმხრივი მხარდაჭერა კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების კულტურულ, ეკონომიურ, თავდაცვისა და ა. შ. საკითხებში თანამოღვაწეობისათვის.

კავკასიის გადაქცევა გარემოს უსაფრთხოების, მშვიდობის, სინდისის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა თუ ერთაშორისი ურთიერთპატივისცემის საყოველთაო სახალხო მზრუნველობის რანგში აყვანილ რეგიონად“ (გაზეთი „შრომა“, სოხუმის რაიონი, 1991 წლის 21 სექტემბერი).

როდესაც *„დირექტორიადი“* და აფხაზეთის ე. წ. მრგვალი მაგიდა დარწმუნდა, რომ ჩემს საარჩევნო ოლქში *(სოხუმის რ. კელასურის №65)* მე გავიმარჯვებდი, გ. ლომინაძემ, ნ. მგალობლიშვილმა, ა. დავითაიამ და მ. ძოძუაშვილმა, ისევ და ისევ იქედან, *„სადაც ჯერ არს“,* სასწრაფოდ ითხოვა და მათი მითითებით მთავრობის სასახლიდან არჩევნებამდე ორი დღით ადრე მყისიერად მოიხსნა სოხუმის გვარდიელთა ბატალიონი და დღეს *„კოლხური კოშკისათვის“* ვინმე ვახტანგ მუკბანიანის მეთაურობით, იარაღით ხელში მიესია ბესლეთისა და კელასურის ხეობების ამომრჩევლებს, სადაც მე კენჭს ვიყრიდი, *- სერგი საჯაიას, „ზვიადის მოღალატეს“ ხმა არ მისცეთო, თორემ...* თუ ვინ როგორ ხმარობს იარაღს ჩემსა და ვ. მუკბანიანს შორის, ეს, შემდგომში სამშობლოსათვის გაღებულმა ჩვენ-ჩვენმა წვლილმა დაადგინოს. იმას ვიტყვი მხოლოდ, მე იარაღით არ დავუპირისპირდი გ. ლომინაძის, მ.

ძოძუაშვილის, ა. დავითაიას, ნ. მგალობლიშვილისა და ა. შ. ჟღარუნს, რადგან მათთან უთანხმოება იმ დროს, საუბედუროიდ ჩვენდა, ***„კოლხურ კოშკთან“*** მტრობად აღიქმებოდა... თავი დავანებე დეპუტატობისთვის ბრძოლას, თუმცა ბესლეთის ხეობის მოსახლეობამ უპირატესად მე მომცა მაინც ხმა და მხოლოდ არმენი მოსახლეობის თანადგომითა და ტოტალური გაყალბებით ***„დამამარცხეს“ (ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ მე-3 წიგნში, „გაიღვიძეთ, ბატონო ნაფიცო მსაჯულებო!..“)***. თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა განვაცხადო: 1991 წლის 1 ოქტომბერს გაზეთში "აფხაზეთის ხმა" გამოქვეყნდა აფხაზეთის ა/რ-ის საარჩევნო კომისიის ცნობა აფხაზეთის ა/რ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ, რომელშიც მკაფიოდ აღინიშნა, რომ კელასურის №65-ე საარჩევნო ოლქში, სადაც მე კენჭს ვიყრიდი, დაინიშნა მეორე ტური ჩემსა და თ. მჟავიას შორის. ამის შემდეგ გ. ლომინაძემ, ნ. მგალობლიშვილმა, მ. ძოძუაშვილმა, თ. მჟავიამ და სხვებმა აგრესიულ სეპარატიზმთან გარიგებითა ***(ამის შესახებ იხილეთ ლ. მარშანიას წინგში „Правда о трагедии Абхазии“ თბილისი, 1997 წ. გვ. 23-25)*** და ვ. არძინბასთან შეთანხმებით სოხუმის რ-ინის კელასურის №65-ე და ოჩამჩირის რ-ნის №60-ე ოლქებში, საარჩევნო კომისიის მიერ პრესაში გამოცხადებული შედეგების მიუხედავად, მეორე ტურის ჩაუტარებლად პირდაპირ დანიშნეს ***<u>თ. მჟავია</u>*** - ***„კოლხური კოშკის“*** ღირებულებათა გამქელავი და აგრესორ-სეპარატისტი ***<u>ვ. აშხაწავა.</u>***

ეს გარიგება აღსრულდა ჩუმად. აფხაზეთის საარჩევნო კომისიას არსად გამოუქვეყნებია ცნობა იმის შესახებ, რომ 1 ოქტომბერს გამოცხადებული მეორე ტური ზემოთდასახელებულ საარჩევნო ოლქებში გახლდათ შეცდომა, გაუგებრობა თუ რაღაც ჯანდაბა. ეს არის თვალსაჩინო და მკაფიო მაგალითი იმის შესახებ, - თუ რამდენად მართავდა კრემლი აფხაზეთში ***„ქართულ“*** პარტოკრატიას. იგი აფხაზეთის ეთნოკრატიასთან ერთად სინამდვილეში წარმოადგენდა ერთ მიზანმიმართულებას, რომელსაც საქართველოს ეროვნული მიზნებისთვის უნდა ჩაეცა ლახვარი.

ეროვნულ მოძრაობას თავშეფარებული სოხუმელი პავლიკმორო-ზოველები, ე. ი. ე. წ. ***„მრგვალი მაგიდის“*** წევრები, აქაც ჩაიჭრნენ: სანამ კენჭის ყრას დავაპირებდი, დავეკითხე მათ: **-** ***თვლით თუ არა ჩემს თავს აფხაზეთის პარლამენტში საჭიროდ-მეთქი. რას ამბობთ, კი, კიო... ამ ხეობის ძირძველი მცხოვრები ხარ, ადგილობრივი ენაკავები და ენები იცი, რუსულს ფლობ, ხალხი მხარს გიჭერს და საჭირო ხარ, აბა, რაო. ჩვენ არ გვყავს არავინ დასახელებული და შენ იყარეო კენჭი***. დავუჯერე და საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გავიარე.

როცა ეს გაიგეს გ. ლომინაძემ, ნ. მგალობლიშვილმა, ა. დავითაიამ და მ. ძოძუაშვილმა, შევარდნენ ისევ და ისევ იქ, ***„სადაც ჯერ არს“,*** საქმე ჩაწყვეს და ***"პირი ატეხინეს"*** აფხაზეთის ვითომ ***„მრგვალ მაგიდას“,*** რომელთა შვონდერულ ***„კაცობას“*** დიდად არც განუცდია ეს...

თუ სანამდე უერთგულეს *„კოლხურ კოშკს“* მათ და ჩემს ადგილზე აგრესორ-სეპარატისტების მიერ დანიშნულმა დეპუტატმა, ეს თვითონ *„კოლხურმა კოშკმა“* არკვიოს, მე კი შეგახსენებთ, რომ 1992 წლის მარტში გროზნოში საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს სესიაზე ამნაირად დაკოწიწებული *„საიმედო“* ხალხი ჩვენი, ე. ი. ძირითადად მაინც ჩემი დასაფინანსებელი, საიძულებელი და გასამგზავრებელი გახდა, მათ შორის *„ბატონი“* ნ. მგალობლიშვილიც, რომელსაც შევუთვალე, *„თუ ნებით არ წახვალ, მანქანის საბარგულში ჩაგტენი და ისე გაგიშვებ, მაშინ ხომ გინდოდა ზვიადი, როცა გრიალებდი-მეთქი, შე...“* და თუ როგორ და სად ვიდექით ჩვენ, მაშასადამე, მეც, ამის შესახებ ამ ამონარიდმა შეგვახსენოს *(გაზეთი „აღდგომა“, 1992 წლის 26 სექტემბერი)*: *„ზუგდიდში, გოჩა ჯიქიას მკვლელობის ადგილიდან ოციოდ ნაბიჯზე საზოგადოება „ხსოვნას“შტაბი გახლავთ. აქედან დამაკავშირეს შაოსანმა ქალბატონებმა ჩემს აქ ყოფნისას სობუმში გაძარცულ ოჯახს. ამ ოთახში, სადაც ერის ზვარაკის ამდენი სული მეუფეობს, პირად ზარალზე საუბარი უსინდისობაა, არც ვაპირებ. იმას აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ჩემი სახლის გაძარცვა გაზეთ „აღდგომის“ დარბევას ნიშნავს... არც მალავდა ამას ქალბატონი, რომელიც მეორე დილით მომხდარის საკომენტაროდ შემოიჭრა ჩემს სახლში. ბღაოდა, თურმე: „ზვიადი გამუსლიმანდა“, „მადლობა თქვით, თავი რომ შეგრჩათო“... ღმერთმა შეუნდოთ, დროსთან ჩააწყონ საქმე, დროსთან, რომელიც მიუმცდარად ამოახველებს მათ გვარ-სახელებს და ერთიც, როცა ეს სვლაგეზი ავირჩიეთ, ვიცოდით, გზაზე წიწამური და „კოლხური კოშკია“... (სხვათაშორის, ის ქალბატონი ერთ დროს ბატონი ზვიადის ერთგულებას „მასწავლიდა“).*

დრო ულმობლად იწიხლებოდა...

ამის შემდეგ რამოდენიმეჯერ გროზნოში ვინახულე *„კოლხური კოშკიდან“* დევნილები. ყველაფრისდამიუხედავად, მათ შევხვდი როგორც სულიერ ძმასა და დას, ტანჯულთ, მარტვილთ და ჯვარცმულთ, რომელთაც საკმარისი დრო ჰქონდათ უფალთან განმარტოებისა და მომხდარის ობიექტური საწყისების გასიგრძეგანებასთან ერთად, განსაკუთრებით ამ სათავზარო სიცხადის სუბიექტურ მიზეზების ჩვენსავე თავში დაძიებისათვის.

მათთან და-ძმური ხელჩამორთმევის დროს, უნებურადაც არ ამტკივებია ამ თითებით გაცემული მითითებებისგან ჩემს ზურგში ჩაცემული ლახვრების ნაიარევები...

ქალბატონო მანანა, ყველგან და ყოველთვის ჩემთვის ბრძანდებოდით და ბრძანდებით ქრისტესმიერი სულიერი და, ეროვნული მოძრაობის მგლოვიარე სულიერი დედა და „კოლხური კოშკისეული“ ფეხაწყობის წინამძღოლი (ყოველ შემთხვევაში, ასე მინდა იყოს), სწორედ ამიტომ, რათა, არ აგერიოთ ფეხი და არ გადავიჩეხოთ, უბრალო კარისკაცის უფლებას ვიტოვებ, გაგაფრთხილოთ ნაბიჯის გადადგმის წინ, - მორყეულია თუ არა საფეხური!..

***

ქალბატონო მანანა, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სასწრაფო შველას ითხოვდა. *„კოლხური კოშკის“ პოლიტიკურ აბრას ნაქმრევის სახელივით წაეპოტინენ საოკუპაციო რეჟიმის სანთიოობოში გამსუბუქყოფაქცევებულები.* ისინი ეროვნული მოძრაობის სწავლებას ქრისტესმიერი გზის მოწამეობრივ შინაარსზე ზნეობის სახელით გაშლილი ქოლგებივით უტიფრად იყენებდნენ თავშესაჩურთად თავიანთ საავხორცო გზაჯვარედინებზე თავსდამტყდარ ლაფის წვიმასა და თქეშში.

ვისაც არ ეზარებოდა, *„კოლხური კოშკის“* სახელით ცდილობდა პოლიტიკურ *(და მასთან ერთად ხორციელ)* მრუშობას. ასეთ დროს *(და მე ეს უკვე აღვნიშნე)*, თქვენ, როგორც *„კოლხური კოშკის“* სულიერი შვილი და არა მხოლოდ საბინაო წიგნში ჩაწერილი იურიდიული მემკვიდრე, ვალდებული ბრძანდებოდით და ბრძანდებით, სათავეში ჩადგომოდით სრულიად საქართველოს *„კოლხური კოშკისეულ“* კვლავაღდგომას. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ამ მხრივ ჩემი გულწრფელობის დასტურად მე დავიმოწმებ ამ პუბლიკაციას: *„ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას... დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სვლაგეზი გამომდინარეობს „მრგვალი მაგიდის“ 1997 წლის 10 ივნისის განცხადებისა და 13, 28 ოქტომბრის (1997 წ.) პოლიტიკურ აქციათა საპროგრამო დებულებებიდან“.*

იბერიულ-კავკასიური მოძრაობა „ჭყონდიდელის ეროვნული ლასკარი“ ჯერ კიდევ 1995 წლის 4 იანვრიდან უპირისპირდება იმ ორგანიზაციულ ქაოსსა და „პოლიტიკური“ თვითშემოქმედების პერსპექტივას, რაც „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ უზურპირებული აბრის ქვეშ ხორციელდებოდა და როგორც დრომ აჩვენა, ფსევდოეროვნული გაფხორება აღმოჩნდა“... (ს. საჯაია, გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“, 11-18 ნოემბერი, 1997 წელი). იქვე, ვალერი გაბელიასადმი მიწერილ წერილში ვამბობდი: *„ბატონო, ვალერი, დღეს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სვლაგეზი „კოლხური კოშკიდან“ და მერაბ კოსტავას ეზოდან იწყება კვლავაც, მისი სახელმძღვანელო დებულებებია 1997 წლის 10 ივნისის და 13, 28 ოქტომბრის პოლიტიკურ აქციათა მიერ მოწონებული ეროვნული ძეგლისწერა...“ (დასახელებული გაზეთი, გვ. 5).*

წმიდა ილია მართლის სწავლებამ *„ენა, მამული, სარწმუნოება“*, - რუსისტული, ირანული და ა. შ. იმპერიების ქუსლებ ქვეშ დარბეულ ერის თვითმოძიებას ყოველთა ქართველთა ცნობიერი, სულიერი და სამამულო გაერთსხეულებისათვის სწორი მსოფლმხედველობრივი თუ ცნობიერი ჭერქვეშეთი გაუპიროვნა. იგი ეროვნული ლასკარისა და კიდევ უფრო მეტის, საყოველთაო გიორგიანული, ანუ სრულიად იბერიულ-კავკასიური საფიხვნოს *(ხალხთა პოლიფონიური ხმაშეწყობის)* სისხლხორცეულ, ჯიშისმიერ და ყველაზე ზუსტ პაროლად დადგინდა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ეს სწავლება გაიტოტა *„კოლხური კოშკის“* შინაარსში, რომელიც პირადად

ჩემთვის *საქართველოს კვლავაღდგომის ძალისხმევას* ნიშნავს. იგი ქრისტეს გზისკენ ააღმართების მორიგი ნაბიჯია, აქედან გამომდინარე, ვთვლი რა თავს ერთ ციცქნა კვნესად ამ ეროვნული აუზარმაზარების ციხიონზე, მიუხედავად ჩემს თავზე დატრიალებული დოლაბისა, ასევე თავსმოხვეული პირადი უსიამოვნებებისა თუ მიზნობრივი ცილისწამებებისა, რომელთა ფლიდი და ვერაგი თაოსნები სწორედ *„კოლხური კოშკის“* ჭერქვეშ ახერხებდნენ მაშინ თავშეფარებას, მაინც ჯიუტად და მოუღლელად *„კოლხურ კოშკს“* ვებღაუჭებოდი, ვეფესვებოდი და ვეფესვები, რამეთუ, გაუგებრობა ჩემს გარშემო ჩემი პირადი ტრაგედია გახლდათ, ხოლო *„კოლხური კოშკის“* ჭერჩამოქცევა - დედა საქართველოს აღგვის წინადღედ აითვალა.

ამისდა შესაბამისად, მე არაერთი კერძო და სამუშაო შეხვედრა მქონდა თქვენთან, პირისპირ, გულახდილი, მიუკიბავ-მოუკიბავი, თქვენთან ერთად ვიხილავდი საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა აუცილებლად მიმაჩნდა, თავს კეთილმოსურნე უფლებას ვაძლევდი, ზოგიერთი რჩევაც მომეცა. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი გეგმები ძირითადად რეალობის არაადეკვატური აღქმა გახლდათ და ლოზუნგური მოწოდების ხასიათს არ სცილდებოდა, ვიფიქრეთ მეგობრებმა *(კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სავსებით სწორად ვიფიქრეთ ასე)*, რომ ჩვენ, თქვენთან ხმაშეწყობის შემთხვევაში, ზოგიერთ პოლიტიკურ სიელმეს სისწორეში გავათვალისჩინებდით *(ისევ და ისევ ხმამაღლა ვამბობ, - ეს გეკუთვნოდათ)*, თქვენც სწორ დასკვნებს გააკეთებდით განვლილი უბედურებებიდან, ცოტას მოგვისმენდით და ***<u>წინ, ქრისტეს გზისკენ წავიდოდით!..</u>***

პირველ ხანებში იმდენად თბილი ურთიერთობა გვქონდა, რომ *"მრგვალი მაგიდის"* ერთ-ერთ სხდომაზე, სადაც აფხაზეთთან, უფრო ზუსტად 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის გასხვისების დღესთან დაკავშირებული საკითხები იხილებოდა, გიბრძანებიათ: - *„ამ საკითხში სერგი საჯაიას მეტს ვერავის ვენდობიო“*. ეს ჩემი მოკრძალებული შესაძლებლობის გადამეტება იყო, ვინაიდან მე არა ვარ ის აბსოლუტი, რომ აფხაზეთზე ჩემი დებულებები ხმაშემოუბრუნებლად დაკანონებულიყო, თანაც იმ, როგორც იტყვიან, მორჩილ და აგრესიულ ჯოგში ვინ მაპატიებდა ასეთ აღზევებას?!.

ცხუმ-აფხაზეთის ჭირისუფლის მოფერება, თქვენი ნდობა და სითბო ვიგრძენი ამ წერილშიც, რომელიც, ვინაიდან ვერ მომნახეთ, ჩემი შვილიშვილების ნათლიას დაუტოვეთ *(თურმე ღამის 11 საათამდე იცადეთ)*: *„ქალბატონო ციური, გვაპატიეთ შეწუხებისათვის, აუცილებელი საქმე გვაქვს ბატონ სერგისთან. მისი რჩევა და დახმარება გვჭირდება, თან მოგვაწოდოს აფხაზეთის ომში დაღუპულთა სიები. ხვალ, 26 სექტემბერს, ბ-ნი ველოდი მირეკულავა, დილის 10 საათზე თავისუფლების მოედანზე, მეტროსთან დაელოდება ბატონ სერგის. თუ არ შეწუხდებით, გადაეცით ეს, რომელიც სასწრაფოდ გვჭირდება 27 სექტემბრის*

მიტინგისთვის. მაპატიეთ შეწუხებისათვის, წინასწარ მადლობას და ბოდიშს გიხდით ბარათისთვის, რომელიც მანქანაში მბჟუტავ შუქზე დავწერე, პატივისცემით მანანა არჩვაძე-გამსახურდია, 25.09.98 წ.“

ღმერთია მოწმე, რაც შემეძლო გავაკეთე, ხალხიც მოვიყვანე და მოხსენებისთვის საჭირო მასალაც არ დაგიგვიანეთ, პოლიტიკური განცხადებაც ჩამოვაყალიბე, მაგრამ იმ მიტინგის მსვლელობის დროს, თქვენმა დეპუტატებმა ჩემი მოხსენების გასაჯარისების შემდეგ, განზე გაიხმეს ვ. მირცხულავა და გაენდნენ: ***„რა საჭირო იყო სერგის გამოსვლა, ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთო...“***

...და მაინც, ურთიერთობა ჩვენს შორის იმდენად გულითადი გახდა, - ერთხელ, დაუფარავად გითხარით კიდეც, რომ არ შეიძლებოდა ***„კოლხური კოშკის“*** სიწმინდეებთან შემთხვევით ადამიანთა ***(ზოგჯერ შემოგზავნილისაც)*** უწიგნური, გაუბრალოებული და უტიფარი ურთიერთობა. ამ ლასკარის მგლოვიარე მეციხოვნის გვერდით მკრეხელობა და საძრახობა იყო არანორმატიული, გამომწვევი ჩაცმა თუ ყოფაქცევა, ბილწსიტყვაობა, სიგარეტგაჩრილი კაბოსნები, გინება, წყევლა... ნუ მოუშვებთ-მეთქი თქვენთან ახლოს მათ, მქონდა საუბარი შემოგდებულ დესტრუქციაზე და ამასთან დაკავშირებულ დემარშებზე...

ამავე დროს, ჩემი უმთავრესი მიზანი გახლდათ,***„კოლხური კოშკის“*** ცნობიერება თანმიმდევრულად გადაგვეზარდა როგორც სრულიად საქართველოს, ასევე საერთო იბერიულ-კავკასიური ლასკარის პოლიტიკურ სვლაგეზად. იმავდროულად ვცდილობდი, ცხუმ-აფხაზეთის სატკივრისადმი მიდგომას თავი დაეღწია ვიწროპარტიული არტახებისგან. ასე მაგალითად, გ. ლომინაძე რომ წითელი გენერალი იყო და არის, ეს ჩემთან არაა სამტკიცებელი. ამას მე თქვენ იქეთ გიხსნიდით 1990-91 წლებში, მაგრამ დღეს აფხაზეთის ტრაგედიის მარტო მისთვის გადმობრალება და თანაც მისი გუშინდელი აღმზევებლების გვერდზე გაწევა, ამასთან ერთად აფხაზეთში საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციებისა თუ მათი შედეგების კვლავ კომუნისტი სეპარატისტების ტერმინოლოგიით განხილვა სხვას არაფერს ნიშნავდა თუ არა სეპარატისტულ-ეთნოკრატიული აგრესიის თავკაცის ვ. არძინბასა და მისი ხროვის სისხლიანი, აღმგველი და გადამბუგავი აღვირახსნილობის საეჭვო მიფუჩეჩებას. გარდა ამისა, საკითხის ასე გამარტივება არსშივე არ გაგებაა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრში თუ შემდგომ თავსმოხვეულ რუსიზმის საოკუპაციო მოვლენათა. იგი ამ აგრესიის ესკალაციის სტილისტიკაში სრული ჩაუხედაობაც გახლდათ. მეტსაც გეტყვით, ამ ეთნოფაბრიკაციულ დივერსიათა ძალიან ბევრი ***„მოღვაწე“*** ზურგის ქარადაც შემოემამითადა საოკუპაციო ხელგარჯილობას სრულიად საქართველოსა და განსაკუთრებით ცხუმ-აფხაზეთში. სხვათაშორის, პუტჩი 1991 წლის მიწურულისათვის ერთდროულად დაიწყო

თბილისსა და სოხუმში, ვინაიდან, როგორც ჩანს, თქვენ ამ საკითხებში კვლავ საბჭოთა დივერსიული სტერეოტიპების ტყვეობაში იმყოფებით, ამიტომ, თქვენი დავალებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სათანადო კომისიის *(ბ. აფრასიძე)* მიერ გაკეთებული განცხადება აფხაზეთის შესახებ პოლიტიკურად უსუსური აღმოჩნდა. ეს არც მაშინ დაგიმალეთ და თქვენ მომიბოდიშეთ კიდეც, თუმცა, ეს სინანული გვიანი იყო. განცხადება უკვე გამოქვეყნებული გახლდათ და ცნება აფხაზიც, თანახმად ზემოთხსენებული საბჭოთა სტერეოტიპებისა, თქვენ სრულიად უკანონოდ და საკითხის საბოლოობის პრეტენზიით გაუპიროვნეთ აფხაზეთის ასს ფაბრიკაციული რესპუბლიკის ე. წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელ ოქტომბრის ენოვან და მიზნობრივად ინკუბირებულ ხალხს. ასევე არ დავეთანხმე იმ განცხადების ასეთ მცდარ მსჯელობას და იოლ გამოსავალს: ***„...გ. ლომინაძე აფხაზეთში 1989 წლის 15 ივლისის შემდეგ გააგზავნეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად, დავალებული ჰქონდა განეხორციელებინა აფხაზეთში ომის ესკალაცია. ეს შესძლო კიდევაც. მან 1992 წელს 1700 ქართველი მილიციელი, გაფიცვის საბაბით, ტყეში გაიყვანა, ამით აფხაზური მილიციის თანამშრომლებს ხელი შეუწყო მთელი სოხუმის გაკონტროლებაში. შემდეგ იგი თბილისს „გამოაგდეს“. <u>აქ თბილისში დაიწყო მოლაპარაკებები კიტოვანთან. კიტოვანმა მისცა „საჯარისო ნაწილები“, ლომინაძე სოხუმში ტანკებით დაბრუნდა, ხელში „ჩაიგდო“ მმართველობა. გახდა საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე, დაიქვემდებარა სამხედრო სტრუქტურები.</u> ამ პერიოდს ემთხვევა სოხუმის მოსახლეობის მასიური აწიოკება, დახვრეტები, რითაც აიძულეს აფხაზები, ქართველების წინააღმდეგ აეღოთ იარაღი...“ (გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“, №18, 15-21 ივლისი, 1998)*** - ამ ე. წ. განცხადების თვითმარქვიად კი არა, - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს *(თუნდაც დევნილის)* სახელით გასაჯარისება ცხუმ-აფხაზეთის დეპორტირებული მოსახლეობის, სიკვდილისთვის თვალებში ჩანახედი ადამიანებისა და ათიათასობით დაუმარხავი საფლავების წინაშე ჩადენილი დანაშაულია. ესაა ზოგიერთი პოპულისტური აბრჭყვიალება და მრუდე სარკით წარმოჩენა. არავის აინტერესებს ამ შემთხვევაში ის, რომ ტექსტის ფაქტიური შემდგენელი ბიმურზა აფრასიძეა, თავსატეხი აქ, აი ესაა, იგი ცხუმ-აფხაზეთის რაობასა და ვინაობას კრემლიდანური სარკმლიდან განიხილავს, ***დღეს ამ სტერეოტიპებითა თუ ტერმინებით მსჯელობა უკანა თარიღით აზროვნებაა და თქვენ ეს, ქალბატონო მანანა, დაუშვით.***

ასეთ დროს დასანანი ის გახლავთ, რომ თვით სვეტლანა ჩერვონნაიაც კი, რუსი მკვლევარი, თავის ცნობილ წიგნში ***„აფხაზეთი - 1992 პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა“ (თბილისი, 1999 წ.)***, იმ ტრაგიკულ ამბებს უფრო ობიექტურად განიხილავს, ვიდრე ის, ვისაც ეს წესით და რიგით ევალება. აი, რას ეუბნებოდნენ ზემოთხსენებულ ავტორს სეპარატისტულ-ეთნოკრატიული აგრესიის წინამძღოლები: ***„- თქვენ ნუ***

ღელავთ, ჩვენ უკვე ყველაფერი მზადა გვაქვს, ნახევარ საათში მთელს ხალხს თოფს მივუშვერთ და წამოვაჩოქებთ. ჩვენი არსენალები უკვე სავსეა თქვენივე, რუსეთისავე იარაღით და ყოველ წუთს შეგვიძლია მისი გაორკეცება და გასამკეცება, კაზაკობასთან საიმედო კავშირი გვაქვს დამყარებული... როგორც კი აქ ომი დაიწყება, მთელი კავკასია ამოძრავდება (იგულისხმება რუსიზმის მეგზური ე. წ. კონფედერაცია კავკასიისა, - ს. საჯ.). მას კი მთელი რუსეთი მოჰყვება. ჩვენ საზღვარგარეთაც გვყავს ემისრები - თურქეთში, არაბულ ქვეყნებში ჩვენ მთელი მსოფლიო დაგვიჭერს მხარს (საუბარია მასონურ-თალმუდისტურ დივერსიაზე, - ს. საჯ.) იმათ, კი, ვინც ჩვენთან ყოფნას არ მოისურვებს. სამხედრო დროის წესისამებრ მოვექცევით"... (დასახ. წიგნი, გვ. 13). სამარი დროის წესები კი სეპარატისტული ეთნოკრატიის აგრესიის დროს ამ ომში იყო ცოცხლად დაწვა, ასევე ცოცხლად ე. წ. ჰალსტუხების ამოჭრა, წამებები, გაუპატიურებები, ჟლეტა და ა. შ.

როგორც ხედავთ, აფხაზეთის საომარი ავანტიურის მიზეზები გაცილებით უფრო შორეული და ღრმაა, ვიდრე ეს წითელი გენერლის გ. ლომინაძის მხრებს შეეძლო ეზიდა. *კი ბატონო, არის ის მოღალატე, მაგრამ ჩვეულებრივი ბაცაცური მოსაზღვრულობის...*

იგივე წიგნი გვითვალსაჩინოებს: *„აფხაზეთის გამოყვანა საქართველოდან, აი, ჩემი მეცნიერული კვლევის კრედო" - აცხადებდა ვ. არძინბა" (გვ. 13)*. ასეთ დროს მისი ხელისუფლებაში მომყვანები თქვენ გვერდში გეჯდათ და ჩემი გაუვნებელყოფის ნებას აძლევდით.

სეპარატისტულ-ეთნოკრატიული აგრესია, ვითომ *„ქართულ დემოკრა-ტიასთან"* ერთად, აფხაზეთის საომარი ავანტიურის თანაავტორია, - ორივემ კი იმპერიათა დაკვეთა შეასრულა: *„...თავის რადიომიმართვაში ვლადისლავ არძინბამ, თვითნებურად რომ ჩაითრია აფხაზეთის ხალხი უმძიმეს დანაშაულსა და უდიდეს ტრაგედიაში"... (გვ. 14). მოვლენას* ასეთ ზუსტ შესატყვისს უზუსტებდა ამ წიგნის რუსი ავტორი...

ეს რადიო და ტელე მიმართვები 14 აგვისტოს, ჯერ კიდევ პროვოკაციულ გასროლამდე გადასცა ვ. არძინბამ უბედურების ასაშლიგინებლად. მანამდე კი დროში გაწელილი მრავალგანტოტებადი საომარი სამზადისი ჰქონდა, ჯერ კიდევ 1991 წლის 29 დეკემბერს, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა თვითნებურად, უფრო სწორად, ვ. არძინბამ მიიღო ორი დოკუმენტი:

1. „საჯარისო ნაწილების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების დაწესებულებათა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალების დისლოკაციისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი ფუნქციონირების წესში ცვლილებათა შეტანის შესახებ";

2. „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დროებითი სამხედრო საბჭოს შექმნის შესახებ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და ხელახალი დაქვემდებარების ხაზით".

ამ, ასე ვთქვათ, ***„სამხედრო“*** საბჭოს 9 წევრიდან, 5 აფხაზეცს, 2 - არმენს და ორიც რუსს წარმოადგენდა, აფხაზეთში გამყიდველი ქართველის მეტი რა იყო, - ეს გამყიდველიც არ გააჭაჭანეს ამ ე. წ. საბჭოში, ვინაიდან, თავად საბჭოს ***„უწყინარი“*** სახელწოდების მიღმა დღედაღამ მიმდინარეობდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ანუ ცხუმ-აფხაზეთის ტოტალური ოკუპაციისათვის გეგმაზომიერი სამზადისი.

ამისდა მიხედვით თუ კი ვინმეს ასეთი სურვილი აქვს, კი ბატონო, გავერკვეთ თავად გ. ლომინაძის მოვალეობებშიც. გეთანხმებით და ვიმეორებ, იგი არავითარ შემთხვევაში არ გახლდათ იმპერიათა მიზანმიმართული თანმიმდევრულობიდან ამოვარდნილი, მაგრამ ცხუმ-აფხაზეთის გასხვისების მარტო გ. ლომინაძის ცუდკაცობამდის დაყვანა ამ საკითხის მიმართ არაკომპეტენტური კი არა, რბილად რომ ვთქვათ, მოვლენის არსში უცოდინარი ხელისფათურია.

(სხვათაშორის ,რაკი უცოდინარობაზეა საუბარი, გულახდილად უნდა გითხრათ, რომ სირცხვილის ოფლში კინაღამ ჩავიხარშე და დიდხანს, ძალიან დიდხანს გამაჟრჟოლებდა ხოლმე, როცა გავიხსენებდი იმას თუ როგორ მიაკუთვნა დიდოსტატ კონსტანტინეს აფხაზური სახლის ადგილმდებარეობა (სოფელი ლიძავა) გაგრის ნაცვლად გალის რაიონს 1999 წლის 31 მარტს ბატონი ზვიადის 60 წლის საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით გამოსულმა მთავარმა მომხსენებელმა. არადა, საქართველოს გეოგრაფიის ცოდნა „კოლხური კოშკის“ ჭიშკრის შეღების მსურველთა საწესდებო მოვალეობა უნდა გახდეს).

დავუბრუბდეთ მთავარ სათქმელს, - გეთანხმებით, გ. ლომინაძე, აფხაზეთის ***„ქართული“*** ანუ ლენინისენოვან პარტოკრატიას, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალი, შემოაშველა საქართველოს დამანგრეველმა იმპერიულმა ცენტრმა, მაგრამ იმავე ცენტრმა, ასევე არანაკლები ეთნოკრატიული ხერხებით გაამლიერა სეპარატისტულ-ეთნოკრატიული აგრესიის მესაჭეები. რა თქმა უნდა, გ. ლომინაძეს, როგორც ვითომქართული პარტოკრატიის სახელდახელო ლიდერს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, საომარი ავანტიურის ინსპირირებისა და მისი ესკალაციის დავალება მიუპი-როვნეს, მაგრამ ასეთივე რჯულისმიერი მოვალეობა, საწესდებო ქცევის წესები და უფრო მასშტაბურ-კომპლექსური დავალება ჰქონდათ სეპარატის-ტულ ეთნოკრატიასა და მის მესვეურებს. ამიტომ თუ ამ ორ მოცემულობას ერთმანეთთან არ დავაკავშირებთ და ხელოვნურად თუ პოლიტიკური უწიგნურობით გავხლიჩავთ ან ვიწროპარტიული კრიჭაში დგომით დავიხშობთ ყურებს, თან მხოლოდ ე. შევარდნაძის საოკუპაციო ჩექმებს დავინახავთ და თვალს წავუხუჭავთ სეპარატისტული დემაგოგიის მამამთავართა ასევე საოკუპაციო აღჭურვილობას, ორივეს უკან კი აღვირს ჩაბღაუჭებული

იმპერიის ვერაგულ ზრახვებს არ დავლანდავთ, მაშინ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თვითმარქვია და უწიგნური განცხადების ავტორთა მტკიცების შესაბამისად მისი ქვეტექსტის წაკითხვის თანახმად, თურმე, აფხაზეთის საომარი ავანტიურა, რომელსაც მოჰყვა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს გასხვისება და ამ ქართული მხარის განმშობლიურება, რუსიზმის საოკუპაციო შემოჭრამ კი არ განახორციელა თავისი ორი ტაქტიკის *„ქართული დემოკრატიისა“ და სეპარატისტულ-ეთნოკრატიული აგრესიების“* საშუალებით, არამედ, ამ ძალზე სახიფათო ლოგიკით გამოდის, რომ *„ქართველებს დაუწყიათ ომი“*!..

ასევე გაუგებარია, რას ნიშნავს *ამ განცხადების ავტორებისათვის „აფხაზური მილიცია“*. თუ ის აფხაზურია, რატომ არ უნდა გააკონტროლოს აფხაზეთი, აბა, ვისი მოვალეობაა ეს. მაგრამ, საქმეც ისაა, რომ ეს თოფოსნებობი არ გახლდნენ აფხაზური მილიცია. ამიტომ, როცა საუბარია საქართველოში რუსიზმის საოკუპაციო შტურმის თბილისსა და სოხუმში ერთდროულად დაწყებისა და გვერდიგვერდ გაგრძელების შესახებ, მხედველობაში სწორედ ისა გვაქვს, რომ 1991 წლის დეკემბერს სეპარატისტულ-ეთნოკრატიულმა ხროვამ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, თავისი უფლებამოსილების გადამეტებითა და ხელისუფლების უზურპირებით შექმნა მონონაციონალური, ე. ი. ფაბრიკაციული საბჭოთა რესპუბლიკის ე. წ. სახელის მატარებელი ხალხისგან გამოსული თოფოსნების უკანონო რაზმი, დაარქვა მას *„აფხაზური მილიცია“* და იგი დაუქვემდებარა რუსულენოვანი მოსახლეობის ოდიოზურ *„სამხედრო საბჭოს“*. მასვე (სამხედრო საბჭოს) დაუმორჩილა აფხაზეთში დისლოცირებული საბჭოთა სამხედრო ნაწილების გარკვეული რაოდენობა, შეავსო იგი კრიმინალ-ბოევიკებით. ამავე დროს მსგავსად ჰუტჩისტური გვარდიისა, დაიწყო ხალხის საწინააღმდეგო თარეში. აი, ესაა სწორედ ის უკანონო თოფოსნობა, რომელსაც ზემოთდამოწმებულ განცხადებაში, ყოვლად უსაფუძვლოდ *„აფხაზური მილიცია“* ჰქვია და ეს არავითარ შემთხვევაში ასე არაა!

რაც შეეხება გ. ლომინაძის *„თბილისში გამოგდებას“*, აქაც გამოთქმა დასაზუსტებელია, ყოველ შემთხვევაში ბ. აფრასიძეს რომ ჰგონია, ისე არ გახლავთ საქმე: საუბარია იმაზე, რომ ე. წ. აფხაზურმა მილიციამ აფხაზეთის ასსრ შს მინისტრზე და ამ უწყების ქართველ თანამშრომლებზე ეთნიკური დარბევის *(„პოგრომის“)* მიზნით მოაწყო თავდასხმა. ეს იმიტომ კი არა, რომ გენერალი გ. ლომინაძე ამ დროისათვის ქვეყნისთვის კვლავ თავს მოხვეული იმპერიული დიქტატურისა და მისი არაკონსტიტუციური ნამესტნიკი ხელისუფლების წარმომადგენელი და დასაყრდენი გახდა აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში). არა, მათ ეს არც აწუხებდათ, - გ. ლომინაძე ე. წ. „*აფხაზური“* თოფოსნებისათვის, მართალია, პარტოკრა-

ტიული, მაგრამ მაინც *„ქართული“* ნომენკლატურა გახლდათ. მით უმეტეს, რომ აფხაზეთის ე. წ. *„მრგვალი მაგიდისთვის“* გაწეული *„ღვაწლის“* შედეგად იგი ობივატელთა თვალში ჯერ კიდევ აღიქმებოდა *„ქართული ეროვნული მოძრაობის გამჭრიახ თავკაცად“*, ამიტომ სეპარატისტული ეთნოკრატიის მიერ გ. ლომინაძეზე თავდასხმის მცდელობა იყო არა მხოლოდ თქვენთვისაც და ჩემთვისაც *„კოლხური კოშკის“* მოღალატე კაცის დარბევა და გამოგდება, არამედ ფართომასშტაბიანი, ჯერ ეთნოკონფლიქტის, ხოლო შემდგომ ეთნიკური წმენდის განხორციელების მცდელობა. ამ კონკრეტული ინციდენტით იმპერიულ ცენტრს სურდა, ეს მიზნობრივი პროვოკაცია აღქმულიყო ისე, როგორც ჩაფიქრებული გახლდათ: - პროვოკატორების მეშვეობით ქართველების დარბევად გაეცხადებინათ და ამით, თავის მხრივ, საპასუხო *„ქართული“* შურისძიებისთვის, ე. ი. სისხლისღვრისთვის მიეღწიათ. გაიხსენეთ, ეს ინციდენტი მოხდა 1992 წლის 24 ივნისს, იმავდროულად, როცა თბილისში, ტელევიზიაზე განხორციელდა *„თავდასხმა“* და თვალებში ნაცარშეყრილი საქართველოს ზურგსუკან ვერაგული დაგომისის ხელშეკრულების დადების დღეს. ამდენად, 1992 წლის 24 ივნისს სოხუმსა და თბილისში ერთდროულად განხორციელებული პოლიტიკური დემაგოგია, კრემლიდანური ერთი ხელით იმართებოდა. ჩვენ, - აფხაზეთის ეროვნულმა მოძრაობამ, მართალია მოკლე დროით, მაგრამ მაინც შევძელით თვითონ გ. ლომინაძის, ნ. მგალობლიშვილის, ა. დავითაიასა და ა. შ. თავსმოხვეული ქვებუნაგობით გამოწვეული ვნებათაღელვები არ გადაზრდილიყო საყოველთაო შეიარაღებულ დაპირისპირებაში.

იმ დღეს, 1992 წლის 24 ივნისს, ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულმა მოძრაობამ მრავალათასიან მიტინგზე ხალხს მოუწოდა, არ ჩარეულიყო იმპერიის პროვოკაციაში, ასევე გაიგზავნა აფხაზეთის ყველა ქალაქსა და სოფელში ჩვენი წარმომადგენელი, რათა, მოსახლეობა გაეფრთხილებინა შესაძლო პროვოკაციათა საფრთხის შესახებ. როგორ გგონიათ, სად იყვნენ ამ დროს აფხაზეთის *„მრგვალ მაგიდად“* წოდებული რაღაც სიმრავლის თაოსნები - ნ. მგალობლიშვილი, ა. დავითაია და სხვები?! დიახ, დიახ, იმ თქვენს *„საიმედო“* და *„დასაყრდენ“* ნ. მგალობლიშვილზე მოგახსენებთ, რომელიც, როგორც უკვე აგიხსენით, გროზნოში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე იძულების წესით გავამგზავრეთ, ამ შემთხვევაში ჭკუა ეყო, თორემ, სოხუმიდან გროზნომდე, თუ ნებით არ წავიდოდა, მანქანის საბარგულში გაკოჭილად ჩაკვეხებულს ჩავახრიგინებდით! ამ, იმჟამად უკვე *„გადემოკრატებულმა“* (ანუ ე. შევარდნაძის მოღალატურ ბანაკში გადასულმა) ყოფილმა *„მრგვალმა მაგიდელებმა“*, 24 ივნისს სოხუმში მორიგი დემაგოგია წამოიწყო მის მიერ დარაზმული „ნასედკები“ მოვარდნენ მოედანზე და, ჰარიქა, *„აფხაზებს“* დედა ვუტიროთ, გ. ლომინაძე

ვიხსნათო... იმ ვითარებაში, როცა ათიათასობით გულწრფელი, მაგრამ მტრის სახუნდარის ნაკლებ ამომცნობი მომიტინგე ზღვისპირზე ბობოქ-რობდა, მათი სტიქიური ჩათრევა სეპარატისტული თარეშის წინააღმდეგ და აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროსთან მირეკვა სულ ადვილი და რაღაც წუთების საქმე გახლდათ. წარმოიდგინეთ, რა ადვილი იყო ასეთ შემთხვევაში სისხლიანი პროვოკაციის ინსპირირება. გაიხსენეთ, 1989 წლის 15-16 ივლისი. არც ეს დაუშვა ეროვნულმა მოძრაობამ (დიახ, ვერც ამას მივუჩქმალავ შთამომავლობას, ორივეჯერ სწორად ვიმოქმედე მაშინ). აქ მე პირდაპირ უნდა გითხრათ, ქალბატონო მანანა, რომ, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, აფხაზეთის ე. წ. *„მრგვალი მაგიდა“* აფხაზეთის ასსრ პარტნომენკლატურული დირექტორატის აგენტურა და ამდენად ე. შევარდნაძის **„ქართული დემოკრატიის“** ნიღაბახდილი გოშია გახდა პუტჩისთანავე *(ეს არ ეხება რიგ უმწიკვლო მოღვაწეს აფხაზეთში, რომელთაც მოახერხეს და „კოლხური კოშკის“ ზნეობით იღვაწეს ამ ვითომ ეროვნული, უფრო ზუსტად კი აფხაზეთის პარტოკრატიის პოლიტიკური აბრის ქვეშ, მათ გვარ-სახელს იმ უბრალო მიზეზით არ ვასახელებ, რომ ჯერ ერთი, ყამთაბერი უჩემოდაც არ წაშლის, მეორეც, ჯერ ადრეა ყველაფრის გასაჯარისება, დროა ცუდი...)*.

დიახ, ცხუმ-აფხაზეთში ეროვნულ მოძრაობასა და აქედან გამომდინარე მოვლენებს ადრე თქვენგან შერისხული ხელები მართავდნენ უკვე, რომელთაც, სანამ ეს მათ ძალას უთანასწოროდ და ჯოჯოხეთურად არ აღემატა, შესძლეს გარკვეულ დრომდე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ეთნიკური ჟლეტისა და წმენდის თავიდან აცილება: *„...1992 წელს, აფხაზეთის ომის დაწყებამდე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციის მიზნით, ე. შევარდნაძის ხელისუფლება, თავისი აგენტების მეშვეობით, იმაზე მუშაობდა, რომ ეროვნული გვარდია შესულიყო (იგულისხმება აფხაზეთში, - ს. საჯ.), ამ გზით სურდათ ეროვნული მოძრაობის ჩაძირვა, ზვიადისტების ტერორისტებად მონათვლა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩავშალეთ ეს მოღალატური გეგმა... ასევე, წინადადებით მოგვმართა ამ ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აფხაზეთიდან. მასთან ჩავედით ზაურ ქობალია, სერგი საჯაია, ვალერი ქობალია და დავარწმუნეთ იგი, რომ ომის დაწყება აფხაზეთში შედიოდა რუსეთის ინტერესებში და საბოლოო ჯამში აფხაზეთის დაკარგვას გამოიწვევდა, მაშინ სამაჩაბლოს კონფლიქტიც მოუგვარებელი იყო. ასე ავიცდინეთ ის უბედურება, რომელიც მოგვიანებით მაინც მოხდა...“ (გაზ. „იბერია-სპექტრი“, 15 სექტემბერი, 11-18.08, 1999 წ. ქალბატონ ირინე კუკავასა და ბატონ ვალერი გაბელიას საუბრიდან)*.

ამ შემთხვევაში ფასეული ამ დამოწმებაში ის გახლავთ, რომ თვითონ ვალერი საუბრობს ასე, იგი, იმ დროს, თქვენი განუსაზღვრელი ნდობით და რწმუნებით გახლდათ აღჭურვილი, რომელთანაც დღეს, მართალია, სხვადასხვა საფიხვნოში ვართ, მაგრამ ამჯერად ეყო ამ კაცს კაცობა, რათა, ვიწრო პარტიული არტახები აეწყვიტა და სიმართლე ელაპარაკა ჩემზეც.

დავუბრუნდეთ სეპარატისტი აგრესორების თავდასხმას აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროზე. იგი, როგორც თავად ხედავთ, არ გახლდათ მხოლოდ გ. ლომინაძის გაგდება, - ეს იყო კარგად ორგანიზებული დარბევა ქართველების, რადგანაც იგი ქართულ საზოგადოებასთან იგივდებოდა აგრესორ-სეპარატისტების თვალშიც და პოლიტიკური ცრუმოძრაობებში ჩაუხედავ ქართველებში. ასეთი ათარეშების მიზანს წარმოადგენდა უმართავი დაპირისპირების ესკალაცია *(კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, გ. ლომინაძის პარტოკრატიულ ამბიციებს მე მაშინ ვამხელდი, როდესაც თქვენ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატი მას თავგადაკლული "აგმირებდა")*. ვიწრო პარტიული გონებაშეზღუდულობის საუკეთესო ნიმუშია მტკიცება, როცა ხელაღებით ირწმუნები: *„...რითაც აიძულეს აფხაზები ქართველების წინააღმდეგ აეღოთ იარაღი“*. ჯერ ერთი, ქართველი და აფხაზი სინონიმური ცნებებია, მეორეც, იმ ლენინისენოვან ხალხს, რომელსაც *აფხაზეცი* ჩაუწერეს პასპორტში და კვლავ და კვლავ იმ ავბედითი განცხადების ავტორებიც *აფხაზად* მიიჩნევენ, მათ სულ სხვა, ზედმიწევნით ზუსტი სახელი ჰქვიათ - აფსუა (ансуец). მესამე **-** *აფხაზებს ქართველების წინააღმდეგ იარაღი არ აუღიათ (არც ქართველს აუღია იარაღი აფხაზის წინააღმდეგ) იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აფხაზი - თავადაა ქართველი, რაც შეეხება - აფსუების იმ ნაწილს, რომელთაც იარაღი აიღეს, აქაც ბევრი ნიუანსია გასარკვევი, საერთოდ თუ რა მოხდა იქითაც და აქეთაც, ეს ცალკე სამსჯელო საკითხია და ყოველ შემთხვევაში, ძალიან შორსაა იმისგან, რაზეც წინამდებარე განცხადებაში ირწმუნებიან).* ახლა რა დავარქვათ იმას, როდესაც ათიათასობით აფხაზეთის მიწისგან მოზელილმა ქართველმა, ანუ მართლა აფხაზმა იმავე 14 აგვისტოს რომ მიმართა ვ. არძინბას - ეროვნების მიუხედავად დაეცვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ამომრჩეველი მოსახლეობა, რატომ არ გააკეთა ეს? - იმიტომ, რომ იმავე წუთებში, იგივე ვლადისლავ არძინბა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიითა და რადიოთი, *მას შემდეგ, რაც კანონგარეშედ გამოაცხადა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ანუ აფხაზეთში ქართველი (აფხაზი) ერი, ასევე აფსუა ხალხის ის ნაწილი, - ვინც მმათამკვლელ ომში იარაღს არ აიღებდა, უკვე ხელებდაკაპიწებული და ამხედრებული მოუწოდებდა ოქტომბრისენოვან აფხაზეცობას საქართველოს წინააღმდეგ ომისაკენ და ქართველთა ამოხოცვისაკენ აქსიანებდა.*

საკითხის ისტორია ასეთია, ასეც ესმის იგი „კოლხურ კოშკს“.

1993-95 წლებში კვლავ აღდგენილი *„მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“* პოლიტიკური აბრის ქვეშ თავი მოიყარა საოკუპაციო რეჟიმის აგენტურამ, ადგილობრივმა კოლაბორაციულმა ძალებმა და ეთნოდივერსიათა დიდოსტატებმა, რომელთაც დაიწყეს რა *„კოლხური კოშკის“* ცნობიერი მემკვიდრეობის ფირნიშთან თვითდამკვიდრება, ამჯერად უკვე ე. წ. *„მრგვალ მაგიდად“* ქცეული კრებითობისათვის მოითადარიგეს ორგანიზაციული ქაოსის, პოლიტიკური დემარშების, ლოზუნგურ-უტოპიური აზროვნების,

ეროვნული თვითშეგნებისა და სარწმუნოების გაუკუღმართების თავსმოხვევა, საჩინო ერისკაცების ბლოკირება, მათი *„ალერსიანი“* გაძევება ეროვნული მოძრაობიდან და მისთანები. სწორედ ასეთ პროვოკაციათა წყებას განეკუთვნებოდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული მკრეხელობები *„ეროვნული მოძრაობის სახელით“*, ბრძოლა მოძრაობა *„ჭყონდიდელის“* აბრისათვის, პარალელური *„ეროვნული“* პარტიების შექმნა დამანგრეველი და უზნეო ხერხებით და ა. შ.

მე, პირდაპირ გეტყვით, ზემოთხენებული მიზნობრივი ავკაცობების მხილებისა და მასთან უზავო შერკინებისას თქვენ არანაირი მხარდაჭერა ჩვენდამი არ გამოგიჩენიათ, პირიქით კი იყო, რამაც რიგ ფსევდოეროვნულ სექტას, შენიღბულ ნასედკებსა და აგენტურას, რომლებიც შეიქმნენ როგორც *„ჩვენი პარალელური ორგანიზაციები“*, საშუალება მისცეს, მოტყუებული საზოგადოებრიობის თვალში *„დაკანონებულიყვნენ“*...

1998 წ.

≈*≈

3. ორპირობა, როგორც პოლიტიკური თუ ყოფითი თვითდამკვიდრების საშუალება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში

„აჰა, ესერა, მივეც ქვეყანაი იგი ხელთა მისთა...“
წიგნი მსაჯულთა - 1, 2

დავიდარაბა, რომელიც 2010 წლის შემოდგომით გასაჯარისდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, შემდეგი წინამდებარე მოცემულობით ააღმართდა: როგორც წინა წიგნებშიც მოგახსენეთ, 2009 წელს აფხაზეთის საზოგადოებრიობის საჩინო წარმომადგენლების, მათ შორის სოხუმის დევნილი უნივერსიტეტის პროფესურის ანგარიშგასაწევი ჯგუფის მონაწილეობით გადაწყდა, რომ 2009 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარედ გიორგი ბარამია უნდა მოსულიყო, რომელიც, როგორც ეს ხალხი ირწმუნებოდა, გაატარებდა სწორედ იმ პოლიტიკას, რაც ასე სასურველად წამოაყენა ყოფითმა თუ პოლიტიკურმა ყოველდღიურობამ და რომელზეც აღნიშნული ფეხაწყობა (მათი თქმით) უკვე მუშაობდა.

ბუნებრივია, აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებაში მძვინვარე არაკომპეტენტურობასა და ორგანიზებულ კორუფციას უსათუოდ უნდა ჩანაცვლებოდა კეთილსინდისიერი თუ სახალხო დაკვეთების თანმიმდევრულად აღმასრულებელი მოხელეების კრებითობა. ყოველ შემთხვევაში, გ. ბარამიას პოლიტიკურმა მაყრიონმა მე აღმითქვა, რომ იგი

ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა სახალხო გადაწყვეტილებით დაზუსტებული სვლაგეზისგან აცდენილად. ასეთი მყარი დაპირება, რომელიც არამხოლოდ გ. ბარამიასგან მოდიოდა, არამედ და, რაც მთავარია, ვიმეორებ, მას თავდებში უდგებოდა სოხუმის დევნილი უნიევრსიტეტის პროფესურის ერთი, ეროვნულ მოძრაობაში ნაცადი ნაწილი, მათი აზრით შექმნიდა პირობებს, თვით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო გარდაქმნილიყო ქმედუნარიან ინსტიტუციად, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ***(აფხაზეთის)*** დეოკუპაციის სტრატეგიაზე შედეგიანად იმუშავებდა.

ამგვარი შეთანხმებული წინაპირობის შემდეგ, რაკიღა საზოგადოების ეს ანგარიშგასაწევი ნაწილი ჩემს მოკრძალებულ გამოცდილებაზეც აგებდა თავის გათვლებს, მე მხარი დავუჭირე გ. ბარამიას დანიშვნას აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარედ. დიახ, კიდევ ერთხელ ვაცხადებ ხმამაღლა, - მიუხედავად იმისა, რომ გ. ბარამია ამ საკითხებში ერთი ჩვეულებრივი უვიცი გახლდათ, რაკი უფრო სასურველი საორგანიზაციო დასკვნის გაკეთება მაშინ ჩვენს ძალებს აღემატებოდა, მისი გარემოცვის ესოდენ წონადი დაპირების შემთხვევაში ამ სახით სახალხო მიზნისკენ განაბიჯება შესაძლებელი ხდებოდა ***(ყოველ შემთხვევაში, უკეთესი გამოსავალი იმხანად არ ილანდებოდა)***.

მოვლენებს გავუსწრებ და აღვნიშნავ, რომ გ. ბარამიას ასეთი სახალხო, მისთვის სახელმომხვეჭი დავალების აღსასრულებლად არ ეყო გამბედაობა, იგი აღმოჩნდა მხდალი და ორპირი, რითაც დააღალატა არამხოლოდ მის ***(უფრო სწორად, სახალხო დაკვეთათა)*** გარშემო ფეხაწყობილი ძალები, არამედ, პირველ რიგში, გამოუსწორებლად ავნო საკუთარ თავს.

თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ამის შესახებ წინა სამ წიგნში საკმაოდაა საუბარი და მე არ განვმეორდები, აღვნიშნავ მხოლოდ ერთს, უფრო ზუსტად და აქამდე გაუხმაურებულ მთავარს, ჯემალ გამახარიას წვლილს იმაში, რაც ასეთი მარცხით დამთავრდა. ამას იმისათვის კი არ ვაკეთებ, ვინმეს ევნოს ან დააკლდეს რამე, არავითარ შემთხვევაში, ბატონმა ჯემალმა, როგორც ისტორიკოსმა იცის მატიანიასთვის თუ რას ნიშნავს სისწორის უმცდარი აღნუსხვა.

დიახ, რაც შეეხება ჯ. გამახარიას, ვერ ვიტყვი, თითქოს იგი მცდარად იქცეოდა, პირიქით, ის ყოველთვის, თავისი შესაშური წინდახედულობის წყალობით ორფეხზე ხტებოდა, სხვა საკითხია, რომ ამ დახტომისას უპირატესად სისწორისკენ ზურგმიქცეული აღმოჩნდებოდა ხოლმე.

სწორედ ასეთი, სისწორისკენ ზურგმიქცეული და როგორც ჯ. იოსელიანი იხსენებს ***(„მესამე განზომილება“),*** გ. ლომინაძის საზეიმო პურობაზე (აფხაზეთში საომარი ავანტიურის დაწყებასთან დაკავშირებით) მოლხენა მოისტუმრა მან, როდესაც აფხაზეთის ტელევიზიაში გამოვიდა ნ.

მგალობლიშვილთან, თ. მჟავიასთან და სხვებთან ერთად *(აქცენტი აღებული იყო ზვიადის მომხრე და "მრგვალი მაგიდის" მიერ მხარდაჭერილ დეპუტატებზე)* 1992 წლის 14 აგვისტოს მომდევნო დღეებში და ზ. გამსახურდიას გაფრთხილების მიუხედავად, რუსიზმის მიერ თავსმოხვეული სისხლისღვრა გაამართლა *(რაც ყველაზე საგანგაშო იყო, მათ ეს ყოვლად თვითმარქვიად გააკეთეს ზ. გამსახურდიას ბანაკის სახელით)*.

იმ დღეებშივე გროზნოდან დამირეკა ზ. გამსახურდიამ და დამავალა, გამეფანტა ის აზრი, თითქოს ძმათამკვლელ ომს დევნილი ეროვნული ხელისუფლება ამართლებდა.

როგორც სხვადასხვა წყაროდან მოეხსენება მკითხველს, 1992 წლის სექტემბერში, ვიმყოფებოდი რა ზუგდიდში სრულიად საქართველოს ე.პ.მ. *„ჭყონდიდელის“* დამფუძნებელი ყრილობის ჩასატარებლად, სოხუმში "მხედრიონის" ადგილობრივმა ხელისბიჭებმა გაძარცვეს ჩემი სახლი.

ზუგდიდიდან ჩამოსვლისთანავე რ. კაკულიას *(ზ. გამსახურდიას მომხრე აქტივისტს)* მოვაყვანინეთ ჯ. გამახარია და დევნილი პრეზიდენტის რწმუნების შესაბამისად, მოვსთხოვეთ, განემარტა თუ ვის მხარეზე იყო. მან გვითხრა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილს სხვა გზა არ ჰქონდა, *ის უნდა გაეკეთებინა, რასაც მისგან მოითხოვდნენ ე. შევარდნაძე და ჯ. იოსელიანი.*

ამ შეხვედრაზე ჩვენ შევძელით მისი დარწმუნება, რომ ეს არჩევანი დამღუპველი იქნებოდა მისთვისაც და ქვეყნისთვისაც. ამ საკითხის ვრცლად გაშუქება იქნებ სხვა დროისთვის გადავდოთ და დავჯერდეთ იმის თქმას, რომ ჩვენი მცდელობის შედეგად მან 1992 წლის 7 ოქტომბერს გაზეთში *„აღდგომა“* დაგმო თავსმოხვეული ე. წ. საქართველოს პარლამენტის არჩევნები, რისთვისაც წინმსწრები ტრაგიკული ფონის შესაქმნელად *(ხსნა მხოლოდ არჩევნებშიაო)* ხუნტამ გაგრა და მისი მიმდებარე სოფლები მტერს ჩააბარა, გაწირა და უმწეოდ დატოვა აქ დისლოცირებული ჯარიცა და მშვიდობიანი მოსახლეობაც.

გაზეთის ამავე ნომერში ჯ. გამახარიამ, მართალია, ხელის მოწერა ვერ გაბედა, მაგრამ მანუჩარ ახვლედიანის ფსევდონომით გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც გაასაჯარისა აფხაზეთში იმ დროის *„ქართული“* ხელისუფლების კოლაბორაციული საქმიანობა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის ვაჭრობის საგნად დადგენა.

ამით ჩვენ ჯ. გამახარია ჩამოვაშორეთ მცდარი პოლიტიკის სვლაგეზს და კვლავ მივეცით საშუალება ზ. გამსახურდიასთან მობრუნების. აქ მან, წინააღმდეგორბივი საქმიანობის მიუხედავად, საკმაო ნდობაც მოიხვეჭა და საგანგებო რწმუნებაც ებოძა, თუმცა ეს, როგორც უკვე გითხარით, სხვა დროს განსახილველი საკითხი გახლავთ.

ჩემმა მკითხველმა იცის, რომ 1994-2001 წლებში ჯ. გამახარიასა და მის გარემოცვას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ ჩემს წინააღმდეგ.

გადაუჭარბებლად ვამბობ, რომ ტომებს მოიცავს მათ მიერ საგანგებო, თვით-მარქვია გაზეთებით ჩემზე გავრცელებულ ცილისწამებათა შეკვრები, მაგრამ 2001 წლის თებერვალში მან ბ. დანგაძისა და ვ. მირცხულავას მეშვეობით დაიწყო ჩემთან დაჟინებული მოლაპარაკებები შერიგებაზე, რადგან ამ დროს მისი ყოფილი თანამოსანგრეები მ. ზაქარაია, მ. ხუბუა, ვ. გაბელია და ა. შ. მას დაუპირისპირდნენ.

ჩემის მხრივ, გავითვალისწინე ის, რომ ჯ. გამახარიას თავისი მაღალი პროფესიონალიზმის გამო სასარგებლო საქმიანობა შეეძლო, რითაც ის გამოირჩეოდა მ. ზაქარაიასა თუ სხვათა კაცღმერთული ამბიციებისგან, დავთანხმდი მასთან საქმიან ურთიერთობას, რაზეც მან იმ დღეებში მისი და ჩემი სახელით საგანგებო განცხადებაც კი გამოაქვეყნა ***(არ მახსოვს გაზეთ „ახალ თაობასა“ თუ გაზეთ „ახალ ერაში“, იქნებ ორივეში ერთად)***.

როგორც მოგეხსენებათ, 2004 წელს ნამესტნიკურ ხელისუფლებაში მოვიდა მ. სააკაშვილის ხროვა, 2003-2004 წლების მიჯნაზე განვითარებული განუკითხაობით ისარგებლეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა და მათ პუტჩის გზით თანამდებობიდან გადააყენეს თ. ნადარეიშვილი. თავის მხრივ, ვერ ვიტყვი იგი ანგელოზი იყოო, ის კი არადა, ძალიან საეჭვოდ მოიქცა ზ. გამსახურდიასთვის უმძიმეს დღეებში და კიდევ უფრო ამაზრზენად ითანამშრომლა ე. შევარდნაძესთან, მაგრამ მას ქვეყანა, ასე თუ ისე, უყვარდა და მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე იმავე ე. შევარდნაძის ხელისუფლების მძევალი აღმოჩნდა, ასეთ ვითარებაშიც ცდილობდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ***(აფხაზეთის)*** დეოკუპაცია ქართული სახელმწიფოს ძირითადი პოლიტიკის უპირველეს საკითხად ექცია. ყოველ შემთხვევაში იმ სასიძოსი არ იყოს, რომელიც ამტკიცებდა, ***„ჩემს ძმებს მე ვჯობივარო“***, თ. ნადარეიშვილი თავის ხრწნად გარემოცვასთან შედარებით უკეთესი გახლდათ, რადგან იგი, როგორც ირწმუნებოდნენ, გულწრფელად ნანობდა და თავზე ნაცარს იყრიდა (მათი სიტყვებია) თავისი წინგაუხედაობის გამო.

ამ დროს მ. სააკაშვილის ხელისუფლებაში აღმოჩნდა გ. აბსანძეც, რომელთანაც მე, მისი მადლიერების გამო, კარგი ურთიერთობა მქონდა ***(გახსოვთ, სასამართლოზე გვერდში დავუდექი)***.

გ. აბსანძეს სურდა, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ გაეყვანა ნ. მესხია. მრავალი მიზეზის გამო მე და ჩემს გარშემო მყოფ თანამდგომებს მიგვაჩნდა, რომ ჯ. გამახარია ამ ვითარებაში თუ იგი ***(როგორც თვითონ ამბობდა)*** უხილავ ***„პოლიტბიუროსთან“*** ანუ ჩვენთან მოთათბირებით იმუშავებდა, შევძლებდით, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო გვექცია ქმედუნარიან ინსტიტუციად, აქედან გამომდინარე სასიცოცხლო შედეგებით.

ამ მხრივ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ მალე მომიხდა ამის გამო ნ. მესხიასთან დაპირისპირება. ასეთ წინააღმდეგობრივ ვითარებაში მ. სააკაშვილმა ამ თანამდებობაზე გაიყვანა უსაქმური, გადამგდები და ვირეშმაკი თ. მჟავია, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსათვის ფუნქცია დაზუსტებულიყო და ავტორიტეტი ამაღლებოდა მას. შემდგომში ისე მოხდა, რომ ნ. მესხიამ ჩემზე შურისძიება სცადა და ჩემი გათავისუფლების საკითხიც კი წამოაყენა, მაგრამ მის ასეთ სურვილს მე სათანადო საპირწონე დავუპირისპირე. უახლოეს ხანში ჩვენ დავზავდით და არაერთი კარგი საქმეც გავაკეთეთ. ამას იმისათვის ვიხსენებ, რომ იმ დროს, როდესაც ნ. მესხია ჯ. გამახარიას თანადგომისათვის ჩემზე შურისმაძიებლად იკაზმებოდა, ჯ. გამახარია, რომელმაც დაასკვნა, რომ ბატონი ნაპო ბეჭებზე გამაკრავდა, არ ცდილა ვითარების განმუხტვას, ის კი არადა, თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მას ამართლებდა კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ ჯ. გამახარიას ბუნებაა ასეთი, მე მაინც არ ვნანობ იმ შედეგებს, რომლებიც მოჰყვა ჯ. გამახარიას ძალისხმევას, ჩემთან შემორიგებით მოეგერიებინა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები.

ამ შერიგებიდან გამომდინარე, 2004 წლიდან მე ჩემი ჯერ განყოფილებით, შემდგომში კი დეპარტამენტითა და ჯ. გამახარია თავისი კომისიით ერთ ოთახში განვთავსდით და უნდა ითქვას, რომ ერთობლივად განვახორციელეთ მრავალი, აფხაზეთის დეოკუპაციისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროგრამა. მე შევძელი ჯ. გამახარიას შრომისუნარიანობა ამერიდებინა უსაგნო კინკლავებისაგან, რათა მისი ნიჭიერება არ მოცდენილიყო არაფრისმომცემი თუ მკვდრადშობილი ხელცდუნებებით. სწორედ ამიტომ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ იმ ფასდაუდებელი მონოგრაფიების შექმნაში, რომლითაც მას დღეს საისტორიო თუ ფართო წრეებში იცნობენ, ჩემს მიერ შედგენილ პროგრამებში მისი ჩაბმის ნაყოფიცაა, ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ, როგორც მაშინ მასთან არც თუ გულითადად მყოფმა რ. ქარაიამ უსაყვედურა, ***„სერგიმ მოგაქციაო...“*** მართლაც, იმხანად იგი მარხულობდა, ეზიარებოდა და ა. შ.

უკვე გითხარით, ჯ. გამახარიასთან თითქმის 7 წლის მანძილზე ერთ ოთახში საქმიანობამ და ჩვენი სამსახურის მიერ მომზადებულ მნიშვნელოვან პროექტებში თანამშრომლობამ, რა დასამალია, თავისთავად შექმნა პირობები, რომ მასთან პირადად ან მისი მონაწილეობით ვიწრო წრეში ვასაჯარისებდი ჩემს შეხედულებებს. მე არ ვმალავდი, რომ აგრესიული გლობალიზმის ადგილობრივ მეგზურებსა და ხელისბიჭებს სურდათ საქართველოს სახეზოგადობად ***„დიდების“*** კვარცხლბეკზე აეყვანათ გადაგვარებული და ცოდვით სავსე კაცუნები ან ქალუკები, რომელთა თვით-

დამკვიდრებას თავს მოხვევის წესით ჩვენს საზოგადოებაში ყველა საშუალებით ცდილობენ.

ეს ძალები დაჟინებით ხელგარჯილობენ, რათა ქართველმა ერმა არ იაზროვნოს დედანში, ანუ თავის ვინაობაში, რითაც მას წაერთვა არსებითობის, გნებავთ საგნობრიობის, რაობისა თუ ვინაობის მოვალეობა. რაც ასე, საგანგაშოა. სრულიად საქართველოს ისიც კი დაუყადაღდა, ჰქონდეს უფლება, მზის სხივებმა ჩვენი პირადი ***სხეულის საკუთარი ჩრდილი თავისი დედანი მოცულობით განუფინოს სივრცეს***. ეს კიდევ რაა, ახლა უკვე ასეთი არაბუნებრივობა თავსმოხვეული ადამიანები თავის მხრივ ცდილობენ, მხოლოდ სხვათა ჩრდილების გადმოასლებას დააჯერონ ქართ-ველი ერი. ეს კი ასე მაშინ ხდება, როდესაც შენ არ დგახარ მშობლიურ ფესვებზე. რაც, თავის მხრივ ახარაჩოებს აგრესიას პირადი ვინაობისადმი ***„სხვათა უფლების“*** დაცვის ნიღაბქვეშ.

როდესაც მე ჯ. გამახარიასთან ვწუხდი იმაზე, რომ თაობის სულში სათნოება დაიჭმუჭნა, რადგან მას ვინაობა გაუუპატიურეს, ვინაობას კი მას უუპატიურებენ, ვისაც მოუდუნდება დაუოკებელი წყურვილი თვითმყოფადობისკენ, ეს კი მაშინ ხდება, როდესაც სულის მეტიჩრული გარეუბნობა ***(პროვინციალიზმი)*** საყოველთაო ხდება მეთქი, იგი აღფრთოვანებული მეთანხმებოდა, რომ ძალიან ფხიზელი მზერა მქონდა.

იმაშიც მიკრავდა კვერს, რომ ერის ერთმა ნაწილმა რჯულისკანონის თვალგახელის ნაცვლად სულის მეტიჩრულ გარეუბნობაში ***(პროვინციალიზმში)*** გაღიპიანება არჩია.

მიკვირდა და მიკვირს ისიც, რომ ჩვენი საზოგადოება კრემლიდანური პოლიტბიუროს ნაცვლად ახალ თითისმქნეველს დაეძებს, რომ მან ვერ ისწავლა, - დანაღმულ მინდორზე დავლურს არ ცეკვავენ, რომ ის, რაც კარგია, ყოველთვის არაა კარგი, მაგალითად, ნადიმი კარგია, მაგრამ როცა კუჭი გაქვს აშლილი, საპირფარეშოში ჯობია ყოფნა. რომ უსინდისო ადამიანი უსინდისოს გულით გრძნობს და იმშობლიურებს; ბატონი ჯემალი მეთანხმებოდა, როდესაც ვაცხადებდი, რომ საქართველოში არმენთა შემოხიზნებას, მიუხედავად ცალკეული პიროვნული გამონაკლისისა, მთლიანობაში არასოდეს არ ჰქონდა სახლიკაცური ხასიათი. გრიგორიანული ეკლესიისა და დიდძალი არმენი ხიზნების მოძალებას ქართველი ერი ვერ გავუპირწონეთ. იგი მოუმზადებელი შეხვდა ამ რაოდენობის არმენთა შემობანაკებას და რიგ შემთხვევაში თვითონ გადაგვარდნენ, ანუ გაარმენდნენ. ასეთ დროს არმენთა ახალშენები გადაიქცნენ ე. წ. ***„დიდი არმენიის“*** ნივთმტკიცებად, რადგან მათ შესძლეს ქართული სულიერების გაარმენება და ამისათვის სათანადო **„მტკიცებულებების“** მითადარიგება.

მისთვის საინტერესო იყო ჩემი საუბრები იმაზე თუ როგორ განვითარდა გია ჭანტურიას *„დემოკრატია“* აგრესიული *„უმცირესობების“* ჩასაფრებულ **„დემოკრატიამდე“**.

მე არ ვმალავდი, რომ ნაციონალური მოძრაობა მიმაჩნდა დანაშაულებრივ სიმრავლედ, რომელიც მ. სააკაშვილის წინამძღოლობით საქართველოში აგრესიული გლობალიზმის საოკუპაციო რეჟიმის განმტკიცებას ემსახურებოდა.

იგი ქართველი ერის ნების გაქელვის, ღირსების გაუპატიურებისა თუ სისტემური ბოროტმოქმედებებით აგრესიული გლობალიზმის *(ტექნოკრატიული აშშ-ს)* სადენაციონალიზაციო დაკვეთებს ასრულებდა *(2013 წლის 17 მაისს თბილისში ე. წ. გეიაღლუმის ჩატარების მცდელობამ და მისადმი ამერიკის საელჩოს გამოსარჩლებამ აჩვენა, რომ ე. წ. ჭაობური დემოკრატიისთვის დაუშვებელია საქართველოში ქართველი ერის დედან შინაარსში აღორძინება. ამიტომ, ნამესტნიკური ხელისუფლების პირობებში სახელმწიფო პოლიტიკის სახეს ღებულობს ქვეყნის ინტელექტუალური (სულიერი) ძარცვა)*.

სხვათაშორის, 2013 წლის 20 ივნისს მთავრობის კანცელარიასთან ჩატარდა ე. წ. არასამთავრობოთა აქცია, რომლებიც ე. წ. 17 მაისის აქციის გამოსარჩლებით პედარასტების *„უფლებების დაცვას“* მოითხოვდნენ. არადა, იმ დღეებში ცხინვალის მიმდებარე სოფლებში მშვიდობიან ქართველებს დასტა-დასტა იჭერდნენ რუსი თუ ოსი ოკუპანტები, ხოლო მათი გამოსარჩლებისთვის ჩვენს სატახტოში თავი არავის შეუწუხებია. ჟურნალ-გაზეთები თუ რადიო-ტელევიზიები პედარასტების *„უფლებათა შელახვაზე“* წერდნენ და გაჰკიოდნენ *(გაივლის დრო და წლების შემდეგ, როცა გაეცნობიან ამ მასალებს, მკვლევარები დაასკვნიან, რომ 2013 წელს ქართველი ერის საამბოხო თემა მისი ქვეყნის საოკუპაციო მდგომარეობა კი არ იყო, არამედ სქესობრივი „უმცირესობების“ უფლებების დაცვა გახლდათ)*.

ისიც უნდა ითქვას, რომ 2013 წლის 17 მაისს ე. წ. გეების აღლუმით ქ. თბილისში - რუსთაველის გამზირზე, ერის ამ შეუგინებლობაზე, სხვა სიბილწესთან ერთად, ჩაფიქრებული გახლდათ პოლიციისა და ხალხის დაპირსპირება: მათი გათვლით გეების უტიფრობითა და აულაგმაობით განრისხებული ხალხი დაიწყებდა მათ დარბევას, რომლის დროსაც შეხლა-შემოხლა გადაიზრდებოდა პოლიციასთან ორთაბრძოლაში. სახალხო წინგახედულება არ წამოეგო ამას, მან კაცურად აღკვეთა ეს სიბილწე. *ეს დღე შეიძლება, ჩაითვალოს სამამულო ბრძოლის დღედ.*

ეპოქა თავისთავად გვისვამს კითხვას, როგორი საქართველო უნდა ქართველ ერს და ვინ უნდა ვიყოთ ჩვენ?!

რა თქმა უნდა, ეროვნულ ღირებულებათა დაცვისას არ უნდა დავუზავდეთ შემოთარაშებულ სულის ხრწნადობას და ეს უნდა მოვახერხოთ ზნეობით დაშვებული ყველა ხერხით. ე. წ. არასამთავრობო

ორგანიზაციები, რომლებიც საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან და ე. წ. ადამიანთა უფლების დაცვის ნიღაბ ქვეშ ებრძვიან ქართული გონითი განფენის სივრცეს, ჩამოსაცილებელია საჯარო ასპარეზს. ე. წ. გეი აღლუმის ჩატარებასთან დაპირისპირებისათვის ქართული საზოგადოება დაგმო თომას ჰამარბერგმა: ***„ადამიანის უფლება უნდა დავიცვათო"...***

იბადება კითხვა. ეს "უფლება" თუ ერის უფლებას ლახავს. მაშინ როგორ მოვიქცეთ?! ქართველი ერისათვის ვინმე თომასის თითისქნევის შესაბამისად ქვეყანამ „კეთილი უნდა ინებოს" და ეს ხრწნადი და ათარეშებული „უმცირესობა" (ანუ მტრული ძალების აგენტურა) თავზე დაისვას?!..

ამ ძალებს სურთ ქართველ ერს სამაგალითოდ უხამსობა გაუნიშანსვეტონ. ინფორმაციული ტერორის ქვეშ მყოფ საქართველოს არწმუნებენ, რომ გეი აღლუმთან დაპირისპირებით ***„საქართველო"*** ბნელია ჯერ კიდევ და მზად არაა ***„გასაევროპელებლად" (ამ დროს, უვიცობის გამო, ვერავინ აღნიშნავს, რომ ნამდვილი ევროპელობა, როგორც შინაარსი, გიორგიანელობიდან ე. ი. ჩვენგან აითვლება).***

სამწუხაროდ, ხალხს და ქვეყანას, იმის გამო, რომ უბოდიშოდ ხელყოფენ მის პატივს, გამოსავალს არ უტოვებენ და იძულებულს ხდიან, აგრესიულ ***„უმცირესობათა"*** მიზნობრივ გამოწვევებს ყველა საშუალებით დაუპირისპირდნენ, რასაც ცალმხრივად, ანუ ***„ქართულ დიდმპყრობლობად"*** უშუქებენ დასავლეთს.

ასეთ გარემოში გასაკვირი არაა, რომ თავსმოხვეული ***„საგანმანათლებლო"*** სისტემის ამოცანა ახალგაზრდობის ერისკაცად აღზრდა კი არა, მათი დაგეშვა გახლავთ ე. წ. უმცირესობათა ლიდერად, რისთვისაც მას ყველა საშუალებით გაპირველკაცების ილეთებს ***(თამაშის წესებს)*** აჩვევენ.

ჯ. გამახარია მეთანხმებოდა, რომ საქართველოში ეროვნული უმცირესობა არის მხოლოდ გვიან საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ***(აფხაზეთში)*** შემოხიზნული, დამკვიდრებული და შემოსახლიკაცებული აფსუა ხალხი. სხვა ხალხებს მხოლოდ დიასპორის ანუ სათვისტომოს უფლება აქვს. ქართულ საზოგადოებასთან ნებისმიერი მათგანის ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე უნდა მოხდეს.

ამასთან ერთად, საქართველომ უნდა გაიპიროვნოს ჩრდილო-კავკასიელი ხალხების ეროვნულ-სახალხო მარადიულობაზე და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე მათ უფლებათა დაცვის, ხელშემწყობისა და მხარდამჭერის ***(ლობისტის)*** მოვალეობა.

როდესაც მე ვუამბოხდებოდი იმას, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ქვეშ მიზნობრივად ხდებოდა კეთილისა და ბოროტის, სულიერი სიწმინდისა და სულიერი ხრწნადობის უფლებრივი გათანაბრება, იგი მეუბნებოდა, რომ სიმართლე არა ნაცმოძრაობის ***„სახელმწიფო"*** პოლიტიკაში, არამედ ჩემს სულისკვეთებაშია.

გამომდინარე იქედან, რომ ნებისმიერ მოვლენას თავისი მოცემულობა აქვს, ხმაბაძვითი თაობა, როგორც აგრესიული გლობალიზმის დასაყრდენი, იპიროვნებს და ასრულებს სარეველამზიდის, ენის დამნაგვიანებლის, ერის სააზროვნო წესის გამაუკუღმართებლის მოვალეობას, რაკიღა მან არ იცის მშობლიური ენის თავისებურებები ან კიდევ ის ჩამორჩენილობად მიაჩნია, თავის *„გამოსულობას“* ამგვარების ანუ ასეთი *„ქართულით“ „ამკვიდრებს“: „ლაითში ვნახე“ და ა. შ. ...*

ამ თაობას სალაპარაკო, უფრო ზუსტად კი საერთო არაფერი აქვს სამშობლოსთან, რადგან თაობა და ქვეყანა ერთ ენაზე ვერ საუბრობენ. თაობის ყოფაქცევა, სულისკვეთება, აზროვნების წესი ასცდა ეროვნულ სვლაგეზს *(ისეთი ცნება, როგორიცაა ერი და სამშობლო, დრომოჭმულიაო, განაცხადა ევროკავშირისა და ლიტვის პრეზიდენტმა 2013 წლის 17 ნოემბერს)*.

მე ვეუბნებოდი ჯ. გამახარიას, რომ როდესაც ქვეყანაში საოკუპაციო ძალადობა დანავარდობს, შეიძლება, სახელმწიფო კი აშენდეს, მაგრამ სამშობლოს მასში (სახელმწიფოებრივ ბიუროკრატიაში) ჩაძირვის საფრთხეც წარმოიშობა, ასეთ დროს ავმოსურნეთა ფაჩი-ფუჩი არ უნდა გაგეპაროს, თორემ ბრაგა-ბრუგს ყრუც კი გაიგონებს. მონობას *(ოკუპირებულ კონტინგენტს)* ახასიათებს მოთხოვნილება მის მაგივრად პატრონმა იაზროვნოს.

ხელისუფლებას არანაირი ადგილი არ რჩება საქართველოს სულიერ ფასეულობათა მიმოწაფებისთვის. ცხადზე ცხადია საფრთხე, ვიქცეთ გამქრალი კულტურის ექსპონატად, რადგან თავს მოგვახვიეს პროგრამა, რომლის მიხედვით თაობიდან თაობაში ცვლა წავიდეს არა იგივეობრივი, არამედ, *სხვათა ჯიშისმიერებით.* დიახ, ამ თაობამ სამშობლო ვერ გაიბუნებრივა, ვერ გაუშინაურდა მას, ვერ გაიპიროვნა ამ მიწის შვილობა. იგი თარგმნილი აზროვნებით დააბიჯეებს ამ მიწაზე *(სანდრა რულოვსმა ქალური სიტუტუცით წაიტრაბახა: „როცა მიშა და მე მარტო ვრჩებით, მხოლოდ ინგლისურად ვლაპარაკობთო“, (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2013 წ. 23 აგვისტო)*. ერთიც და მეორეც არშემდგარი ამერიკელია და იმიტომ.

როდესაც ახალგაზრდები ქორწინების სასარეცლო პირველ ღამეს თავიანთ სარეცელში არ იზიარებენ და ეს სახაზინო ვითარებაში ხდება, მათი შვილი ვერ გახდება ერისკაცი. *სარეცელი არაა პირველივე საწოლი, სარეცელი თავშესაწირი შეუგინებლობაა!..*

ის, რომ 100 000 ინგლისურენოვანი პირველივე შემხვედრი, სათანადო ცოდნისა და ზნეობის გარეშე ქართული სკოლის მასწავლებლადაა მოწვეული, ამის ნამდვილი მიზანი ქართული სკოლის დანგრევაა. ამათგან რამდენია დაავადებული შიდსით თუ სხვა ვენერიული სენით, ამის უმკაცრესი შემოწმება და აღრიცხვა ჩაატარა ვინმემ?!

არადა, სასიცოცხლოდ აუცილებელია იმის გარკვევა თუ ვის ვღებულობთ, ვის ვიხიზნავთ საკუთარ ჭერქვეშ, - სახლიკაცს თუ უძღებ

შვილს, რომელიც შემდგომ შეეცდება, ჩვენს მიწაზე ჩვენ გვაქციოს უმცირე-სობად *(საინტერესოა და შეადარეთ რუსისტულ „ფლობდეს“ (Владей: Владикавказ).*

მასას, ნახირს, ბრბოს (აქ არ ვგულისხმობ ცხოველს) არა აქვს გაოცების უნარი, ეს კი მოვლენის შეცნობის დასაწყისია და იგი მხოლოდ ცნობიერებისა და ვინაობა შერჩენილის თვისებაა.

ჩვენს თვალწინ თაობისთვის სამშობლო იქცა აბსტრაქციად, მას ენაცვლება სახელმწიფო, რომელიც წესით სამშობლოს მარადიულმყოფი უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არაა ყოველთვის. წარსულს უნდა დავემყნოთ, არ უნდა მოვინდომოთ მისგან თავდაღწევა, სხვა შემთხვევაში მისგან გარდუვალი შურისძიებაა მოსალოდნელი.

როცა ირღვევა თაობათა ჯერმონაცვლეობაში სულიერი ერთიანობა (შეადარეთ უილიამ შექსპირის დროთა კავშირი „ჰამლეტიდან“), იკარგება ერის გამაერთსხეულებელი ხაწა. სამაგიეროდ, მას ენაცვლება კოლექტიური, ჯოგურ კრებითობითობაში ცხოვრება.

თაობას თვითდამკვიდრების ხანა უდგას. თვითმყოფადობის მოპოვებისას მას ერის მდინარებიდან გამოცალკევება სურს. არადა, უვინაო კაცი პირსისხლიანი მგელი ხდება ან უპატრონო ტარიგი. ორივე მკვდრადშობილის მდგომარეობაა.

...და ბოლოს, ვინ უნდა იქცეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში *(აფხაზეთში)* დომინანტად, აფსუა თუ აფხაზი *(ქართველი)*, ხიზანი თუ მკვიდრი?! ხსნა მხოლოდ მათ სახლიკაცურ ურთიერთობაშია.

არ ვიცი რამდენად ქმედუნარიანი, მაგრამ ამგვარი გახლდათ ჩემი იამბეები ბატონ ჯ. გამახარიასთან, რასაც იგი ძალიან მაღალ შეფასებებს აძლევდა პირად საუბრებში თუ ჩემი წიგნების განხილვებზე.

ის კი არადა, ერთხელ ჯ. გამახარიას ისიც კი ვუთხარი, რომ გასასტიკებული კომუნიზმის, იგივე რუსიზმის საცდელი სადგურიდან საქართველო გადააქციეს-მეთქი აგრესიული გლობალიზმის, ანუ აშშ-ს საგანგებო მეურნეობად, სადაც მიზნობრივად და ჯოგური წესით გამოჰყავთ შვონდერ-შარიკოვები *(შეადარეთ ე. წ. არასამთავრობოების გამომეტყველება მ. ბულგაკოვის უკვდავი მოთხრობის „ძაღლის გულის“ სათანადო სახეებს)*.

ამას წინათ *(2013 წლის მაისში თუ ივნისში)* ლონდონში ემიგრანტთა ერთმა ჯგუფმა მოკლა ინგლისის მოქალაქე *(თუ არ ვცდები ჯარისკაცი)*. იმწუთსვე ამ ქვეყნის მოსახლეობა ერთ ხმაში, ქუდზეკაცური წესით დაირაზმა და სახალხო ამბოხად ჩამოყალიბდა.

იმავე ხანებში *„ქართულმა“* ტელევიზიებმა და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში *„რუსთავი-2“*-მა *(7.07.2013 წ.)* მთელი გადაცემა მიუძღვნა იმას, თუ როგორი *„არშემწყნარებელი“*, აგრესიული ერია ქართველობა.

როგორც ირკვევა ე. წ. არასამთავრობოებმა იმისათვის, რათა, ჯერ ერთი, დედა ეკლესიისთვის შეეტიათ და მეორეც, ამისთვის სათანადო ფინანსები გამოეთხოვათ თავიანთი პატრონებიდან, თავად მოაწყვეს გურიის სოფელ სამთაწყაროში ***„მუსლიმების შევიწროება“***. ამ მხრივ ქართველების დაბეზღებას მიზანმიმართული ხასიათი მიეცა შემდგომში, რისთვისაც ***„მუსლიმების შევიწროებამ“*** ორგანიზებული ხასიათი მიიღო აჭარიდან გამოსული ქართველებით დასახლებულ მთელ რიგ სოფლებში ქვემო ქართლსა, ადიგენის რაიონსა თუ სხვაგან. ქართველების დაბეზღებას მხარი აუბა აშშ-ს ელჩმა, საქართველოში ხელოვნურად და მიზნობრივად შექმნილი ე. წ. ევანგელისტური ეკლესიის ***„წინამძღვარმა“*** და ა. შ. ზოგჯერ ქმუსლიმთა შევიწროებად“ ცხადდება ოსმალეთის იმპერიაში ენის უთქმელი სისასტიკით გამაჰმადიანებულ აჭარელ ქართველთა მობრუნება წინაპართა სარწმუნოებაზე (მართლმადიდებლობაზე). ამ მხრივ თვით ბ. ივანიშვილმაც საგანგებო ბრიფინგზე ***„თავგასულ“*** ქართველებს ჩააზილა სათანადო წიხლი.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, იმ დღეებში ***(5.07.2013 წ. „ერთსულოვნება“)*** აზერბაიჯანის მიერ მიტაცებულ ჰერეთში იქაურმა ხელისუფლებამ უკიდურესად შეავიწროვა ქართველები და აუკრძალა მართლმადიდებლური ლოცვა. გარდა საპატრიარქოს ტელევიზიისა, არც ერთ ტელე, რადიო თუ ბეჭდურ საშუალებას არ გამოუთქვამს თავისი წუხილი ამასთან დაკავშირებით. მით უფრო, ეს აზრადაც არ მოსვლიათ ვითომ ე. წ. არასამთავროებს, რომლებიც საყოველთაო განგაშის წესით, ***„ქართული დიდმპყრობლობისგან“*** იცავენ ე. წ. უმცირესობებს მაშინაც კი, როცა ამ უკნასკნელთ საჯდომზე ეკალი შეერჭობათ ჩირგვებში საკუთარი ნებით მესაჯდომეობისას.

ამავე დღეს ***(6.07.2013 წ.)*** საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხით, რომელიც ქართველი ერის დანაზოგით მაუწყებლობს, ვინმე გოგი გვახარიამ დაიწუნა ქართული სამწერლო ენა ***(მწიგნობრული მეტყველება)*** და მოითხოვა კულტურის ენის ბრბოს მეტყველებამდე დაყვანა.

ბუნებრივია, ჩემი შეშფოთება იმის გამო, რომ საქართველოში ჭაობური ***„დემოკრატიის“*** სახმობზე ფეხაწყობილი სიმრავლე დიდი სიამოვნებით არ ილაპარაკებდა დედაენაზე, ანუ ქართულად, რომ არა იმის აუცილებლობა, რომ ამ შემთხვევაში იგი საზოგადოიებასთან ვერ იურთიერთებდა ***(როგორც ისინი ამბობენ: „კომუნიკაციას ვერ იზამდა“)***, რადგან ქართული მათთვის მშობლიური კი არა, გაგებინების საშუალება გახდა მხოლოდ, თავის მხრივ ქართულმა სახალხოობამ არ იცის ის ენა, რომლითაც ესენი თვითმკვიდრდებიან. ისინი ამ ***„ენით“*** კი არ აზროვნებენ, საკუთარ რეფლექსებს ახმოვანებენ. როგორც ერთხელ უკვე მოგახსენეთ, ამგვარი დამოკიდებულება დედაენისადმი ერის ეროზიას იწვევს. თაობამ თავისი ასეთი ყოფაქცევით მორალის წითელი ხაზი გადაკვეთა უბოდიშოდ. ყოველივე

ამის გასწვრივ ის, რომ საქართველოში წლის განმავლობაში 800 ბავშვამდე შიმშილით კვდება, არადა, უდაბნოში კი არ ვცხოვრობთ, - მარადმწვანე ქვეყანაში... ვინაა გამკითხავი, ამ ბოლო ხანს საქართველოში 164 სოფელი გაუქმდა, ხოლო 170 სოფელში მხოლოდ 10 კომლი ცხოვრობს... საქართველო იქცა ზნეობრივი დაცემების უფსკერობათა დასურათხატების სახელოსნოდ. ერის საყოველთაო გამდაბიურება, სათავზარო უგემოვნებობა სახელმწიფო პოლიტიკის სახეს ღებულობს. ქართველთა მამულზე დღეს მოსაქმიანე სახელმწიფო არ ზრუნავს ქართველი ერის მარადიულყოფისთვის. აქედან გამომდინარე, საზოგადოების სააზროვნო სინჯი განპირობებულია არა ეროვნული ინტელექტით, არამედ თავსმოხვეული ვირეშმაკობით. ჩემს მტერს მოენატროს საბჭოთა კავშირი, მით უფრო, მისი ასიმილატორული პოლიტიკა, მაგრამ იმ პირობებში ახალ ტერმინთა გადმოქართულებაზე სახელმწიფო ზრუნავდა და უნდა ითქვას, რომ არც თუ ცუდად. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და განსაკუთრებით 2003 წლის ე. წ. ვარდების რევოლუციის აქეთ უცხოური სიტყვებისათვის ქართული შესატყვისების დაძებნა არა თუ ჩამორჩენილობად, - იგი ე. წ. სახელმწიფო ინტერესების ღალატად და ევროპისკენ მტრულ გახედვად ფასდება, შესაბამისად, უცხოურს ქართულ მეტყველებაში ასე უბოდიშოდ თავისი სინტაქსით, მორფოლოგიითა და ფონეტიკით ამკვიდრებენ. ამდენად, ქართული ბგერებიც გაინგლისურებულია. ერს აიძულებენ, უარი თქვას საკუთარ ვინაობაზე, ***საზოგადოების თანმიმდევრული გამოთაყვანება ქვეყნის ნამესტნიკური ხელისუფლების "განათლების" საპროგრამო მოთხოვნილებაა***. ე. წ. დემოკრატიამ მიიღო ქვეყნის ხავერდოვანი ოკუპაციის სახე, შედეგად ქართველ ერს დღეს არ გააჩნია სწორი დროითი, გნებავთ ხარისხობრივი მიზნები!..

დიახ, მეთქი, აი, ასეთ თემებზე ვსაუბრობდი მე ჯ. გამახარიასთან და მათ ასახვას ჩემს წიგნებში, როგორც უკვე მოგახსენეთ, იგი მაღალს კი არა, უმაღლეს შეფასებას აძლევდა, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი რჩევებიც.

***

მოხდა ისე, რომ აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარედ გ. ბარამიას დანიშვნისთანავე ჯ. გამახარიასა და მას შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. ამ დაძაბულობის გაღვივებას ხელს უწყობდნენ გ. გვაზავა, ა. წოწონავა, თ. ხუბუა, რ. ცატავა და არამხოლოდ ისინი.

საქმისთვის, რომელიც ფეხებზე ეკიდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს, ეს იმთავითვე დამღუპველი იქნებოდა, ამიტომ მე დავიწყე ჯ. გამახარიასა და გ. ბარამიას შორის ურთიერთობის დათბობა. რასაც მოჰყვა ის, რომ გ. ბარამიამ გადასინჯა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე თაღლითი და ბაცაცა გ. გვაზავას ნაცვლად ასეთივე ა. წო-

წონავასა და რ. ცატავას განხილვა და თავისი არჩევანი, როგორც მაშინ მე-გონა, სავსებით სწორად ჯ. გამახარიაზე შეაჩერა. ვფიქრობდი, - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან ეს ყველაზე სწორი გამოსავალი იმიტომ იქნებოდა, რომ ჯ. გამახარია პირობას იძლეოდა *(ამაზე ერთხელ უკვე ვისაუბრეთ)*, სანამ იგი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას არსებულ არაკომპეტენტურ პრეზიდიუმზე შეუდგებოდა, მას უხილავ სახალხო *„პოლიტბიუროზე“* ჩვენთან შეათანხმებდა.

როგორც ჩემი წიგნებიდან გახსოვთ, მოხდა ისე, რომ 2010 წლის აგვისტოში სამეურნეო საქმეების დეპარტამენტის უფროსმა ზ. ზარანდიამ ბოროტმოქმედებებში სახალხოდ ამხილა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გ. გვაზავა.

ამ დროს მე სურამში ვატარებდი შვებულებას. როგორც ადრეც გაუწყეთ, ჩემთან ჩამოვიდა იმ დროს რ. ცატავას გასწვრივ თავმჯდომარის სავარძლისთვის მებრძოლი ა. წოწონავა და წამომიყვანა, რათა საქმეში ჩავბმულიყავი, *„შვებულება უნდა შემეწყვიტა, რადგან მდგომარეობა აირია და დასალაგებელიაო“.*

აქ უნდა გავაცხადო ერთი ამბავი, რომელიც გარკვეული მოსაზრებით დღემდე არ მითქვამს. საქმე ისაა, რომ სურამიდან მე კი არ დავურეკე, როგორც ეს წინათ განვაცხადე ჯ. გამახარიას შესანიღბად, თვითონ ჯ. გამახარიამ დამირეკა და მან ანზორზე უფრო ადრე მითხრა, რომ ჩემი ჩამოსვლა იყო საჭირო, რათა აღგვედგინა წესრიგი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში. ილორის წმინდა გიორგის მადლმოსილი ხატის წინაშე ვგულახდილობ, რომ ასე იყო ეს: ჯ. გამახარიამ შუაღამით დამირეკა, ჰარიქა, ახლაა დრო და შემომეშველე, სასწრაფოდ ჩამოდი, საჭირო ხარო *(კვლავ ვადასტურებ, ვინაიდან მას საჭირო ხმები გ. გვაზავას მომხრეებშიც უნდა დაეძებნა, ჩვენ ვნიღბავდით ჯ. გამახარიას სვლებს)*.

დასამალი არაა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთი ნაწილი ამ დროს *(დღემდე)* გახლდათ უკიდურესად არაკომპეტენტური, ბაცაცობისკენ მიდრეკილი. გ. გვაზავამ თავის თანამოსაქმეებთან ერთად იგი ჩაძირა უსაშველო ხელმრუდობაში. ამ მიზეზების გამო საზოგადოებრიობის მხრიდან ხშირად იმართებოდა საპროტესტო აქციები.

თავის მხრივ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს გამობრძმედილი პროვოკატორები *(გ. გვაზავა, ა. წოწონავა, გ. ლომინაძე, დ. გვაძაბია და ა. შ.)*, გრძნობდნენ რა იმას, რომ გ. ბარამია, მართალია, საკმაოდ რუნგუ კი იყო, მაგრამ ნაცების მხრიდან მის ნდობას მოხერხებულად გამოიყენებდა აფხაზეთის დევნილი საზოგადოებრიობის ერთი, საკმაოდ წინგახედული და ჯანსაღი ნაწილი, რომელმაც იგი ამ პოსტზე მოიყვანა, ამიტომ გ. გვაზავა და მისი თანამოსაქმეები ყოველმხრივ ცდილობდნენ, შეეფერხებინათ აფხაზე-

თის ა/რ-ის მთავრობაში დაწყებული ანტიკორუფციული იმპულსები. ამისთვის ისინი, სამწუხაროდ, თავიანთი დივერსიული ხელგარჯილობით, სახელმწიფო რესურსების გამოყენებითა და ყოვლისმკადრებლობით უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ, რაც ჩანს იმაშიც, რომ მათ შესაშური სიმარჯვით მოიგეს *(ყოველ შემთხვევაში დღემდე)* ეს ნომენკლატურული შერკინება, მაგრამ ეს მოხდა მერე. მანამდე კი გ. გვაზავას ბოროტმოქმედულ თანამოსაქმეებს ყოფნა-არყოფნის დღეები ედგა და რომ არა ჯ. გამახარიას, ზ. ზარანდიასა და სხვათა სიმხდალე თუ გაუმართლებელი ყოვნი *(როგორც ჩანს, გადაბირებაც კი, რადგან ჯ. გამახარია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დააწინაურეს, ხოლო ზ. ზარანდია - რომელიღაც დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ)*. ეს ბოროტმოქმედული ხროვა ამ სახალხო სადავეებს თავისი ნებით ტოვებდა. ისინი უკვე იხვეწებოდნენ, *„არ დააჭერინოთ ჩვენი თავიო“*. პირველი წარმატება გ. გვაზავას ბანაკში მოიპოვეს მაშინ, როდესაც გ. გვაზავამ და ა. წოწონავამ საურთიერთო შარაგზა გაიგულითადეს საქართველოს კონტროლის პალატის მესვეურთან ლევან ბეჟაშვილთან, რომელსაც რაღაც ნათესაური კავშირი აქვს ა. წოწონავას ყოფილ მოადგილესთან ა. არღვლიანთან *(ა. წოწონავა ერთ დროს იყო შს გულრიფშის რაისამმართველოს უფროსი, ა. არღვლიანი კი მოადგილე)*. მოკლედ, გეგმა მარტივი იყო, გ. გვაზავას *„პირადი“* განცხადების საფუძველზე კონტროლის პალატა გამოგზავნიდა კომისიას, რომელიც დადებდა იმ დასკვნას, რაც გ. გვაზავასა და კომპანიას *„გაამართლებდა“*.

ამასობაში, როგორ კი *„კომისიამ“* მუშაობა დაიწყო, გ. გვაზავამ *„შეირიგა“* ზ. ზარანდია, მანაც უკან დაიხია კი არა მარტო, *„კომისიას“* საშუალება მისცა, დაეწერა ისეთი მოკვლევა, რომელშიც გ. გვაზავას მიმართ უმნიშვნელო *„დარღვევები იმხილებოდა“*, რაც მან *„მოინანია“* და *„გამოასწორა“*, ხოლო ზ. ზარანდია, როგორც ყოველივე ამაში *„დამნაშავე“*, სამსახურიდან გაათავისუფლა... მხოლოდ ამის შემდეგ წაიშინა თავში ხელები ზურაბმა, მაგრამ უკვე მისივე ნებართვით თვითონ რომ იჯდა, ის ტოტი იყო მოჭრილი.

ამ ვითარებამდე ჯ. გამახარიას აფხაზეთის საზოგადოებრიობიდან დაევალა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმზე განსახილველად გაეტანა საჩივრები გ. გვაზავას მიმართ, რომელშიც თავმჯდომარე იმხილებოდა კორუფციასა და ბიუჯეტის სახსრების არამართლზომიერ ხარჯვაში.

რაღაც ფაფხური მან ამ მიმართულებით კი დაიწყო, მაგრამ გ. გვაზავამ ვირეშმაკული ილეთებით გააუვნებელყო ყველა ესენი.

ყოველივე ეს, ანუ ის, რომ გ. გვაზავა დაუსჯელად აყრიდა თვალებში ნაცარს დევნილებს, აფხაზეთის საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი აღაშფოთა. იგი ჯ. გამახარიასგან, როგორც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლისგან უფრო გაბედულ მოქმედებას მოითხოვდა. მათი აზრით, გ.

გვაზავასა და მისი თანამოსაქმეების ასე დაუსჯელად ამ თანამდებობაზე ყოფნა შეურაცხმყოფელი იყო აფხაზეთის საზოგადოებრიობისათვის.

აქედან გამომდინარე, 2011 წლის თებერვლის ბოლოსკენ ჩემს სახლში შეიკრიბნენ ჯ. გამახარია, ზ. ზარანდია და კიდევ ***„ვიღაცეები“***.

განხილული იქნა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში წესრიგის აღსადგენი გზები.

მანამდე ჯ. გამახარია ესაუბრა გ. ლომინაძეს, რომელიც მისი თქმით დაპირებია, რომ ***„გ. გვაზავას ყურით გამოათრევდა პრეზიდიუმიდან“...*** ჩემის მხრივ გენო კალანდიას ვესაუბრე. იმანაც გ. გვაზავას, როგორც სახელგატეხილი კაცის გადაყენება მოიწონა და მხარდაჭერას დამპირდა. უფრო ფრთხილად, მაგრამ კაცურად მიპასუხა კაკო გასვიანმა მისი ძმის - ვახტანგის მეშვეობით: ***„ვნახოთ რას იზამს ჯ. გამახარია, "ბუდუ დეისტვოვატ პო სიტუაციუ“-ო*** და არც იმას დაგიმალავთ, რომ გ. ბარამიასთან ჯ. საჯაიას მეშვეობით ეს ნაბიჯი შეთანხმებული გახლდათ.

ჩემს სახლში შეკრებილთ მე განვუცხადე, რომ მოქმედების კულმინაციურ რეგლამენტს ვერავის ვანდობდი, მარტო ორპირ გ. ლომინაძეზე, გ. კალანდიაზე, ა. გასვიანზე და ა. შ. დაყრდნობა სახიფათო გათვლა იქნებოდა. საჭირო იყო უფრო ქმედუნარიანი და შედეგის მომტანი ძალისხმევა. რადგან ის, ვინც ბოლომდე დადგებოდა, გახლდათ აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი ***(პროფესორი გ. კილასონია)***, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესურის ჯგუფი და თბილისის საზოგადოებრიობის ასევე საიმედო და ნაცადი ნაწილი ***(პირველ რიგში თავად-აზნაურობის საზოგადოება...)***. ეს ძალა საკმარისი იმ შემთხვევაში იქნებოდა თუ რადიკალური ნაბიჯი შიგნით, თვით დეპუტატთა შორის გადაიდგმებოდა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ შეკრებილებს შევთავაზე შიმშილობა. მას პირველად მე დავიწყებდი, სხვადასხვა სახით მეორე დღიდან შემომიერთდებოდნენ საზოგადოებრიობის ჯგუფები, რაც მთავარია, ჯ. გამახარიაც უნდა ჩართულიყო ღიად, რადგან იგი, როგორც დეპუტატი და პრეზიდიუმის წევრი, სულ სხვა ელფერსა და სტატუსს შესძენდა საპროტესტო ძალისხმევას.

მოკლედ, გადაწყდა: წერტილი უნდა დაგვესვა განუკითხავი ბოროტმოქმედებებისთვის, რათა სახელისუფლებო ბერკეტები მოგვექცია ზნეობისგან და კანონისგან მოსადავებულ ხელებში. ასეთი გახლდათ რამოდენიმე ერისკაცის დაკვეთაც.

სამწუხაროდ, ჯ. გამახარიას სიმხდალემ თუ გაუმართლებელმა ყოვნმა, კიდევ უფრო მისმა იმდღევანდელმა ***(28 თებერვალი, 2011 წ.)*** ინტერვიუმ, გ. გვაზავას, რომელიც უკვე გადასადგომად ემზადებოდა, საშუალება მისცა მას, დრო გაეწელა და მისთვის საზურგისქარო ძალები მოეთადარიგებინა.

ყველაფრის მიუხედავად, მე ჯ. გამახარიას ღალატში არ ვადანაშაულებ, რადგან ქართული ანდაზა - ***„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“***, მეორე კლასში მქონდა ნასწავლი და ესოდენ დიდი ნაბიჯის წინ უნდა გამეთვალისწინებინა: ***1. ღირდა კი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საზოგადოებრიობის ერთი ნაწილის ღირსებისთვის თავგანწირვა, რადგან მან ეს ღირსება ვერსად ვერ გამოავლინა და იგი ეთნოკრატიისგან დაქუსლულ ბრბოდ იქცა; 2. აფხაზეთის საზოგადოებრიობამ მე არც 1990 წელს და არც 1991-92-93 წლებში დამიფასა მისთვის თავდადება და არ გამოიმეტა ჩემთვის სამართლიანი გამოსარჩლება, პირიქით; 3. ასე გზამოჭრილად რატომ უნდა მივნდობოდი ჯ. გამახარიას, რომელსაც ურთიერთობაში არასოდეს გამოუჩენია თავი პირმტკიცობით?!***

ამის შემდეგ, ცოტა ხანში მეც გამათავისუფლეს სამსახურიდან, შემდგომ თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ეს კარგად მოეხსენებათ იმათ, რომლებმაც ჩემი წინა წიგნები გადაათვალიერეს თუნდაც.

სამსახურიდან ჩემი შანტაჟის გზით დათხოვნის შემდეგ, ძალაში რჩებოდა რა ჩვენი შეთანხმება, ჩვენ (მე და ჯ. გამახარია) კონფიდენციალურ პირობებში ვხვდებოდით და ერთმანეთთან ვათანხმებდით სამოქმედო გეგმებს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ელიტური კორუფციის წინააღმდეგ. ახლა რაღა დროსია, მაგრამ უკვე ვხედავ, რომ ჯ. გამახარია ყოველთვის იტოვებდა მშრალ ბაქანს, რომელზეც ფეხდაუსველებლად შეეძლო გარიგება მოწინააღმდეგესთან.

ვინაიდან ჯ. გამახარიას მოსვლა ამ ინსტიტუციის ხელმძღვანელად დამოკიდებული იყო დეპუტატების ხმათა რაოდენობაზე, იმ დროს კი ჯ. გამახარიას ისინი თვლიდნენ ***„ჩემს მომხრედ“***, სხვათა დასანახად მე დავიწყე მისგან დისტანცირება და რიგ შემთხვევაში ***„დაპირისპირებაც“*** კი. იგივეს გაკეთება ვურჩიე მას.

სამწუხაროდ, მან ამაში არათუ დამიჯერა, ყოვლად უღირსებოდ და თავზე ნაცრის გადაყრის წესით დაიწყო გ. გვაზავას ***„ლეღვისფოთლობა“*** და ამ უკანასკნელის ***„ხელმძღვანელობით“*** მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარება, რომელთა არსში გ. გვაზავას კიდევ წლები სჭირდება, რომ გაერკვეს, თუმცა... საქმეში ჩაუხედავისთვის ეს ***„გ. გვაზავას ღონისძიება“*** გახლდათ.

ასეთ ძალისხმევას ჯ. გამახარია, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის კვირაში ორჯერ ***(მეტნაკლებად)*** საქმიანი შეხვედრები გვქონდა, ჩემთან შეუთანხმებლად მიმართავდა. მეორე, რაც ჩემი გაფრთხილების საწინააღმდეგოდ მან გააკეთა, ის იყო, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე თავი დაივალდებულა ნაცმოძრაობის ***(მ. საკაშვილის)*** სასარგებ-ლო აგიტაცია გაეწია ზუგდიდში. ვერ ვიტყვი, რომ წინასწარგანზრახულად, მაგრამ ზუგდიდში დევნილებთან შეხვედრისას, როგორც თვითონ ამბობს დღეს, გადაეყარა როლანდ ახალაიას, რომელთანაც საკმაოდ გულმხურვალე ხელჩამორთმევა გამოუვიდა, რაც მასზე უფრო ვირეშმაკმა ჩასაფრებულებმა ფირზე

გადაიღეს. ნაცმოძრაობა დამარცხდა, ხოლო ჯ. გამახარიას, რომელმაც მ. სააკაშვილის *„გამომსარჩლებელი“* დეპუტატების საპირწონედ *„გადაიჭრა ვენები“*, ამდენი შრომა წყალში ჩაეყარა. ამას ისიც დაემატა, რომ მ. სააკაშვილის *„ამ მოსარჩლეებმა“* სხვადასხვა ჯგუფების სახით, ერთმანეთის დასწრება დაიწყეს მ. სააკაშვილის ბანაკიდან ბ. ივანიშვილის მხარეზე გადასასვლელად (2013 წლის 26 სექტემბერს "ტელეობიექტივში" 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის გასხვისებასთან დაკავშირებით გამოვიდნენ გ. გვაზავა და გ. კალანდია, მათ (განსაკუთრებით გ. გვაზავამ) აგინეს ე. შევარდნაძესა და მ. სააკაშვილს. დიახ, ეს ის ადამიანები გახლავან, რომელთაც მ. საკაშვილის სამართლიანი კრიტიკის გამო მიჩივლეს „სადაც ჯერ არს“ და სამსახურიდან გამაძევეს).

ჯ. გამახარიას კი შერჩა *„ნაცმოძრაობის თანმიმდევრული დამცველის“* სახელი, რასაც უკვე აყვედრიდნენ *„გუშინდელი“* მიშისტები და ამის შესახებ მოძიებულ მტკიცებულებებს უფრიალებდნენ. აქ გასაკვირი არაფერია, ასეთია ვირეშმაკული ნაბიჯების შედეგი.

არადა, ჯერ კიდევ 2012 წლის აგვისტოში მე მას ვაფრთხილებდი, რომ აგრესიულ გლობალიზმს, რომლის საოკუპაციო პროგრამასაც ანხორციელებდა არსებული ნამესტნიკური *„ხელისუფლება“*, გაშიფრული და სახელშელანძღული მ. სააკაშვილი არ სჭირდებოდა, მას *ერისკაც“* ბ. ივანიშვილით ჩაანაცვლებდა. არ დამიჯერა, როგორც ჩანს, მასზე გავლენა იმანაც იქონია, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ის სადეპუტატო ჯგუფი, რომელმაც მ. სააკაშვილთან დამაბეზღა მის მიმართ პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობისათვის, უკვე, მართალია, იატაკქვეშურად, მაგრამ მაინც საქმიანობდა ბ. ივანიშვილისათვის. ასეთ პირობებში ჯ. გამახარიას გათვლით არჩევნების შემდეგ, როდესაც ნაცმოძრაობა კვლავ გაიმარჯვებდა, იგი თავში წამოუსკუპდებოდა მ. სააკაშვილისადმი ორპირ დეპუტატებს.

ეს ასე არ მოხდა, პირიქით, ჯ. გამახარიამ წააგო თავის გათვლებში. მეორე დავიდარაბა, რაც ამას დაემატა, ის იყო, რომ მთავრობის თავმჯდომარე გ. ბარამია *(ნაცმოძრაობის კადრი)* 2011 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ *(ბ. ახალაიამ მამაკაცური ღირსება შეულახა და სასიკვდილოდ სცემა)* სინამდვილეში ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამასობაში ბ. ივანიშვილმაც გაიმარჯვა. ამით მან (გ. ბარამიამ) ფუნქცია დაკარგა. ყველაზე მოუგვარებელი ის გახდა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო მას უკვე ხერშვინით ხვდებოდა *(მალე „გადადგა“ კიდეც)*.

ჯ. გამახარიამ ახლა უკვე ააჩქარა საზოგადოებრიობის იმ ნაწილისგან გამიჯვნა, რომლებიც ნაცმოძრაობის რჩეულ გ. ბარამიასთვის კვლავ უშედეგოდ ცდილობდნენ მისგან ვერნაზიდი ტვირთის აკიდებას.

თავისთავად ასეთი სურვილი არაა დასაძრახი, - გ. ბარამიამ თუ არ ივარგა, რად უნდა გადაჩეხილიყო მასთან ჯემალიც, თვითონ გ. ბარამია გააკეთებდა ამას?!.

გასაკიცხი აქ მხოლოდ ისაა, რომ ჯ. გამახარიამ ე. წ. ***„კანტროლკა“*** დაახალა გუშინდელ მოკავშირეს და თაღლითი გ. გვაზავას პირობები მიიღო, ანუ მისი თანამოსაქმე გახდა, რასაც მხოლოდ ღირებულებათა დათმობით მიაღწია.

იმისათვის, რომ ჯ. გამახარია ნდობაში შესულიყო უკვე მოძლიერებულ, ანუ „გაოცნებებულ“ გ. გვაზავას ბანაკთან, მან აი, ეს ჩამშვები და საბეზღებელი განცხადება დაწერა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა იმ ხალხს, რომელთანაც ძლივს დავაახლოვეთ და რომლებსაც ლამის ***„ზედ ყვებოდა“*** გუშინ.

***

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბ-ნ ელგუჯა გვაზავას

ასლი: უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს
ბ-ნ მურმან კვარაცხელიას

უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარის
ჯემალ გამახარიას

განცხადება

მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს უმაღლეს საბჭოში მობრძანდნენ აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებმაც აღწერეს სამინისტროს კუთვნილი №5 და №6 ოთახებში განთავსებული ავეჯი და სხვა ნივთები. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ ძალიან შეაშფოთა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი ბ-ნი ჯემალ საჯაია, რომელიც რამდენიმე ჩვენს კოლეგასთან ერთად დროებით იკავებს იმ ოთახებს, <u>თანაც უკანონოდ</u>. ბ-ნ <u>ნუგზარ მგალობლიშვილის თანდასწრებით, ბატონმა ჯ. საჯაიამ მისთვის ჩვეული ყვირილითა და ლანძღვა-გინებით</u> განაცხადა, რომ იმ ოთახებში ის არავის შეუშვებს და ვინც ამას გაბედავს, ყველას დახოცავს, ააფეთქებს მთელს უმაღლეს საბჭოს. დავიწყე მისი დამშვიდება, ვუთხარი, რომ ერთ-ერთი ოთახი, შესაძლოა, აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების, დიასპორასთან ურთიერთობის, განათლებისა და კულტურის კომისიას გადასცენ, რომლის წევრი შენც ხარ-მეთქი. ამის პასუხად ჯ. საჯაიამ გაცოფებულმა განაცხადა, რომ თუ ეს მოხდება, <u>მეც და მთელს ჩემს ოჯახს ამოხოცავს</u>. მთელი ამ საუბრის განმავლობაში ჯ. საჯაია განუწყვეტლივ უშვერი სიტყვებით იგინებოდა. ეს ყველაფერი დღეს, 29 ოქტომბერს, მოხდა, დაახლოებით ორ საათზე, რის შემდეგაც უმაღლესი საბჭო ფაქტობრივად პარალიზებული იყო.

ძალიან შორსა ვარ მოსაზრებისაგან, რომ ჯ. საჯაიას, რომელიც <u>იშვიათად მოდის უმაღლეს საბჭოში</u>, ოთახის საკითხი აწუხებდეს. ის დიდი ხანია ღიად, პირდაპირ ჩვენი ოფისის დერეფანში ხმამაღლა ყველას აგინებს და იმუქრება. <u>მას აწუხებს წაგებული ბრძოლა მთავრობის თავმჯდომარისა და წევრების (მინისტრების) თანამდებობებზე. მაქვს ოტყოვარი ინფორმაცია, რომ სხვადასხვა ფარულ შეხვედრებზე ის პირდაპირ იმუქრებოდა</u>, რომ თუ ბრძოლას წააგებდა, <u>უმაღლეს საბჭოში მოახდენდა იმას, რაც თავის დროზე სომხეთის პარლამენტში მოხდა (?!)</u>

ბ-ნმა ჯ. საჯაიამ, შეიძლება ითქვას, დაკარგა წონასწორობა, მისი უკანონო, დეპუტატისთვის ყოვლად შეუფერებელი საქციელი ყოველგვარ ზღვარს სცილდება. უმაღლეს საბჭოს კარგად ახსოვთ <u>მის მიერ ჯერ დეპუტატის შემდეგ კი საჯარო მოსამსახურის წინააღმდეგ ჩადენილი ფიზიკური ძალადობის ფაქტები</u>. დღეს იგი ბევრად უფრო გათავხედებული და, შესაბამისად, <u>უფრო საშიშია</u>, ვიდრე იყო ადრე. გაუთავებელი მუქარები <u>ტერორისტული აქტების მოწყობის შესახებ</u>, არ არის გამორიცხული, ერთ მსვენიერ დღეს მან სისრულეში მოიყვანოს.

ყოველივე ამის გათვალსიწინებით, გთხოვთ, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის, მიიღოთ კანონით გათვალსიწინებული ზომები.

პატივისცემით,
ჯემალ გამახარია
29.10.2013 წ.
(ხაზგასმა ს. საჯაია)

***

რა თქმა უნდა, ჯ. გამახარია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს გაქმედუნარიანებისა და მისი სიწმინდისთვის თავს რომ არ გაწირავდა, ვიცოდი. ცხადია, მას ეს სავარძელი პირადი კეთილდღეობისთვის უნდოდა და ჭკუაც ეყოფოდა მასში ჩაშხლართულს სახალხო განაწესისა თუ საზოგადოებრივი დაკვეთის შესაბამისად ელვაწა იმ შემთხვევაში და მანამ, სანამდისაც ეს დამკვეთი წაუბარბაცებლად იდგა და ანგარიშგასაწევი გახლდათ. ვიმეორებ, ეს მე ვიცოდი, არც ზოგიერთი მისი საძრახი მახასიათებელი იყო ჩემთვის მოულოდნელი, მაგრამ წინამდებარე განცხადებამ სახტად დამტოვა: ხელში შემრჩა ჩვეულებრივი სტუკაჩი და ქუჩისფსკერული დამსმენი, რომელიც საკუთარი ტყავის გადასარჩენად თუ სავარძლის უსაფრთხოებისთვის ყველა-ფერზეა წამსვლელი.

დააკვირდით, რა გააფრთებით და გულმოდგინედ აბეზღებს იგი ჯ. საჯაიას, რომელსაც ადრე კინაღამ მამად და სულიერ მოძღვრად იდგენდა იმ უბრალო მიზეზის გამო, იგი კარგად რომ იყო გ. ბარამიასთან.

აქ ამაზრზენი ისაა, რომ განცხადებაში თითმიქნეული შემთხვევები *(ოთახის დაკავება, ა. წოწონავასა და ვიღაც საჯარო მოხელის ცემა და ამისთანები)* ჯ. გამახარიას მიერ ან განცხადების დაწერამდე ნახევარი წლით ადრე მის მიერვე გმირობად ფასდებოდა და ტაშსაც უკრავდა.

ახლა გ. ბარამია არაა, გ. გვაზავამ ხელისბიჭობა მოსთხოვა და მანაც გ. გვაზავას კარის ქოფაკის ნ. მგალობლიშვილის თანდასწრებით ხაფანგი დაუგო ჯ. საჯაიას და გამოსტყუა ისეთი გაუაზრებელი ქცევა, რომლის საფუძველზე, როგორც ხედავთ, თავის გუშინდელ მამა-მარჩენალს ***„უკერავს“*** 1. ხულიგნობას; 2. სახელმწიფო დაწესებულებაში ოთახების უკანონო მოკავებას; 3. სამსახურის გაცდენას; 4. ოჯახის ამოხოცვის მუქარას; 5. სომხეთის პარლამენტში დატრიალებული ტერორის მსგავსი სისხლისღვრის მოწყობის დაქადნებას და ა. შ. რაც მთავარია, ყოველივე ამის დამადასტურებლად და მოწმედ ნ. მგალობლიშვილი - ჯ. საჯაიას დაუძინებელი მტერი ამოიყენა.

ასე და ამრიგად, ჯ. გამახარია, რომელიც იმ ჯგუფის ერთ-ერთი საყრდენი წევრი უნდა ყოფილიყო, რომელიც თავს დაივალდებულებდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში წესრიგის აღდგენით, აღმოჩნდა ჩვეულებრივი მედროვე, ორპირი, ჩამშვები, რომელმაც ხალხის ნდობას გ. გვაზავას ბოროტმოქმედულ ინახში თანამონაწილეობა არჩია, ასეთია უნებური, მაგრამ მკაფიო სიცხადე, ვაგლახ!..

***

ამის შემდეგ ჯ. გამახარიას კანტი-კუნტად იატაკქვეშური ურთიერთობები ჩემთან კი ჰქონდა, მაგრამ მე სულელი ხომ არ ვიყავი, ის აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში სავსებით მოხალისედ გ. გვაზავას სადავეებით მართული კაცი გახდა.

მის აქეთ-იქით თვალის ცეცებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ კვლავ ***"ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"*** რჩებოდა ჩემი განცხადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში:

***

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
პატივცემულ თეა წულუკიანს

სერგი საჯაიას - მწერლის, ნ. ნიკოლაძის, გ. შარვაშიძისა და
ზ. გამსახურდიას პრემიათა ლაურეატის
მცხ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქ. №17-28
275 46 72; 599 11 75 93

განცხადება

პატივცემულო თეა,

2005-2010 წლებში ჩემს მიერ გამოქვეყნებულ წიგნებში 1. *"დემოკრატიული"* გადაგვარებით - "ცივილური" გადაშენებისაკენ", 2005 წ.; 2. "შეგინებულ სარეცელთა ბოღმა", 2005 წ.; 3. "დღეები ცხედართა უხმო კივილისა", 2007 წ.; 4. "საითკენ მიჰყავთ ქართული აზროვნების წესი?!", 2008 წ.; 5. "ახალი საეთნოდივერსიო პოლიგონისათვის", 2008 წ.; 6. "როდესაც ზნეობა მთვარის შუქზე საწმერთულს იხდის", 2010 წ. - ვამხილე მ. სააკაშვილის, მისი ოჯახის (მეუღლის, მშობლების),

გარემოცვისა და ე. წ. ნაციონალური მოძრაობის მოღალატური თუ ქვეყნის გამპარტახებელი პოლიტიკა.

ამავე დროს, ვმუშაობდი რა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერეთობის დეპარტამენტის უფროსად, 2010 წლიდან წინ აღვუდექი ამ ინსტიტუციის ახალი ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის საკითხებში და ასევე დავუპირისპირდი აქ მოთარეშე ელიტურ კორუფციას, რომელსაც საეჭვოდ მფარველობდნენ ყოფილი მაღალჩინოსნები სამართალდამცავი სამსახურებიდან (მ. ზოდელავა, ლ. ბეჟაშვილი, დ. ახალაია, ს. თოფურიძე და ა. შ.).

ყოველივე ამის გამო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ჩემი გაძევება სამსახურიდან, რისთვისაც ჩემს დასაშანტაჟებლად გამოიყენა ზემოთხსენებული წიგნები, რითაც - თუ სამსახურიდან "ჩემი ნებით" არ წავიდოდი, დამაბეზღებდნენ "სადაც ჯერ არს" არა მარტო მე, არამეს შს სამინისტროს სისტემაში მომუშავე ჩემს შვილსაც შეუქმნიდნენ ხიფათს.

მას შემდეგ, რაც ავწონ-დავწონე თუ რა შეიძლება, მოჰყოლოდა თავსმოხვეულ შანტაჟს მ. სააკაშვილის თარეშის პირობებში, მე "დავთანხმდი" "შტატების შემცირების" საფუძველზე წამოვსულიყავი სამსახურიდან (2011 წ. 18 აპრილი).

დაუსჯელობამ იმ დონემდე გაათავხედა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა, რომ ჩემი "შტატების შემცირების საფუძველზე გათავისუფლების" მესამე დღეს, 21 აპრილს 10 ახალი თანამშრომელი აიყვანეს სამსახურში.

ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მ. სააკაშვილის განუკითხაობის გასწვრივ იმედი არ მქონდა, მე აფხაზეთის ხელისუფლებაში არსებული ელიტური კორუფციის შესახებ მასალები მივაწოდე საქართველოს პარლამენტს, იუსტიციის სამინისტროს, მთავარ პროკურატურასა და ა. შ., თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ ეს გამოჭენებული ბოროტმოქმედებები უბოდიშოდ მიჩქმალეს.

ამავე დროს, გითხრათ სიმართლე, ჩემთვის მოულოდნელი იყო ხელისუფლებაში თქვენი მოსვლის შემდეგაც ქ. თბილისის პროკურატურაში მეტად ცალმხრივად, გულგრილად, ზედაპირულად და, რაც მთავარია, მ. ზოდელავასა და ა. შ. ყალბისმქნელობათა მიხედვით თუ "ვერ აღმოაჩენდით" 1. ჩემს პოლიტიკურ დაშანტაჟებას და ამის საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლებას; 2. ელიტურ კორუფციასა და 3. საბუთების უმოწყალო და მიზნობრივ გაყალბებას.

პატივცემულო თეა,

მოგმართავთ რა თქვენ, დაბეჯითებით გთხოვთ, პირად კონტროლზე აიყვანოთ ჩემი განცხადება, დამკითხოთ ამასთან დაკავშირებით მოწმედ და შეისწავლოთ კორუფციის მტკიცებულებათა დედნები, რომლებიც თანდართულ წიგნში ("შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში", მეორე ნაწილი, 2012 წ.) მაქვს გამოყენებული.

დასასრულ, იმედს ვიტოვებ, თქვენთვის ჩვეული გულდადებით გაერკვევით სიმართლეში და აღადგენთ შანტაჟის გზით გათელილ ჩემს უფლებას.

პატივისცემით
სერგი საჯაია
22.02.2013 წ.

***

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
პატივცემულ თეა წულუკიანს

სერგი საჯაიას - მწერლის, ნ. ნიკოლაძის, გ. შარვაშიძისა და
ზ. გამსახურდიას პრემიათა ლაურეატის,
მცხ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქ. №17-28
275 46 72; 599 11 75 93

განცხადება

პატივცემულო თეა,

2005 წლიდან, დავიწყე რა ჩემს წიგნებში მ. სააკაშვილის პოლიტიკური გუნდის ქართველთსპობითი საქმიანობის მხილება, რითაც, სხვა მრავალთან ერთად, ქვეყნის პრეზიდენტი საფრთხის ქვეშ აყენებდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის საკითხსაც და რასაც მოჰყვა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში თანამდებობიდან ჩემი პოლიტიკური შეხედულების გამო გადაყენება, საიმედო წყარომ საჭიროდ მიიჩნია, ჩემთვის გადმოეცა მასალა მორიგი შეთქმულების შესახებ, როდესაც ბ. და დ. ახალაიების, ს. თოფურიძის, მ. ქარდავას და ა. შ. მიერ იმავე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი ხელმძღვანელის ხელშეწყობით დაიგეგმა მათთვის არასასურველი მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირის ფიზიკური განადგურება.

მართალია, შეთქმულებმა დაგეგმილი მთლიანად ვერ აღასრულეს, თუმცა მსხვერპლი წამებისგან სიკვდილის პირამდე მიიყვანეს და მეორე წელია, ფეხზე ვერ დადგა, - დღემდე მკურნალობს.

ის, რომ ეს სწორედ ასე მოხდა და რაშიც არათუ პიროვნებას, ამით სახელმწიფო უსაფრთხოებასაც შეექმნა ხიფათი, შემიძლია, მოგახსენოთ პირადად თქვენ ან თქვენთვის სანდო, სახელმწიფოებრივად მაოზროვნე, მიუკერძოებელ თანამდებობის პირს.

დიახ, დაბეჯითებით და ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მიუხედავად იმისა, - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის, ასევე საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორის (მ. ზოდელავას), კონტროლის პალატის ყოფილი უფროსისა (ლ. ბეჟაშვილისა) და კ. კუბლაშვილის ე. წ. სასამართლოსგან (ზ. ესებუა) რეპრესირებულად ვთვლი თავს, არავითარ შემთხვევაში არ მივიჩნევ ჩემს მიზანს ჩასაფრებული კაცის ავმოსურნეობად, რადგან ამ გზით თანმიმდევრულად ვებრძოდი და ვებრძვი აფხაზეთის პარტოკრატიის ვერაგულად შენიღბულ გადმონაშთებს.

საქმესთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებითი საუბრისთვის გთხოვთ, მიმიღოთ თქვენ ან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თქვენთვის სანდო თანამდებობის პირმა.

პატივისცემით
ს. საჯაია - მწერალი
20.03.2013 წ.

***

საქართველოს პარლამენტის წევრს, ქ. თბილისის
ისნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს,
ბატონ ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარიას

სერგი საჯაიას - მცხ.: ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. №17-28; ტელ.: 275 46 12; 599 11 75 93

განცხადება

ბატონო ალექსანდრე (ნუკრი),

ვმუშაობდი რა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, მიუხედავად ამისა, 2005 წლიდან საგაზეთო პუბლიკაციებითა და წიგნებით ვებრძოდი მტრული ძალებისგან მხარდაჭერილ მ. სააკაშვილისა თუ მისი თანამოსაქმეების ქართველთსპობით პოლიტიკას.

ამას დაემატა ისიც, რომ 2010 წლიდან აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ახალი ხელმძღვანელობის ელიტური კორუფცია და დანაშაულებრივი არაკომპეტენტურობა აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) დეოკუპაციის საქმეში გავუსაჯარისე ქართულ საზოგადოებას.

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მართვის სადავეებთან მოკალათებულმა ბოროტმოქმედთა ჯგუფმა ჩემს მიერ დაწერილი და წიგნებად გამოქვეყნებული მავნებლური მოღვაწეობა ნაციონალური მოძრაობისა, მოხერხებულად გამოიყენა შანტაჟისთვის ჩემს წინააღმდეგ და როგორც „ქვეყნისთვის არაკეთილსაიმედო“, 2011 წლის 18 აპრილს, ბრწყინვალე აღდგომის წინადღეებში აულაგმავი ცინიზმით გამამევეს სამსახურიდან. უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტის მაშინდელი მესვეურების, იუსტიციის სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, ასევე ძმათა ახალაიათა ადამიანთმოძულე კლანის მხარდაჭერით არათუ მიფუჩეჩდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მძვინვარე თანმიმდევრული კორუფცია, მათი ძალისხმევით, პირიქით, მე დავდანაშაულდი მათ მიმართ „ცილისწამებათა გავრცელებაში“.

აქ აღმაშფოთებელი ისაა, რომ ამ დანაშაულებრივ ჯგუფს, რომელიც ვითომცდა, "ჩემი ცილისწამებებისგან იცავდა" მ. სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას, არაფერი აქვს საერთო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის სტრატეგიასთან, იგი დიდი ხანია განუდგა დევნილი მოსახლეობის ყოველდღიურობას, თუმცა თავისი ფარისევლური და ეშმაკური ცრუმოძრაობების წყალობით, მას შემდეგ, რაც ყოვლად უსაფუძვლოდ დაირქვა „კოალიცია „ქართული ოცნება“, თავაუტკივებლად განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას მათ მიერ თვითმარქვიად აღმართული ახალი პოლიტიკური აბრის ქვეშ. ის კი არადა, ჯერჯერობით ეს მდგომარეობა, ისევე, როგორც მიშნაცური „უსაფრთხოებისთვის თავდადება“, მათი დაუსჯელობის ჯავშანი გახდა.

ბატონო ალექსანდრე (ნუკრი),

მოგმართავთ რა თქვენ, საქართველოში ესოდენ პატივმიგებულ საზოგადო მოღვაწესა და ხელოვანს, დაბეჯითებით გთხოვთ, თქვენი ესოდენ მაღალი კომპეტენციის ფარგლებში დაიცვათ აფხაზეთიდან ანუ ჩემი ოდაბადიდან

ოკუპანტების მიერ გამოძევებული და აქ პოლიტიკური დევნილის დაჩექმილი უფლებები.

პატივისცემით

სერგი საჯაია - მწერალი, ნ. ნიკოლაძის, გ. შარვაშიძისა და ზ. გამსახურდიას პრემიათა

ლაურეატი, ომის ვეტერანი, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი

01.07.2013 წ.

***

რაც შეეხება ჩემს ამ განცხადებას, ნ. ქანთარიას ბიუროში, რომელსაც ნახევარი წლის მანძილზე არაერთგზის მივმართე, ისიც კი ვერ მოახერხეს, თვით დეპუტატთან შევეხვედრებინეთ. მე ამ დონის უსულგულობა, ხეპრული გულარხეინობა, ფეხზედამკიდებლური უტიფრობა და უვიცობა არსად არ მინახავს.

2013 წლის სექტემბრიდან ისე მოხდა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა რამოდენიმეჯერ მე მოწმის სახით დამკითხეს, თუმცა ყველაფრიდან ჩანს, რომ გ. გვაზავამ და კომპანიამ პოლიტიკური ორგანიზაცია *"ჩვენი ოცნების"* მესვეურებთანაც ჩააწყო საქმე.

რა გაეწყობა, ვიცი, უშედეგოა, მაგრამ როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ ამგვარ განცხადებებს აკმაყოფილებენ:

***

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილეს ბატონ თ. ხუბუას;
აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
წევრს ბატონ მ. კვარაცხელიას;
ასლი: საქართველოს მთავარ პროკურორს
ბატონ ო. ფარცხალაძეს;
ასლი: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ვ. ყოლბაიას;
ასლი: აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
წევრს ბატონ ჯ. გამახარიას;
ასლი: აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს
ბატონ ნ. მესხიას
ასლი: არასამთავრობო ორგანიზაცია "ევროპის დემოკრატიული
ცენტრის" გამგეობის წევრს, ბატონ ი. კაკაბაძეს;
ასლი: საქართველოს მედია-საშუალებებს
სერგი საჯაიას - მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრის, -
თბილისი, ვაზისუბანი, შანდორ პეტეფის №17-28
ტელ.: 275 46 72; 599 11 75 93

განცხადება

ბატონებო,

ბოლო დროს, ქვეყანაში ამინდის სტიქიურ შინაარსში გადაზრდისა და შესაბამისად, მოსახლეობისთვის თავსდამტყდარი სირთულეების ვითარებაში საქართველოს საზოგადოებრიობის აღშფოთების მიზეზი გახდა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ავთანდილ ბერიძის მიერ ძვირადღირებული სასამსახურო მანქანის შესყიდვის მცდელობა, ანუ მოცლა იმისთვის, რომ როდესაც სახელმწიფოში, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ქუდზე კაცის წესით გამოცხადებულია სახალხო დარაზმულობა, ესოდენ მაღალი თანამდებობის პირი დასაქმებულია საკუთარი საფუფუნებო პირობების შესაქმნელად.

შეგახსენებთ, რომ ეს საკითხი, ერთი კვირაა, რაც საყოველთაო გაკიცხვისა და დაგმობის მიზეზად იქცა.

ყოველივე ამის გასწვრივ არანაკლებია კი არა, უფრო მასშტაბური, თაღლითური, ამდენად ამაზრზენი გახლავთ ის უზნეობა, რომელიც ამ სამი წლის წინ ჩაიდინა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია (ელგუჯა) გვაზავამ, როცა საკუთარი, იმხანად კანონდამცველთა თვალის ასახვევად სხვაზე გადაფორმებული ავტომანქანა მისი ნამდვილი ღირებულების თაღლითური გაზრდით სასამსახურო მოხმარებისათვის შეიძინა. აქვე აღვნიშნავ, რომ ძვირადღირებული სასამსახურო მანქანა გ. გვაზავამ წინა წელსაც საეჭვო ფასში იყიდა, ამავე დროს, როგორც მაშინ გახმაურდა, ერთ შემთხვევაშიც და ასევე მეორე ჯერზეც ამ ყიდვა-გაყიდვების დროს მას ბიუჯეტიდან დიდი ოდენობით თანხები მიუთვისებია.

სამწუხაროდ, თქვენ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და დეპუტატების ერთი ნაწილი, მოქმედებდით რა „ფირმის ინტერესების დაცვის“ ე. წ. კორპორატიული სოლიდარობის წესით, აქედან გამომდინარე, ამ და ამის მსგავსი საქციელებისადმი თქვენი დანაშაულებრივი (ნებით თუ უნებლიედ) წაყრუებით ხელს უწყობდით, ის კი არადა, ზოგიერთ შემთხვევაში ხელს აფარებდით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ყალბისმქმნელთა და თაღლითთა მიერ დაქსელილ ელიტურ კორუფციას, რომელიც გამოიხატა მთელ რიგ ფინანსურ დარღვევებსა თუ ბიუჯეტიდან სახელმწიფო თანხების დატაცებაში.

ამასთან დაკავშირებით თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის ზედამხედველობით შესაბამისმა სამართალდამცავმა სამსახურებმა დაიწყეს საქმის შესწავლა, მოწმის სახით დაიკითხა არაერთი თანამდებობის პირი, ძიება მიმდინარეობს და როგორც ჩანს, ძნელად და ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ ბოროტმოქმედთა მხილება გარდუვალი გახდება (ეს მხოლოდ დროის საკითხი გახლავთ).

ასეთ პირობებში, ვინაიდან დღემდე არაერთი დოკუმენტი გ. გვაზავას მითითებით სახელდახელოდ გაყალბდა, უფრო მეტიც, სათანადო საბუთები ხელოვნურად მოარგეს სასურველს და ეს პროცესი დღემდე თავაუტკივებლად გრძელდება, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, მოგმართავთ რა თქვენ, დაბეჯითებით გთხოვთ, განიხილოთ საკითხი შესახებ იმისა, რომ ძიების განმავლობაში უფლებამოსილება შეუჩეროთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს გ. გვაზავას, მის მოადგილეს ა. წოწონავას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, პრეზიდიუმის წევრს დ. გვაძაბიას, როგორც ელიტური

კორუფციის ორგანიზატორებსა და მასში დანაშაულებრივი საქმიანობით გამორჩეულებს.

პატივისცემით
ს. საჯაია - მწერალი, ზვიად გამსახურდიას, ნიკო ნიკოლაძისა და
გიორგი შარვაშიძის პრემიათა ლაურეატი
2013 წლის 20 დეკემბერი
გაზეთი „ილორი“, 2014 წელი, 14-21 იანვარი

***

წინამდებარე განცხადება, რომელიც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს კანცელარიას ჩემი თხოვნით 2013 წლის 20 დეკემბრეს ჩააბარა ი. კაკაბაძემ, როგორც წესი, გ. გვაზავას მითითებით არ აღრიცხულა და არ გადაუციათ მიმისამართებულებისათვის (თ. ხუბუა, ნ. კვარაცხელია, ჯ. გამახარია და ნ. მესხია). უფრო მეტიც, როდესაც მათ 2014 წლის 5 თებერვალს შევეხმიანე და ვკითხე ჩემი განცხადების შესახებ, აღმოჩნდა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს კანცელარიაში, სადაც საგანგებო საშვის გარეშე ვერ შეიჭაჭანებ, იგი ***„დაიკარგა“***.

ვერაფერს ვიტყვი იმაზე, თ. ხუბუამ, მ. კვარაცხელიამ და ნ. მესხიამ იგრძნეს თუ არა თავი შეურაცხყოფილად იმაზე, რომ მათთვის დამისამართებული განცხადება გადაუმალეს, მაგრამ ჯ. გამახარია რომ გასალახია ამგვარი ქალაჩუნობისთვის და აშკარა ორპირობისთვის (თუ ღალატის არა), ეს ცხადზე ცხადი გახლავთ.

და ბოლოს, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს კანცელარიის უფროსს თინა კვარაცხელიას მინდა ვურჩიო: ვის თუ არა თქვენ, კარგად მოგეხსენებათ თუ როგორ გაგაყალბებინეს აქ საბუთები არაერთხელ, მათ შორის გ. გვაზავას მითითებითაც. მაშინ გადარჩით. შეგახსენებთ, რომ, ჯერ ერთი, ***„კოკა ვერ ზიდავს ყოველთვის წყალს“***, ეს კანონზომიერებაა, მეორეც, მე, სანამ ცოცხალი ვარ, არ დავუზავდები თქვენს გვერდით თქვენი ხელშეწყობითაც ამძუვნებულ ბოროტმოქმედებს.

...წინ გაიხედეთ და დაიმახსოვრეთ, სახელმწიფო დაწესებულებაში, საბუთების გაყალბება, მათი შეგნებული გადამალვა, სასურველისადმი მორგება და ა. შ. სისხლის სამართლის დანაშაული გახლავთ!..

***

ახლა რაც შეეხება შეთქმულ თვრამეტიანელთა ***„დარაზმულობას“*** მ. სააკაშვილის წინააღმდეგ, ანუ ***„ქართული ოცნების“*** სასარგებლოდ.

როგორც წინა წიგნებში აღვნიშნე, იმის გამო, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ვამხილე მისი ხელმძღვანელობის უკიდურესი არაკომპეტენტურობა და ბოროტმოქმედული საქმიანობა ***(ელიტური კორუფცია)***,

აქედან 16 დეპუტატმა თანდართული ხელმოწერით და 2-მა *(გ. გვაზავამ და ა. მარშანიამ)* ხელმოუწერლად **(ტაქტიკური მოსაზრებით)** შეადგინეს ჩემი საბეზღებელი წერილი სათანადო ორგანოებისადმი, რომელშიც *„მამხელდნენ“* მ. სააკაშვილის კრიტიკაში.

კიდევ ერთხელ ვასაჯარისებ, რომ 2005-2010 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ვხელმძღვანელობდი საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტს, გამოვეცი რამოდენიმე წიგნი, რომლებშიც ვამხილე აგრესიული გლობალიზმის დასაყრდენი საქართველოში ე. წ. ნაცმოძრაობა და კერძოდ მისი ლიდერის, *„ქვეყნის პრეზიდენტის“* მ. სააკაშვილის, ასევე მისი ოჯახისა და გარემოცვის ქართველთსპობითი საქმიანობა.

ეს ყველაფერი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში შეფასდა *„ჩემს პოლიტიკურ არაკეთილსაიმედოობად“* და შანტაჟის გზით გამაძევეს სამსახურიდან. ასეთი გახლავთ მოცემულობის აპრიორული რეგლამენტი.

დრო რომ არ წაგართვათ, ბარემ უცებ აღვნიშნოთ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ის ხალხი, რომლებიც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მ. სააკაშვილის *„უსაფრთხოების სადარაჯოზე“* იდგნენ, ერთხმად *„ჯვარს აცუს“* წესით დაუპირისპირდნენ მას *(ანუ იმავე მ. სააკაშვილს, რომელსაც ადრე "ჩემგამ იცავდნენ")* და პოლიტიკური ორგანიზაცია *„ქართული ოცნების გულმხურვალე სარანგებად"*ისე იქცნენ, რომ სინდისის ქენჯნაც არ უგრძვნიათ იმაზე, მ. სააკაშვილის ანტიქართულ საქმიანობაში მხილებისთვის მათზე ადრე დავიკაპიწე ხელები და რისთვისაც მათგანვე დავისაჯე.

ასეთ დროს აფხაზეთში ამბობენ, *„ვინც ჩაიფსამს, ის შეშრობასაც მოახერხებსო“*, ერთი რამ კი ცხადია, ცამდე მართალი ვიყავი, როდესაც ვირწმუნებოდი, რომ აქ არა მხოლოდ კორუფციულ თავაწყვეტა, არამედ ზნეობრივი პარტახი დანავარდობდა მათი ორპირული ცელქობების სახით. ამაში ეს ჯოგი დღეს ერთმანეთსაც ამხელს.

ასე მაგალითად, გაზეთში *„საქართველო და მსოფლიო“ (9.07.2013 წ)* აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ე. წ. ფრაქცია *„ქართული ოცნების“* ასევე ე. წ. თავმჯდომარე მ. კვარაცხელია *(რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი როგორც მ. სააკაშვილთან ჩემს საბეზღებელ საჩივარს, ასევე სასარჩელო განცხადებას)* აღნიშნავს, რომ ის პოლიტიკური ორგანიზაცია *„ქართული ოცნების“* მსოფლმხედველობრივ საფუძვლებზე მაშინათვე გადმოსულა და ასე დაპირისპირებია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მიშნაცურ უმრავ-ლესობას. სხვათაშორის, აქ მეორე ჯგუფმაც უფრო თადარიაგიანად მოასწრო *„მიშნაცებთან დაპირისპირება“* და ამავე ინსტიტუციაში შექმნა ფრაქცია *„კოალიცია „ქართული ოცნება“ (რ. ქარაია)*.

ორივე შემთხვევა თვალთქმაქცობის უმაღლეს პილოტაჟს იმიტომაც წარმოადგენს, რომ სწორედ რ. ქარაია გახლდათ 2011 წელის დასაწყისში მ.

სააკაშვილის დაუძინებელი დამცველი ჩემგან, მანვე მოაგროვა ჩემს საბეზღებელ და საშანტაჟო წერილზე ხელმოწერები, რომელზეც, როგორც უკვე გითხარით, პირველმა მ. კვარაცხელიამ მოაწერა ხელი.

დიახ, ორივე მათგანი თავთავიანთი ***„ფრაქციის წევრებთან“*** ერთად, მ. სააკაშვილისადმი არაერთგულებასაც მიფრიალებდნენ და წამგაუცდენლად მაბეზღებდნენ.

სხვათაშორის, 2013 წლის მაისის ერთ დღეს, სულ რომ არ ველოდი ისე, სახლში მომადგა მ. კვარაცხელია და დაიწყო ჩემთან მოლაპარაკებები გ. გვაზავას გადაყენების თაობაზე. ამ საკითხზე იგი ოთხჯერ იყო ჩემთან პირადად, ტელეფონით კი შვიდჯერ შემომეხმიანა. როგორც მან მითხრა, მას ჩემთან მოლაპარაკებები შეთანხმებული ჰქონდა თ. ხუბუასთან, რ. შამუგიასთან, ა. გასვიანთან და ა. შ. ***(გახსოვთ, ესენიც მიჩიოდნენ)***. სამწუხაროდ, მათი ძალისხმევა ჩემთან მოლაპარაკებებში არ ისახავდა მიზნად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში კორუფციასთან ბრძოლას ან ხელმძღვანელობაში კომპეტენტური პირის არჩევას, პირიქით, მათ უნდოდათ, ჩემი მეშვეობით საზოგადოებრივი აზრი შეეტრიალებინათ და მათთვის სასარგებლოდ გადაეჭრათ ნომენკლატურული დავა.

როგორც გითხარით, ის ხალხი, რომლებიც მ. სააკაშვილთან მაბეზღებდნენ, ს. საჯაია გაკრიტიკებთო, დღეს ამგვარ წერილებში თვითონ ***„ამხელენ“*** მას. მათ შორისაა ა. წოწონავაც:

***

- ***„როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის მიერ ბოლო დღეებში მასმედიაში გაკეთებულ განცხადებას, სადაც აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება „ეგრეთ წოდებულ ხელისუფლებად“ მოიხსენია.***
- ***შეიძლება არც ღირდეს ამაზე პასუხის გაცემა, რადგანაც ჩვენ უკვე გამოვხატეთ ჩვენი პოზიცია ამ ფაქტთან დაკავშირებით. სამწუხაროა, რომ აფხაზეთზე საუბრისას მიხეილ სააკაშვილი უხეშად არღვევს ელემენტარულ ეტიკეტს არა მარტო როგორც პრეზიდენტი, არამედ როგორც რიგითი მოქალაქე. ის დაუფიქრებლად საუბრობს ქვეყნის ერთ-ერთი მტკივნეული და უმნიშვნელოვანესი პრობლემის შესახებ, რასაც აფხაზეთი ჰქვია. რაოდენ გულგრილი უნდა იყო პრეზიდენტი საზოგადოდ აფხაზეთის პრობლემის მიმართ და რაოდენი გულისწყრომით უნდა იყო განწყობილი ამ კუთხის კონსტიტუციური წარმომადგენლობისა და მისი დევნილი მოსახლეობისადმი, რომ ასე შეურაცხყო იგი ფართო აუდიტორიის წინაშე. აქვე მინდა გავიხსენოთ მისი ასევე შეურაცხმყოფელი გამოთქმა 2004 წლის ოქტომბერში. მახსოვს, ბატონი პრეზიდენტი „ვარდების რევოლუციის“ მოედანზე (დავით აღმაშენებლის ძეგლთან), ყოფილი სასტუმრო „ივერიის“ (იქ ცხოვრობდნენ გაგრიდან და სხვა რაიონებიდან წამოსული პოლიტიკის ზღვარს ქვემოთ მყოფი დევნილები) წინ გაკეთებულ საესტრადო სცენაზე ავიდა მომღერალ „უცნობთან“ და ჰკითხა: "იცი,***

ვინ არის ამ ძეგლის უკან?" პასუხს არც დალოდებია, ისევ თავად განაგრძო: "იქ დგას გაუბედურებული „ივერია". ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ სააკაშვილს სასტუმრო „ივერიის" შენობა უფრო ეცოდებოდა და არა მისი გაუბედურებული მობინადრეები, რომლებიც მისი პრეზიდენტად არჩევიდან მოკლე ხანში ძალდატანებით გამოყარეს ისეთი მინიმალური კომპენსაციით, რომ მათი უმეტესი ნაწილი დღემდე რჩება საცხოვრებელი ფართის გარეშე და ეს იმ დროს, როდესაც მან საქართველოში, ბოლო 9 წლის მანძილზე, 27 ათასი ობიექტი გაასხვისა ერთ ლარად. ქვეყნის ამ რესურსით შესაძლებელი იყო სოციალურად დაუცველი და დევნილთა ოჯახების სრულყოფილად დაკმაყოფილება. იმის გახსენებაც კი შემზარავია, რასაც გაუბედურებული ხალხი პროტესტის ნიშნად შიმშილობითა და თვითმკვლელობითაც კი უპირისპირდებოდა უსამართლობას. რისი არა ერთი ფაქტი გვაქვს, სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში. ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, დევნილთა მინისტრს სერიოზული, კრიტიკული წერილებით და ანალიზით დევნილი სოციალური მდგომარეობის შესახებ, რომელიც განიხილა მეოთხე მოწვევის პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტმა, რეინტეგრაციის სამინისტრომ, მაგრამ ამაოდ, დევნილთა მძიმე მდგომარეობა ისევ უცვლელი დარჩა. ბოლოს, ჩვენი მოთხოვნით დევნილთა პრობლემების საკითხი 2010 წლის 24 ივნისს განიხილა პრეზიდენტის ანტიკრიზისულმა საბჭომ, რომელმაც ფართო აუდიტორიის წინაშე მიიღო გადაწყვეტილებაც, რომ პრობლემა მოგვარებადია და ზომები იქნება მიღებული. რეალურად ამ გადაწყვეტილებას არავითარი დადებითი შედეგი არ მოყოლია და არც იყო მოსალოდნელი ხელისუფლების ასეთი განწყობის შემდეგ. აი, ამიტომ არის ჩვენი პრეზიდენტი მწყრალად დევნილი ხელისუფლების მიმართ. დღეს ჩვენ აშკარად ვხედავთ, როგორ „ოპონირებს" პრეზიდენტი და მისი გუნდი ხალხის მიერ არჩეულ „ქართული ოცნების", როგორ „აძლევს" მას დემოკრატიის დამკვიდრებისა და სამართლიანობის აღდგენის საშუალებას".

გაზეთი „ახალი თაობა", 2013 წლის 27 აპრილი.

***

აგაშენოს ღმერთმა, შე კაი კაცო, თუ 2004 წლიდან ხედავდი და იცოდი, რომ მ. სააკაშვილი 1. დევნილებისადმი შეურაცხმყოფელ გამოთქმებს იყენებდა; 2. დევნილებზე უფრო სასტუმრო "ივერია" ეცოდებოდა; 3. მ. სააკაშვილის მითითებით დევნილებს სასტუმროებიდან, სადაც დრეობით შეიხიზნენ, ძალით აგდებდნენ; 4. 9 წლის მანძილზე 27 ათასი ობიექტი გაასხვისა 1 ლარად; 5. რომ მ. სააკაშვილის პოლიტიკით გაუბედურებული ხალხი რიგ შემთხვევაში თვითმკვლელობას მიმართავდა; 6. „რომ იმის გახსენებაც კი შემზარავია" თუ რა გამანადგურებელი შედეგები მოჰყვა მ. სააკაშვილისა და მისი გუნდის მმართველობას, - კიდევ და კიდევ, შე კაი კაცო, როგორ მიჩივლე 2011 წელს, „სადაც ჯერ არს", იმის გამო, რომ ჩემს წიგნებში მ. სააკაშვილის სწორედ ხალხს დაპირისპირებული საქმიანობა ვამხილე. შენ კი გვერდში ამოდგომის მაგივრად მ. სააკაშვილის ავკაცობათა

*მხილების გამო **„პოლიტიკურად არაკეთილსაიმედოდ“** გამომაცხადე და ხელი აუწიე მ. სააკაშვილის ავკაცობათა გამოაშკარავებისთვის **(ცილისწამების გავრცელებისთვისო, ასე იძახდი)** სამსახურიდან ჩემს გაძევებას. მეგონა, მაშინ **„არ იცოდი“** მ. სააკაშვილის ცუდკაცობა და მაინც და მაინც არ გამტყუნებდი. თურმე, გცოდნია და მაინც ჩემს წინააღმდეგ წახვედი, რადგან არ გეგონა თუ 2012 წლის 1 ოქტომბერს იგი დამარცხდებოდა. ეს ზნეობრივი დაცემა და პოლიტიკური გამსუბუქყოფაქცევებაა. რად დაუდგინე **„გა...ზებულ“** კაცად თავი შენს შვილიშვილ გავრილას. რის ფასად, რა მოგცეს ამისთვის, გიღირდა ამად?!*

***

ასე და ამრიგად, 2013 წლის განმავლობაში ***(რაც დღემდე გრძელდება)*** გაზეთებში ***„ქრონიკა“***, ***„ახალი თაობა“***, ***„ილორი“***, ***„ქრონიკა+“***, ***„ასავალ-დასავალი“***, ***„საქართველოს რესპუბლიკა“*** და ა. შ. ასევე ტელე-რადიო გადაცემებსა თუ ინტერნეტის გვერდებზე, რომ არაფერი ვთქვათ, საპროტესტო აქციებზე ***(მიტინგი, შიმშილობა და მისთანები)*** დევნილთა სახალხო ძალისხმევით მიმდინარეობს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მძვინვარე არასახალხო საქმიანობის მხილება.

ვერ ვიტყვი, რომ აქ გამოტანილი მოთხოვნები ყოველთვის სწორი იყო, მაგრამ სიცხადე ერთია, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს ს. საჯაია იმიტომ კი არ დაუპირისპირდა, რომ იგი სამსახურიდან გააძევეს, არამედ, სწორედ იმის გამო, რომ ის ხალხს განუდგა და ჩაიძირა ბოროტმოქმედულ განუკითხაობაში, რასაც ადასტურებს ამ ინსტიტუციის მიმართ საზოგადოების სრული უნდობლობა.

2013 წლის დეკემბერი

≈*≈

4. ბრძოლა საცდურთა მარადიულ აწმყოში გასასაგნებლად

„რამეთუ რომელთა - იგი უშჯულოდ შესცოდეს,
უშჯულოდცა წარწყმდნენ, და რომელთა შჯულსა
შინ შესცოდეს, შჯულითცა ისაჯნენ.“
ჰრომაელთა მიმართ - 2, 12.

***

პატივცემულო მოსამართლევ,

შეგახსენებთ, რომ საგულისხმო სასამართლოს წინა სხდომაზე (31.10.2013 წ.) წინამდებარე 14 მოსარჩელის ადვოკატმა, წიგნიერი საზოგადოებისათვის ვინმე გ. წუწუნავამ ***„ჩემს გასაუვნებელსაყოფად“*** თავისი საიერიშო სამიზნეები შემდეგ ნიშებში გაასაგნა: ***1. ადრე მე ე. გვაზავასთვის ნაჩუქარ ჩემს წიგნზე წამიწერია, რომ იგი (ე. გვაზავა) მაღალი ღირებულებებისკენ მიზანსწრაფული კაცი ყოფილა; 2. გაგრა-გუდაუთი-სოხუმის სასამართლოზე მე,***

თურმე, პასუხს არ ვცემდი დასმულ შეკითხვებს; 3. პოეტ პ. შამუგიას პოეზიაში ვერ გავრკვეულვარ; 4. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და პრეზიდიუმის წევრთა ერთი ნაწილის მიმართ ჩემს მიერ გამოთქმული ბრალდებები, გ. წუწუნავას აზრით, ცილისწამებათა აკიდოა და ა. შ.

თავის მხრივ, გ. წუწუნავას უკიდურესად ცინიკურ და როხროხა გამოსვლას, რითაც ამ უკანასკნელის აზრით კინობითში დავდგინდებოდი, ე. გვაზავამ დასძინა, რომ *1. რუსეთის დავალებით ვებრძვი დევნილ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს, როგორც სახალხო მნიშვნელობის ინსტიტუციას და 2. მისთვის სულერთი არაა თუ როგორი სახელით დაამახსოვრებს თავს შთამომავლობას და ამიტომ, ჩემისთანას (აქ ჟესტიკულაციით დამცირება სცადა მისი ჭკუით) საკადრისი პასუხი უნდა გასცეს*.

ასეთ შემთხვევაში, როგორც დიდი შოთა რუსთაველი გვეგაკვეთილება, *„გარდამწყვეტელი ყოვლისა ბურთი და მოედანია“...* აქედან გამომდინარე, იმედია, სწორედ ეს სასამართლო სხდომა იქნება ის ჭეშმარიტი მიუმცდარობა, რომელიც დედანში და არა გ. გვაზავასა და კომპანიისთვის სასურველ სახესურათში დაადგენს განსახილველი საკითხის ჭეშმარიტ შინაარსს, რამეთუ, მოღვაწეობა სიმართლის დასადგენად ზნეობრივი ძალისხმევა გახლავთ.

ქალბატონო მოსამართლევ *(ნატალია ნაზღაიძე)*, სანამ მთავარ საკითხებზე განვაგრძობ საუბარს, რაკიღა გ. წუწუნავა წინა და პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომებზე აკვიატებულად იმეორებდა, რომ მე ე. გვაზავასა თუ პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრისთვის ნაჩუქარ ჩემს წიგნებზე თბილი სიტყვები წამიწერია და ამჟამად რატომ ვამხელ მათ, ასე ვპასუხობ: 20-ე საუკუნის 60-იან წლებში *(მე მგონი 1966 თუ 67 წელს)* ქართულად ითარგმნა და გამოიცა ცნობილი რუმინელი მწერლის ვიქტორ კერნბახის შთაბეჭდილებები საქართველოში მოგზაურობის შესახებ. მის ფხიზელ მზერას შეუმჩნევია, რომ ქართული ტაბაკი არა მხოლოდ დანაყრების, არამედ და პირველ რიგში სულიერი პურობის ადგილია, სადაც წარმოთქმულ სადღეგრძელოში მოდღეგრძელე სადღეგრძელებელს უსურვებს იმას, თუ როგორი უნდა იყოს იგი სინამდვილეში. ვთქვათ, კარგი პიროვნებაა, კიდევ უკეთესი უნდა გახდეს, ანუ სადღეგრძელო ზნეობის სალესი გახლავთო ქართულ ტაბაკობაზე.

ესოდენ დიდი მწერლის გვერდით ჩემი მოკრძალებული სტრიქონები რა მოსატანია, მაგრამ დაახლოებით იმავე წლებში მე, სრულიად ჭაბუკი, ვწერდი: *„კაცს გამარჯობას იმიტომ ვეტყვი, რომ შევახსენო კაცობა მისი...“* ამრიგად, მიძღვნითი წარწერა, რადგან ურთიერთობა *(მნიშვნელობა არა აქვს თუ რა მიზნით ან რა მიზეზით)* საჩუქრის გაცვლაში გადაიზარდა, ადამიანს კი არ უნდა აგინებდეს, *არამედ გზას უკვლევდეს სულიერი ღირებულებებისკენ, ანუ იმისკენ, თუ როგორი უნდა იყოს თვითონ.* აი, ამას ნიშნავს ჩემი მიძღვნითი

წარწერები გასაჩუქრებულ წიგნებზე და არა იმას, რომ დამისამართებულ პირებს სულმოკლეობისგან მიზნობრივი გალავანი იცავდა. ვიმეორებ, ქართულ სადღეგრძელოში ამის აღმოჩენა არ გასჭირვებია რუმინელ მწერალ ვ. კერნბახს, მაგრამ ამის გასიგრძეგანება ქართველი გ. წუწუნავასთვის, როგორც ჩანს, უიმედო საქმეა.

რაც შეეხება იმას, რომ გაგრა-გუდაუთი - სოხუმის დევნილ სასამართლოში მე პასუხს არ ვცემდი ე. წ. მოსარჩელეთა შეკითხვებს, ჯერ ერთი, მე ვალდებული არ ვიყავი ამაზე, მეორეც, აღნიშნულ ე. წ. სასამართლოზე, განსაკუთრებით მოსამართლე ზვიად ესებუას ყოველგვარ ზღვარს გამცდარი მიკერძოების გამო, ვიცოდი, რომ იქ სწორედ ის გეგმა განხორციელდებოდა, როგორც იმჟამინდელმა საქართველოს მთავარმა პროკურორმა, ე. გვაზავასა და მისი თანამოსაქმეების თაღლითობათა ***„ჩამფარცხველმა“*** მ. ზოდელავამ დაუკვალიანათ. ამ გეგმის მიხედვით პარტოკრატიის პირმშო ზ. ესებუა მე გამამტყუნებდა, **რაც კორუფციაში მხილებულთა „გამართლებად“ გასაღდებოდა.**

ამ მიზეზების გამო გაგრა-გუდაუთი-სოხუმის დევნილი სასამართლოს სხდომებზე რაც არ უნდა გამოგველო ხელი, შედეგი მაინც ის იქნებოდა, რაც დადგა. უფრო მეტიც, ეს ე. წ. სასამართლო სხდომები ძალიან ჰგავდა იმ შემთხვევას, როდესაც ხელფეხშეკრულს მიესევიან და სცემენ. ეს ეტაპი უნდა გაგვევლო და წინამდებარე სხდომაზე გვეძებნა სამართალი. მით უფრო, რომ, როგორც მოგახსენეთ, ზ. ესებუა, როგორც კადრი არა მარტო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პარტოკრატიული ნაწილიდანაა ამოყლორტილი, არამედ, 2013 წლამდე მისი სურათი ქართული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა თითქმის ყოველდღიურად და მას, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ზედმიწევნით საეჭვო ***„მოსამართლის“*** სახელი ჰქონდა.

გასულ სხდომაზე გ. წუწუნავამ, დიახ, ბატონებო, წიგნიერი საზოგადოებრიობისთვის სრულიად უცნობმა ვინმემ, ისევ წამოწია პ. შამუგიას საკითხი და მე დამადანაშაულა მისი პოეზიის განქიქებაში. ამასთან დაკავშირებით ხმამაღლა აღვნიშნავ, რომ, მართალია, საქმესთან დაკავშირებით პ. შამუგიას არაფერი აქვს საერთო, მაგრამ რაკი გ. წუწუნავა წამდაუწუმ მას ახსენებს, თანაც მცდარად და მიზნობრივი ყალბისმქნელობით მაბრალებს იმას, რაც მე არ მომეწერება, არ დავიზარებ და განგიმარტავთ, რომ პ. შამუგიაზე ჩემი წიგნიდან გ. წუწუნავას მიერ დამოწმებული ამონარიდი გახლავთ არა ჩემი აზრი, არამედ, გაზეთ ***„ქრონიკაში“*** გელა ზედელაშვილის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი რეცენზია, აქვე დავძენ, რომ მსგავსი სამართლიანი აზრი პ. შამუგიაზე გამონაკლისი არ გახლავთ. იგი მასზე იწერებოდა მანამდეც და დღესაც, სხვათაშორის, 9 ოქტომბრის სასამართლოს სხდომის წინარე დღეებშიც ***(იხ. იმ დღეების ქართული პრესა)*** მას

კრიტიკოსები ოდიოზურ პიროვნებად მიიჩნევენ და მკაცრად გმობენ მის შემოქმედებას. მე მეკუთვნის კომენტარი მხოლოდ, რომელიც დღესაც მჯერა, კერძოდ, *კაცი რომელიც სამშობლოს ერთ უხამს სიტყვასთან (ტ...კთან) აიგივებს, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთს), ანუ ჩვენს ოდაბადეს ვერ დაიბრუნებს მეთქი*. რა, არ მეთანხმებით ამაში, სხვა აზრი გაქვთ?! თუ ასეა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, მაგრამ მე ამის საწინააღმდეგო მაგალითებით მენაკადება მსოფლიო ლიტერატურის საგანძური. შორს რომ არ წავიდეთ, ისევ და ისევ, დიდ ილიას ვემოწაფები ამ საკითხში: *„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“*...

იმასთან დაკავშირებით რომ დარწმუნდეთ საქმის ნამდვილ არსში, აგერ წარმოგიდგენთ გაზეთ *„ქრონიკაში“ (2011 წლის 7-13 მარტი)* გელა ზედელაშვილის ავტორობით გამოქვეყნებულ წერილს, რომელშიც ავტორი პ. შამუგიასა და მის თანამოაზრეებს ამგვარ მსჯელობას უწუნებს: *„პოეზიას ორი მოწინააღმდეგე ჰყავს: რელიგია და თვითონ პოეზია...“* შემდეგ იგი ცდილობს უფრო სახოვნად დაახასიათოს თვითონ პაატა: *„ჰო, პაატა შამუგია, ქართული პოეზიის ამომავალი "ვარსკვლავი" (მისი თეორიის მიხედვით აქ სხვა სიტყვა უნდა მეხმარა, ალბათ, უფრო პოეტური იქნებოდა), იმასაც ამტკიცებს, სანამ შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონს არ დავივიწყებთ, მანამდე არაფერი გვეშველება, თანამედროვე არტში ვერ შევალთო. "იასნია", ახლა მაგას თავი ტრაკში ჰქონია და არტში შესვლაზე ოცნებობს...“*

აქვეა მითითებული, რომ ასეთ შემოქმედებაზე გელა ზედელაშვილის წერილებს იწონებს ქართველ მოღვაწეთა დიდი რაოდენობა და მათ შორის განსაკუთრებით ცნობილი პოეტი რეზო ამაშუკელი.

სხვათაშორის, აქვე წარმოგიდგენთ პ. შამუგიას წერილს *„რატომ დავწერე „ანტიტყაოსანი“ (ლიზ. ჯე + გალაკტიონი)*, რომელშიც ავტორი ენით უთქმელ კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ისეთი ეროვნული სიწმინდისა და შეუგინებლობის, როგორიცაა *„ვეფხისტყაოსანი“*, პატივმიუგებლობა სცადა. ოღონდაც, იგი ხომ მთავარ მტერს ერის რწმენასა და სულიერებაში ხედავს, დიახ, მის შეხედულებას გიმეორებთ: *„პოეზიას ორი მოწინააღმდეგე ჰყავს: რელიგია და თვითონ პოეზია...“*

ასეთი მსოფლმხედველობით შეიარაღებული პაატა ხატვითაც ხელგარჯილობს. ერთ-ერთი ასეთი თავგართობის დროს ჯვარცმა უხამსურად გადაუასლეგია!..

რაც შეეხება ჩემს აზრს ამ კაცზე, თქმა არ უნდა, მე მენანება იგი იმ ცნობიერებისთვის, რომელიც მას ჭაობურმა *„დემოკრატიამ“* მოახვია. არა მგონია, მისმა მოდგმამ იმით იამაყოს, თუ როგორ უბოდიშოდ არწყევს იგი ეროვნულ სიწმინდეებზე. სამშობლო კი არა, მისთვის, როგორც მოგახსენეთ, თვით ქრისტეს ჯვარცმაა გასართობი და თავს უფლებას აძლევს ამაზე უხამსობები ხატოს და აქვეყნოს. კი ბატონო, ამით უფალს არაფერი დააკლდება,

მაგრამ თვითონ იგი ამით უიმედოდ შორდება ღვთივწვდომილებას და სავსებით ნებაყოფლობით ჰყოფს თავს ეშმაკის ხელებით წამოცმულ ლაგამში.

ამ საკითხზე საუბარი აქ შევწყვიტოთ, თუ დამიჯერებთ, ამ დღეებში პ. შამუგიაზე გამოქვეყნებული წერილებიც გ. ზედელაშვილივით ირწმუნებიან, რომ ეს შემოქმედება კი არა, მკრეხელობაა. არც ისაა გამოტოვებული, რომ იგი *„საბაშიც“* მოღვაწეობს, უფრო მეტიც, ის თვითონ და მისი თანამოაზრეები *„ქრთამის“* ჟარგონულ მნიშვნელობასთანაც კი არიან შედარებული. თქვენი ნებაა, მეთანხმებით თუ არა. თუ არ მეთანხმებით, მაშინ მიბრძანდით საჯარო ბიბლიოთეკაში, აიღეთ ბოლოდროინდელი გაზეთები და დარწმუნდით. რაც შემეძლო, თავი ავარიდე აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის სატკივარისათვის ვინმე პ. შამუგიას მამხილებელი წერილების მიმოხილვას, მაგრამ ამ სასამართლოს სხდომიდან გავიდა ნახევარ წელზე მეტი და ეს, თავის სასირცხვოსთან განმარტოებული და მონეტარე კაცი, კვლავ და კვლავ სამართლიანად იკიცხება ჯერ კიდევ ქართულად მოაზროვნე საფიხვნოში.

ამასთან დაკავშირებით ამ დღეებში გაზეთში *„ასავალ-დასავალი“ (2014 წლის აპრილი: №13, 14, 15, 16...)* გაგრძელებებით გამოქვეყნდა წერილი, *ლიტერატურული პრემია „საბა“ გარყვნილების პროპაგანდისთვის“*, რომლიდანაც ამონარიდებს გთავაზობთ, რათა, თავად გაისიგრძეგანოთ, არის ეს ორფეხა ის თოროსანი, რომელიც აღიკაზმება მისი ოდაბადე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასათავისუფლებლად (წესით ასე იქცევა მამულიშვილი, მაგრამ მისთვის საქართველო მამული არაა)?!.

კიდევ ერთხელ მივმართავ თაღლით გ. გვაზავასა და მის ბოროტმოქმედ თანამოსაქმეებს, განსაკუთრებით *„პოლიტიკაში“* საეჭვოდ აჭიხვინებულ რ. ქარაიას, დიახ, იმათ, რომლებსაც 2014 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს, აფხაზეთის საზოგადოებრიობამ სირცხვილის დერეფანი მოუწყო, - შეგიძლიათ გულის ფიცარზე ამოიტვიფროთ პ. შამუგიას ყოველგვარი ზნეობისგან დაწრეტილი ეს სტრიქონები, მაგრამ თქვენს წინგაუხედავ გონებას, იქნებ შესძლოთ და გაუთვალსაწიეროთ, რომ ამით შთამომავლობასაც იმგვარ სასირცხვილო დერეფნისკენ ერეკებით, როგორიც თავს დაიტეხეთ ამ დღეებში:

„ძვირფასო მკითხველო!

ამ წერილს არც „ასავალ-დასავალის““რომელიმე ჟურნალისტი წერს, არც რედაქტორი და არც გამომცემელი. ამ წერილის ავტორია თითოეული თქვენგანი, შეიძლება ითქვას - საზოგადოების ის ჯანსაღი ნაწილი, ვისთვისაც „მამული, ენა, სარწმუნოება“ ძველებურად უმაღლესი სულიერი და ზნეობრივი კატეგორიებია, ვისაც სჯერა, რომ უწმინდურება და გარყვნილება ბორცსა და სულს ვნებს, ვისაც შეეძლო და დღესაც შეუძლია, გმირულად მოკვდეს დიდგორის ველზე ილღაზის ნახევარმილიონიან ლაშქართან ბრძოლაში.

ამთავითვე ბოდიშს ვიხდით, რომ საზოგადოების ეს უბინძურესი წიგნი უნდა წარმოვადგინოთ, რომელსაც მამუკა ხაზარაძის „TBC ბანკმა“ 2012 წელს ლიტერატურული პრემია "საბა" მიანიჭა და წლის საუკეთესო პოეტურ კრებულად გამოაცხადა. ამ უაღრესად მკრეხელური

წიგნის ავტორი ახალგაზრდა ყმაწვილი პაატა შამუგია გახლავთ, რომელსაც, საუბედურად, ასეთივე მკრეხელური სათაურით შეუმკია თავისი ნაცოდვილარი. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა დაეცეს არსება, რომ „დაუჯდომელი“ მიაწეროს უღმერთობით გაჟღენთილ ამ ყროლს, რომელსაც მამუკა ბაზარაძისნაირების თვალთახედვით პოეზიის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს. აბა, მოუსმინეთ ავტორს:

“ზოლოს და ზოლოს
ღმერთი სხვა არავინაა
თუ არა დაკომპლექსებული ეშმაკი
რომელმაც საკუთარი ძე
ჯვარზე მოკლა
მადლობა უფალს
შესაძლოა ახალგაზრდობაში
მას არ აძლევდნენ ქერუბიმები
და ამიტომაც გამოიგონა
საკუთარი პერსონა.
როგორც სამყაროს ჭიპი
როგორც დემიურგი
მადლობა უფალს
შესაძლოა,
მას სტანჯავდა ავადმყოფობა
დარწმუნებული ვარ დისტროფაკი იყო
შესაძლოა, ბრონქიალური
ასთმაც აწუხებდა
მადლობა უფალს
რატომ იყო სამოთხეში ვაშლის ხე
იქნებ უფალს C ვიტამინი აკლდა
იქნებ ბავშვობაში ცემდნენ კიდეც
მადლობა უფალს
(„დაუჯდომელი“, „ფილიპეს იკოსი 12“, გვ. 68, გამომცემლობა „სიესტა“, 2011 წ.)

ლექსმწერი პ. შამუგია, რომელმაც ცხოვრებაში მხოლოდ იმით გამოიჩინა თავი, რომ რამდენიმე წლის წინათ ასეთივე მკრეხელური წიგნი „ანტიტყაოსანი“ დაწერა. პრემირებულ კრებულში მშობლებს სანაქებო შვილობას, სიმპათიური ცოლის შერთვას და სამი შვილის გაჩენას ჰპირდება, რადგან, როგორც თავად ამბობს:

„(რასაკვირველია, მეც ვიყიმავებ,
ღმერთს რომ შევეშველო),
დავწერ გულისმომკვლელ
ლირიკულ ლექსებს
და შევეშვები სოციალურ სატირას
აღარ ვიქილიკებ სამშობლოზე“
(„სოლოგისტური თვითანალიზი“, იქვე, გვ. 11).

სამშობლოსა და ღმერთზე ქილიკს დაჩვეული პ,. შამუგია უფრო „შორს“ მიდის:

„ვისურვებდი
ღმერთი პორტატული ყოფილიყო -
დაკეცავ - ილოცებ
გახსნი - იჩათავებ
თუ რამე - ჩამოჯდები კიდეც
განა ღმერთი შვებისთვის არაა?!“
(„თომას იკონი 4“, იქვე, გვ. 51).

ხომ წარმოგიდგენიათ ჩამოვჯდებიო... ზუსტად ასე ჩამოჯდა უნიტაზზე ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ქარვასლაში მოწყობილ ერთ-ერთ პერფორმანსზე პ. შამუგიას წინამორბედი ვინმე ჭაფოძე და არც მეტი - არც ნაკლები სახარება შეჭამა! „ასავალ-დასავალმა“ მართალია, გაიცამტვერა მაშინ ეს ავაზაკი, მაგრამ საკაშვილისა და მისი გარყვნილი იდეოლოგების წყალობით, მსგავს ავაზაკთა რიცხვი ბოლო ხანებში ფანტასტიკურად გაიზარდა. ისინი შემოიჭრნენ ჩვენს ქალაქებში, სოფლებში, ოჯახებში... ეს გაუზრდელები სარეველასავით მოედვნენ ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას, ჩვენს სულიერებას. უფრო მეტიც, „ეკლესიასტეს“ სიტყვათა წყობით ცდილობენ დაგვარწმუნონ რომ დამთავრდა ქვეების შეგროვების ჟამი და დადგა დრო, როცა ეს ქვები ზნეობრივად გაწონასწორებულ მკითხველს თავში უნდა ესროლო:

„და ხედავდე ულამაზეს გოგონას
თეძოებით რომ მოაგორებს
ათას დაყინებულ მზერას და სურვილს,
მადლობა უფალს
ზემოკლე კაბა უფრო სწორად
ქვემოკლე კაბა
მრგვალი ტაკო, მმმმმმ
მრგვალივე ძუძუ
და მეტს უკვე ვეღარ ითმენდე
და შერბოდე ტუალეტში
აგზნებული და ელვაშეხსნილი
რადგან ცნობილი ამბავია
არის ჟამი გროვებისა და
არის ჟამი ნთხევისა.
მადლობა უფალს“
(„იაკობის(ა) კონდაკი 5“, იქვე, გვ. 53).

გროვებისა და ნთხევის ჟინით აღვსილი პ. შამუგია მოულოდნელად წარმოიდგენს, რომ „ქოთანი დედის საშოა“ და უბერავს, მაგრამ რას უბერავს:

„ქოთნიდან ხვრეპა კუნალინგუსია,
ინვესტის არომატით
ოი არომატი ოი ვაზის ტოლმა
ოი ხინკალი მოხეური და
ოი ოსტატის მოხველი და
ზედ ჭაჭა-რაჭას ბოცეული და
ოი უფალს სამგზის ოი
მწვადგზის ოი უფალს“
(„იუდას წარმოსახული კონდაკი 6“, იქვე, გვ. 55).

„თიბისი ბანკის“ ორდენოსანი ლექსმწერი გაცილებით შორს მიდის, უფრო ზუსტად კი, ღრმად და ღრმად ეშვება პოეტური ჯოჯოხეთის საცავებში და იქიდან გარყვნილების ახალ-ახალი ბანკნოტები ამოაქვს:

„აქებდე იმას
რასაც ჩვენში უთვალავი შესატყვისი აქვს
დიახაც უთვალავი მაგალითადრე
სირი, შიბლა
დიშლა
ბალაყანა
ტინკი ვინკი
კუტუ
ჭუჭუ
ჭუჭულიკა

კიტრი
(ყ. ცენზურა ჩვენია. რედ.)
და ბარიდამ აქვე სირცხვილი
მადლობა უფალს
შაბანა
შამბალა
ცუნცურა
პიტალო
საობრე
სამგლე
სამში გრძელი
ბანჯგვლიანი ნაგაზი
(ღმერთო რა პერვერსიაა)
მადლობა უფალს"
(„იოანეს იკოსი 9", იქვე, გვ. 63)

„თიბისის" და "საბას" გამორჩეულ წაპოეტს სიტყვა პერვერსია დასცდა, არადა, თუ კარგად ჩასწვდება ამ ტერმინის მნიშვნელობას, იქნებ ოდესმე, თუნდაც კათარზისის შემდეგ მაინც მიხვდეს რომ <u>თავად მისი ცხოვრება და აზროვნება იყო გაუკულმართებული ნაყოფი დედა ბუნებისა.</u>

ხომ ასეთი გარყვნილება ამოუვიდა პირიდა, მაგრამ მაინც ბედნიერია პ. შამუგია, რადგან მ. ააკაშვილის დანატოვარი ლიტერატურული ექსპერტების წახალისებით კვლავ ტელეეკრანიდან გვიწამლავს სულსა და გონებას:

„ჩემთან არ წყდება
ჟურნალისტთა რიგი ჩვეული
„რუსთავი 2"-ის ანონსებში
ხშირად ირწევა
შემაშფოთებლად სიმპათიური
ჩემი სხეული"
(„CV (მეტაკიჩი"), იქვე, გვ. 19)

დიახ, პ. შამუგიას და მისთანები გავეშებულნი აწყდებიან დედა-სამშობლოს და დედა-ეკლესიას აუღებელ ბასტიონს, სურთ, დალეწონ იესოს ჯვარცმულ სხეულთან დანთებული კელაპტრები, რათა შემდგომ საქართველო თავისუფლად ჯიჯგნონ ათასი ჯურის მანქურთეებმა თუ იანიჩრებმა. წინამდებარე წერილში ჩვენ შეგნებულად არ მოგვყავს „ხაზარაძის საბაწმინდელი ლაურეატის" ის სტრიქონები, სადაც „ტყემალთან „ტყლაპთან" თუ „ტყვარჩელთან" ბგერთწერით ასოცირებული სიტყვების ხმარება მას განსაკუთრებულ სიამოვნებას გვრის. თუმცაღა, ერთადერთ პოეტურ სიმართლეს მაინც ვერ დაუკარგავ ლექსმწერ შამუგიას:

„და მოვიდეს დიდი დედა
დიდი შუაღამიდან
გადაიხსნას დიდი საშო
როგორც კომბოსტო
ჩაგავლოს ქეჩოზე
თავისი ნახევრადღვთიური ხელები
და შეგიბრუნოს იქ,
საიდანაც გამომბვრალხარ!"
(„ფილიპეს კონდაკი 12", იქვე, გვ. 68)

დიახ „ასეთები" და „ასეთების" დამფასებლები მართლაც მთელმა ერმა უნდა შეაბრუნოს იქ, საიდანაც გამობვრნენ... მხოლოდ ასე გადარჩება ჩვენი სამშობლო, ჩვენი ენა და ჩვენი სარწმუნოება!

ბოლოთქმა:

„გაუსვი თათი,
დატოვე სიტყვა -
ეფემერული,
უადგილო და უხერხული,
როგორც სიკვდილი,
როგორც პიკასოს რეპროდუქცია
„თიბისი ბანკში“, -

ბრძანებს „ბართლომეს მე-11 იკოსსი“ (გვ. 6) ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატი პ. შამუგია, რომელსაც "თიბისი ბანკმა" სწორედ საქართველოს მოსახლეობისაგან ამონაგები პროცენტებითა და წართმეული ქონებით დაადგა დაფნის გვირგვინი! დღეს მამუკა ხაზარაძე უკვე „ასავალ-დასავალს“ უჩივის და 160 ათასის წართმევას ლამობს. ეჭვგარეშეა, რომ მას ეს ფული მორიგი გარყვნილებისა და ანტიმართლმადიდებლური კამპანიების დასაფინანსებლად სჭირდება!“

<u>**ცნობისათვის:**</u> პოეზიისთვის ვინმე პ. შამუგიას ათეისტური, ანტიქართული და ხრწნადი ხმაბოდვების შესახებ დღემდე (2016 წლამდე) იბეჭდება ქართულ პრესაში აღშფოთებული საზოგადოების საპროტესტო წერილები, რაც უტიფარ, უღმერთო, უსამშობლო და ტუტუც პ. შამუგიას სულაც ერთ ადგილზე ჰკიდია...

***

დიახ, ბატონებო, მოცემულობა ამგვარი გახლავთ, დღე ისე არ გავა, აფხაზეთისთვის არმომშობლიურე პ. შამუგიას სულაქოთებულ ხმაბოდვათა ყროლას მისსავე თავის ქალაში განიავება არ მოუნდომოს რომელიმე ქართულად მოაზროვნე გაზეთმა, მაგრამ (ვიმეორებ) ამაოდ, - ნებივრობს ეს კაცი თავის საოხრესთან განმარტოებული და ამნაირად არწყულებს ქალბატონების ეთერი ასტამიროვას, რაისა ქვარაიასა და ადა მარშანიას, ასევე ბატონების გ. გვაზავას, ა. წოწონავას, თ. ხუბუას, დ. გვაძაბიას, მ. კვარა-ცხელიას, ა. გასვიანის, თ. მჟავიას, ნ. მგალობლიშვილის, თ. ლორთქიფა-ნიძისა და მათი ადვოკატის გ. წუწუნავას სულიერ ნდომას. აქედან გამომდი-ნარე, მე განცხადებით მივმართე ორპირობისთვის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაწინაურებულ ჯ. გამახარიას, რომელსაც ვთხოვე, განემარტა, რანაირად აპირებს იგი იმ ადამიანებთან (გ. გვაზავა, დ. გვაძაბია, ნ. მგალობ-ლიშვილი, რ. ქარაია, გ. ლომინაძე და ა. შ.) მუშაობას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის საკითხებზე, რომელთათვის პ. შამუგია ლამისაა, არამხუტუს შინაარსს გაუთანაბრდეს, ხოლო მისი *„შემოქმედება“,* უფრო სწორად, ავამდყოფური ხმაბოდვები, როგორც ჩანს, *„ქართველო, ხელი ხმალს იკარ“*-ს ჩაენაცვლა?!

ის კი არადა, იქნებ ამ სირცხვილის დერეფანში გამოტარებულებს იმ დონეზე გაუწარამარდათ ბოდვითი აზრებით დაორსულება, რომ გაურკვეველი ვინაობის პ. სამუგიას ამომყრალება *„დე, იყოს ასე... ვიყოთ ასე საკუთარ განავალში გამომწყვდეულნი“... (ანტიტყაოსანი)* - მართლა ციური წყალობა ჰგონიათ?!.

...და ბოლოს, გ. წუწუნავას აზრით, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მოკალათებულ თაღლითთა მხილებები, რომლებიც თავმოყრილი

გახლავთ ჩემს წიგნში და რომელსაც 14 მოსარჩელე ლოდსატსატყორცნებით გარშემოეწყო, წარმოადგენს ცილისწამებებს. კი ბატონო, ვისმჯელოთ, ასეა თუ არა ეს, მაგრამ მანამდე დავაზუსტებ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს, როგორც ლეგიტიმურ ინსტიტუციას არა თუ იმპერიული ძალების დაკვეთით არ ვუსაფრდები, პირიქით, ყოველთვის, მნიშვნელობა არა აქვს ვმუშაობდი თუ არა იქ, ერთი კაცის კვალობაზე არც თუ ღარიბ ნათესავად დავუდგინე თავი: მე ვაკეთე ის საქმეები, რომელთაც თავად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მისცა ძალიან მაღალი შეფასება თავის დროზე. ასე მაგალითად, აი, რას წერდა და რა პროექტი წარადგინა მაშინ ჩემს შესახებ პრეზიდიუმში დღეს მოსარჩელემ და იმხანად პრეზიდიუმის წევრმა აკაკი გასვიანმა: ***„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საინფორმაციო-იდეოლოგიური მუშაობის მუდმივმა კომისიამ შეისწავლა ბატონ სერგი საჯაიას ნაშრომი "ჩრდილო-დასავლეთ საქართველო - ცხუმ-აფხაზეთი და ველიკოდერჟავული ეთნოდივერსიები", რომელშიც განხილულია აქტუალური საკითხები: ა) აფხაზეთის მოსახლეობის დენაციონალიზაციის რუსული იმპერიული მეთოდები; ბ) რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული გამოუცხადებელი ომი 1992-93 წ.წ.; გ) აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გენოციდი; დ) ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დეოკუპაციის გზები; ე) აფხაზეთის დეოკუპაციის მთავარი მიმართულებანი.***

აღნიშნული ნაშრომი საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის თვალსაზრისით მნიშნელოვანი შენაძენია", 16.07.2003 წ. აკაკი გასვიანი".

როდესაც მე ვამხელ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მოკალათებულ თაღლითთა ელიტურ და ორგანიზებულ <u>კორუფციას, ამას ვაკეთებ იმის გამო კი არა, რომ რუსეთმა დამავალა, არამედ იმიტომ, ვიცი, ბოროტმოქმედი კაცი არასდროს არ მოინდომებს სახალხო საქმეს.</u>

აქედან გამომდინარე, ე. გვაზავას წუხილი იმის გამო, რომ მას არ უნდა ცუდ კაცად დაუდგინდეს შთამომავლობას, ამას ის ვერ გააკეთებს მორიგი ყალბისმქნელობით, როდესაც სინანულის ნაცვლად ამას ყველა წელსქვემოთა ყოვლისმკადრებლობითა თუ უზნეო საშუალებით ინდომებს, ისიც უნდა ითქვას, რომ დღემდე მიზანმიმართულად ცდილობს ჩემს გამტყუნებას იმაში, რაშიც ცამდე მართალი ვარ.

კერძოდ: სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ე. წ. მოსარჩელეების ელგუჯა გვაზავას, ანზორ წოწონავას, თამაზ ხუბუას, როსტომ შამუგიას, დავით გვაძაბიას, თეიმურაზ მჟავიას, რუდიკ ცატავას, გივი ლომინაძის, აკაკის გასვიანის, მურმან კვარაცხელიას, ნუგზარ მგალობლიშვილის, თემურ ლორთქიფანიძის, რაისა ქარაიასა და ეთერ ასტემიროვას ***„პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების"*** უარყოფა მევალება, იმთავითვე სიცრუეს, მიზნობრივ ცალმხრივობას, სიყალბის მფარველობას

დაუფარავად ამჟღავნებს, ის კი არადა, ეს გამოჭენება არა სასამართლოს, არამედ, კინაღამ ე. წ. სხადნიაკის წესითაა მიღებული. იგი გახლავთ ისეთი უტიფრობა, როდესაც კი იფიცებიან, მაგრამ კუდი მაინც გამოჩრილია. უფრო მეტიც, აფხაზეთში ასეთ დროს იტყოდნენ: ***„რსინი კურთათ ვეჭოფენია“ (ნიფხავით ვერ დაიჭერ შენს სიმყრალეს)***.

იმაზე, თუ რატომ მოიქცა ასე აფხაზეთის პარტოკრატიული ელიტის პირმშო, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზ. ესებუა, ჩვენ სათანადო ადგილზე ვრცლად შევჩერდებით, ამჯერად კი ვეცდები რიგითობის მიხედვით წარმოვაჩინო ის სიცრუეები, საფუძვლად რომ დაედო წინამდებარე გადაწყვეტილებას. იგი სხვა არაფერია, თუ არა სახელდახელოდ გამოხმობილი ***„ლეღვის ფოთოლი“***, რომელსაც დაევალა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ათარეშებული ელიტური კორუფციის მიჩქმალვა და 14 ფიგურანტის ჩანასვარის ვარდწყალში განბანვა. საბედნიეროდ, არ ხდება ეს ასე!.

დავიწყოთ იქედან, რომ მოსარჩელეთა განმარტება, რაც ***„უტყუარ ჭეშმარიტებად“*** დაადგინა ხსენებულმა სასამართლომ, თითქოს ისინი 2012 წლის მაის-ივნისში გაეცვნენ ჩემს წიგნს ***„შეთქმულ თვრამეტიანელთა შეთქმულებანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში“ (თბილისი, 2011 წ.),*** არაა მართალი, რადგან ეს სარჩელმიმისამართებული წიგნი, როგორც არაერთგზისაა აღნიშნული, გამოიცა 2012 წლის 15 იანვარს. 14 თებერვალს მისი ცალები და ელექტრონული ვერსია დაიდო ი. ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ***(ელექტრონული ვერსია გადაეგზავნა ასევე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს და დაიდო მის ვებ-გვერდზე)***. 7 მარტს ამ წიგნის 1 ცალი სახელმწიფო დაცვის უფროსის, პოლკოვნიკ ლ. ყაზახაშვილის ხელით მივაწოდე პირადად ელ. გვაზავას. 9 მარტს, სათანადო განცხადებასთან ერთად ***(შესვლის №55, 2012 წ. 9 მარტი),*** პრეზიდიუმზე განსახილველად გადავეცი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თამაზ ხუბუას და პრეზიდიუმის წევრს ჯემალ გამახარიას. უფრო მეტიც, ამ წიგნში მოთავსებული წერილები 2011 წლის აპრილ-ოქტომბერში ქვეყნდებოდა ***„საერთო გაზეთსა“*** და ***„ილორში“***, რასაც ***„საერთო გაზეთისავე“*** ფურცლებზე მათთვის ჩვეული სიცრუით, ყალბისმქნელობითა და ლაგამამოუდებელი ლანძღვით გამოეხმაურნენ ნ. მგალობლიშვილი, გ. ფაცაცია ***(აწგანსვენებული)***, ა. წოწონავა, აქვე გამოქვეყნდა საინფორმაციო განყოფილების ე. წ. პასუხიც და ა. შ. ყოველივე ამის გასწვრივ ამ წერილების ელექტრონული ვერსიები გამოქვეყნებისთანავე იდებოდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე (scofara@gmail.com).

ამდენად, 2012 წლის 8 აგვისტოსთვის, როცა ზემოთხსენებულმა ე. წ. მოსარჩელეებმა მიმართეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ

სასამართლოს, ხსენებულ წიგნში მოთავსებული წერილების გამოქვეყნებიდან გასული იყო თითქმის წელიწადნახევრიდან ერთ წლამდე ***(2011 წ. აპრილი-ოქტომბერი)*** წიგნის გამოსვლიდან 6 თვე და 23 დღე, საჯარო ბიბლიოთეკისთვის მიწოდებიდან 5 თვე და 25 დღე, თ. ხუბუასა და ჯ. გამახარიასთვის განსახილველად გადაცემიდან 5 თვე, საქართველოს პარლამენტისა და მთავარი პროკურატურისთვის გადაგზავნიდან ***(2011 წ. 10 აპრილი)*** 4 თვე და ა. შ. ის კი არადა, გაზეთ ***„ილორში“*** 2012 წლის 20 მარტს გამოქვეყნებულ ჩემს განცხადებაშიც კი იყო მითითებული ამ წიგნის გამოცემის შესახებ, ხოლო თავად განცხადება იუწყებოდა ჩემს აქციაზე, რომელსაც შედეგად ის მოჰყვა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მიიღო მასალები აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არსებული ელიტური კორუფციის შესახებ ***(რაც შემდგომში გადაიგზავნა მთავარ პროკურატურაში)***. ეს განცხადება და აქციის მსვლელობა მაშინ შეშფოთებისა და მსჯელობის საგანი გახდა მოსარჩელეთა შორის. ასე, რომ ეს დრო ბევრად აღემატება იმ 100 დღეს, რომლის განმავლობაშიც ჯერ კიდევ 2011 წელს შეეძლოთ ე. წ. მოსარჩელეებს ჩემს წერილებზე სამართლებრივი ზემოქმედება, მაგრამ მათ იმ ჯერზე არჩიეს ჩემი გაჭორვა და ჩემზე ცილისწამებების გამოქვეყნება, ისევე, როგორც მანამდე და წლების წინ აკეთებდნენ ამას.

უფრო ზუსტად რომ მოგახსენოთ, ისინი ჩემს წერილებში გასაჯარისებულ კონკრეტულ მტკიცებულებებს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არსებულ ელიტურ და ორგანიზებულ კორუფციაზე, ამგვარი ხმაბოდვებითა და ავყიობით ეხმიანებოდნენ (**არ ვამბობ პასუხობდნენ, რადგან ასეთი რამ პასუხი კი არაა, არამედ საკუთარ ამონარწყევში ნებივრობა**): ***„ამიტომაც ყარს მისი "შემოქმედება“, რომელშიც ფილოსოფოსმა და დეპუტატმა გერმანე ფაცაციამ როგორც ჩანს, სრულიად ახალი სააზროვნო მიმართულება „დაინახა“ და „საწმერთულოგია“ უწოდა. რაოდენ სამწუხარო არ უნდა იყოს, მკვდრადშობილია ეს მიმართულება და ძალიან ვეჭვობ, რომ სერგის საცდელ კურდღელზე - ველოდი მირცხულავაზე (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი - ს. საჯ.) მეტ ხანს იცოცხლოს...“ („სერგოს კრეტინ კრედო“ .. გალექსებასაც ცდილობს ეს ნაძირალა ამ წერილში, ს. საჯ. („საერთო აგზეთი“, 2011 წ. 1-7 ივნისი)*** ნ. მგალობლიშვილი ***„ამტკიცებს“*** რომ მე ზედწოდებით ***„გრეკ“*** საბჭოთა უშიშროების აგენტი ***„ვყოფილვარ“*** და ასევე ***„ბრალს მდებს“*** ნ. კოსტავას ფონდის მითვისებაში. მიუხედავად იმისა, რომ ნ. მგალობლიშვილის ეს წერილი, ადრე ე. წ. გაზეთ ***განმათავისუფლებელში“ (2011 წ. აპრილი)*** დაბეჭდილ ავყიურ ამონაროშთან, აწგანსვენებული გ. ფაცაციას არმოსიმართლე წერილთან ***(„საერთო გაზეთი“, 2011 წ. 23 მაისი)*** და ა. წოწონავას ხმაბოდვასთან *("საერთო გაზეთი", 2011 წ. 14 სექტემბერი)* ერთად 2012 წლის სექტემბერში თან დავურთე ჩემს შესაგებელ სარჩელს, სადაც ესენი, მიუხედავად მათში ამყრალებული ყოვლისმკადრებლობისა და თეთრი ძაფით ნაკერი სიცრუისა,

უფრო მეტიც, ჭერქვეშ გაზრდილისთვის შეუფერებელი ბილწსიტყვაობისა, *სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის სასამართლოში კინაღამ იავნანურად მიიჩნიეს. სამაგიეროდ ზ. ესებუას მიზნობრივად თვალახვეულ მზერას, როგორც მოსალოდნელი იყო, "გამოეპარა", რომ ა. წოწონავაც, ნ. მგალობლიშვილის მსგავსად, მხოლოდ ჩემი უსაგნო ლანძღვით დასაქმდა და ვერანაირი საპირწონე ვერ მიაგება, კრინტი ვერ დაძრა ჩემს წიგნში მითითებულ მტკიცებულებებზე მათი ელიტური კორუფციის შესახებ*, სამაგიეროდ, იგი ისევე, როგორც უფრო გვიან გაზეთში *„ახალი თაობა" (2012 წ. 19 ნოემბერი)* გამოქვეყნებულ მორიგ ხმაბოდვაში ამრავალცალებს *(ატირაჟებს)* სიცრუეს ჩემი *„გრეკობის"*, კინაღამ *„მოწესე ქურდობისა"* თუ სხვა *„ხელმრუდობათა"* შესახებ... რომელთა გასამყარებლად ვერც ერთი მტკიცებულება ვერ მოჰყავს.

ჩემზე ცილისწამებების გავრცელება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საყოველდღიურო საქმიანობა გახდა 2011-2013 წლებში. ახლა მე გეკითხებით თქვენ, გადახედეთ მათ *„ვებ-გვერდზე"* გამოქვეყნებულ ჩემს განმქიქებელ წერილებს და მიპასუხეთ, *არის თუ არა ეს სახელმწიფო ინსტიტუციის მიმიზნება ადამიანის ღირსების შესალახად,* მასზე *„გადავლის"* მიზანმიმართული წარმოება და რაც ასე საგანგაშოა, სრულიად უსაფუძვლოდ აგორებული თანმიმდევრული ლანძღვა?! სხვათაშორის, ძალიან რბილად ვამბობ, ლანძღვა კი არა მათ სტრიქტონებში ჩემს ჩასაქოლად და სისხლის დასალევად აწყვეტილი ხროვის მზაობა ჩანს.

ამდენად, წიგნი *„შეთქმულ თვრამეტიანელთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში"* წარმოადგენს 2011 წელს გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილთა კრებულს, რომელშიც საუბარი გახლდათ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის *(გ. გვაზავა, ა. წოწონავა, დ. გვაძაბია და ა. შ.)* მიერ ორგანიზებულ კორუფციაზე. ამ წიგნის გარშემო, როგორც ზემოთ გითხარით, საპასუხო ხმაბოდვებში ე. წ. მოპასუხეებმა ნ. მგალობლიშვილმა, გ. ფაცაციამ,, ა. წოწონავამ და სხვებმა, ისე, რომ კრინტიც არ დაუძრავთ მითითებული ბოროტმოქმედებების უარსაყოფად, თავი დაისაქმეს თავაშვებული ლანძღვისთვის და ლაფისსროლით შემომიჭენდნენ.

რაც შეეხება წიგნის სათაურს: საქმე ისაა, რომ ჩემს საბეზღებელ და დასაშანტაჟებელ საჩივარზე, რომელსაც გ. გვაზავას დავალებით 16 კაცი აწერდა ხელს და რომელშიც უშიშროების წინაშე მიჩიოდნენ, რომ მ. სააკაშვილი გავაკრიტიკე ჩემს ადრინდელ წიგნებში, 16 ხილულ ხელმომწერს უხილავად ელგუჯა გვაზავა ხელმძღვანელობდა ანუ 16+1=17. უფრო გვიან ადა მარშანიამაც, რომელიც მანამდე მირეკავდა და ვითომცდა არ ეთანხმებოდა ამათ, ხელი მოაწერა მორიგ სახელდახელო ავყიობას ჩემს წინააღმდეგ, ანუ მხილებული კორუფციის დასაფარავად ამ ჯოგს აუწყო ფეხი. ამდენად, 17+1=18-ს.

ამრიგად, სარჩელმიმისამართებულ ჩემს წიგნში ***„შეთქმულ თვრამეტიანელთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში“ (თბილისი, 2012 წ. 15 იანვარი)*** მოთავსებული წერილები ე. წ. 14 მოსარჩელისათვის ჯერ კიდევ 2011 წელს იყო არათუ ცნობილი, არამედ, მათ მიერ სხვადასხვა სხდომაზე განხილული, უფრო მეტიც, მათზე პრესაში მათივე გამოხმაურებებიც კი დაიბეჭდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემს წინააღმდეგ ცილისმწამებლური საქმიანობა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის ერთმა ნაწილმა ჯერ კიდევ მანამდე დაიწყო, სანამ მე აქ, უფრო სწორად, ამ ნაწილთან არსებულ ელიტურ კორუფციასა თუ პოლიტიკურ არაკომპეტენტურობას გავასაჯარისებდი ***(იხ. გაზეთი „განმათავისუფლებელი“, 2011 წ. მარტი)***.

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის ამ ჯგუფის არაკონპეტენტურობასა თუ ბოროტმოქმედებაზე ჩემს აღნიშნულ წიგნში გამოქვეყნებულ მტკიცებულებათა წყაროს წარმოადგენს პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას განცხადებები; 1992-96 წლების გაზეთებში ***„აღდგომა“***, ***„არჩევანი“***, ***„ზვიადის ხმა“*** და ა. შ. გამოქვეყნებული სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა დოკუმენტები; ქართული პრესის ***(გაზეთების) „საქართველოს რესპუბლიკა“***, ***„რონიკა“***, ***„ქრონიკა +“*** და ა. შ. პუბლიკაციები 2000-2014 წლებში; აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის ***(2004-2009 წლებში)*** ნაპო მესხიას წიგნი ***„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) (თბილისი, 2009 წ)***; ნუკრი ბაღდავაძის ***„საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტი“ (თბილისი-სტრასბურგი, 2011 წ.)***, ჯაბა იოსელიანის ***„მესამე განზომილება“ (თბილისი, 2002 წ.)***; კრებული ***„აფხაზეთი ქართულ პროზაში„ (თბილისი, 2008 წ.)*** - პროექტის ავტორი და რედაქტორი - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გენო კალანდია, ასევე თვითონ მოსარჩელე ნ. მგალობლიშვილის წერილი ***„როგორ, უღალატეს ქართულ საქმეს ქართველმა დეპუტატებმა“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მარტი, 2010 წ.)***. სხვათაშორის ავტორი ამ პუბლიკაციაში ერთგვარი სიამაყით თავადვე აღნიშნავს, რომ უფრო ადრეც გამოუქვეყნებია მას ისევ და ისევ ამ გაზეთში ამავე თემაზე წერილი, რომელშიც, მისი თქმით, ამ მოღალატე დეპუტატებისთვის მას უწოდებია ***„არძინბას პრიანიკზე გაყიდული დეპუტატები“***.

***

ასეთ ვითარებაში, ქალბატონო მოსამართლევ, ვის თუ არა თქვენ, მკაფიოდ მოგეხსენებათ, რომ, როდესაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს 14 მოსარჩელე, რომელთაგან კანონი - სულ ტყუილები რომ მელაპარაკა და მართლა ცილისწამებები მევრცელებინა მათზე, დიახ, კანონი მაინც მათგან თმენის ვალდებულებას მოითხოვდა, ხოლო გაგრა - გუდაუთი - სოხუმის სასამართლომ სარჩელი მარტო კანონის დარღვევით კი არა, მე-15

მოსარჩელის დაინტერესებით მიიღო. ეს ერთი. მეორეც, - ეს მან გააკეთა მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის გამოქვეყნებიდან ხუთგზის ასი დღე იყო გასული, არადა, ასეთი სარჩელის სასამართლოში შეტანა მათ ამ წიგნის გამოსვლიდან 100 დღეში უნდა მოესწროთ და მესამეც, - მასალები მათი კოლექტიური კორუფციის შესახებ პროკურატურაში იყო გადაგზავნილი. აქ გათვლა მარტივი იყო, გაგრა - გუდაუთი - სოხუმის სასამართლომე გამამტყუნებდა, რასაც წინამდებარე 14 მოსარჩელე კორუფციის არ არსებობად გაუსაჯარისებდა საზოგადოებას. ასეც მოხდა.

***

ასეთ დროს თავისთავად იბადება კითხვა: ვინ არის, ბოლოსდაბოლოს, აფხაზეთის მრავალჭირგადანატანი *მოსახლეობისთვის ნ. მგალობლიშვილი, რომ ლამისაა, მოსეს ლაბაშით წინამძღოლობა მიუნდომოს მათ?!*

ვინაა და შთამომავლობითი ლოთი, აქედან გამომდინარე ცხოვრების წესით (ახლა ნუ მეტყვით, ფიროსმანიც სვამდაო, სამაგიეროდ მან ღირებულება შექმნა). ესაა ხელმოცარული, უნიჭო, ბოღმის ლაგუჯად გადაქცეული ორფეხი, რომელიც *ავყიობისას ისევე განიცდის ორგაზმს,* როგორც მამაკაცი სასურველ მდედრთან მიერთსხეულებისას. მე არ მინდა ამჯერად თვითონ დავახასიათო იგი, მით უფრო, რომ ამას შესაშური სიზუსტით, აგერ უკვე მეოთხე თვეა, თანმიმდევრულად განაგრძობს მისი კოლეგა ნაპო მესხია, თანაც ამ პუბლიკაციებში წინამდებარე თოთხმეტეულის სხვა ფიგურანტებიცაა საკმაო სიზუსტით დახასიათებული:

***

„თქვენ, თქვენს მეგობრებთან - მგალობლიშვილებთან, მყავიებთან და სხვებთან ერთად, ნებით თუ უნებლიედ ხელს უწყობდით ყოველივე იმას, რაც ძაბავდა ურთიერთობას ქართველებსა და აფხაზებს შორის და იწვევდა საზოგადოებრივ დესტაბილიზაციას.

ბატონ მგალობლიშვილზე, არშემდგარ მხატვარ-პოლიტიკოსსა და პოლიტიკაში მის „ნაშიერ“ კიღურაძე-მყავიაზე (სხვათა შორის, ძალიან საინტერესოდ ჰყვება ბატონი თემური იმაზე, თუ როგორ გადაიქცნენ ისინი - კიღურაძეები მყავიებად, მოაყოლიეთ და უსმინეთ, ძალზე საინტერესოა!), და იმ ხალხზე რა მოგახსენოთ, რომელთა სინდისზეა, სხვებთან ერთად, იმ აპარტეიდული, დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღება, რომელმაც დაღუპა ეს ქვეყანა (დეტალებზე მოგვიანებით შევჩერდები)...“

გაზეთი „ილორი“, ”პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს“
2013 წლის 22-29 ოქტომბერი

***

„რა დამავიწყებს, როგორ გარბოდა ნუგზარ მგალობლიშვილი თავისი ჯგუფით პარლამენტის სხდომებიდან! ამ ადამიანების უგერგილობასა და

უპასუხისმგებლობაზე ლაპარაკიც აღარ ღირს - მათ ხომ სხვებზე ბევრად ადრე მიატოვეს აფხაზეთი?! მაგრამ აფხაზურ მხარესთან მიღწეული შეთანხმების დარღვევა უკვე აშკარა ღალატი იყო! ეს იმის მკაფიო მაგალითია, თუ როგორ ანაცვლებენ ზოგიერთები საკუთარ ამბიციებს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს".

გაზეთი „ილორი", ნ. მესხია, „პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს"
2013 წლის 29 ოქტომბერი - 5 ნოემბერი

***

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ დღემდე ვერ გამიგია, რაში სჭირდება მას აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების შიდა სამზარეულოში ესოდენ გამუდმებით ხელის გასვრა? ეს სამზარეულო არც ისე იშვიათად, შხამიან საკვებს (თუ საკენკს) გვიმზადებს. აქ მოყუჩებულ ზოგიერთ „მზარეულს" ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქე-დევნილი ადამიანად არ მიაჩნია და იცით, რატომ? 20 წელიწადია ტრიალებს აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების მოჯადოებული კარუსელი - ერთი სკამიდან მეორეზე გადაჯდომა-გადახტომა. ზედა ეშელონები "სკუპ-სკუპის" პროცესში იქმნება და ისიც დროებით. მეკარუსელეები ისევ ძველ პოზიციებს უბრუნდებიან. დეპუტატობა და მთავრობის რიგითი წევრობა მათთვის აქ გარანტირებულია.

ქალბატონ რაისას თავიდანვე ვეტყვი, - მე თქვენზე უკეთესი წარმოდგენის ვიყავი. იმ წერილით ისე გაიშიშვლეთ თავი, რომ შორიდანაც ჩანს ის ჭუჭყიანი ზეწარი, რომელშიაც ყოფილხართ გახვეული. მკითხველს ბოდიშს მოვუხდი ამ სიტყვებისათვის, ვიმედოვნებ, სწორად გამიგებენ".

გაზეთი „ილორი", 2013 წლის 29 ოქტომბერი - 5 ნოემბარი

***

„...შადიმანობაა, როდესაც გარბიხარ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებიდან თუ სესიებიდან და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს უბრძოლველად აბარებ ბურთსა და მოედანს.

„შადიმანობაა, როდესაც პატარა აფხაზეთში ორხელისუფლებიანობის პრეცედენტს უშვებ - ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობისთვის ცალკე ქმნი ალტერნატიულ მთავრობებს - უმაღლესსა და მინისტრთა საბჭოებს ყველა შესაბამისი სამსახურით (პროკურატურა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, უმაღლესი სასამართლო და სხვ.) და ამით ხელს უწყობ ფეთქებადსაშიშ გარემოს ჩამოყალიბებას..."

„...შადიმანობაა, როდესაც <u>ომის დროს, პირწმინდად ძარცვავ საკუთარ მოსახლეობას,</u> შემდეგ კი გამორბიხარ ბრძოლის ველიდან და მას მტერთან პირისპირ ტოვებ..."

„...შადიმანობაა, როდესაც ოჩამჩირის რაიონში დაბანაკებული, კბილებამდე შეიარაღებული 9 ათასამდე სამხედრო შენაერთები ასევე უბრძოლველად ტოვებენ ოჩამჩირისა და გალის ტერიტორიებს ისე, რომ მწყობრიდან არ გამოჰყავთ საგზაო კომუნიკაციები, რათა აღნიშნული რაიონების მოსახლეობას მოესწრო უფრო ორგანიზებულად და უსაფრთხოდ გამოსულიყო სამშვიდობოზე;

„შადიმანობაა, როდესაც არ ხსნი ახალ ფრონტის ხაზს მაჭარკასა თუ კოდორზე და დაუცველი სოხუმისა და გულრიფშის მოსახლეობას ტოვებ გააფთრებული მოწინააღმდეგის პირისპირ და ასე საკენ-ჭუბერის - ჯოჯოხეთის გზას გაუყენებ...“

„შადიმანობაა, როდესაც სამარი მოქმედების განახლების მიზნით გალის რაიონის ქვედა ზონაში აწყობ მარულას, შემდგომ იქ ავტომატის მხოლოდ ერთი მჭიდითა და ერთი ხელყუმბარით შეიარაღებული სამხედრო შენაერთები შეგყავს, რომლებიც უმალვე ტოვებენ იქაურობას და მოტყუებულ მოსახლეობას ტოვებ მტრის პირისპირ, იმის მოლოდინში რომ იგი ამოჟუჟავს ათასობით ქართველს და ამით მტრის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი გენოციდის უტყუარ საბუთს მიიღებ“.

„შადიმანობაა, როდესაც დეპუტატები სენაკში ჩატარებულ აფხაზეთის ა/რ-უმაღლესი საბჭოს სესიაზე მილიტარისტული შეძახილებით ამხნევენ და მხარს უჭერენ საკუთარი ხალხის გენოციდის მომწყობ მოღალატე ხელისუფლებას...“

<u>...ბატონო ნუგზარ,</u> ახლა ხომ კარგად გაიგეთ, თუ რა ყოფილა შადიმანობა!

მოდით, გადავავლოთ თვალი აქ ჩამოთვლილ გამაოგნებელ შადიმანობათა მრავალფეროვნებას და ვნახოთ, რომელი არ შეესაბამება სიმართლეს! იქნებ მითხრათ, დამარწმუნოთ?! კაცურად მივიღებ თქვენს ყველა შენიშვნას, ოღონდ თქვით, დაასაბუთეთ, რომ არ იყო ისე, როგორც ვწერ და გპირდებით, ჩავასწორებ შადიმანობის ჩემეულ ჩამონათვალს და ბოდიშსაც მოგიხდით საზოგადოდ, მაგრამ ვშიშობ, ძალიან გაგიჭირდებათ ამის გაკეთება!..“

გაზეთი „ილორი“, ნ. მესხია, “პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას
ზურგშექცეულ კოლეგებს“
2013 წლის 19 ნოემბერი

***

როგორ გგონიათ, ნ. მგალობიშვილმა რაიმე საბუთით უარყო ბატონ ნ. მესხიას ბრალდებები? - არა! უფრო სწორად, ვერა!

***

„უმეცრებასა და ღალატში "მხილებით" თქვენ მე კი არა, ხალხსა და სიმართლეს ემიჯნებით. ეს არის აქ მთავარი!

რა კომენტარი უნდა გაკეთდეს ასეთ შემთხვევაში? რა შეიძლება, უთხრა ადამიანს, რომლის უტიფრობაც ყოველგვარ ზღვარს სცილდება? შეუძლია კი მას (თავის მეგობარ ბატონებთან და ქალბატონებთან ერთად) მოიშველიოს თუნდაც ერთი ფაქტი, როდესაც მე ძირგამომთხრელ საქმიანობას ვეწეოდი უმაღლესი საბჭოს ან ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, ამას ვერ შეძლებს! ვერც წიგნში ნახავს ისეთ სტრიქონებს, სადაც საუბარია დეპუტაციის დაშლაზე, მისი უფლებამოსილების შეჩერებაზე, როგორც, ჩანს, იგი რაღაცას გაუბრუებია, შესაძლოა, მეხსიერება ღალატობს, ან კიდევ არ უნდა გაიხსენოს, რა მოხდა აფხაზეთში, რადგან როგორც ვერშემდგარი პოლიტიკოსი, თავის წარსულიდან ფასეულს ვერაფერს მოიხმობს! ამიტომაც მას, უბრალოდ არ სურს წარსულში დაბრუნება და იმის გახსენება, რაც რეალურად ხდებოდა.

თქვენ სად იყავით მაშინ, როცა ამ და სხვა პრობლემების გადასაჭრელად დავრბოდი სოხუმსა და თბილისს შორის? კულუარულად ვაგვარებდი აფხაზური მხარისა და სახელმწიფო საბჭოს ლიდერების შეხვედრას (იხ. გვ. 28), სად იყავით მაშინ, რომელ სოროში იმალებოდით?

რა გაგიკეთებიათ და რითი მოაწონებთ თავს შთამომავლობას?

<u>სწორედ თქვენზე ჩურჩულებდნენ მოგვიანებით, რომ ამდენი ხნით მოსკოვში ყოფნის შემდეგ, „ფსბ“-ს ან „გრუ“-ს აგენტად მოგვევლინეთ. ასეა ეს? დავიჯეროთ?!</u> მე კი, ამ დროს, ისევე ვიბრძოდი ქართული ფრაქცია "დემოკრატიული აფხაზეთი"-სათვის, - მისი წევრებისთვის შევარდნაძისა და მისი გარემოცვის მიერ არალეგიტიმურად შეჩერებული უფლებამოსილების აღდგენისთვის.

...ვ. არძინბას მოსკოვიდან ჩამოყვანა და მისი აფხაზეთის თავკაცად არჩევა, რადგან მათი ღრმა რწმენით "იგი დაღუპავდა ჯერ აფხაზეთს, მერე კი საქართველოს!" ამაზე დეტალურად და გულახდილად გესაუბრეთ ჩემთან, სახლში - მყუდრო ვითარებაში! თქვენ ყურადღებით მომისმინეთ, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ყველაფერი პირიქით გააკეთეთ (იხ. შეს. 42 და 48 გვ.) - თქვენს გარემოცვასთან ერთად, ხელი შუწყვეთ არძინბას აფხაზეთში ჩამობრძანებას.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი კარგად ჩახედული პოლიტიკაში და არ მეგონა, რომ იმ ადამიანს დაემსგავსებოდით, რომელიც <u>ერთხელ შეიძენს ხოლმე ტრამვაის ბილეთს და მერე მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმ ბილეთით მგზავრობს.</u>

ამ დროს თქვენ, როგორც „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ლიდერი აფხაზეთში, თქვენს „თანამებრძოლებთან“"ერთად, აფხაზურ პოლიტიკურ ბლოკ „აიდგილარა“-სთან და მის ლიდერებთან - სერგეი შამბასა და ზურაბ აჩბასთან ჩონგურივით გქონდათ აწყობილი ურთიერთობა და ყველა საქმეს აგვარებდით, მაგრამ სამწუხაროდ, უფრო მეტად ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ“.

გაზეთი „ლორი", „პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს“
2013 წლის 24-31 დეკემბერი

***

ვერც ამ მხილებას დაუდო საპირწონე თვითმარქვია „მამულიშვილმა“. მხდალი და მტყუანი კაცის გატრუნვით გაეცალა კამათს!..

***

ბატონო მოსარჩელეებო, აი, ასეთი გახლავთ სახალხო განწყობა თქვენს მიმართ და კვირა ისე არ ჩაივლის, ამის შესახებ სათანადო მასალა არ გასაჯარისდეს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით.

როდესაც ვითვალსაწიერებ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დღევანდელი ხელმძღვანელობის მიმართ ჩემი შეხედულებების წყაროს, აქ შორს წაგვიყვანს იმ პუბლიკაციების დასახელება, რომლებიც ამ წლების მანძილზე გამოქვეყნდა ქართულ მედიაში. საზოგადოებაში შეიქმნა უარყოფითი, აზრი მათ შესახებ, რომლის მიხედვით არც თუ იშვიათად

დევნილები სტვენით აცილებენ ხოლმე მათ, ამიტომ ისინი თავისუფლად ვერ ჩნდებიან საზოგადოების ხალხმრავალი თავშეყრის ადგილებში.

რა თქმა უნდა, ჩემი წიგნის წყარო უდავოდ არის დღეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, თავის დროზე საბჭოთა მილიციის პოლკოვნიკის ა. წოწონავას მიერ შეგროვებული კომპრომატები თავის კოლეგა დეპუტატებზე, რომელთა საზემოქმედო გამოყენება მას სურდა თუ კენჭს იყრიდა თავმჯდომარის თანამდებობაზე. ეს საშანტაჟოდ სჭირდებოდა იმ შემთხვევაში თუ ხმას არ მისცემდნენ.

იგი ამ მასალებს შორგამიზნულად მაცნობდა, სურდა ჩემს წიგნებში ამესახა და ეს რომ ასეა, ამაში წესით უნდა დამემოწმოს ერთ-ერთი მოსარჩელე გ. ხუბუა, თავმჯდომარის მოადგილე, რომელსაც პრეზიდიუმის წევრ ჯ. გამახარიას თანდასწრებით, ჯერ კიდევ მაშინ, როცა იქ ვმუშაობდი, მოვახსენე, რომ ა. წოწონავა კომპრომატებს აგროვებდა პირადად მასზეც და სხვა დეპუტატებზეც, რომლებსაც კარგი საქმისთვის არ გამოიყენებდა. უფრო მეტიც, მოვითხოვე კომისიის შექმნა და ამ საძრახი მასალების ამოღება.

***

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებაში ***„სადავო“*** ფაქტობრივ გარემოებებად მიჩნეულია, როცა: ა) პუნქტის მიხედვით ვსაუბრობ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ნაწილის, რბილად რომ ვთქვათ, არა შესაბამის საქმიანობაზე. უნდა შეგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ დევნილი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას 1992 წლის 14 მაისის მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი, რომელშიც გამაფრთხილებლად ჟღერდა, ***„...იმპერიულმა ნეოკომუნისტურმა-კრიმინალურმა ხუნტამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ აფხაზეთში კვლავ გაღვივდეს ეთნოკონფლიქტი, მან მოსკოვის დავალებით "გააუქმა" საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, რომელშიც ჩაწერილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი...“ ("საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია“, II. „ხმა ერისა“, თბილისი, 1995 წ., პირველად დაიბეჭდა გაზეთ „აღდგომაში“, 1992 წ. 17 მაისი)***.

თუ რამდენად წინასწარმეტყველური იყო დევნილი პრეზიდენტის წინამდებარე გაფრთხილება, რომელშიც იგი მოსახლეობას კოლაბორაციულ ძალებთან თანამშრომლობის არ დაშვებისკენ მოუწოდებდა, ამის დასტური ჩვენი დევნილობაა.

სხვათაშორის, სწორედ ამის გამოხმაურება გახლდათ გაზეთის ამავე ნომერში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ჯ. გამახარიას წერილი, რომელსაც დევნილი პრეზიდენტის მომართვა დაბეჭდვამდე გავაცანით. იგი მაშინ წერდა: ***„ამავე დროს ჩვენ სასტიკად ვგმობთ აფხაზეთის***

უმაღლესი საბჭოს ანტიქართულ საქმიანობას, რაც ძაბავს სიტუაციას და საქმე ომამდე მიჰყავს...“

სამწუხაროდ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქართულმა ფრაქციამ ამ ინსტიტუციაში ოკუპანტ-სოიუზელებისა და აგრესორ-სეპარატისტების პოლიტიკურ დემარშებს და ცეცხლთან თამაშს უკეთესი ვერაფერი დაუპირისპირა და წინააღმდეგ ზ. გამსახურდიას განგაშის ზარისა, როგორც დეპუტატი ნ. მესხია თავის გახმაურებულ წიგნში ასევე იმეორებს და 2013 წლის სექტემბრიდან - 2014 წლის აპრილამდე (ჯერჯერობით, რადგან პუბლიკაცია გრძელდება) გაზეთ *„ილორში“* გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში წერს, ფეხი აუწყო პუტჩისტების კოლაბორაციულ ნაბიჯებს, ის კი არადა, მათი შემოსვლა გაამართლა და ეს *”სასიხარულო მოვლენა”* ბანკეტითაც კი აღნიშნა. ეს რომ ნ. მესხიას აკვიატება არაა და სინამდვილეში ასე მოხდა, ამაზე სულ სხვა წყარო იტყობინება: *„პირველ სართულზე, სასტუმრო ოთახში, მაგიდას შემოსხდომიან თამაზ ნადარეიშვილი, გივი ლომინაძე (დღეს მოსარჩელე, ს. საჯ.) და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კიდევ რამოდენიმე დეპუტატი, მათ შორის, ზვიადისტებიც. ლომინაძეს სუფრის „ავტონომიური“ წრე შეუკრავს და შამპანურს სვამენ...“ (კრებული „აფხაზეთი ქართულ პროზაში“, თბილისი, 20087 წ. გვ. 224. ნაწყვეტი ჯაბა იოსელიანის წიგნიდან ”სამი განზომილება“)*. როგორც აწგარდაცვლილი ჯაბა იოსელიანი იგონებს ამ *„საზეიმო“* პურობას დღეს დეპუტატი და მოსარჩელე გ. ლომინაძის გარდა დღევანდელ მოსარჩელეთაგან *ნ. მგალობლიშვილიც შეენაკადა, რომელსაც ზ. გამსახურდიას გაფრთხილება უკვე არ მიაჩნდა სახელმძღვანელოდ.* მაგრამ ჯერ სადა ხართ, ჯ. იოსელიანი ხმამაღლა, მისთვის ჩვეული ჩაცინებით იმასაც იხსენებს, რომ აქვე, ბანკეტზე მაგიდას უზის დეპუტატი ჯ. გამახარიაც - ისიც „ზვიადისტი“. რაც მთავარია, მანამდე აწ განსვენებულმა ჯაბამ აი, როგორ „უკვდავყო“ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ქართული ფრაქციის წადილი: *„უმაღლესი საბჭოს დეპუტატებიც იმ აზრზე არიან, რომ აფხაზეთში ჯარი შევიყვანოთ“*.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ *„საქართველოს რესპუბლიკაში“* დეპუ-ტატი რ. ქარაია, როგორც დეპუტატი ნ. მესხია წერს, „ჭუჭყიან ზეწარში გახ-ვეული“, ეკამათება რა მას (ნ. მესხიას) და უარობს აფხაზეთში ჯარის შემოყვანასთან რაიმე კავშირს, თან მოწმედ აფრიალებს თ. სიგუას კერძო წერილს იმაზე, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო დეპუტატებს, თურმე, არ სცოდნიათ, ჯარი რომ შეჰყავდათ ჩრდილო-დასავლეთ საქართვე-ლოში. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან დევნილი მოსახლეობისთვის თვალებში ნაცრის შემყრელ რაისას როყინი ცრუმოწმეობას უფრო ჰგავს, რადგან, ჯერ ერთი, თ. სიგუა არსად წერს, ჯ. იოსელიანი ცრუობსო, ეს არც მანამდე, ჯ. იოსელიანის სიცოცხლეში უთქვამს, მეორეც, თ. სიგუას, ამ საქართველოს დამაქცევარის ეს ნაწერი უფრო შეკვეთის შესრულებას ჰგავს

და მესამეც, რა ფასი აქვს იმ კაცის *„მტკიცებებს“*, რომელიც ლაგამ-ამოუდებელმა პატივმოყვარეობამ კოლაბორაციის მწყობრში აათოხარიკა და საკუთარი ხალხს სისხლისღვრა მოახვია თავს.

ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ქართულ ფრაქციას შესაბამისი კომპეტენტურობა აკლდა და ზოგიერთ შემთხვევაში ანგარებაც მართავდა, ამას იტყობინება *„საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტიც“*, კერძოდ, მის მეშვიდე გვერდზე შავით თეთრზე წერია: ***„აფხაზეთის უზენაეს საბჭოში დაიწყო ქართული დეპუტაციის ყოვლად გაუმართლებელი მოქმედებები, რასაც მოჰყვა 1992 წლის 14 აგვისტოს ომის იურიდიული მომზადება რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტური ნომენკლატურის მიერ...“ (გვ. 7)***.

სხვათაშორის, 1992 წლის 7 ოქტომბრის გაზეთში *”აღდგომა”* ჯ. გამ-ახარიამ გამოაქვეყნა თავისი დამოკიდებულება ხუნტის მიერ ორგანიზებული 11 ოქტომბრის *„არჩევნებისადმი“*, რომელსაც საქართველოს პარლამენტი უნდა *„აერჩია“*. ჩვენი აზრები ემთხვეოდა იმაში, რომ აფხაზეთში, სადაც არ წყდებოდა ზ. გამსახურდიას მხარდასაჭერი მიტინგები, იმისათვის, რათა ხელი შეწყობოდა ყურადღების სხვა რამეზე გადატანას, თვითმარქვია ”ხელისუფლების” დანაშაულებრივი წინგაუხედაობით, როგორც ამას საქმეში ჩახედულები იხსენებენ *(მაგალითად, გენერალი მარინაშვილი)*, ძალიან საეჭვო ვითარებაში ჩაბარდა ბიჭვინთა-გაგრა-ფსოუს მონაკვეთი.

გაზეთის ამავე ნომერში მანუჩარ ახვლედიანის ფსევდონიმის ამოფარებით გამოქვეყნდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არც თუ რიგითი დეპუტატის ვრცელი კრიტიკული წერილი, რომელშიც ავტორმა იმ დროის აფხაზეთის ხელისუფლებას, მათ შორის აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ქვეყნის დაქცევაში დასდო ბრალი, რადგანაც მათ მოსახლეობისთვის ხუნტის მიერ კრემლის დაკვეთით თავსმოხვეულ საომარ ავანტიურაში ქვეყნის დაცვის ნაცვლად კორუფციაში მონაწილეობით დაისაქმეს თავი, ამდენად, ქვეყნის ღალატის გამო *„ციტრუ-სების მთავრობა“* უწოდა მათ ***(იმ შემოდგომაზე ამ ხალხმა, როგორც ავტორი ამხელდა, ლაგამამოუდებლად იბაცაცა აფხაზეთში ყოფილი საბჭოთა მეურ-ნეობებიდან ციტრუსების მითვისება-გაყიდვით)***.

აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ 1997 წლის 1-7 ოქტომბრის გაზეთში *„მსგეფსი“ (№24)* დაიბეჭდა ჟურნალისტ ვიკა ქავჟარაძის მიერ აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს-თან ვიტალი მიხელიძესთან მომზადებული საუბარი, რომელშიც ჟურნალისტის კითხვაზე *„ვინ გაყიდა აფხაზეთი?“* იგი ასახელებდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ დეპუტატს, რომელიც მოსარჩელეთა შორის არაა და ამიტომ არ ვასახელებ მას, მაგრამ ამ საგაზეთო პუბლიკაციას ვიხსენებ მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს

დეპუტატთა არაჯეროვანი საქმიანობა ქართულ პრესაში მანამდეც და მას შემდეგაც მრავალჯერ გაშუქდა და დღეს განსაკუთრებით საჯარისდება მათი საძრახი საქმიანობა.

თუმცა, აქ ყოველმიზეზგარეშე უნდა შევნიშნო, რომ ვერანაირად ვერ დავეთანხმები ვ. მიხელიძის მოსაზრებას დევნილ პრეზიდენტზე. თქვენ შეიძლება შემეპასუხოთ, რაც სულაც არ გამიკვირდება და მითხრათ, რომ ეს 17 წლის წინანდელი აზრია და საზოგადოება დღეს სხვა წარმოდგენისაა ამ ადამიანებზე. რა თქმა უნდა, უფლება როგორ არა გაქვთ ამგვარად გაფიქრების, მაგრამ საქმც ის გახლავთ, რომ რაც დრო გადის, საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო და უფრო მრისხანე შორისდებულებში ისაგნება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წევრთა ერთი ნაწილის მიმართ და იგი სხვადასხვა გაზეთების ფურცლებსა თუ ტელერადიოს მეშვეობით ამგვარად საჯარისდება: ***„ლომინაძე (საუბარია გივი ლომინაძეზე, - ს. საჯ.) ერთ-ერთი ბოროტმოქმედია, რომელიც მონაწილეობდა აფხაზეთის ჩაბარებასა და ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში. ლომინაძემ ამ საქმეში ყველაფერი იცის, ისევე, როგორც ავთო მარგიანმა. ყველაფერი იცოდა ამ საქმეში ავთო იოსელიანმაც. <u>გივი ლომინაძემ ომი და მკვლელობა ბიზნესად აქცია.</u> ნახეთ მისი სასახლე საგურამოში, წილები ბანკ „რესპუბლიკაში“, უმდიდრესი ადამიანია...“ (გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2013 წლის 11-18 ნოემბერი).***

დიახ, ეს ის გ. ლომინაძე გახლავთ, რომელსაც გაზეთ ***„საქართველოს სამრეკლოში“ (1998 წ. 15-21 ივლისი, №18)*** გამოქვეყნებულ განცხადებაში სხვებთან ერთად ბრალი ედება 1992 წლის აგვისტოს ომის რუსიზმის გეგმათა შესაბამისად პროვოცირებაში. ამ მიზნით მან აფხაზეთში შექმნა საგანგებო კომიტეტი და მის თავმჯდომარედ დაინიშნა თავი(ამაზე ზემოთ მქონდა საუბარი).

გახსოვთ, ჯ. იოსელიანი იგონებს, რომ მან ბანკეტიც კი გადაიხადა ომის დაწყების გამო იმავე დღეს.

ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს კორუფციაში ეჭვმიტანილი ნაწილი, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ამომრჩევლების იმედგაცრუებაში და დევნილთა სათავზარო ყოველდღიურობისადმი გულგრილობაში, სახელმწიფო თანამდებობის პირისა და სახალხო დეპუტატის მოვალეობისადმი მიმფურთხებლურ დამოკიდებულებაშია, ყოველივე ამით კი ქვეყნის, სახელმწიფოსა და ხალხის ღალატით დაისაქმა უცხირპირო თავი, აგერ უკვე მეცხრე თვეა ***(გაზეთი „ილორი“ №238-252)*** იმხილება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, პროფესორ ნ. მესხიას მიერ ***(ჩანს, ამ ბრალდების გასაჯარისება ამ ავტორის მიერ, ამავე გაზეთში, სულ ცოტა, კიდევ ამდენ ხანს გაგრძელდება)***.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება 1992 წლის 14 აგვისტოს მომდევნო დღეები, როდესაც ჯ. იოსელიანის ზემოთ აღწერილი ბანკეტის

შემდეგ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციის, მათ შორის ზოგიერთი ე. წ. 14 მოსარჩელეთა რიგებში დღეს რომ უარობს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს *(აფხაზეთის)* საომარი ავანტიურის დაწყების ***„დასაბუთებასთან“*** რაიმე კავშირს *(თ. მჟავია, ნ. მგალობლიშვილი, ა. გასვიანი და ა. შ.)*, როგორი შთაგონებით ***„ამართლებდნენ“*** ამ ომს, როდესაც ისინი აფხაზეთის ტელევიზიით მიმართავდნენ ხალხს.

უფრო მეტიც, კრემლის დაკვეთათა შესაბამისად, სოხუმის, თბილისის, მოსკოვისა და ა. შ. ტელევიზიათა ეკრანებიდან თუ სხვა საშუალებებით მათ მიერ რუსეთის ამ საოკუპაციო თარეშს მაშინ ეწოდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. იგი ასეც ჩაიბეჭდა მსოფლიო საზოგადოებრიობის ცნობიერებაში, რასაც აქედან გამომდინარე შედეგები ახლავს დღემდე, რითაც მიიჩქმალა: 1. აფხაზეთი რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოა და 2. რუსეთი რომ საომარ მოქმედებებს აწარმოებდა ამ ქართული მხარის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) ოკუპაციის მიზნით..

საინტერესოა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციის საქმიანობას გაზეთ ***„საქართველოს რესპუბლიკისთვის“*** მიცემულ ზემოთხსენებულ ინტერვიუებში, გაგიკვირ-დებათ და, სწორი შეფასება მისცა მოსარჩელე ნ. მგალობლიშვილმაც, როდესაც იგი რუსეთის მითითებათა აღსრულებაში, ანუ კოლაბორაციაში სდებდა ბრალს ზოგიერთ დეპუტატს: ***„-ამბობენ, რომ ეს ქართველი დეპუტატები შეირჩნენ არა „მრგვალი მაგიდიდან“, არამედ პარტიული ნომენკლატურით და მითითებებს რუსეთისგან იღებდნენ:***

- სინამდვილეში მართლაც იყო ფაქტები. მაგალითად, თქვენ რომ ახსენეთ სამი დეპუტატის გამგებლად დანიშვნის ფაქტი... პირადად მე ძალიან გავბრაზდი ამაზე.

- რატომ იყო აუცილებელი დეპუტატის დანიშვნა ამ რაიონებში, თანაც ქართველის?

- იმიტომ, რომ ისინი მიდიოდნენ არძინბასთან მოლაპარაკებებზე და თანამდებობაზე.

- ანუ გარიგებაზე?

- დიახ, სხვათა შორის თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, სადაც მათ არძინბას „პრიანიკებზე“ გაყიდული დეპუტატები ვუწოდე.

- ისინი დღეს სად არიან?

- როგორც არჩეული დეპუტატები, დღესაც უმაღლესი საბჭოს წევრები არიან...“

ბუნებრივია, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა იმთა-ვითვე იქცა ქართველი საზოგადოების განსჯის საგნად. ზოგიერთმა პოლიტი-კურმა ორგანიზაციამ ამ მხრივ სათანადო პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტებიც კი მიიღო. თვალსაჩინოებისათვის გაგაცნობთ პოლიტიკურ ორგანიზაცია ***„ზვიადის გზა - ხმა ერისა“-ს*** ორ დოკუმენტს. პირველი გამოქვეყნდა გაზეთ ***„არჩევანის“*** დამატება ***„ზვიადის გზაში„ (1996 წ. ოქტომბერი)***, ხოლო მეორე იმავე „არჩევანის“ ასეთსავე დამატებაში ***„აფხაზეთი“ (1996 წ. №1)***:

როგორც მესამე წიგნიდან უნდა გახსოვდეთ, ამ ვრცელი დოკუმენტების მიხედვით, რომლებშიც სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასებაა მიცემული აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საქმიანობისადმი 1992-93 და მომდევნო წლებში, ეს ხალხი ქვეყნის მოღალატედ და აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების შესაბამისად დამნაშავედაა მიჩნეული.

გასაგები მიზეზების გამო ზემოთხსენებული დოკუმენტების ხელმეორედ გამოქვეყნებისგან თავს ვიკავებთ. იგი, როგორც გითხარით, მესამე წინგში გახლავთ მოთავსებული სრულად.

როგორც ხედავთ, ამ ბრალდებებთან შედარებით, რომლებიც, რამდენადაც ვიცი, მაშინ ყველა შესაბამის ინსტიტუციას, მათ შორის აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოსაც დაეგზავნა, ჩემს მიერ გასაჯარისებული მხილებები მართლაც რომ იავნანურია, მაგრამ გავიდა 17 წელი და ამის თაობაზე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ხმა არავის ამოუღია.

ბ) როდესაც ჩემს წიგნში ვსაუბრობ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატის, მათ შორის კი, პირველ რიგში, წინამდებარე მოსარჩელეთა შესახებ და მივუთითებ მათ დანაშაულებრივ არაკომპეტენტურობასა თუ უპასუხისმგებლობაზე, ეს იმიტომ კი არ კეთდება, რომ მათი მხილება თვითმიზანია ჩემთვის, არა! ამით საზოგადოებრიობის იმ ნაწილს, რომელსაც ჰგონია, რომ ***ამ ხალხს შეუძლია, ჩამოაყალიბოს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის სტრატეგია და უხელმძღვანელოს მას, კიდევ ერთი დიდი შეცდომის დაშვებისგან*** ვაზღვევ. ახლა, რაც შეეხება მათ საქმიანობას აფხაზეთის საომარი ავანტიურის დროს, კერძოდ კი ქართველთა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მიმდინარეობის გასწვრივ, მე ვეკითხები ნებისმიერს, რომელიც მათ უდანაშაულობაზე შემეკამათება: ***1. არის თუ არა პასუხისმგებელი თანამდებობის პირი, მათ შორის არჩევითი ინსტიტუციის წევრი, ანუ დეპუტატი, მისი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს ქვეყნის, სახელმწიფოს, მოსახლეობისა და ა. შ. უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებები? 2. 1993 წლის შემოდგომაზე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წევრებს, მით უფრო, რომ მათ უმრავლესობას (რომელთა შორის ე. წ. 14 მოსარჩელეთაგან თითქმის სუყველას) სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავათ, კერძოდ, იყვნენ რაიონის გამგებლები, მინისტრები, მოკლედ, დეპუტატობასთან ერთად დამატებითი საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავათ, ჰოდა, ევალებოდათ თუ არა მოსახლეობისთვის მიეწოდებინათ სწორი ინფორმაცია კარს მომდგარი საფრთხის შესახებ, უზრუნველეყოთ მშვიდობიანი ადამიანების, მათ შორის ავადმყოფების, ხეიბრების, ბავშვების, ქალების და საერთოდ, უმწეოთა უსაფრთხო ადგილებში დროული გახიზვნა?***

ეს არა თუ არ გაკეთდა, ვინც ოდნავ მაინცაა ჩახედული იმ ცოდვისკითხვაში, დამეთანხმება, რომ ხელისუფლებამ არა მხოლოდ მომხდურ ოკუპანტებს, ***„ჩვენებურ“*** მძარცველებსა და ყაჩაღებს შეატოვა

დაუცველი ხალხი, რომლებიც სასაკლაოს გამოექცნენ, ხოლო საკენ-ჭუბერის ხეობაში მათი უმეტესობა უმოწყალოდ გაიძარცვა *(ამის შესახებ ზემოთ იხილეთ ნ. მესხია ბრალდებები, მომდევნო თავში კი მოგაწვდით ე. კვიციანის მოგონებას)*.

როდესაც ამა თუ იმ პირს თანამდებობრივი მოვალეობა დაეკისრება, ის პასუხისმგებელია ამ თანამდებობაზე გაწერილი საქმიანობის შედეგზე. ***ეს შედეგი ქართველი ერისთვის სათავზარია.*** გასაგებია, ე. შევარდნაძის ნამესტნიკური ხელისუფლება, რომელმაც არა ერის სამსახური, არამედ ***იმპერიის მეგზურობა გაიპიროვნა და ადრე სამშვიდობოს გახიზნული ხალხი იძულებით ჩაახვია ცეცხლმოდებულ სოხუმში***, სწორედ ვითარების ასე წარმართვისთვის იყო ***ეროვნულ ხელისუფლებას ჩანაცვლებული ეროვნული ნების საწინააღდმეგოდ,*** მაგრამ ასეთ შემთხვევაში ვინ ხდები და რად დგინდები შენ, რომელიც ამ კოლაბორაციული ძალის დასაყრდენი და მარჯვენა ხელი ხდები?!

1991 წლის 29 სექტემბერს, როდესაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წევრებს მოსახლეობამ სადეპუტატო რწმუნებები უბოძა, ამ ხალხს, იმავდროულად დაუკონკრეტა როგორც ამ თანამდებობის შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ასევე რჯულისკანონიდან გამომდინარე ზნეობრივი ***(სახალხო)*** მოვალეობა, რომელიც ყველა შემთხვევაში უნდა აღსრულებულიყო. ხალხს ამას ჰპირდებოდა ამ დეპუტატების წინასაარჩევნო განაწესი და არა აფხაზეთში საომარი ავანტიურის ხელშეწყობასა თუ თავსმოხვევას, ან კიდევ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ ცხუმ-აფხაზეთის ოკუპაციას, ქართველთა გენოციდს, ეთნიკურ წმენდას, ქართული სულიერების ნაკვალევთა გადაშენებასა და ა. შ.

უფრო მეტიც, ***აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქართველი დეპუტატების ერთმა ნაწილმა ჯერ ვ. არძინბას გარიგებები მიიღო, ხოლო შემდეგ ე. შევარდნაძეს ეთანამშრომლა.*** აი, როგორ სავარძლებზე სხედან ისინი დღეს. არ იყო ასე? კი ბატონო, გისმენთ, დამიმტკიცეთ. უფრო მეტს გეტყვით: სწორედ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა ერთი ოდიოზური ნაწილის არა სახალხო საქმიანობის, ორგანიზებული კორუფციისა თუ სხვა დანაშაულობებისადმი წამყრუებლურმა დამოკიდებულებამ და თავის დროზე მათმა დაუსჯელობამ განაპირობა ის, რომ ეს ხალხი მიზნობრივ ბორტმოქმედებაშია ჩართული დღემდე. ასე მაგალითად: 2013 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა აფხაზეთის საზოგადოებრიობის მხარდაჭერილი საპროტესტო მშვიდობიანი აქცია, რომლის მონაწილეებმა შიმშილობა გამოაცხადეს მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ე. წ. დეპუტატები, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, არა იმ საქმით არიან დაკავებულები: მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ ერეკლე აქუბარდიამ (გალი) 13 ნოემბერს მომაწოდა შემზარავი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ თანამოსაქმეობდნენ რ. ცატავა და მისი ჯგუფი ე. წ. პარტიზან დ. შენგელიასთან ერთად ოკუპირებულ გალში მძევლად მყოფი და შიშის ქვეშ

მცხოვრები მოსახლეობის ძარცვაში, კერძოდ, ვინაიდან თხილის და ციტრუსების მოსავალი, რომელიც გალის მოსახლეობას სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო *(გზა გადაიკეტა)* რუსეთში ვერ გააქვს, ზუგდიდში ჩამოაქვთ ავმოსურნეთა გეგმის შესაბამისად. სამწუხაროდ, აფხაზეთის კრიმინალები ენგურსგამოღმელ კრიმინალებთან ერთად ზუგდიდის გზაზე ატერორებენ მძღოლებს, ხელს უშლიან მოსავლის გატანაში და აიძულებენ ***„ჩალის“*** ფასად გაყიდონ ადგილზე, ანუ ამ კრიმინალების მიერ სახელდებულ ადამიანებს მიჰყიდონ მათ მიერ დადგენილ ფასად.

აი, ამ საქმეში მონაწილეობს რუდიკ ცატავა, როგორც ამას აცხადებს ე. აქუბარდია და არა მხოლოდ ის.

გ) ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა რაღაც ბუნდოვანი მივლინებებით დადიოდა რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ა. შ. და პირად საალებ-მიცემო საკითხებს აგვარებდა, შემდეგ კი სახალხო საქმეს ვაკეთებდიო, რომ ტყუოდა ურცხვად, ამის შემოწმება ძალიან ადვილი საქმეა, დღემდე გაუგებარია მხოლოდ ის, თუ რა მოუტანა ამ მივლინებებმა დევნილთა საქმეს. დიახ, რამდენადაც მახსოვს, ეს მივლინებები არ ყოფილა გამჭვირვალე, ზოგჯერ და უპირატესად იგი საეჭვოც კი იყო-მეთქი. არასოდეს განიხილებოდა ამ სახის მივლინებათა შედეგები. ისინი გასაიდუმლოებულ ხასიათს ატარებდნენ. რამდენადაც ვიცი, ერთ-ერთი ასეთი მივლინების თანხები ამ სამი წლის წინ კონტროლის პალატამ უკან დააბრუნებინა მივლინებულს.

ამგვარი განუკითხავი მივლინებებით სარგებლობდნენ თ. მჟავიაც და გ. გვაზავაც.

ერთხელ, როდესაც საუბარი ჩამოვარდა თ. მჟავიას მივლინებაზე, ა. წოწონავამ ჩემთან საუბარში ეს საეჭვოდ და არამიზნობრივად მიიჩნია: წრე, რომელსაც თ. მჟავია ხვდება, არა მგონია ჩვენს საქმეს აკეთებდესო. რაც შეეხება ვინმე ყვითელაშვილს, მას, იმავე ა. წოწონავას დახასიათებით, დევნილთა პრობლემებისთვის არ ეცალა, იგი თ. მჟავიას ჩათრევას ეცდებაო არასაჩვენო საქმეებში. უფრო დაწვრილებით საუბარი ამასთან დაკავშირებით, წყაროთა უსაფრთხოების მყარი გარანტიების შემთხვევაში, მე შემიძლია პროკურატურისა და ქვეყნის უშიშროების სამსახურებთან.

დ) აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა ძირითადად დიახაც გახლავთ აფხაზეთის პარტოკრატიის გადმონაშთი. ამაზე, როგორც უკვე გაუწყეთ, სავსებით სამართლიანად მიუთითებდა დღეს მოსარჩელე ნ. მგალობლიშვილი ზემოთ დამოწმებულ ინტერვიუში, როცა აცხადებდა *(ციმეორებ)*:

„- ამბობენ, რომ ეს ქართველი დეპუტატები შეირჩნენ არა „მრგვალი მაგიდიდან“, არამედ პარტიული ნომენკლატურით და მითითებებს რუსეთიდან იღებდნენ?

- სინამდვილეში მართლაც იყო ფაქტები...

საინტერესოა, რომ გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" ასეთი შესავლით იწყებდა ამ ინტერვიუს: „...ნ. მგალობლიშვილი, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქართველთა ღალატის ფაქტებზე ყვება..."

ესაა 2010 წლის 13 მარტს გამოქვეყნებული მასალა, რაც თითქმის სამი წელია, მის ავტორს არსად უარუყვია, პირიქით, ამ ინტერვიუში ის ამბობს, რომ მას, თურმე, მსგავსი ინტერვიუ ამავე გაზეთისთვის წლების წინათაც მიუცია...

რაც შეეხება იმას, რომ *„აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, როგორც მორალურად ამორტიზებული ინსტიტუცია არა და ვერც გამოხატავს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ინტერესებს"*, ამასთან დაკავშირებით ჩემს სისწორეს ისიც ადასტურებს, რომ წლები წლებს მისდევს და არ წყდება სხვადასხვა საქმეში ჩახედული ავტორის მიერ მათი საქმიანი კრიტიკა. შორს რომ არ წავიდეთ, გაზეთში *„ილორი" (2013 წ.)* ნ. მესხიამ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ასევე ავტორთა ჯგუფმა, როგორც წინათაც მოგახსენეთ, ნომრიდან ნომერში ამხილა ეს ინსტიტუცია როგორც აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის სადღეისო სულისკვეთებას უკიდურესად დაშორებული. უფრო ადრე გაზეთმა *„ქრონიკა +"*-მა კვლავ და კვლავ ნომრიდან *(2013 წ.)* ნომრამდე მთელი ზაფხულის განმავლობაში კრიტიკული წერილების სერია მიუძღვნა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსა და საერთოდ ხელისუფლების მხილებას.

მარტო ის რად ღირს, რომ ამ ინსტიტუციაში თითქმის ბოლო დღემდე დეპუტატად ირიცხებოდა ცნობილი აგრესორ-სეპარატისტის ალბერტ ტოპოლიანის ქალიშვილის ღვიძლი დედა ოლგა ნაგარნინა. ეს ის ალბერტ ტოპოლიანია, რომელმაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში კრემლის დავალებით შექმნა არმენთა ანტიქართული ორგანიზაცია *„კრუნკი"* და 1992-93 წლებში პირადად ხელმძღვანელობდა ეგრეთ წოდებულ ი. ქ. ბაგრამიანის ბატალიონის ჩამოყალიბებას, რომელმაც სახელი მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის ჟლეტით გაითქვა.

ამ შემთხვევაში მე ო. ნაგარნინას იმაში კი არ ვადანაშაულებ, ის ა. ტოპოლიანის - მშვიდობიან ქართველთა სისხლში ნაბანის თანამესარეცლე რომ გახლდათ თავის დროზე, არამედ, სულ სხვა რამეში, - როგორც ამბობენ, ქალბატონი ოლგა იმდენად გათავხედდა მავანთა დოყლაპიობის გამო, რომ „- ფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ტელეფონებიდან უკავშირდებოდა ა. ტოპოლიანს წლების მანძილზე და მისგან მითითებებს იღებდაო", მიმტიკიცებდა თავის დროზე ა. წოწონავა. უფრო მეტიცო, ირწმუნებიან საქმეში ჩახედულნი, ის ხვდებოდაო ა. ტოპოლიანს რუსეთში და მისივე რჩევით მიუღია რუსეთის მოქალაქეობა. ასევე ხვდებოდა სათანადოდ დაინტერესებულ რუს *„იმათთაგანს"*, ხოლო ამის გასწვრივ აფხაზეთის ა/რ-ის

უმაღლესი საბჭოს კაბინეტებში წლების მანძილზე მრავალმნიშვნელოვნად *„უბინაო და საწყალ ოლგას“* ლოგინს მაღალი თანამდებობის პირები უშლიდნენ პირადად, ეს არც *„დოყლაპიობა“* და არც *„კაი ბიჭობაა“*, იგი პირწმინდა ხეპრეობა გახლდათ.

ეს კიდევ რაა, იმ დროს, როდესაც ო. ნაგარნინა ა. წოწონავას სამუშაო კაბინეტში ცხოვრობდა (იქ ათევ-აღამებდა, ეძინა, საუზმობდა, ვახშმობდა), ანზორს ხელში ჩაუგდია აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ მუხლჩაუხრელი მებრძოლის ტიგრან ცატურიანის მართვის მოწმობა, რასაც სახსოვრად ინახავდა გულმხურვალე ოლგა. ანზორის აზრით, ოლგას ისეთივე ურთიერთობა ჰქონდა ტიგრანთან, როგორც ალბერტთან, ეს მოწმობა ასლების გადასაღებად გადმომცა ა. წოწონავამ, იგი მე მისთვის არ დამიბრუნებია.





ეს გახლავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) აგრესორ-სეპარატისტთა უშურველი დამფინანსებლის ტიგრან ცატურიანის კუთვნილი მართვის მოწმობა, რომელსაც მშვიდობიანი ქართველების სისხლში აქვს ხელები დასვრილი. მას სახსოვრად ატარებდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. ნაგარნინა (აგრესორ-სეპარატისტ ა. ტოპოლიანის შვილის დედა).

იგი ქალბატონ ოლგას ხელჩანთიდან ამოიღო (მოიპარა) ა. წოწონავამ, როდესაც „უბინაო“ ქალბატონი ოლგა მის კაბინეტში ცხოვრობდა

დიახ, დიახ, როდესაც ეს ყველაფერი ხდება შენს თვალწინ და შენ ხელს არ უშლი, ან ვერა ხარ საჭირო დონეზე და თავს ვერ ართმევ მოვალეობას, ან მოგისყიდეს და შეგნებულად ღალატობ საქმეს, ან კიდევ ვერ ბრძანდები ის კაცი, ვინც ამ ინსტიტუციას უნდა ხელმძღვანელობდეს *(როგორც ირწმუნებიან, ქართველთა დაუძინებელი მტრების ა. ტოპალიანის თანამესრეცლესა და ტიგრან ცატურიანის უგულითადეს ო. ნაგარნინას ამ დღეებში ისევ აღუდგინეს დეპუტატის სტატუსი, ვერა და ვერ ელევა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მას).*

ე) რაც შეეხება იმას, რომ *„ე. გვაზავამ თავის დანაშაულებრივ საქმიანობაში უსაფრთხოდ გააჯირითა ა. წოწონავა (მოადგილე), დ. გვაძაბია - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე“* და ა. შ. ჩემი წიგნი სწორედ მათ კრიმინალურ საქმიანობას ეხება. მტკიცებულებები მათი ორგანიზებული ბოროტმოქმედებების შესახებ მე თავის დროზე გადავეცი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ყველა ვიცე-სპიკერს, იურიდიული კომისიის

თავმჯდომარეს, ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს იმდროინდელ მთავარ პროკურორს მ. ზოდელავას და ა. შ.

სწორედ მ. ზოდელავას მიერ ჩაიფარცხა ეს საქმე. ის კი არადა, პირადად მ. ზოდელავამ დაუკვალიანა შემდგომი ნაბიჯები მათ და, ბოლოსდაბოლოს, მას შემდეგ, რაც მოსამართლე ზ. ესებუასგან თანხმობა მიიღეს ***(რომელიც თავის დროზე, ჯერ კიდევ ბიჭუნა, სწორედ მათი ზურგის ქარით დაწინაურდა),*** 2012 წლის 8 აგვისატოს 14-მა მოსარჩელემ მიმართა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს იმ იმედით, რომ მ. ზოდელავა, ლ. ბეჟაშვილი, დ. ტყეშელაშვილი, ზ. ადეიშვილი, ძმები ბ. და დ. ახალაიები, ს. თოფურიძე, მ. ქარდავა თუ სხვები, ვისაც ეს არ ეზარებოდა, ლობირებდნენ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ორგანიზებულ ელიტურ კორუფციას, მათ ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. ისიც უნდა ითქვას, რომ სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე ზ. ესებუამ მასზე გაწეული ამაგი დაუფასა და 14 მოსარჩელეს სარჩელი პირწმინდად დაუკმაყოფილა.

მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამჯერად ვითარება შეიცვალა, ამაზე მეტყველებს ის, რომ ვაკე-საბურთალოს პროკურორის მეთვალყურეობით საქართველოს შს სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-2 განყოფილებაში უკვე ორჯერ დავიკითხე მოწმის სტატუსით და ისეთი პირი უჩანს საქმეს, - მოსარჩელეთაგან ზოგს ჩადენილი ბოროტმოქმედებებისთვის, ზოგსაც ამ ბოროტმოქმედებათა მიჩქმალვის მცდელობისთვის მოუწევს პასუხისგება.

ისიც უნდა ითქვას, რომ სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის სასამართლო სხდომებზე, მიუხედავად ჩემი მცდელობისა, არც ერთხელ არ ყოფილა საუბარი კორუფციაზე, მოსამართლე ყველანაირი ძალისხმევით ცდილობდა და აღწევდა ამისთვის თავის არიდებას, ხოლო ის, რომ ეს საკითხი ე) პუნქტად მიანც არის გადაწყვეტილებაში ჩაკვეხებული, ეს გახლავთ ვირეშმაკობა, აქაოდა, ესეც, ისევე, როგორც სხვა ბრალდებები, ***"ცილისწამებაა"***. აი, ყოველივე ამის ქვეტექსტი.

რაც შეეხება თავად ჩადენილ ბოროტმოქმედებებს, ისინი ამგვარად იცხადება: ***1. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელ. გვაზავა ბიუჯეტიდან ფულის მითვისების მიზნით არც თუ იშვიათად აყალბებდა საბუთებს და "მოტეხილ" თანხას ითვისებდა. ასე მაგალითად, მან ამ მიზნით 2010 წლის ზაფხულში უმაღლესი საბჭოს 9 თანამშრომელზე გააფორმა ყალბი მივლინებები, რათა მათგან აგროვებული ფულით პირადი ვალი დაეფარა. ამაში მას წერილობით ამხელდნენ იმ დროს აპარატის ყოფილი უფროსი ოთარ ჩარკვიანი და მომარაგების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ზურაბ ზარანდია. ისინივე ამხელდნენ მას საკუთარი ძველი და ამორტიზებული საბჭოთა დროის კონდიციონერების უმაღლესი საბჭოსათვის ახლის ნაცვლად მიყიდვის მცდელობაში. რაც მთავარია, აფხაზეთის ა/რ-*

ის უმაღლესი საბჭოს აპარატისა და მომარაგების დეპარტამენტის უფროსები ო. ჩარკვიანი და ზ. ზარანდია გ. გვაზავას ბრალს სდებდნენ საბუთების გაყალბებით, საეჭვო გაუმჭვირვალობით და კიდევ უარესი, ბიუჯეტის სახსრების უკანონო განაწილებისა და ფასის აშკარა მომატებით საკუთარი ამორტიზებული მანქანის უმაღლესი საბჭოსათვის მიყიდვას (მანქანა, რომელიც ახალთახალის ფასად შეიძინეს, იმავე თვეში კაპიტალურ რემონტზე დააყენეს და ა. შ.). აღნიშნული პირები ამგვარსავე საქმიანობაში ამხელდნენ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ა. წოწონავას, რომელმაც, როგორც ისინი ამტკიცებენ 2009-2010 წელს საკუთარი მანქანა, რომელიც მწყობრიდან იყო გამოსული, უმაღლეს საბჭოს მიყიდა 9,900 ლარად, ხოლო ამ ინსტიტუციის გამართული მანქანა თავად შეიძინა 600 ლარად. ასევე, ზემოთხსენებულმა ზ. ზარანდიამ 2010 წლის ოქტომბერში საბუთების გაყალბებით სახელმწიფოს სახსრების არამიზნობრივ გამოყენებაში ამხილა უმაღლესი საბჭოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, პრეზიდიუმის წევრი დ. გვაძაბია, რაც სათანადო აქტითა და აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დაწერილი განცხადებით გაასაჯარისა.

აქ მე არ გავყვები სხვა გამოჭენებებს, რომლებშიც ეს ადამიანები იმხილებოდნენ, ამ ფაქტებს, იმედია, საქართველოს პროკურატურა მიუბრუნდება, მე ამჯერად დამოწმებული დანაშაულები მხოლოდ იმიტომ მოგახსენეთ, რომ გაგარკვიოთ თუ რაში მდგომარეობს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ორგანიზებული ელიტური კორუფციის არსი და სინამდვილეში რაცაა წინამდებარე წიგნის ძირითადი თემა: ***<u>აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ორგანიზებული ელიტური კორუფცია.</u>***

ამიტომ, ჩემი მოკრძალებული აზრით, ნებისმიერ სასამართლოზე, როცა ჩემი წიგნი აიწონ-დაიწონება, განხილვა ძირითადად არსებითით, ანუ ამ კორუფციის არსებობა-არარსებობის დადგენით უნდა დაკავდეს, რა დროსაც გამოჩნდება თუ *ვინ და რამდენად ცხოვრობს ღირსებაში და ოფლს ღვრის საქმიანი რეპუტაციისათვის*. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაირკვევა თუ რამდენადაა 14 მოსარჩელე თავისი ღირსების *(დროსა და სივრცეში არ არსებულის)* თოროსანი ან რამდენად მიბათილებენ ისინი რწმენას, რომ ღირსება სულაც ფეხებზე ჰკიდიათ. ასე ერთსულოვნად ეს ფიგურანტები მხოლოდ საკუთარ ტყავის გადასარჩენად ორკესტრირებენ.

ვ) სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის სასამართლომ, როგორც სხვა შემთხვევაში, ამჯერადაც ძალიან ზედაპირულად, ზერელედ და მიკერძოებით განიხილა დეპუტატ რ. შამუგიას საკითხიც.

რ. შამუგია გახლავთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ამიტომ მას 1992-93 წლებში, საომარი მდგომარეობის გამო, გალის რაიონის ხელმძღვანელობასთან და დანარჩენ დეპუტატებთან ერთად უნდა ეღვაწა რაიონის თავდაცვის, მოსახლეობის უსაფრთხოებისა და საომარი დროისათვის მახასიათებელი ღონისძიებების შემუშავებაში. ეს, როგორც ჩანს, ჯეროვან დონეზე არ გაკეთებულა *(არის ხმები, რომ ზოგიერთები ფულსაც*

კი აგროვებდნენ აგრესორ-სეპარატისტებისთვის, რათა, ისინი გალის რაიონში არ შემოსულიყვნენ, ამ ხმების წყარო კონფიდენციალურია და მე მხოლოდ სათანადო წესით შემიძლია იგი დავუსახელო სახელმწიფო უშიშროებისა და პროკურატურის უფლებამოსილ პირებს). ყოველივე ამან ანუ გალის რაიონში ხელისუფლების წარმომადგენელთა უთავბოლობამ *(და სახალხო დეპუტატი, განსაკუთრებით საველე-სასაზღვრო პირობებში, დიახაც გახლავთ ხელისუფალი)*, დანაშაულებრივმა ქაოსმა თუ ხელმრუდულმა მიდრეკილებებმა ის გამოიწვია, რომ 1993 წლის 29-30 სექტემბერს ოკუპანტებმა გალის რ-ნში ისე, რომ წინააღმდეგობა არ გაწეულა, თავაუტკივებლად ჩაატარეს მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის ჟლეტა და ეთნიკური წმენდა. *ახლა მე გეკითხებით, არ უნდა გასცენ ამასთან დაკავშირებით საზოგადოებაში წამოჭრილ სამართლიან შეკითხვებს პასუხი იმ დროის ხელისუფლებმა, მათ შორის დეპუტატებმა (ხალხის რჩეულებმა)* თუ რა იღონეს მათ ამის არდასაშვებად?!. არადა, იმ ეროვნული უბედურებიდან ოცი წელი მიიწურა და არათუ ცალკეულ დეპუტატს, თვით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს არ მოუცია პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება ამ საბედისწერო განუკითხაობის, ღალატისა თუ დანაშაულებრივი გარიგებების. არ გაუკეთებია ამის შესაბამისი დასკვნები, რისი დადასტურებაც წინამდებარე სასამართლოზე მათი განწყობა, ***"მუნდირის დაცვის მცდელობა"*** თუ სიმართლის მიფუჩეჩებაა. უფრო მეტიც, *<u>დღემდე სახელმწიფოში არ არსებობს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის სტრატეგია და ეს ინსტიტუცია, რომელიც ყოველივე ამის სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბებისთვისაა, ყველანაირი საშუალებით, მათ შორის მათ ხელთ არსებული სახელმწიფო რესურსით საყოველთაო ქუდზეკაცობის წესით ცდილობს, დაკავდეს არა სახალხო საქმეთა წარმართვით, არამედ კრიმინალ ე. გვაზავასა და მის თანამოსაქმეთა ბოროტმოქმედებების მიფარდვას ცდილობს. ამისთვის არც თვალებში ნაცრისმყრელობას თაკილობს.*</u>

ბუნებრივია, ასეთ დროს მე არც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან დევნილი მოსახლეობის განწყობითაც არ ვარ აღფრთოვანებული, მათი სახალხო ძალისხმევა რომ სათანადო ქუდზეკაცობით ამრისხანდეს, ასე უბოდიშოდ თვალებში ნაცრის შეყრას ვერ გაუბედავდა ვერანაირი, მით უფრო ხელმრუდი ხელისუფალი!..

რაც შეეხება რ. შამუგიას შვილის პ. შამუგიას საკითხს, რომლის გამოყენებაც, ზემოთ უკვე თქმულისა არ იყოს, ამ სასამართლოში ე. წ. ***„ტუზად"*** სურს ვინმე გ. წუწუნავას, კი ბატონო, თუ არ მოგბეზრდათ, კიდევ ვისაუბროთ მასზე. მოგახსენებთ: პ. შამუგიას შემოქმედების არაეროვნულობის შესახებ წერილები იწერებოდა ადრეც და იწერება ახლაც, მაგალითად ამა წლის სექტემბერში. წყაროც მიგანიშნეთ და თუ საჯარო ბიბლიოთეკაში მოიძიებთ, დაგაკვალიანებენ და ამ მხრივ ხვავრიელი ტვირთითაც გამოგისტუმრებენ.

კვლავ და კვლავ შეგახსენებთ, როგორც ზემოთ ნახეთ, 2011 წლის 13 მარტს ჟურნალისტმა გელა ზედელაშვილმა გაზეთ *„ქრონიკაში“* განიხილა რა მისი შემოქმედება, მწვავედ გააკრიტიკა იგი. რამდენჯერ გითხარით, მაგრამ კიდევ ერთხელ გეტყვით, ამის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ის, რომ ამ ახალგაზრდა კაცს სამშობლო შეუდარებია საჯდომის უფრო ზუსტი სახელისთვის *(ტრაკისთვის)*.

ჩემს წერილში მე ვთქვი და დღესაც ვიმეორებ, რადგან ასე მწამს, რომ სანამ ადამიანისთვის სამშობლო იგივდება ტ...თან, იგი ქრისტესმხედარი ვერ იქნება, ჩვენ კი, რომლებსაც გასათავისუფლებელი გვაქვს ჩვენი ოკუპირებული მიწები, გვჭირდება არა სამშობლოს ტ-სთან გამაიგივებელი, არამედ მისთვის თავგამწირავი შემოქმედი, ქრისტესმხედარი ერისკაცი...

პ. შამუგია ახალგაზრდა კაცია, იმედია, იგი გადააფასებს თავის შეხედულებებს და სხვებზე არანაკლები ქრისტესმხედარი გახდება. დღეს ძალიან ცუდ საქმეს უკეთებენ მას ისინი, რომლებიც ამას პირში არ ეუბნებიან. ამის თქმის უფლებას ჩემს თავს იმიტომ მივცემ, რომ როდესაც რ. შამუგიას ლტოლვილ ოჯახს ქ. ზუგდიდში *„მხედრიონის“* დავალებით დევნიდნენ *(ყოველ შემთხვევაში, მას ასე მიაჩნდა)*, მეც ვიდევნებოდი მაშინ და *„ირემმა ირემს ბალახი მოუკითხაოს“* წესით, რაღაც სასწაულით ნაშოვნ პურს ვუყოფდი მათ. ამჯერადაც, ის, რომ არ ვუწონებ მას ისეთი შეუგინებლობის, როგორიც სამშობლოა *ტ...თან* შედარებას, სულის პურობად მინდა გადავცე ამ ახალგაზრადას. აქედან გამომდინარე, ვაზუსტებ, ციტატა, რომელსაც მე მომაწერს, ვიმეორებ, წიგნიერი საზოგადოებისათვის ვინმე გ. წუწუნავა და შესაბამისად მოსამართლე ზ. ესებუა, ეკუთვნის თვითონ პ. შამუგიას, მისი კრიტიკა ჟურნალისტ გელა ზედელაშვილს, მე მხოლოდ ვასკვნი, რომ *ნებისმიერი, რომლისთვისაც სამშობლო ტ...თან იგივდება, მამულისთვის თავს არ გაწირავს-მეთქი. ასეთია ქართული აზროვნების წესი და დიდი <u>ლადესი</u> არ იყოს, „მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს...“*

სწორედ იმ წლებში, როდესაც ე. ჩარგაზია სდევნიდა რ. შამუგიას, ბატონმა როსტომმა ამის გამო თავისი გაკვირვება გამიზიარა, ედიშერის დავალებით, როცა ის პროკურატურაში მუშაობდა, მე შტატგარეშედ ვთანამშრომლობდიო მასთან და საწარმოებში რომ გამოვავლენდი მიტაცებებს, ის ქრთამად აღებული ფულიდან იმდენს არ მაძლევდა, რამდენიც მეკუთვნოდაო. არ ვიცი, მართლა იყო თუ არა ეს ასე, მაგრამ თუ ასე იყო, ამას ჩემს ახალგაზრდობაში ჟარგონით *„ტიხარიკობას“* არქმევდნენ.

ზ) ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ძირითადი შემადგენლობა საბჭოთა, ანუ რუსეთის პარტოკრატიის სააფხაზეთო ე. ი. ადგილობრივი ნაწილი *(აფხაზეთის პარტოკრატია)* არის, ამას მე კი არა, ზემოთდამოწმებულ ინტერვიუში ნ. მგალობლიშვილი თვითონ, ხმამაღლა და თანაც არაერთგზის აღნიშნავს, ოღონდ არ ამბობს თუ რატომ მოხდა ეს

ამგვარად. ***„მრგვალმა მაგიდამ“*** რატომ ვერ გაიყვანა მეტი ნაწილი. ამის მიზეზი ისაა, რომ თავად ნ. მგალობლიშვილი, თ. მჟავია, თ. ლორთქიფანიძე, ა. დავითაია და სხვები მოექცნენ აფხაზეთის პარტოკრატიისა და იმ დროს აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ, საბჭოთა მილიციის გენერალ გ. ლომინაძის, მისი მოადგილის, პოლკოვნიკ ა. ლომინაშვილისა და მათი უწყების დაკვეთათა გავლენის ქვეშ, მათ კაბინეტებში დაადგინეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში საარჩევნოდ ***„მრგვალი მაგიდის“*** კანდიდატთა სია.

ამის შესახებ პირადად ზ. გამსახურდიას აქვს ჩემთვის ნათქვამი 1992 წლის 12 აგვისტოს ქ. გროზნოში, ამ საუბარს ძალიან ბევრი ესწრებოდა, მათ შორის მისი მეუღლე ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია.

ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო მთლიანობაში, ნებით თუ უნებლიედ, ერთი ნაწილი კი საკუთარი ნებით რუსეთის დაკვეთას ასრულებდა, რათა აფხაზეთში მიეღწია საომარი ავანტიურისთვის, რომელიც ქართულ-აფხაზურ ომად უნდა გაფორმებულიყო მსოფლიოს თვალში, ამაში ღრმად იყო დარწმუნებული თვითონ ზ. გამსახურდიაც, განსაკუთრებით მას სემდეგ, რაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქართულმა ფრაქციამ ყურად არ იღო მისი 1992 წლის 14 მაისის გაფრთხილება რუსეთის დავალებით აფხაზეთში შესაძლო საომარ ავანტიურასა და მის შედეგებზე. სამწუხაროდ, ამის აწონ-დაწონვის ნაცვლად მან ***(ქართულმა ფრაქციამ)*** მხარი დაუჭირა ამ ძმათამკვლელ სისხლისღვრას. ამასთან დაკავშირებით კვლავდაკვლავ გირჩევთ და იხილეთ ჯ. იოსელიანის ***„სამი განზომილება“***. მას შემდეგ, რაც ზ. გამსახურდია გაეცნო ***„მრგვალი მაგიდიდან“*** აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დეპუტატად გასულთა ტელეგამოსვლებს 1992 წლის 14 აგვისტოსა და მომდევნო დღეებში როგორც სოხუმში, ასევე მოსკოვში და ზოგიერთ შემთხვევაში თბილისში, მან ყოფილ ***„მრგვალ მაგიდელებს“,*** მათ შორის ნ. მგალობლიშვილსაც კიდევ ერთხელ რუსეთის აგენტები უწოდა სახალხოდ. ეს საყოველთაოდაა ცნობილი.

დასასრულ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო ის, თუ რამდენად ყოველდღიურობს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ნაწილი მისი თავმჯდომარის ელ. გვაზავას თაოსნობით ***„პატივში, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციაში...“***

მიმდინარე წლის 8 ნოემბერს საქართველოს ტელევიზიებმა ***(საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, „რუსთავი - 2“-მა, „იმედმა“, „მაესტრომ“ და სხვამ)*** გააშუქეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს რეზიდენციის წინ პერიოდულად მიმდინარე გამაფრთხილებელი აქცია, სადაც საზოგადოებრიობის ერთმა საგრძნობმა ნაწილმა ***ჩემს ოპონენტებს (14 მოსარჩელეს) უმაქნისობაში, უვიცობაში, ხალხის ინტერესების ღალატში დასდო ბრალი და მათი გარეკვა***

მოითხოვა. აღინიშნა, რომ ისინი დაკავებული არიან პირადი კეთილდღეობის მოწყობით. ეს გამონაკლისი არ გახლავთ. სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ აქვე, ღია ცის ქვეშ მზადდება ფოტომხილებითი გამოფენა წლების განმავლობაში ამ ხალხის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ. მზადდება შიმშილობის აქცია დღევანდელი ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ დღეები სჭირდება ამ ინსტიტუციაში მიმდინარე არა სახალხო საქმეთა ზედაპირულ ჩამოთვლასაც კი. ასე მაგალითად გაზეთები *„ქრონიკა“, „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა +“, ”ილორი“, „ახალი თაობა“* და მრავალი სხვა ამ ადამიანებს არც თუ იშვიათად, წლების განმავლობაში, დროდადრო ამხელდნენ და დღესაც ამხელენ ძალიან საეჭვო საქმიანობაში.

<u>მკითხველის საყურადღებოდ:</u> 2014 წლის 23 დეკემბერს აფხაზეთის ა/ რ-ის უმაღლესი საბჭოს სუყველა დეპუტატს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საჩინო და ანგარიშგასაწევმა საზოგადოებამ დევნილი მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით მახათები მიუსაჩუქრა ერთი ცნობილი ანდაზის „უსაქმური კაცი ყვ....ში მახათს იყრიდაო“ - შესაბამისად.

ადრეც არაერთხელ გითხარით, - ეს *„ხელისუფლებად“* წოდებული ადამიანები თავისუფლად ვერ მიდიან იმ ადგილებში, სადაც აფხაზეთიდან დევნილები ღონისძიებას ატარებენ და ა. შ. როგორც მოგეხსენებათ, ერთი კერპისა თუ ბელადის ძალადობისგან თავდახსნა და ამის ნაცვლად ჯოგურ სიმრავლეთა აღვირახსნილობისადმი დამორჩილება თავისუფლება არაა. თავისუფლება გახლავთ შინაგანი ღირებულებების წესრიგი.

თავისი დანაშაულებრივი პოლიტიკისა, არაკომპეტენტურობისა თუ ბოროტმოქმედული მისწრაფებების გამო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო მთელი ამ წლების მანძილზე დენთის კასრზე ზის. ამით გათავხედებულმა მიიჩნია, რომ ხალხი გახლავთ სწორედ ის ქვევრი *(ქვევრები)*, რომელიც ამოგძახებს ყოველთვის იმას, რასაც ჩასძახებ.

საბედნიეროდ, ასეთი რამ ეშმასეული სიცხადეა და არა უფლისმიერი მადლი.

აქედან გამომდინარე, ძალიან სასიამოვნო იქნება თუ ამ დონის სასამართლო სისწორის პინასთან სიმართლისკენ გადაიხრები, თუმცა, ასეც რომ არ მოხდეს, ამით ჭეშმარიტების არსი არ შეიცვლება, რამეთუ ბრძენს აქვს ნათქვამი: ***<u>ტყუილზე მილიონებმა რომ ერთხმაში იძახონ სიმართლეაო, ამით ის სიმართლედ არ გადაიქცევა.</u>***

ძალიან გთხოვთ, ყურს ნუ დაუხშობთ ჩემს ავწინათგრძნობას. როგორც ზემოთხსენებულ გულისწყრომათა შინაარსი და განწყობილება მიუთითებს, ის ხალხი, ვინც ბოროტმოქმედულ საქმიანობაში ინავარდა, ***<u>ის კი არ იქნება უფლისეული სამართლიანობის სამიზნე მხოლოდ, არამედ და პირველ რიგში ზეციურ სასწორს მიყურადებული სახალხო რისხვა ახსნა-განმარტებას მოსთხოვს იმასაც, ვინაც ამ ნავარდს დრო გაუხანგრძლივა.</u>***

***

საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლოზე 2013 წლის 27 ნოემბერს სიტყვით გამოვიდა ყოფილი წითელი გენერალი, ასევე ყოფილი საქართველოს პარლამენტის წევრი, დღეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წევრი, თუმცა, ამ ასარჩევ ინსტიტუციაში იგი არსად, არასდროს, არავის არ აურჩევია.

ასე იყო თუ ისე, გ. ლომინაძე, რომელიც მანამდე სასამართლოს არც ერთ სხდომაზე არ გამოჩენილა, ამჯერად 14 მოსარჩელის შეთხელებული რიგების გასაძლიერებლად მოვიდა *(თ. ხუბუამ. მ. კვარაცხელიამ, ა. გასვიანმა, რ. შამუგიამ ამ ეტაპზე თავი აარიდეს გ. გვაზავასთან ერთ მწყობრში დგომას, რადგან მათ შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა, ხოლო თ. ლორთქიფანიძე "თანამოსანგრეებისთვის" თანადგომის ნაცვლად კვლავ ბახუსში ყვინთვას ამბოჯიბინებდა).*

გ. ლომინაძის დარბაზში ყოფნა, იმ დღეებში, როდესაც ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა და ცალკეული დეპუტატები ცალ-ცალკე და ჯგუფურად არაჯეროვან საქმიანობაში იმხილებოდნენ, იმართებოდა საპროტესტო აქციები მათი გადადგომის მოთხოვნით, სწორედ რომ მაშველი რგოლი იყო გ. გვაზავას, ა. წოწონავას, დ. გვაძაბიასა და მათი *„დამრტყმელი ძალის“* - ნ. მგალობ-ლიშვილისა და რ. ქარაიასთვის (ეს უკანასკნელი, ანუ ქალბატონი რაისა, პროფესორ ნ. მესხიას ზემოთხსენებული წიგნის მიხედვით დღემდე ჭუჭყიან ზეწარშია გახვეული).

მიუხედავად იმისა, რომ მოვიძიე ზღვა მასალა 1992 წლის მაისიდან 2013 წლის ნოემბრამდე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსა თუ ცალკეული დეპუტატის არამართლზომიერი საქმიანობისა და უმაქნისი ფართი-ფურთის შესახებ, მოსამართლე ნატალია ნაზღაიძის საეჭვო გულმოდგინების შედეგად მე ისინი ვერ გავასაჯარისე, უფრო მეტიც, არ მომეცა სიტყვის თქმის საშუალება, რადგან ჩემი საუბრის გასწვრივ რ. ქარაიას, ე. ასტემიროვას, დ. გვაძაბიას, ა. წოწონავას, გ. ლომინაძის, ადვოკატ გ. წუწუნავასა და, რაც მთავარია, ნ. მგალობლიშვილის ცინიკურ ჭყლოპინს თანხლებული უტიფარი გამოხდომები, აყროყინებული რეპლიკები და ა. შ. ფარავდა ჩემს სათქმელს. იმის აღწერა, თუ რა დონის თავხედობასა თუ ყოვლისმკადრებლობის უფლებას აძლევდნენ ისინი საკუთარ თავს, მე არ შემიძლია, უბრალოდ, ჩემი განცვიფრება მინდა გამოვთქვა იმის გამო, მ. სააკაშვილის ნაცბანდის მსგავსად თუ რა გააფრთებით იცავს ბ. ივანიშვილის *„სამართალიც“* ამ პოლიტიკას მოტმასნილ ხელმრუდთა შანტრაბას. ამას არც მალავს გ. გვაზავა და ხმამაღლა, ნიშნისმოგებით ამბობს კიდეც თავის საგულითადო წრეში: სანამ ჩემი ძმა *(მეუფე ანდრია)* და ვახტანგ ხმალაძე... *(საქართველოს პარლამენტში ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარე)* კარგად არიან, საჯაია ფეხებსაც ვერ მომჭამსო *(ეს ცნობა მომაწოდა აფხაზეთის ა/რ-ის*

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთმა წევრმა, რომლის ვინაობას აქ ვერ გავასაჯარისებ, ესეც შემიძლია ვუთხრა პროკურატურას, თუ იგი დაინტერესდება ამით).

ამასობაში ამ 14 მოსარჩელიდან რამოდენიმე განზე გაუხტა გ. გვაზავას. როგორც უკვე მოგახსენეთ, მიუხედავად იმისა, რომ გუშინ მ. სააკაშვილის კრიტიკისთვის *"სადაც ჯერ არს"* საკუთარი ხელმოწერით დამაბეზღეს, ამჯერად "ქართული ოცნების რაინდები" გახდნენ, ჩამოაყალიბეს სათანადო ფრაქცია *(მ. კვარაცხელია, თ. ხუხუა, ა. გასვიანი, რ. შამუგია და ა. შ.)* და ტელევიზიითა თუ გაზეთით ხელი მიჰყვეს გ. გვაზავასა და კომპანიის არამართლზომიერი, საეჭვო საქმიანობის ვითომ მხილებას, თუმცა მთავარში - ელიტურ კორუფციაში მათ ხელისფათურს კვლავაც ჯიუტად არიდებენ თავს *(იხილეთ გაზეთი "საქართველო და მთელი მსოფლიო", 2013 წ. მაისი; აგრეთვე ტელეობიექტივის არქივი ამავე პერიოდში).*

აქ, წესით მეხის დაცემასავით უნდა გადაეგრგვინა ისეთი *„თანმიმდევრული"* მიშისტის და ჩემი საბეზღებელი წერილის ერთ-ერთ მთავარი შემოქმედის, თვითმავალი ბოღმის - რაისას მიერ მიშას *„ერთგულების"* სანაგვეში მოსროლას და თავის მხრივ აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში მეორე - ქართული ოცნებისკენ *„აწყვეტილი"* ფრაქციის შექმნას, უფრო მეტიც მან ფრაქციის თავმჯდომარედ და აქედან გამომდინარე, პრეზიდიუმის წევრადაც მიაღწია თავდადგენას, ისე, რომ სინდისს არ შეუწუხებია. ოღონდაც, ამით შესაზამისი პრივილეგიებიც გაიპიროვნა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხილულად არა, მაგრამ გ. გვაზავაც *„იატაკქვეშურად"* ამ ფრაქციის წევრი ბრძანდება. ასეთ ვითარებაში მათი ძირითადი მსოფლმხედველობა, ანუ მიშნაცური ნაცმოძარაობის პოლიტიკური პოსტულატები ახლა წამგებიანია და მათ მიერვე გადაფასდა. არადა, მ. სააკაშვილის კრიტიკისათვის ისინი არათუ დამიპირისპირდნენ, *„როგორ გაბედე დიადი მიშას არაჯეროვანი შეხედვაო"* და სამსახურიდან გამაძევეს, შემდეგ *„ჩემი პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობის"* აფრიალებით სასამართლოშიც მიჩივლეს *(რათა თავიანთი ბოროტმოქმედებები ასეთი აშკარა, იმ დროისათვის უდავოდ მომგებიანი ზურგის ქარით გადაეფარათ)*, დიახ, თვითონ აკრიტიკებენ დღეს მ. სააკაშვილს (იხილეთ ა. წოწონავას, რ. ქარაიასა თუ სხვათა წერილები გაზეთ *„ახალ თაობაში" (2013 წლის მაის-ივნისი)* და გ. გვაზავასა და გ. კალანდიას გამოსვლა ტელეობიექტივში), თუმცა, არც ერთი მათგანი კრინტს არ სძრავს იმაზე, *რომ სერგი საჯაია მართალი იყო, როდესაც თავის წიგნებში მ. სააკაშვილის დამანგრეველ პოლიტიკას აკრიტიკებდაო.* ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ, როგორც მაშინ ვამბობდი, ისინი არასოდეს ყოფილან ვინმეს ერთგული, მათ თავიანთი ნაავკაცარის გადაფარვა სურდათ ამით.

ამ ვირეშმაკობათა გასწვრივ, ისიც ხომ ცხადია, რომ ქალბატონ *რაისასა თუ მის თანამოსაქმეებს ჭკუასაკითხავ პიროვნებებად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილთა შორის არავინ აღიქვამს,* სწორედ ამის გამო პასუხობენ (უკაცრავად) ღადავის წესით მის აბეზარ გამოჭენებებსა თუ არამკითხე წარამარაობებს (სხვა მრავალთა შორის მისი სახეზოგადობის

თვალსაჩინოებისთვის ავარჩიე გაზეთ *„ილორის“ (2013 წლის 29 ოქტომბრის)* წერილი *„ამჯერად რაისა, არა მაქსიმუტოვნა, - უბრალოდ რაისა...“:*

***

იმისათვის, რომ ხელმეორედ გაკითხეთ ამ ამონარიდს, ბოდიშს არ ვიხდი, რადგან მკაფიოდ უნდა გაიცხადოთ თუ რა უბედურებასთან გაქვთ საქმე: „ეს სამზარეულო არც ისე იშვიათად, შხამიან (საუბარია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი სასჯოს პრეზიდიუმზე, ს. საჯ.) საკვებს (თუ საკენკს) გვიმზადებს. აქ მოყუჩებულ ზოგიერთ "მზარეულს“ ჩვეულებრივ რიგითი მოქალაქე-დევნილი ადამიანად არ მიაჩნია და იცით, რატომ? 20 წელიწადია ტრიალებს აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების მოჯადოებული კარუსელი - ერთი სკამიდან მეორეზე გადაჯდომა-გადახტომა. ზედა ეშელონები „სკუპ-სკუპის“ პროცესში იქმნება და ისიც დროებით მეკარუსელეები ისევ ძველ პოზიციებს უბრუნდებიან. დეპუტატობა და მთავრობის რიგითი წევრობა მათთვის აქ გარანტირებულია.

ყველას ვეკითხები: საქართველოს ბიუჯეტის კმაყოფაზე მყოფ ხალხს (ზოგიერთებს კარგად გამართული ბიზნესიც გააჩნიათ...) ძალუძთ კი „გაზაფხულის“ მოპყვანა?

ამასთან დაკავშირებით, ჩემი თავი ვალდებულად ჩავთვალე, ნათელი მომეფინა ზოგიერთი საკითხისათვის. კერძოდ, მემხილა ქალბატონი რაისა სად იტყუებს თავს და სად ატყუებს მკითხველს.

ქალბატონ რაისას თავიდანვე ვეტყვი, - მე თქვენზე უკეთესი წარმოდგენის ვიყავი. იმ წერილით ისე გაიშიშვლეთ თავი, რომ შორიდანაც ჩანს ის ჭუჭყიანი ზეწარი, რომლეშიაც ყოფილხარ გახვეული. მკითხველს ბოდიშს მოვუხდი ამ სიტყვებისათვის, ვიმეორებ, სწორად გამიგებენ...“

***

„მეორე: თქვენს „ღია წერილში“, ქალბატონო რაისა, ბევრ უხერხულობებსა და მოგონილ ამბებსაც წავაწყდი (ალბათ, ბ-ნი ნაპო გაგცემთ ამაზე პასუხს). რაში დაგჭირდათ, ან ვის სასარგებლოდ სტყუით ასე მწარედ? თქვენ აქ ბ-ნ თემურ მყავიაზე საუბრობთ, მისი წინასაპრეზიდენტო კამპანია ხომ არ გაქვთ გაჩაღებული? მართალი გითხრათ, იმათ მაგივრად მრცხვენია, ვინც ასე აუბრალოებს ქვეყნის პრეზიდენტობას. კაცმა რომ თქვას, როლები კარგად გაქვთ განაწილებული, - საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, მომავალი პრემიერი და უმაღლესი სასჯოს თავმჯდომარეც. თქვენი წრიდან გყავთ შერჩეული. ეს არის, ალბათ, წინასაარჩევნოდ (როგორც შარშან), თქვენი გამოჩენის ძირითადი მოტივი, თორემ სხვა დროს არ ყოფილხარ ასე აქტიური...

სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, ბ-ნი თემური ისეა აფხაზეთის წარმომადგენელი, როგორც მე - იაპონიის იმპერატორისა“.

***

დამეთანხმებით, ამგვარად საზოგადოება არ ეხმიანება *ქალური თავდაჭერილობის მქონესა და პოლიტიკურად არ აცერცეტებულს.* სწორედ ასეთი პოლიტიკური მაყრიონის თანხლებით ილაპარაკა სასამართლოზე გ. ლომინაძემ,

რომელმაც გვერდი აუარა ჩემს მიერ მათთვის წაყენებულ მკაფიო ბრალდებებს და შეუზღუდავად იაბდაუბდა აფხაზეთის გასხვისების *„მიზეზებზე“*, რომლის ერთ-ერთი სახესხვაობა, თურმე, მეც ვყოფილვარ. რა თქმა უნდა, მის ამ პათეტიკურ ამონარწყევს თან ახლდა მოწონებითი თუ მოწოდებითი შორის-დებულები ნ. მგალობლიშვილის, რ. ქარაიას, დ. გვაძაბიას, ე. ასტემიროვასა და ა. წოწონავას მხრიდან, მოკლედ *„ქსა“*-*„ჰარიქასა“* და *„მიდი, გადაუარეს“* წესით 40 წუთზე მეტი ალაპარაკეს წითელი გენერალი და ჰოი, საოცრებავ, იქვე პასუხის გაცემის საშუალება წინამდებარე *„სასამართლოზე“*, არადა, არ მომეცა.

თუმცა, გეთანხმებით, საჭირო არაა ამ უტიფარი და გარეწარი ორფეხების ვერმოსამართლე *„სასამართლოზე“* მიმოფრქვეულ ხმაბოდვათა კიდევ უფრო გასაჯარისება, სხვა რამ გამოვუფინოთ მკითხველს, ის, რომ ჩემს გარდა სხვაც ამხელს მათ ქვეყნის ღალატში, თუმცა, ამათ რომ ყური უგდო, უტიფრად ირწმუნებიან, - ასე მხოლოდ ს. საჯაია ფიქრობსო.

***

„...სინანული და თანგრძნობა ყველა ღვთისნიერი ადამიანის ვალია, მაგრამ როდესაც გესაუბრებიან მე-5 კოლონაზე ეროვნული და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების ძირგამომთხრელ საქმიანობაზე, უფრო სწორად, ბრალს გდებენ უცხო ქვეყნის მომსახურებაში, სამშობლოს ღალატში და "თანამედროვე შადიმანს" გიწოდებენ, თანაც ამას ის ადამიანები აკეთებენ, რომლებიც მრავალი წელია, გიცნობენ და მშვენივრად იციან, რაზე ხარ წამსვლელი და რაზე - არა, მერწმუნეთ, ასეთ დროს სიმშვიდის შენარჩუნება ნებისმიერს გაუჭირდება. მით უმრტეს, როცა ამას გეუბნება კაცი, რომლის სინდისზეცაა (მურმან ომანიძესთან, გივი ლომინაძესთან და სხვებთან ერთად)“...

***

„...ეს კაცი, ბატონ ლომონაძესთან ერთად, ურცხვად ატყუებდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და ქვეყნის უზენაესი საბჭოს სხდომაზე ისე წარუდგენდა აფხაზეთს, თითქოს იქ სრული იდილია ყოფილიყო: სწორედ იგი არწმუნებდა ყველას ზემოხსენებული დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღების აუცილებლობაში და მის ეფექტურობაში, იმაზე კი არაფერს ამბობდა, რის სანაცვლოდ უნდა დაეთმო ქართულ მხარეს ასე საკუთარი ინტერესები.

სამწუხაროდ, სინამდვილეში საქმე გვქონდა ფარულ გარიგებასთან, გაუგონარ ღალატთან - დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღების სანაცვლოდ, ნუგზარ მგალობლიშვილის ეგუფი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გაიყვანდა თავის კანდიდატურას (სავარაუდოდ, გივი ლომინაძეს ან თავად ნუგზარ მგალობლიშვილს), რომელიც ვ. არძინბასთან ერთად, ერთ პაკეტში იქნებოდა არჩეული. ყოველივე ეს მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც უმაღლესი საბჭოს მუშაობის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე, ეს შეთანხმება უხეშად დაირღვა. საქმე ის გახლდათ, რომ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე სულ სხვა კანდიდატურა დასახელა, რაც თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ მათი გეგმა ჩაიშალა.

ამ მოვლენების თვითმხილველი თავად გახლდით, როგორც დეპუტატთა ქართულ-აფხაზური შემთანხმებელი კომისიის რიგითი წევრი. ერთ-ერთ სხდომაზე, ჩემს გარდა, ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ბატონები: ნ. მგალობლიშვილი, თ. მჟავია, თ. ლორთქიფანიძე, ა. გასვიანი, და შს მინისტრი გ. ლომინაძე (არადეპუტატი), ხოლო აფხაზურ მხარეს - კ. ოზგანი, ს. ბაღაფში, დ. ფილია და ასევე არადეპუტატი ა. ჯერგენია. მსჯელობისას მე ხმამაღლა შევნიშნე: რატომ აკეთებთ ამას, ამის გაკეთება არ შეიძლება- მეთქი, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია, ჩემსკენ არც გამოუხედავთ. შეწყობილი საუბარი რატომღაც, არადეპუტატებს - გივი ლომინაძესა და ანრი ჯერგენიას შორის მიმდინარეობდა, სხვები კი უბრალოდ სტატისტის როლში იმყოფებოდნენ...“

გაზეთი „ილორი“, 2013 წ. 29 ოქტომბერი

***

...მოკლედ, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასხვისებას და ამის წინმსწრებ თუ მომდევნო ყველა უბედურებას ამ თახსირთა ფეხაწყობას აბრალებს პროფესორი ნაპო მესხია, როცა იუწყება, რომ *„რა დამავიწყებს, როგორ გარბოდა ნუგზარ მგალობლიშვილი თავისი ჯგუფის თანხლებით პარლამენტის სხდომებიდან! ამ ადამიანების უგერგილობასა და უპასუხისმგებლობაზე ლაპარაკიც აღარ ღირს - მათ ხომ სხვებზე ბევრად ადრე მიატოვეს აფხაზეთი?!“*

***

„...ის, რაც აფხაზეთში ჩაიდინეთ თქვენ და თქვენმა თანამზრახველებმა, მათ შორის და პირველ რიგში თქვენი თავკაცობით (აფხაზურ მხარესთან ფარული გარიგებით!) მიღებული აპარტეიდული საარჩევნო კანონი საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი ხალხისა და ქვეყნისათვის, ჩვენო „ბირფასო“, ნუგზარ მგალობლიშვილო! ეს თქვენი და თქვენი მეგობრების მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონი“ არის უმაღლესი დონის შადიმანობა - შადიმანობის მწვერვალი!

ხალხმა იცის ყველაფერი ეს და მას თქვენ უკვე ვერ გადაარწმუნებთ!

სულ ტყუილად ცდილობთ, ეროვნულ მოძრაობასა და ეროვნულ დროშას ამოეფაროთ და ასე საკუთარი ორგულობა მიჩქმალოთ! ჩვენს ქვეყანას, თუდნაც უკანასკნელ წლებში, არაერთი ასეთი შადიმანობა ახსოვს, კარგად მიადევნეთ თვალყური, აი, რა არის შადიმანობა:

- *შადიმანობაა, როდესაც მტერს ხელს უწყობ ან კიდევ განზე დგები და არაფერს აკეთებ შენს ქვეყანაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.*
- *შადიმანობაა, როდესაც საკუთარ ამბიციებს ქვეყნის ინტერესებს ანაცვალებ, რასაც მოჰყვება სისხლისღვრა და უდანაშაულო ადამიანთა მსხვეპრლი“.*

გაზეთი „ილორი“, 2013 წ. 29 ოქტომბერი

***

საოცარი აბრუურდი იცის ისტორიამ, - სოხუმში გამოუსწორებელი, ნასუფრალით მობახუსე მარადი ლოთის - პეტოს ვირეშმაკა ძემ, ნუგზარმა, რა გინდა, დიდოსტატ კონსტანტინეს ვაჟის - ასევე დიადი ერისკაცის ნდობა

დაიმსახურა. მისი ზურგისქარითა და წითელი გენერლის გ. ლომინაძის ლაგაგამოდება-გაწევით საკუთარი თავი აფხაზეთის *„ქართულ პარტოკრატიას“* ნიშანსვეტად აღუმართა, იგანცხრომა და იგაპონა, სათანადო ფეხის ქირაც *სულ „ას-ას გრამებში“* გაუნაღდეს, სხვა მოთხოვნილება მას არც ჰქონია. არადა, სწორედ ამ კაცუნა ნ. მგალობლიშვილისა და ნაცადი გარეწრის გ. ლომინაძის აგრესორ-სეპარატისტებთან გარიგებას შეეწირა ჩვენი ხალხის უსაფრთხოება, რასაც მოჰყვა კრემლის მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ოკუპაცია. ეს ბრალდება პროფესორ ლორიკ მარშანიასთან ერთად (იხ. მისი წიგნი "სიმართლე აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ", რუსულ ენაზე) იმდენად უტყუვრად მიაჩნია პროფესორ ნ. მესხიას, რომ იგი მას გაზეთ *„ილორის“* მომდევნო *(12 ნოემბრის)* ნომერშიც ხაზგასმით და სიტყვა-სიტყვით იმეორებს:

„სამწუხაროდ, სინამდვილეში საქმე გვქონდა ფარულ გარიგებასთან, გაუგონარ ღალატთან - დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღების სანაცვლოდ, ნუგზარ მგალობლიშვილის ჯგუფი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გაიყვანდა თავის კანდიდატურას (სავარაუდოდ, გივი ლომინაძეს ან თავად ნუგზარ მგალობლიშვილს, რომელიც ვ. არძინბასთან ერთად, ერთ პაკეტში იქნებოდა არჩეული.“

შემდეგ ავტორი ასე ახასიათებს ნუგზარ მგალობლიშვილს: *„შესაძლოა მეხსიერება ღალატობს, ან კიდევ არ უნდა გაიხსენოს, რა მოხდა აფხაზეთში, რადგან როგორც ვერ შემდგარი პოლიტიკოსი, თავის წარსულიდან ფასეულს ვერაფერს მოიხმობს! ამიტომაც მას, უბრალოდ, არ სურს წარსულში დაბრუნება და იმის გახსენება, რაც რეალურად ხდებოდა“.*

გაზეთი „ილორი“, 2013 წლის 24 დეკემბერი

***

საინტერესოა, რომ პროფესორ ნ. მესხიას წერილების სერიალს სათაურად აქვს მრავლისმეტყველი, სინამდვილის ზედმიწევნით ზუსტად გამომხატველი *„პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს...“*

სათაური სათაურად, მაგრამ იგი დაზუსტებულია მტკიცებულებებზე დამყარებული ბრალდებებით, რომელშიც ავტორი თანმიმდევრულად წარმოაჩენს იმ ადამიანების პირწმინდად სინდისგარეცხილ სახეს, რომელთათვის ქვეყნის ბედზე მაღლა ყოველთვის საშოვარი იყო, აი, ეს ადამიანები დამიპირისპირდნენ მე გადავლის წესით, რადგან მზერა არ ავარიდე, ხალხს წარმოვუჩინე მათი ბოროტმოქმედებები. სამწუხაროდ, საქართველოს პროკურატურა დღემდე ამას ვერ ხედავს, ხოლო იმას, რასაც ასე საეჭვო დაჟინებით *„ვერ ხედავს“ „ქართული მართლმსაჯულება“*, ხმის ჩახლეჩამდე საამბოხოა აფხაზეთის საზოგადოებრიობის ერთი ნაწილისთვის, რომელიც ამას პროფესორ ნ. მესხიას მეშვეობით ახმოვანებს (ამავე დროს ვერც იმას მივიჩნევ, რომ ბატონი ნაპოს ზოგიერთი შეფასება აფხაზეთის რაობა-ვინაობის შესახებ, სასურველია შემდგომ გამოცემებში ამ მხარის დედან ისტორიასთან გულდასმით შეჯერდეს).

***

- „შადიმანობაა, როდესაც ხელისუფლების სისხლიან გადატრიალებას აწყობ ან მასში მონაწილეობ“;
- „შადიმანობაა, როდესაც საკუთარი ქვეყნის ერთ-ერთ ძირძველ კუთხეში შეიარაღებული კრიმინალური შენაერთებითა და ჯავშანტექნიკით გაილაშქრებ მშვიდობიანი მოსახლეობის „მორჯულებისა“ და მათი „გონზე მოყვანის“ მიზნით“;
- „შადიმანობაა, როდესაც გარბიხარ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებიდან თუ სესიებიდან და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს უბრძოლველად აბარებ ბურთსა და მოედანს“;
- „შადიმანობაა, როდესაც პატარა აფხაზეთში ორხელისუფლებიანობის პრეცედენტს უშვებ - ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობისთვის ცალკე ქმნი ალტერნატიულ მთავრობებს“;
- „უმაღლესსა და მინისტრთა საბჭოებს ყველა შესაბამისი სამსახურით, მათ შორის ძალოვანი სტრუქტურებით (პროკურატურა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, უმაღლესი სასამართლო და სხვ.) და ამით ხელს უწყობ ფეთქებადსაშიში გარემოს ჩამოყალიბებას“;
- „შადიმანობაა, როდესაც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ძალის გამოყენებას ამჯობინებ“;
- „შადიმანობაა, როდესაც ომის დროს პირწმინდად ძარცვავ საკუთარ მოსახლეობას, შემდეგ კი გამორბიხარ ბრძოლის ველიდან და მას მტერთან პირისპირ ტოვებ“;
- „შადიმანობაა, როდესაც გუმისთის მსგავსად, ბზიფზე ასევე გამყოფი სამშვიდობო შეიარაღებული ძალების ჩაყენება „გავიწყდება“ და, გაგრის ზონაში ტოვებ მძიმე ჯავშან-ტექნიკას, თავქუდმოგლეჯილი გამორბიხარ ბრძოლის ველიდან და გულდამშვიდებული ბრუნდები შინ“;
- „შადიმანობაა, როდესაც ყველას არწმუნებ, რომ აფხაზეთი საიმედოდაა დაცული, მოუწოდებ მშვიდობიან მოსახლეობას საკუთარ სახლებში დაბრუნებას, სოხუმის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ანახლებ სწავლას, მაშინ, როდესაც ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში ამგვარი რამ ფიქრადაც არავის მოსვლია თავში; შემდეგ კი, სოჭის 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე, ცალმხრივად განიარაღებ საკუთარ სამხედრო შენაერთებს“;
- „შადიმანობაა, როდესად სოხუმიდან უკან გამოიწვევ რვა ათასამდე შეიარაღებულ ჯარისკაცს ისე, რომ არ განიარაღებ კოდორზე დაბანაკებულ 300 კაცამდე მოწინააღმდეგის შეიარაღებულ რაზმს და არ აძლევ დაუცველ მშვიდობიან მოსახლეობას ოჩამჩირის მიმართულებით გასვლის საშუალებას, რითაც სასიკვდილოდ წირავ მას...“
- „შადიმანობაა, როდესაც საომარი მოქმედებების განახლების მიზნით გალის რაიონის ქვედა ზონაში აწყობ მარულას, შემდგომ იქ ავტომატის მხოლოდ ერთი მჭიდითა და ერთი ხელყუმბარით შეიარაღებული სამხედრო შენაერთები შეგყავს, რომლებიც უმალვე ტოვებენ იქაურობას და მოტყუებულ მოსახლეობას ტოვებ მტრის პირისპირ, იმის მოლოდინში, რომ იგი ამოჟეჟავს ათასობით ქართველს და ამით მტრის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი გენოციდის უტყეარ საბუთს მიიღებ“;

- *„შადიმანობაა, როდესაც დეპუტატები სენაკში ჩატარებულ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს სესიაზე მილიტარისტული შეძახილებით ამხნევებენ და მხარს უჭერენ საკუთარი ხალხის გენოციდის მომწყობ მოღალატე ხელისუფლებას";*
- *„შადიმანობაა, როდესაც თავად არ ცდილობ და სიცრუით, ცილისწამებითა და დემაგოგიით ხელს უშლი იმათ, ვისაც აქვს სურვილი და გააჩნია უნარი, ხელი შეუწყოს მოწინააღმდეგე მხარეებს შორის მიმდინარე შერიგების პროცესს".*

ბატონო ნუგზარ, ახლა ხომ კარგად გაიგეთ თუ რა ყოფილა შადიმანობა!

მოდით, გადავავლოთ თვალი აქ ჩამოთვლილ გამაოგნებელ შადიმანობათა მრავალფეროვნებას და ვნახოთ, რომელი არ შეესაბამება სიმართლეს! იქნებ მითხრათ, დამარწმუნოთ?! კაცურად მივიღებ თქვენს ყველა შენიშვნას, ოღონდ თქვით, დაასაბუთეთ, რომ არ იყო ისე, როგორც ვწერ და გპირდებით, ჩავასწორებ შადიმანობის ჩემეულ ჩამონათვალს და ბოდიშსაც მოგიხდით საზოგადოდ, მაგრამ ვშიშობ, ძალიან გაგიჭირდებათ ამის გაკეთება!"

გაზეთი „ილორი", 2013 წლის 12 ნოემბერი.

***

აბა, სხვა რამე დავაბრალე ამ ჯოგურ გაღვთისგლახებას. ვერაფერს იტყვი, კაცური სიტყვაა: დამარწმუნე, რომ მართალი არ ვარ და ბოდიშს მოგიხდიო, პირობას იძლევა ნ. მესხია, რომლის რაინდობასთან „პეტოვიჩად" და „ნუგზარად" ზედწოდებული ბატონი ნუგზარი როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად ჯუჯაკაცს წარმოადგენს.

...მაგრამ არა, ნ. მგალობლიშვილი, გ. ლომინაძე და ა. შ. ნახევარ წელზე მეტია ენაჩავარდნილი კითხულობენ ამ ბრალდებებს და აზრადაც არ მოსდით, წამოიკნავლონ მაინც, არაა, ასეო!

ბატონ პროფესორს ეჭვიც არ ეპარება, როდესაც, როგორც გითხარით, დასაბეჭდად გაზეთში თითქმის ნახევარწელზე გაშლილ სტატიაში დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ *(კიდევ ერთხელ გეუბნებით, - ბოდიშს არ გიხდით, რომ ამ ამონარიდს ხელმეორედ გთავაზობთ): „თქვენ, თქვენს მეგობრებთან - მგალობლიშვილებთან, მყავლებთან და სხვებთან ერთად, ნებით თუ უნებლიედ, ხელს უწყობდით ყოველივე იმას, რაც ძაბავდა ურთიერთობას ქართველებსა და აფხაზებს შორის და იწვევდა საზოგადოებრივ დესტაბილიზაციას. სამწუხაროდ, თქვენ არ აღმოგაჩნდათ საღი აზროვნება, სწორი პოლიტიკური ხედვა და თქვენი იდეოლოგიით წყალს ასხამდით აფხაზების წისქვილზე, რაშიც დღეს, "გაღმა შეედავეს" პრინციპით, დანაშაულს აბრალებთ სხვას. სამწუხაროდ, ხეების იქით ტყეს ვერ ხედავდით - ვერ ამჩნევდით იმას, თუ როგორ იყო ჩასაფრებული ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, მისი პროიმპერიული ძალები, როგორ აღვივებდნენ ისინი და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ სეპარატისტულ განწყობას აფხაზეთში. ასე რომ, ყველაფერს იმაში, რაც მოხდა აფხაზეთში, თქვენი ნამოღვაწარი უდაოდ თვალსაჩინოა" (იგივე გაზეთი, 29 ოქტომბერი).*

გაოგნდები კაცი, ხომ ასე კუდის რიკამდე ვიცი ამ გარეწრების სულის ანატომია, მაინც მიჭირს დავიჯერო, რომ ამ დონის გამყიდველები არიან, თუმცა, ეს, როგორც ჩანს, ჩემზე არანაკლებ უჭირს ამის თვითმხილველ პროფესორ ნ. მესხიასაც: „*...არ შეიძლება (დაგაბეზავებს, გაგანადგურებს!) საუბარი*

იმაზე, თუ როგორ შემომიგზავნა საკუთარ კაბინეტში ქურდი შს მინისტრმა (ე. ი. გენერალმა გ. ლომინაძემ, ს. სჯჯ.) აუდიო-კასეტის ხელში ჩასაგდებად, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ჩემი სახლის (ტრაგიკულად დაღუპული უფროსი ვაჟის პირადი ნივთების) გაქურდვის და ქურდების ვინაობის შესახებ, რომლის არსებობაზე ვიცოდით მხოლოდ (!!!) მე და ამ უბადრუკმა მინისტრმა!

არ შეიძლება საუბარი იმაზე, თუ რისი თვითმხილველი ვყოფილვართ ჩვენ, მე და თქვენ, ბატონო ჯემალ! აბა გაიხსენეთ, თუ როგორი წივილ-კივილი იდგა "გოსდაჩის" პირველ სართულზე, ვინ იყო მაშინ იქ, შიგნით და როგორი ყვირილით გამოვარდა იქიდან ბესიკ მამუკელაშვილი: "ცეცხლში მათი ბრძანებით გავხვიეთ არქივი და ეხლა მე გამოვყავართ მეისრედ და მაბრალებენ ყველაფერსო"!!! გაიხსენეთ, კარგად გაიხსენეთ, როგორ ვამშვიდებდი და ვაწყნარებდი მას, რომ სხვებს არ გაეგოთ! იმ მაღალჩინოსნებიდან. ვისთანაც დაობდა, ბესიკ მამუკელაშვილი. ერთი უკვე არ არის ცოცხალი, ხოლო მეორე თქვენ გიმშვენებთ გვერდს... მოდით, თუ გეყოფათ გამბედაობა და ვაჟკაცობა, შეახსენეთ მას ეს ფაქტი თქვენს შორის ვინ იზამს ამას?!.

მესმის, დღესაც არ შეიძლება ამაზე საუბარი, მაგრამ რა ვქნა, მან და თქვენ მაიძულეთ?!

რამდენი ასეთი და მსგავსი ბარბაროსობა ჩაიდინა როგორც ერთმა, ასევე, მეორე მხარემ, მაგრამ მე, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ამაზე არც ერთი სიტყვა არ დამცდენია..." (იგივე გაზეთი, 10 დეკემბერი).

არქივი, რომელიც ამ უგუნურების ბრძანებით დაწვეს, კი ბატონო, აგრესორ-სეპარატისტთა ნაყალბევ მასალასაც ინახავდა, მაგრამ იგი, *უპირველეს ყოვლისა, უნჯშესაფაგი გახლდათ მტკიცებულებებისა იმის შესახებ, რომ აფხაზეთი ყოველთვის იყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველო* და ასეთად დარჩება მარად. აი, რა გაუნადგურეს ამ გამოჭენებულმა თაღლითებმა ერს და ქვეყანას! მაგრამ ჯერ კიდევ სადა ხარ, თურმე, ნუ იტყვით და, ოღონდ გასულიყვნენ ხელისუფლებაში და მზად იყვნენ, თვალის დახამხამებაში, ისე, როგორც მამისგან დანატოვარი უსარგებლო ხაბაკი, თავიდან მოეშორებინათ ქართველი ერის სასიცოცხლო ბერკეტები: *„...შემდგომ გაგრძელდა ბრძოლა ამ მაღალი და მასთან დაკავშირებული სხვა თბილი სავარძლებისათვის. უნდა ითქვას, რომ მავანთა "კაიკაცობა", მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც ბატონი თ. ნადარეიშვილის თხოვნით, აქტიურად ჩავერთე მოლაპარაკების პროცესში, რათა ჩვენთვის სტრატეგიული ზემოხსენებული უწყების, შს სამინისტროს და სოხუმის ან გაგრის თავკაცად ქართული ეროვნების წარმომადგენელი დაგვენიშნა. ამისთვის ცალკე ვხვდებოდი აფხაზური მხარის ლიდერებს - ვ. არძინბას, კ. ოზგანს და უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლებს და ხშირად, ღამ-ღამობით, გუდაუთაში ჩავდიოდი ხოლმე. მახსოვს კ. ოზგანის სიტყვები: "თქვენ რაზე იკლავთ თავს, როდესაც თ. ნადარეიშვილი და საზოგადოება "სოხუმელები" (რ. სიჭინავა, <u>გ. გვაზავა)</u> შინაგან საქმეთა სამინისტროს და ორივე ქალაქს - სოხუმსა და გაგრას გვითმობენ, ოღონდ მათი კანდიდატი მოექცეს მთავრობის სათავეში, გაუგებარია, თქვენ რატომ ხართ ასე შეწუხებულიო?" (იგივე გაზეთი, 19 ნოემბერი).*

აი, რა ხალხის ხელში აღმოჩნდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ძირძველი ქართველობის ბედი და ეს მოხდა იმიტომ, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკური საჭე *„მრგვალი*

მაგიდა“ აფხაზეთის *„ქართული“* პარტოკრატიის ხელში აღმოჩნდა და მას ნ. მგალობლიშვილი, თ. მჟავია. მ. ძოძუაშვილი, ა. დავითაია და ა. შ. კრემილის ხელისბიჭისა და წითელი გენერლის გ. ლომინაძის ხელმძღვანელობითა და მისი პირველი მოადგილის, პოლკოვნიკ ა. ლომინაშვილის თანამოსაქმეობით აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის კაბინეტიდან მართავდნენ.

რა თქმა უნდა, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მოკალათებული ერის გამყიდველებზე პროფესორ ნ. მესხიას ბრალდებები სრულად რომ გადმოსცე, მისი წიგნი მთლიანად უნდა დაიმოწმო. როგორც ხედავთ, ამის საშუალება აქ არა გვაქვს და არცაა საჭირო, წყარო მითითებული მაქვს და იქ შეგიძლიათ სრულად მისი გაცნობა, მაგრამ, აი, ამ ცნობას, რუსულ უშიშროებასთან მავანთა თანამშრომლობაზე, გვერდს ვერ ავუვლი და აქვე გითვალსაჩინოებთ:

„სწორედ თქვენზე ჩურჩულებდნენ მოგვიანებით (ნ. მგალობლიშვილს მიმართავს, ს. საჯ.), <u>რომ ამდენი ხნით მოსკოვში ყოფნის</u> შემდეგ „ფსბ“-ს და „გრუ“-ს <u>აგენტად მოგვევლინეთ. ასეა ეს? დავიჯეროთ?! მე კი, ამ დროს,</u> ისევე ვიბრძოდი ქართული ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთ“-ისათვის - მისი წევრებისთვის ე. შევარდნაძისა და მისი გარემოცვის მიერ არალეგიტიმურად შეჩერებული უფლებამოსილების აღდგენისთვის. 1994 წლის 9 მაისს, სწორედ ე. შევარდნაძესთან ჩემი თითქმის ერთსაათიანი საუბრის შედეგად აღუდგა აფხაზეთის ქართველ დეპუტატებს უფლებამოსილება (იხ. შეს. 156-157 და 167-169 გვ) და ამის შემდეგ გახდით თქვენ (როგორც დანარჩენები!) ისევ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. რა, არ იცოდით?

ბევრჯერ ვცადე, მეჩვენებინა თქვენთვის და თქვენისთანებისთვის ადამიანობისა და კეთილსინდისიერების მაგალითი: ის, თუ რა უნდა ეკეთებინა დეპუტატს, როგორ უნდა მოეთოკა საკუთარი ამბიციები, ხოლო ხალხისა და ქვეყნის ინტერესები წინა პლანზე როგორ უნდა წამოეწია. ვცდილობდი, არ დამეშვა შეცდომები, გულწრფელი ვყოფილიყავი ყველას მიმართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვხვდები, რომ ყოველივე ამას თქვენთვის და თქვენი მეგობრებისთვის ფუჭად ჩაუვლია!

თავიდან გიცნობდით როგორც ერთვნულს, კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლს და კეთილგანწყობილი ვიყავი თქვენს მიმართ. სწორედ ამიტომ გენდეთ და გთხოვეთ, გადაგეცათ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასთვის აფხაზი ხალხის ელიტური ნაწილის თხოვნა იმის შესახებ, რომ არ შეიძლებოდა ვ. არძინბას მოსკოვიდან ჩამოყვანა და მისი აფხაზეთის თავკაცად არჩევა, რადგან მათი ღრმა რწმენით <u>„ეგი დაღუპავდა ჯერ აფხაზეთს, მერე კი საქართველოს!“</u> ამაზე დეტალურად და გულახდილად გესაუბრეთ ჩემთან, სახლში - მყუდრო ვითარებაში! თქვენ ყურადღებით მომისმინეთ, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ყველაფერი პირიქით გააკეთეთ (იხ. შეს. 42 და 48 გვ) - თქვენს გარემოცვასთან ერთად ხელი შეუწყეთ არძინბას აფხაზეთში ჩამობრძანებას.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი კარგად ჩახედული პოლიტიკაში და არ მეგონა, რომ იმ ადამიანს დაემგავსებოდით, რომელიც ერთხელ შეიძენს ხოლმე ტრამვაის ბილეთს და მერე მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმ ბილეთით მგზავრობს. მოგვიანებით ჩემთვის ეს და ბევრი სხვა რამეც გახდა ცნობილი. მანამდე კი დავდიოდი თქვენთან (სახლშიც კი!) და გამხნევებდით, რათა ისევე აქტიურად ჩაბმულიყავით პოლიტიკურ საქმიანობაში. მაშინ ჯერ კიდევ არ მყავდით ბოლომდე გაშიფრული თქვენ და თქვენი

თანამზრახველები. მაგრამ, როცა აფხაზურ მხარეს ხელი შეუწყვეთ დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღებაში, ჩემთვის ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა!

ამ დროს თქვენ, როგორც „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ლიდერი აფხაზეთში, პოლიტიკურ ბლოკ „აიდგილარა“-სთან და მის ლიდერებთან - სერგეი შამბასა და ზურაბ აჩბასთან ჩონგურივით გქონდათ აწყობილი ურთიერთობა და ყველა საქმეს აგვარებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო სწორედ მათთან მჭიდრო თანამშრომლობით იქნა მიღწეული შეთანხმება ვ. არძინბას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნისა და ა. შ.“ (იგივე გაზეთი, 14 დეკემბერი).

მკითხველო, სულაც არ გიხდით-მეთქი ამჯერადაც ბოდიშს იმის გამო, რომ ამ ამონარიდთაგან ზოგიერთს ხელმეორედ გაკითხებთ. ეს, ზემოხსენებულ პროფესორ ლ. მარშანიას წიგნთან ერთად, რომელშიც გ. ლომინაძე, ნ. მგალობლიშვილი და ა. შ. იმხილებიან 1991 წლის სექტემბერს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს აგრესორ-სეპარატისტებთან გარიგებებსა და თანამშრომლობებში, უნდა დაიზეპიროთ და გადასცეთ შთამომავლობას თუ *ვინ გდიან ნ. მგალობლიშვილის, გ. ლომინაძის, დ. გვაძბიას, ა. ჩოჩონავას, გ. გვაზავას სახით ისეთ საქვეყნო დაწესებულებაში, როგორიცაა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო!..*

***

უკვე მოგახსენეთ, რომ აფხაზეთის *„ქართული“* პარტოკრატიის უანგარობასა თუ სახალხოობაში იმთავითვე შევიტანე ეჭვი, რის გამოც, თავის მხრივ იგი - სამკვდრო-სასიცოცხლოდ დამიპირისპირდა.

ყოველივე ამის გასწვრივ, გ. ლომინაძემ დაიწყო მიზნობრივი ცილისწამებების შეთხზვა *„ჩემს ცუდ კაცობაზე“* და მათი თანმიმდევრული გამრავალცალება (ტირაჟირება) მთელს აფხაზეთში. ამრიგად, ჩემი ლანძღვა აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს გარკვეული პროგრამის შესაბამისად, საყოველდღიურო საქმიანობა გახდა როგორც შს სამინისტროს რიგ თანამშორმელთა, ასევე მათი აგენტურის.

სამწუხაროდ, ყოველივე ამან თავისი შედეგი გამოიღო. გ. ლომინაძემ ჩემთან დაკავშირებით შესძლო გაუგებრობის თავსმოხვევა ზ. გამსახურდიას-თვის, რაზეც ამ ერისკაცმა სახალხოდ გულწრფელი სინანული გამოთქვა წლების შემდეგ.

ეს საკითხი მე მრავალჯერ მაქვს მიმოხილული და ამჯერად აქ დავსვათ წერტილი.

ასე თუ ისე, 1990 წლისთვის გ. ლომინაძემ არა თუ დაუქვემდებარა აფხაზეთში ეროვნული მოძრაობა *„ქართულ“* პარტოკრატიას, არამედ, ორივეს თვითონ მოექცა სათავეში. ახლა მას გენერლობა სჭირდებოდა და ამისთვისაც საჭირო სვლა გააკეთა: გაითამაშა რეციდივისტი პატიმრების მიერ სოხუმში ციხის გატეხვა და მძევლების აყვანა, რამაც ვითარება დაძაბა. მთელი აფხაზეთი სამი-ოთხი დღე დაზაფრული იყო. გ. ლომინაძის გამჭრიახობამ მაშინ ეს

წინაღობაც გადალახა, რეციდივისტების *„ჯანყი ჩახშო უსისხლოდ“* და გენერლობაც მიიღო.

შემდგომში იცით, მის კარიერისტულ გაუმაძღრობას ალღო აუღეს იქ, სადაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედოსხეულიდან მოწყვეტა იგეგმებოდა და მასთან შესაბამისობაში მოიყვანეს კრემლიდანური იმპერიის საოკუპაციო თადარიგის ცრუმოძრაობები, ამდენად, ის, რაც მოხდა გ. ლომინაძის, ნ. მგალობლიშვილის, მ. ძოძუაშვილის, ა. დავითაიასა და კომპანიის იმავე კრემლიდან მართული ხელებითაც განხორციელდა.

ასეთია მწარე სიმართლე!..

რაც შეეხება ნ. მგალობლიშვილის ციდა კაცობას, ამ კაცუნას მე იმ დროს ეროვნული მოძრაობის ხაზინაში არ ვაფათურებინე ხელი, ისევე, როგორც მ. ძოძუაშვილსა და უამრავ სხვას. თუ რას ვგულისხმობ კონკრეტულად, ამაზე ნებისმიერ სახალხო თავყრილობის წინაშე შემიძლია, დაწვრილებით გესაუბროთ. თავი შეგეზიზღებათ, ისეთ რამეს კადრულობდნენ ეს ჯუჯა სულის ადამიანები.

სხვა, მათთვის სამოგებო მიზეზი ჩემთან დაპირისპირების, ამ ხროვას არ გააჩნია, ესაა მხოლოდ შური და მხილების შიში!..

რადგან სიცხადე მოითხოვს, აქ ორიოდე წუთით წარსულში დავრბუნდეთ და გავიხსენოთ ჯერ კიდევ საბჭოთა პოლკოვნიკ გ. ლომინაძის მოვლინება სოხუმში. 1989 წლის 15-16 ივლისის სისხლიანი დღეების შემდეგ აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შესრულება დაევალა გ. ლომინაძეს, მის პირველ მოადგილედ კი ასევე პოლკოვნიკი ალეკო ლომინაშვილი დაინიშნა.

ამასთან დაკავშირებით ისევ და ისევ მახსენდება 20-ე საუკუნის 50-60-იანი წლების ქუჩური სიმღერა, იგი ამჯერადაც ზუსტად გამოხატავს გ. ლომინაძისა და ა. ლომინაშვილის ხმაშეწყობას, ამიტომ, ვცადოთ და ერთად წავიღიღინოთ:

„შოფერმა უთხრა პამოშნიკს,
შენ მელა ხარ, მე - ტურა,
დააკაჩავე პაკრიშკა,
გავაკეთოთ ხალტურა...“

ამ სიმღერისა არ იყოს, ამ ორ პოლკოვნიკს პოლიტიკური ხალტურის, ანუ საშოვრის გარდა სხვა მიზანი არა ჰქონიათ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ***(აკი გაზეთმა „ასავალ-დასავალმაც“ გაახმაურა, რომ გ. ლომინაძისთვის ომი ბიზნესს წარმოადგენდა (2013 წ. 11-18 ნოემბერი).***

სოხუმში ჩამოსვლისთანავე გ. ლომინაძემ ჩემთან გულითადი ურთიერთობა სცადა, ვინაიდან მაშინ ეროვნული მოძრაობიდან, კერძოდ, ზ. გამსახურდიასგან მ. კოსტავას ფონდის მართვა დამევალა აფხაზეთში, რაც თავისთავად განაპირობებდა საკმაო უფლების, უფრო სწორად,

შესაძლებლობების თავმოყრას ჩემს ხელში, ბოროტად არ უნდა გამომეყენებინა ოღონდ, არც გამოვიყენე, რასაც ვემსხვერპლე კიდეც.

1990 წლის თებერვლის მიწურულისკენ მან მომიგზავნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე მ. დგებუაძე და ვ. დავითაია (შემდგომში გენერალი). მათი თხოვნით შევხვდი გ. ლომინაძეს ე. წ. სამთავრობო აგარაკზე (სოხუმში). მან შუამავალთა თანდასწრებით მთხოვა, დავხმარებოდი მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად გასვლაში. ამ მხრივ მისი გათვლა სწორი იყო, რადგან ეს იმ დროისთვის ჩემთვის ძნელი საქმე არ იყო,

მე ავუხსენი მათ, რომ, მართალია, ეროვნული მოძრაობა ბოიკოტს უცხადებდა 1990 წლის მარტის არჩევნებს, მაგრამ თუ ბოიკოტის მიღწევა ვერ მოხერხდებოდა, მის ინტერესებში იყო, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში ღირსეული ერისკაცების არჩევისთვის შეგვეწყო ხელი. არ დამიმალავს, რომ ამ საკითხს ეროვნული მოძრაობის ზურგსუკან არ გადავწყვეტდი.

არის რა მაღალი სინჯის პროფესიონალი *(ოღონდ მხოლოდ საკუთარი თავისთვის),* გ. ლომინაძე მიხვდა, რომ ეს ჩემი მხრიდან იყო თავაზიანი უარი, ამიტომ, მან აამოქმედა სათადარიგო სვლაგეზი, დაიწყო ნ. მგალობლიშვილის, მ. ძოძუაშვილის, თ. მჟავიასა და ა. შ. გადაბირება. იმავდროულად შემოაგზავნა თავისი აგენტურა ეროვნულ მოძრაობაში. უნდა ითქვას, რომ მათ არა მხოლოდ ნდობა მიპოვეს აქ, არამედ გ. ლომინაძის გეგმის თანახმად გაწევრიანდნენ მ. კოსტავას საზოგადოებაში და ჩემს გარშემო *„დასახმარებლად დასცეს ბანაკი“.* რაც ამას მოჰყვა,ზემოთქმულიდან იცით!..

***

ასე და ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს მეტად უცნაური *„სისწორის“* შესაბამისად, რომელშიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ისევე, როგორც მიშნაცურ სასამართლოზე ზ. ესებუას თითმიჭერილმა პინამ რომ ამ ჯოგის სასარგებლოდ აწონა, ამგვარად, პატივცემულმა ნატალია ნაზღაიძემ. ახლაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ათარეშებული ბოროტმოქმედების სასარგებლოდ სცადა *„ვენების გადაჭრა“.*

ეს იგრძნობოდა ყველაფერში, კერძოდ, ჩემთან დაპირისპირებულ მხარეს სასამართლოს სხდომებზე, როგორც უკვე გითხარით, ყველანაირი ხმაურების, წონასწორობიდან გამომყვანი შეძახილების, შეურაცხმყოფელი ცილისწამებების, *„რაზბორკისა“* თუ *„სხადნიკის“* წესით თავაწყვეტის საშუალება ეძლეოდა, სამაგიეროდ, მე მიზნობრივად არ მომეცა საშუალება გამესაჯარისებინა წარმოდგენილი მტკიცებულებები. უფრო მეტიც, ჩემი ის გამოსვლაც, რომელშიც რაღაც-რაღაცეებზე პასუხის გაცემა ვცადე, მოსამართლის წაყრუებით გადაფარა ჯოგურმა ღრიანცელმა.

ასეთ ვითარებაში, როდესაც მეგონა, რომ მოსამართლის წინსწრებ განწყობას ვერაფერი შეცვლიდა, დადგა 2013 წლის 13 დეკემბერიც, როცა სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწტყვეტილება გამოაქვეყნა.

მე ამ სხდომას არ დავსწრებივარ, მაგრამ როგორც მითხრეს, აქ წინასწარ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოდან საზეიმოდ მორეკილ თანამშრომლებს კიდევ უფრო დიდი დღესასწაული ჩემდა გასაკვირადაც ჩაუმწარდათ.

არ დაგიმალავთ, რაღაც დონეზე მე მოვახერხე მიზნობრივად ყურდახშობილი და მზერა გაბურუსებული მოსამართლისთვის გასაცნობად გადაეცათ სარჩელმიმისამართებული ჩემი წიგნები *(პირველი და მეორე ნაწილი).* ქალბატონ ნატოს ურჩიეს, რომ გულდასმით წაეკითხა ისინი, გასცნობოდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არაჯეროვან საქმიანობაზე მიმდინარე პრესას, გაეთვალისწინებინა მათ მიმართ საპროტესტო აქციების მოთხოვნები და ყოველივე ამის გათვალისწინებით მიეღო გადაწყვეტილება, ისიც უთქვამთ, რომ მე ამ საქმეს სანამ სისწორემდე არ მივიყვანდი, არ შევეშვებოდი.

ჰოდა,. იმისი არ იყოს, მოლამ რომ ბავშვი მანამდე გალახა, სანამ კოკას დაამტვრევდა, ისე გამოვიდა...

მოსამართლე ნატალია ნაზღაიძე იძულებული გახდა, არ დაემტკიცებინა მანამდე ზ. ესებუას მიერ აშკარად თეთრი ძაფით ნაკერი გადაწყვეტილება, დაერღვია და ამ ჯერზე ჩემი სარჩელის ერთი ნაწილი დააკმაყოფილა ანუ სპორტული ენით რომ ვთქვათ, ანგარიშად ფრე გამოაცხადა. მართალია, მას შემდეგ, რაც მოსამართლე ზ. ესებუამ ასე პირწმინდად, კინაღამ 100-0-ზე დაამარცხებინა 14 თაღლით მოსარჩელეს ჩემი თავი, ეს არაა ცუდი ანგარიში, მაგრამ მე ნახევარი სიმართლით ვერ დავუდგინდები საზოგადოებას. ამიტომ, ამ საქმეზე უკვე მივმართე უზენაეს სასამართლოს.

დიახ, ადრეც მოგახსენეთ და კვლავ ვიმეორებ, ნუ დარჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს, მხოლოდ და მხოლოდ გაზეთი *„ილორი“* იყოს დასაქმებული აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს გაუგონარ გარეწრობათა მხილებით. ამას განსაკუთრებული თანმიმდევრობით აკეთებდა გაზეთი *„ქრონიკა+“ (ამ მხრივ საგულისხმოა 2-9 ივნისის №23 და 17-23 ივნისის №24)*; აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არსებული ბოროტმოქმედებებს რამოდენიმე ნომერი მიუძღვნა 2013 წელს ასევე გაზეთმა *„ქრონიკა“-მ, „ახალმა თაობამ“, „საქართველოს რესპუბლიკამ“, „საქართველო და მთელმა მსოფლიომ“* და ა. შ. *(ეს თემა აიტაცეს ტელევიზიებმა და რადიოს რედაქციებმაც)* და ბოლოს, გაზეთ *„ასავალ-დასავალის“* შეფასებით (*2013 წ. ნოემბერი) „ის, რომ გენერალ გ. ლომინაძისთვის ომი აფხაზეთში ბიზნესს წარმოადგენდა მხოლოდ“*, ეს უკვე მოგახსენეთ ზემოთ.

აქ მე გვერდს ავუვლი ამ თაღლითებს *(რას ვერჩი მათ, გაუდის ამ ხალხს და აკეთებს),* ისევ და ისევ ჩემს თანამემამულეებს მივმართავ. ბრძენი გვაფრთხილებს: *"საზოგადოებას ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებსო"*.

ამას მე *ბერმუხა კაცის, პროფესორ გივი კილასონიას* გასაგონად ვამბობ, პირველ რიგში. იგუებთ ამ ბაცაცებს, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ!..

ისე, სახალხო სიბრძნე საერთო მოვალეობას, გნებავთ, მოყვასისადმი წინაკაცურ ხიდობას ამგვარადაც იცხადებს ...- *„მე მიცვალებული განვბანე და ის სამოთხეში მოხვდება თუ ჯოჯოხეთში, ეს ღვთის ნებაა“...*

ასე დანახული სინამდვილისადმი მიდგომას სხვანაირადაც გამოთქვამს წინადახედული კაცი: *„- მამალმა თქვა, მე მიყივლია და გათენდება თუ არა, ეს უფლის საქმეაო..“* უფრო მეტიც, საუკუნეების მიღმიდან ხმის ჩახლეჩამდე გვაშველებს სინამდვილის გონებაში გასიგრძეგანების გაკვეთილს დიდი დავით გურამიშვილი: *„-მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად?!“...*

...და მეც, ვეგაკვეთილე რა ასეთ ღვთივსათნო სწავლებებს, ამ წუთისოფლის ერთ-ერთმა რიგითთაგანმა არა ჩასაფრებული მოყურადის, არამედ ჭირისუფლის გულისტკივილით აგიკოდორმდინარეთ ის, რასაც ჩვენი ხალხი სულიერი ხრწნისაკენ მიჰყავს... კი ბატონო, ღვთის ნებაა, მოხდება თუ არა ეს ასე, მაგრამ იგივე ხალხიდანური გამოცდილება მკაფიოდ გვიდასტურებს საუფლო ძეგლისდებას: *„ხელი გაანძრიე და გიშველიო“...*

ჩემის მხრივ თქვენს მზერაგაბურუსებასა თუ ყურდახშობას საქუდზეკაცო შეძახილი ასეთნაირად აგითერგღრიალეთ, რაც ძალიან ძვირად, ანუ სამსახურიდან გაძევებად, შიმშილობისთვის თავგამეტებად და უთანასწორო შერკინებაში სამკვდრო-სასიცოცხლო ყოველდღიურობად დამიჯდა, თუმცა, *ეს ჩემი თავსატეხია, აი, თქვენამდე რომ მოვლენ, მაშინ მაინც შეძელით ღირსებაში გაღვიძებული მზერით ირგვლივის მოთვალსაწიერება, რადგან ნაშველი ამ მიწაზე მხოლოდ ისაა, ვინც შეუგინებლობათა მარადიულსაყოფად აძალისხმევა ხელი!..*

1.05.2014 წ.

≈*≈

5. პოლიტიკური გადაწყვეტილებანი და საორგანიზაციო დასკვნები აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ღირსების მავნე გადმონაშთად დადგენის შესახებ

„მიხსენ მე და განმარინე ხელთაგან შვილთა უცხო თესლთაისა, რომელთა პირი იტყოდა ამაოებასა, და მარჯუენე მათი იყო მარჯუენე სიცრუისა...“

ფსალმუნი - 20, 143

წინამდებარე სათაურით გააბრებულ საქციელს აქვს მკაფიო მიზეზი და ამ მიზეზს ახსნა სჭირდება.

დავიწყოთ იმით, რომ გავარკვიოთ ფუძემდებლური საკითხი, - შეიძლება თუ არა, ღირსება ჰქოდნეს ისეთ ჯოგურ ფეხაწყობას, როგორიცაა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ის თვრამეტეული (გნებავთ თოთხმეტეული სირღუ), რომელთანაც მე, აგერ უკვე მეოთხე წელია, უთანასწორო, მაგრამ დაუზავებელ შერკინებაში ვიკაფავ შარას ჭეშმარიტე-ბისაკენ. დიახ, ეს ხალხი, რომელმაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილებს ჩვეული თაღლითობით კვლავ მოახვია საკუთარი თავი სახელისუფლებო სადავეებთან და უტიფრად მოიგდო მართვის ბერკეტები, გახლავთ არა მარტო უვარგისი ხელისუფლება, არამედ იგი სულ უფრო სახიფათო ხდება.

ამასობაში თაღლით ელ. გვაზავას სათავმჯდომარეო ვადა გაუვიდა და იმდენი კი იცის, რომ საზოგადოებრიობისთვის მორიგჯერ თვალებში ნაცრის შესაყრელად ვითომ *"არჩევნები"* უნდა გააბლაბუდოს.

აქ კი მისი გუშინდელი *"თანამოსანგრე"* თ. ხუბუა, როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა *(ტელევიზია „იმედის" "ქრონიკა", 28.04.2014 წ.), "კონცეპტუალური"* შეუთავსებლობის გამო *"რადიკალურად"* დაუპირისპირდა ჩემს მიერ პოლიტიკურ ხეპრეობასა და ბაცაცობა-თაღლითობაში მხილებულ ელ. გვაზავას *(რომელსაც, როგორც გახსოვთ, გვერდში ედგა ჩემს წინააღმდეგ "ბმალთაქნევაში" და მის ბოროტმოქმედებებს ლეღვის ფოთლად ეფურჩქნებოდა).*

დიახ, თ. ხუბუამ საჯაროდ განაცხადა, რომ ელ. გვაზავას საქმიანობამ ჩიხური ვითარება შეუქმნა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს და ამიტომ გადაწყვიტა ამ თანამდებობაზე თავად ეყარა კენჭი.

ამ მიზნით მოწვეული სესია 2014 წლის 28 მარტს ჩაიშალა. ზემოთხსენებულ ინტერვიუში *(„ქრონიკა"...)* უკვე ხელგამოღებულმა და პირმოღებულმა თ. ხუბუამ ისიც გაასაჯარისა, რომ ელ. გვაზავასა და მისი თანამოსაქმეების მიერ *„იყო დეპუტატების მოსყიდვის მცდელობა"*. ამაზე მეტი თ. ხუბუას საჯაროდ არ განუცხადეგია, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რათა, დავიჯეროთ სარწმუნო წყაროს მიერ მოწოდებული ცნობა იმის შესახებ, რომ ამ მოსყიდვებს თანამოსაქმეთა საერთო ხარჯით *(უნდა ვივარაუდოთ, რომ ამჯერადაც ბიუჯეტიდან ჩამოტეხილი თანხებით)* ანხორციელებდაო ასეთ რამეებში გამობრძმედილი რ. ცატავა (ასე, მაგალითად, იგივე წყაროს ცნობით სამი ათასი ლარი მიუციათო თ. მჟავიასთვის, რომელსაც ყოველთვის აქვს სხვისი ვალი, ამდენივე იყოო გამზადებული ო. ნაგარნინასთვის, თ. ლორთქიფანიძისთვის და... *„დისიდენტ"* ნ. მგალობლიშვილისთვისო კიდევ ვიღაცეებთან ერთად. იმავე წყაროს ცნობით, მ. ბარამიძის მოსყიდვაც უცდიათ, მაგრამ ამ დროულ კაცს არ მოუნდომებია ელ. გვაზავას სათაღლითო ასკინკილისათვის ფეხაწყობა, რაც გულის შეტევად და სასწრაფო დახმარების გამოძახებად დაჯდომიაო მას...

ასე იყო თუ ისე, ამგვარი პოლიტიკური და საორგანიზაციო ხელმრუდობების გამოვლით, რომლის გასწვრივ განუწყვეტლივ მიმდინარეობდა აფხაზეთელი საზოგადოებრიობის აქცია მოთხოვნით, ***„წათრეულიყვნენ გ. გვაზავა და მისი გუნდი“***, მოვიდა 2014 წლის 7 აპრილიც, ხარება დღე, როცა დანიშნულ სესიას უნდა გაერკვია ახალი თავმჯდომარის ბედი.

კინაღამ დამავიწყდა, აფხაზეთის საზოგადოებრიობა ამავე აქციაზე უნდობლობას უცხადებდა ო. ნაგარნინას და მოითხოვდა მისთვის საეჭვოდ თუ მიზნობრივად აღდგენილი უფლებამოსილების სასწრაფოდ შეჩერებას.

სანამ ამ აქციაზე ო. ნაგარნინას შესახებ მოარულ ხმებს მივუგდებთ ყურს, მე შეგახსენებთ, ადრე ანგარიშგასაწევი ცნობების მიხედვით გაუწყეთ, რომ ქართველთა სისხლში ხელდასვრილ ა. ტოპოლიანს, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ***(აფხაზეთში)*** ყოველთვის იყო აგრესორ სეპარატისტთა თანამოსაწვრე და კრემლის დასაყრდენი, საერთო შვილი - კარინა ჰყავს ო. ნაგარნინასგან. ისიც მოგახსენეთ, რომ არავისი საქმე არაა, - ვის ვისგან ჰყავს შვილი, რა დედობრივი თუ მამობრივი გულითადობა აერთიანებთ მათ, მაგრამ ჩემი სატკივარი დიახაცაა ის დანაშაულებრივი დოყლაპიობა ***(თუ ეს მარტო დოყლაპიობაა და არა უფრო მძიმე რამ)***, რის გამოც ***ასეთი „გულითადობის“ მიღმა ქართველი ერის წინააღმდეგ ძირგამომთხრელობა ინიღბება***.

მაშინ იმასაც ამბობდნენ-მეთქი, გითხარით უკვე, რომ ჯერ კიდევ 1992-93 წლებში ო. ნაგარნინას მეშვეობით უკავშირდებოდაო ა. ტოპალიანი დ. გვამაბიას და ა. შ. უფრო მეტიც, ეს ქალბატონი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ტელეფონებიდან ეხმიანებოდა და ცნობებს აწვდიდაო თანამესარეცლე ალბერტს ***(ყოფილს?)***. სარწმუნო წყაროები იფიცებიან, რომ ქალბატონ ოლგას რამოდენიმე, მათ შორის რსფსრ-ის პასპორტი ჰქონია და იგი არაერთგზის ჩასულა დროებით ოკუპირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სოხუმში, გულრიფში და ა. შ.

არ ვიცი, რა ისეთი ხელიხელ საგოგმანო ჩიტუნა გახლავთ ოლგა ნაგარნინა, მაგრამ ამის მოწმე მეცა ვარ, იგი მთელი ნახევარი წელი ცხოვრეობდა ა. წოწონავას სამუშაო კაბინეტში ***(2007 წლის ნოემბერ, დეკემბერი; 2008 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი)***.

თუ რა ქალ-კაცური ურთიერთობა იყო ანზორსა და ოლგას შორის მაშინ, ცოდვა დამბრალებელს ჰქონდეს. თანაც ეს ა. წოწონავას ცოლმა არკვიოს, რომელთანაც ქალბატონმა ოლგამ, რამდენადაც მისგანვე ვიცი, რაღაც-რაღაცეები განმარტა კიდეც. ისიც გაუწყეთ, მაშინ ანზორს ეჭვი რომ დაებადა ოლგასა და ალბერტთან მარტო კი არა, მეორე არმენ ქართველთმოძულე ტ. ცატურიანთანაც ჰქონიაო საგულითადო კავშირი...

მოკლედ, ასე და ამრიგად, ელ. გვაზავას ბანაკისთვის ***„ციურ მანანად“*** რუსეთიდან სახელდახელოდ მოვლენილმა, როგორც აქციაზე ირწმუნებოდნენ,

რუსეთის მოქალაქე ო. ნაგარნინამ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებზე ხმა მისცა თაღლით ელ. გვაზავას. აი, რისთვის გამოიძახეს იგი ასე საგანგებოდ იქედან, ***„სადაც ჯერ არს“...***

მანამდე, სანამ თავმჯდომარის არჩევნები შედგებოდა, ***„აირჩიეს“*** თავმჯდომარის მოადგილეები. ჯ. გამახარიამ, რომელიც მანამდე ელ. გვაზავას, რბილად რომ ვთქვათ, გამჭრიახ პოლიტიკოსად არ მიიჩნევდა, ამჯერად, თ. ხუბუასგან ***(მს (თ. ხუბუას) ახლა ხელს აძლევს და იგი ელ. გვაზავას უღირსობაში „დარწმუნდა“)*** განსხვავებით ***„დაისაბუთა“***, რომ ***„ასეთ ვითარებაში სწორედ ელ. გვაზავას „გამოცდილება“ წაადგებოდა საქმეს (?!)“***.

რა თქმა უნდა, გეთანხმებით, - საზოგადოებას უნდა ეხელეწიფებოდეს ზნეობრივი დასკვნა, გააკეთოს არჩევანი - იყოს მხოლოდ ნივთების სიმრავლე თუ პიროვნებათა სახლიკაცობაში დაიდგინოს საკუთარი ვინაობა. 2014 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილებმა თავი არ მოიტყუეს (რაც იშვიათად ხდება), - ძალიან გვიან, მაგრამ მაინც ამხილეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში გაფესვებული ორგანიზებული ბოროტმოქმედებები (ელიტური კორუფცია), შერისხეს გამწბილებლები და უკუიხმეს მათდამი ნდობა, რაც მთავარია, ამ, სახალხოდ გამოშოლტილ საძრახ სიმრავლეს სირცხვილის დერეფანი მოუწყვეს ***(სამწუხაროდ, ამათ რიგებში თვითონ დაიდგინა თავი ჯ. გამახარიამაც)***.

ამრიგად, ჩემს მიერ თავის დროზე არაკეთილსაიმედოობასა და ბოროტმოქმედებებში მხილებული თვრამეტეული (თოთხმეტეული) ***<u>დღეს მხოლოდ ხაზინის ჭურდი არ არის.</u>*** იგი სახალხო რწმუნებათა ფეხზე დაკიდებისა და ღალატისთვის ბრწყინვალე ხარების დღეს საზოგადოების მიერ სირცხვილის დერეფანში წინ გამორეკილი ჯოგია, რომელთა ცადაწვდენილ ცოდვას დღემდე ვერა და ვერ გამოეგება თავისი ჰაჯი უსუბი. არადა, მართლაცდა, რომ ჰქონდეთ ღირსება, როგორ არ სჯობია ამგვარ საყოველთაო რისხვას ნებისმიერი საპატიმროს ცხრაკლიტული?!.

შემდგომში (2014 წლის 23 დეკემბრის) აფხაზეთის დევნილი მოსახლეობა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ უზნეოთა ფეხწყობას მახათებს მიუსაჩუქრებს!..

მანამდე კი იგი, მართალია, ჯოგია მხოლოდ, მაგრამ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკური აბრის ქვეშ დაბოგინობს მაინც და ხელში უჭირავს მნიშვნელოვანი სახელმწიფო ბერკეტები, რომელთაც არც ახლა ახმარს სახალხო საქმეს. აქ გამოსავალი ერთია, - საქვეყნოდ და ერისმიერი დაკვეთის შესაბამისად ***<u>ერთხელ და სამუდამოდ ჩაანგვოთ ისინი იქ, საითკენაც სახალხო ნებამ დაუსვლაგეზა მათ ასე სამარცხვინო განაბიჯებები.</u>*** ეს საშური იმიტომაა, რომ მადლის გარეშე, უსიყვარულოდ, უშრომლად და ბოროტმოქმედებებში ცხოვრება მათ მარტო კი არა, მთელს სახალხოობას მიამწყვდევს ჩიხში.

ვთვლი რა თავს რიგით ქრისტესმხედრად, არ ვიხევ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელდამფარებელ ე. წ. ლიბერალთა, *„ნაცთა“,* ახლა უკვე *„მეოცნებეთა“* თუ სხვა არ მოსახალხოე ფეხაწყობათა სიცრუის წინაშე და *<u>განვაგრძობ აფხაზეთში დაცემული ერისკაცების ხსოვნის კარნახით მოპიროვნებულ საქმიანობას.</u>*

ვიცი ამაოდ, მაგრამ ამისკენ მოვუწოდებ ჯ. გამახარიასაც: იმისთვის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მოყროლილ გარემოში ადამიანები არ დაავადმყოფდნენ *(გადაგვარდნენ). ასეთ ვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, აგრესიული გლობალიზმი, რომელიც ისევ და ისევ ჩვენდა ჩასაძირად მოწყალუბვობს, რათა დავკარგოთ ჩვენი აფხაზური, იგივე ქართული სახე)* აქედან გამომდინარე, სრულიად ქართველთა გონითი განფენის სივრცეში ჩვენ უნდა ვუზრუნველყოთ ჩვენი ზნეობრივი შეუგინებლობის სისხლაღუღრევლობა. სამწუხაროდ, ბატონი ჯემალი თავისი წინგაუხედავი ნაბიჯებით ამ სახალხო სვლაგეზს ასცდა, რადგან, მიუხედავად იმისა, იცოდა, რომ, როდესაც ადამიანი თაღლითია *(ელ. გვაზავა, გ. ლომინაძე)* ან რუნგუ და ქვეშქვეშა *(რ. ქარაია)* ან კიდევ, ორივე ერთად *(ა. წოწონავა, დ. გვაძაბია),* უნდა გამიჯვნოდა მათ. ის კი პირიქით მოიქცა, გაურიგდა, გაუერთსხეულდა და მიერთმუშტა ამ საძრახობებს, ანუ ორპირობისთვის ერის განჩინებით სირცხვილის დერეფანგამოვლილ დაოთხილებს მიეერთსხეულა.

არადა, გითხარით და ვიმეორებ, ეს ხალხი სასირცხვილოდ ჯერ კიდევ მაშინ გამოჭენდა, როდესაც სასამართლო სხდომებზე ჩემი განქიქება იმითაც სცადეს, რომ დავის ძირითადი საკითხიდან გადასახვევად პ. შამუგიას ხმაბოდ-ვების სახით დაცვა დაუწყეს ე. წ. მწერლობას, რომელიც კი გახლავთ ასო-ბგერითი ფაქტი, მაგრამ მას სიტყვაკაზმულ მწერლობასთან საერთო არაფერი აქვს, რადგანაც ავადმყოფობაა იგი *(პათოლოგიაა). <u>სამედიცინო ენაზე მას ექსჰიბი-ციონიზმი ჰქვია და ისეთ ჯანშერყვევად მიიჩნევა, როდესაც ადამიანის აულაგმავად შერხეულ ტვინს გარყვნილებისა და ყროლადობის მოთხოვნილება უძღომად უჩნდება,</u>* ანუ მოეშიმშილება: *„მიდგება, როცა ტუალეტში შევალ, საიდანაც ეს-ესაა დედაჩემი გამოვიდა და იმისი ბაყვებით შემთბარ უნიტაზზე ჩამოვჯდები“ (ზაზა ბურჭულაძე)...* მოკლედ, ხმამზოდველთა გუნდი, რომელსაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რ. შამუგიას შვილი პაატა შეჰკედლებია, შორს რომ არ წავიდეთ, გახლავთ არა ი. ჭავჭავაძისა თუ კ. გამსახურდიას სულიერი ამოყლორტება, არამედ, პირიქით, იგი მათ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებული ძალისხმევაა *(ზოგიერთი კრიტიკოსი ასეთ „მწერლობას“ საპირფარეშოში საკითხავს უწოდებს - „უბორნიის მწერლობად“ იცნობენ მას).*

არ მინდა გადაჭრით დამდგენი ვიყო, მაგრამ ჩემი და მით უფრო, საქმეში ჩახედულ ანგარიშგასაწევ პირთა აზრით, ამ ე. წ. მწერალთა ფეხაწყობას, რომელთა სურვილები და გემოვნება არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს სახალხო სულისკვეთებას, ცნება *„ექსჰიბიციონისტური ლიტერატურა“* ზუსტად

მიესადაგება თავისი ავადმყოფური, ყროლადი და გარყვნილი შინაარსის გამო-მეთქი. აქედან გამომდინარე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ქართული სახალხო საზოგადოება (და არა ე. წ. მიზნობრივი ელიტა) მათ არასახალხო, ერსა და სარწმუნოებას შებრძოლებულ ჩასაფრებად აცხადებს, რომელიც საქართველოსთვის მტრული ძალების დაკვეთებს ასრულებს სათანადო ანაზღაურების ხარჯზე:

***

„როგორც ამბობენ, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე და არა მარტო იქ, ხშირია შემთხვევები, როცა ბუჩქებში ჩამალული ტიპები გზად მიმავალ ქალბატონს დაუძახებენ და ქალბატონი რომ მიიხედავს, ისინი სასქესო ორგანოს აჩვენებენ.

ამგვარი საქციელი თურმე ამ ტიპებს სექსუალურ სიამოვნებას გვრით.

რა თქმა უნდა, ეს პათოლოგიაა, ავადმყოფობაა და სამედიცინო ენაზე ამგვარ ავადმყოფობას ექსჰიბიციონიზმი ჰქვია.

სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ექსჰიბიციონისტებმა ბუჩქებიდან მწერლობაშიც გადმოინაცვლეს.

გადაშლი წიგნს და ფურცლებიდან ხან დეისაძის ჭუჭუ ჩაგიკრავს თვალს, ხან ბურჭულაძის კუტუ, ხანაც - ქარუმიძის ბანჯგვლიანი საობრე აისვეტება.

ექსჰიბიციონისტები არიან ეს საბრალოები და საცოდავები, თავიანთ თავს მწერლებს რომ ეძახიან, მწერლობა კი ბუჩქი ჰგონიათ, საიდანაც უცებ გამოიხედავ და მკითხველ საზოგადოებას სასქესო ორგანოს შეაჩეჩებ ხელში.

დეისაძეების, ბურჭულაძეების, შამუგიების, ქარუმიძეების ქომაგებო, ორი წიგნი (შეიძლება მეტიც), ნამდვილად გაქვთ წაკითხული, მაგრამ ეს სრულებითაც არ ცვლის იმ მოსაზრებას, რომ თქვენ საქართველოს მოღალატეები და იმ იდეოლოგიური დესანტის "სტარშინები" და სერჟანტები ხართ, რომელსაც საქართველოს გაბახება აქვს დავალებული.

ნამდვილი კომკავშირლები ხართ თქვენ, თქვე მართლა საცოდავებო, გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან 21-ე საუკუნეში გადმოყოლილი ნამდვილი კომკავშირლები, ერთი შავი ტყავის პალტო და გვერდზე მაუზერიღა გაკლიათ და ნამდვილი კომკავშირლები ხართ.

არ გეგონოთ, კომკავშირლებს ისე, სიტყვის მასალად გიწოდებთ. თქვენ შეიძლება, არ იცოდეთ და ამიტომ გეტყვით: ერთ-ერთი პირველი დეკრეტი, რომელიც ბოლშევიკურ რუსეთში გამოიცა, იყო დეკრეტი სექსუალური თავისუფლების შესახებ, რომელიც, პირველ რიგში, ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ, მის გასანადგურებლად იყო მიმართული - ადამიანებს უნდა ეცხოვრათ კომუნებად, პრინციპით: ყველა ყველას ცოლია, ყველა ყველას ქმარია!

რამდენადაც არ უნდა იკეკლუცოთ ლამაზ-ლამაზი ფრაზებით, რამდენიც არ უნდა იქაქანოთ ადამიანის უფლებათა დეკლარაციიდან ამოგლეჯილი და თქვენს მიერ გადაკეთებული ტექსტებით, ვერაფერს გახდებით და ვერავის მოატყუებთ - თქვენ ქვეყნის გასაბახებლად შემოსეული დესანტი ხართ და თქვენც ის დაგემართებათ, რაც თქვენს სულიერ პაპებს დაემართათ".

("საერთო გაზეთი", 2014 წლის 16 აპრილი).

***

ბუნებრივია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილი საზოგადოება არ იმსახურებს, რომ ამ მსოფლმხედველობრივად ხრწნად და ყოფით ყოველდღიურობაში ხელმრუდი ადამიანების მძევალი იყოს. არადა, სწორედ ასეთად იქცა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, ხოლო ჩემთან დავაში მისი *„გამმართლებული“* მოსამართლე ზ. ესებუა დღესაც (29.04.2014 წ.) მკვლელად გამოაცხადა გაზეთმა *„ქრონიკა+“*-მა.

გამოგიტყდებით, ასეთ ვითარებაში მე ის უფრო მაინტერესებს, რამ ჩაახტუნა ჯ. გამახარია ელ. გვაზავას სათაღლითო სანგარში, ეს უკანასკნელი სახალხო გალიანდაგებაზე გადმოაგორა თუ თავად შეეკრა თაღლითურ ფეხაწყობას, ***<u>ასეთი შეკითხვები დევნილთა თავყრილობებსა თუ გორაგადებშიც გამაგონეს...</u>***

ჰოდა, წინამდებარე განცხადება სწორედ ჯ. გამახარიას მივუმისამართე. ცხადია, მისი პასუხი, რომელსაც ამ განცხადებასთან ერთად გაგისაჯარისებთ, სწორედ ის ახსნა-განმარტება იქნება, პასუხს რომ გასცემს წამოჭრილ შეკითხვებს:

***

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბატონ ჯ. გამახარიას

სერგი საჯაიას - მცხოვრები ქ. თბილისში,
შანდორ პეტეფის ქ. №17-28
275 46 72; 599 117 593

განცხადება

ბატონო ჯემალ

ვფიქრობ, დაწვრილებით მოგეხსენებათ, რომ მას შემდეგ, რაც 2011 წლის 18 აპრილს, ვნების კვირეულში (როგორც თვითონ აცხადებდა, მარხვაში მყოფმა(?!) აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ და 2014 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილი საზოგადოებრიობის მიერ პირუმტკიცობათა გამო სირცხვილის დერეფანში გამოტარების მიუხედავად, ამ თანამდებობაზე კვლავ თავდადგენილმა ელ. გვაზავამ, პოლიტიკური შანტაჟისთვის გამოიყენა რა ჩემი წიგნი *<u>„დღეები ცხენდართა უხმო კივილისა“ (თბილისი, 2007 წ.),</u>* რომელშიც ვამხელდი ყოფილი პრეზიდენტის მ. სააკაშვილის მავნებლურ, თუ არასახალხო საქმიანობას, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ მაიძულა, დამეტოვებინა საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ამ ინსტიტუციის (აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს) სათანადო სამსახურებმა განმიმარტეს, საფრთხე შეექმნებოდა ჩემი შვილისა და თვით შვილიშვილების მომავალსაც.

იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივე ამის გარშემო მოვლენათა შემდგომი განვითარებაც არაა დაფარული თქვენთვის: დაინტერესებულ საზოგადოებას მკაფიოდ წარმოვუჩინე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთი ნაწილის ამგდებლური დამოკიდებულება დევნილთა სახალხო დაკვეთებისადმი, ასევე, მათი უკიდურესი არაკომპეტენტურობისა თუ კორუფციული საქმიანობის მაგალითები *(„შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში“ – 2012 წ. პირველი ნაწილი, მეორე ნაწილი; 2013 წ. მესამე ნაწილი; 2014 წ. მეოთხე ნაწილიც დავასრულე).*

ბატონო ჯემალ, არ დაგიმალავთ, მიუხედავად დიდი გაკვირვებისა და გულდაწყვეტისა, რომ ამჯერად განზე გაუდექით იმხანად თქვენი ძალისხმევითაც გაკიცხულ კორუფციულ გამოჭენებებს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, ბოლო წუთამდე მაინც არ ვიჯერებდი თუ იმავე ბანაში ერთ-ერთ თაოსნად აღმოჩნდებოდით, სადაც ბოროტმოქმედი ელ. გვაზავასა და მისი თანამოსაქმეების ლეღვისფოთლობა კინაღამ სახელმწიფო პოლიტიკადაა გამოცხადებული (გამართლება არა აქვს, ნებით თუ უნებლიედ გაგიპიროვნდათ ამგვარი მოვალეობა, ყველა დროში ზნეობრივ კომპრომისს ამორალიზმი ჰქვია. ძალიან საცოდავია ნებისმიერი, რომელსაც ჟამთაბერი მკაფიო შეძახილად დაუმისამართებს: *„შენც, ბრუტუს?!“*).

შეგახსენებთ რა ჩვენს ბოლოდროინდელ ურთიერთობასა თუ თანამშრომლობას, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უხუცესთა ერთი ნაწილის დაკვეთის შესაბამისად საზოგადოების წინაშე ვივალდებულე, დავუზუსტო ჩვენს საერთო მეგობრებს, კვლავაც მიიჩნევთ თუ არა დღეს, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციას სჭირდება პოლიტიკური, ისტორიული, სამართლებრივი, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ადათობრივ-ტრადიციული, სარწმუნოებრივი, სახლიკაცურ-ნათესაური, სამართლებრივ-ძალისმიერი და ა. შ. ბერკეტების სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბება და თუ ეს ისევ ასე გჯერათ, ვის ხედავთ იმ ბაცაცების ხროვაში ისეთს, რომელსაც საყველპუროდ მაინც შეუძლია ამ თავსატეხების არა თუ მოგვარება, - მოთვალსაწიერება თუნდაც?! ნუთუ ეს ჭეშმარიტება თქვენთვისაც დრომოჭმულ შინაარსად იქცა?!

ბატონო ჯემალ,

ჩემი განგაშის საფუძველი მარტო ის კი არ არის, რომ თქვენ ელ. გვაზავასა და მის თანამოსაქმეთა ბოროტმოქმედებებს წაუხუჭეთ თვალი, არავითარ შემთხვევაში (რა თქმა უნდა, ესეც არ გახლავთ სასხვათაშორისოდ ჩამოსაბანი საძრახობა მხოლოდ), სხვა რამ მაწუხებს და მტრისას თუ ეს სიმართლეა!..

როგორც მოგეხსენებათ, ელ. გვაზავას, ა. წოწონავას, თ. ხუბუას, დ. გვაძაბიას, თ. მჟავიას, ნ. მგალობლიშვილის, რ. ქარაიას, გ. ლომინაძის, რ. ცატავას, თ. ლორთქიფანიძის, ა. გასვიანის, რ. შამუგიას, მ. კვარაცხელიასა და ე. ასტემიროვას მიერ ზემოთხსენებული ჩემი წიგნების გამო შეტანილი სარჩელის შედეგად დღემდე მიმდინარეობს სასამართლო დავა, რომელიც ე. წ. მოსარჩელეებმა დაიწყეს ჯერ კიდევ პრეზიდენტ მ. სააკაშვილის დროს და მისი ყოვლისმკადრებლობის იმედით.

ამ დავის განხილვა აქ უადგილოა, მაგრამ თქვენ უნდა უწყოდეთ, რომ წინამდებარე სასამართლოს სხდომები იქცა ზემოთხსენებული 14 მოსარჩელის, ამჟამად თქვენი თანაბანაკელი ადამიანების მსოფლმხედველობათა გამჯირითებლად.ამ, ვითომცდა, „სისწორის საფიხვნოსთვის“ *სიიდანაც ჯერ არს* თავსმოხვეული ძალისხმევის ხელშეწყობით თაღლითი, ვიმეორებ, დღეს უკვე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან

(აფხაზეთიდან) დევნილი მოსახლეობის მიერ სირცხვილის დერეფანში გამოტარებული ელ. გვაზავასა და მისი ცამეტი თანამეხელმრუდის მცდელობა, როგორმე მიეჩქმალათ ჩემს მიერ მათ მხილებებში აღნუსხული ბოროტმოქმედებები. ყოველივე ამით, ისინი ცდილობდნენ ამ დავის არარსებით საკითხებზე გადალიანდაგებას და რისთვისაც, რიგ საძრახ ილეთთა გასწვრივ, მათი მსუბუქყოფაქცევური სიმწყობრიდან გამოხმობილი იქნა ქართული ლიტერატურისთვის ვინმე, ხელოვნური მიზნობრივობით გააურნაურებული (გაპიარებული) პ. შამუგიას ე. წ. შემოქმედება.

ამასთან დაკავშირებითთქვენ უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ პ. შამუგიას ნაწერებში შეგინებულია ქართული აზროვნების წესი. ამავე დროს ეს წერად ატეხილი კაცი თავხედურად ცდილობს, თანმიმდევრულად წაბილწოს წმინდა ილია მართლის სწავლება *„მამული, ენა, სარწმუნოება“*, ის კი არადა, პ. შამუგიას ხმაბოდვური უტიფრობები, მისი ავადმყოფურად ავხორცული განმარტოებები საკუთარ სასირცხვოებთან, უფრო მეტიც, აულაგმავი ინცესტური თავაწყვეტები და გაშმაგებული ლტოლვა ქოფროფაგური უძღომლობისაკენ, რაც მთავარია, მისი ექსციბიონისტური, ანუ ავადმყოფური თვითტკბობები სისხლაღრეულ თავგართობებში 14 მოსარჩელის, ანუ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს უმრავლესობაში (განსაკუთრებით "დისიდენტ" ნ. მგალობლიშვილთან) ლამის ზნეობრივ ნაკრძალად გამოცხადდა, რომლის გასწვრივ თქვენი იურისტის გ. წუწუნავას ჩიქორთულითა და სულიერი გამსუბუქყოფაქცევებით კინაღამ *"ქვეყნის მოღალატედ"* დავდგინდი ხსენებული ე. წ. სასამართლოს სხდომებზე ყოველივე ამის მხილების გამო (ამასთან დაკავშირებით იხილეთ სასამართლოს სხდომათა ოქმები).

ბატონო ჯემალ,

ხმამაღლა შეგახსენებთ, რომ ამჯერად მოგმართავთ აფხაზეთის ანგარიშგასაწევი საზოგადოების დავალებით, რომელსაც ძალიან კარგად იცნობთ, - აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით გთხოვთ, რომ ყოველმიზეზგარეშე გაგვარკვიოთ: იმ 14 მოსარჩელიდან, რომელნიც სასამართლოს სხდომებზე პ. შამუგიას ხმაბოდვებს *„აფხაზეთის მოსახლეობის სამყო ნაზრევად“*“აცხადებდნენ და რომელზეც ქართველი მკითხველის აღშფოთებული გამოხმაურებები ამ წუთამდე ქვეყნდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა თუ რადიო-ტელევიზიებში, მეტსაც გეტყვით, სახალხო ნებით იგი დეგრადირების სახეზოგადობად ფასდება, რომელიმე თუ მიემოწაფა სახალხო ნებას და ამის გათვალისწინებით მოინანია ან გადასინჯა თავისი ადრინდელი მხარდამჭერი შეხედულებები ამ უხამსობათა მიმართ. არადა, მათგან ერთი - ელ. გვაზავა კვლავ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო მეორე - დ. გვამბია მის მოადგილედ „იღვრება ოფლად“. ის კი არადა, თქვენი პრეზიდიუმის 9 წევრიდან 6 სწორედ ზემოთხსენებული მოსარჩელეებისგან შედგება (რომელთა შორის უწიგნური რ. ქარაია ისევ და ისევ აღლუმის მიმღებად იდგენს თავს).

ამიტომ, მკაფიოდ უნდა მიპასუხოთ, -

ასეთ ოდიოზურ გარემოებაში თქვენთვის საიდან აითვლება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის ფუძემდებლური მსოფლმხედველობა?!

თუ თქვენც პ. შამუგიას ხმაბოდვებს მიემოწაფეთ, ხალხი, რომლის დავალებითაც მოგმართავთ, კიდევ უფრო გაგემიჯნებათ, რადგან მას (ხალხს) მიაჩნია, რომ პ. შამუგიამ დაივიწყა თავისი წინაპრების ენა და იგი ჩასაფრებული, ანუ მისი დამგეშავი მტრის ენაზე ალაპარაკდა. დიახ, საგანგაშოა, რომ სახალხო რაგადობას ის არა და არ იმშობლიურებს ამჟამად, რადგანაც უმაქნისობად მიაჩნია იგი.

თუ თქვენი საქმიანობა კვლავაც სახალხო განაწესთა შინაარსით საზრდოობს, რანაირად დასძლევთ პრეზიდიუმის სხდომებზე საქვეყნო დაკვეთათა დამტკიცებას, რომელიც პ. შამუგიას ექსჰიბიციონური მსოფლმხედველობის შესაბამისად აზროვნებს და, როგორც ანგარიშგასაწევი პიროვნებები ამხელენ, თავისი ცხოვრების წესით დასცილდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სატკივარს.

ამდენად, სავსებით კანონზომიერია, რომ საზოგადოებას აშფოთებს და სურს მკაფიოდ გაიცხადოს, - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ის ნაწილი, რომელიც თავგამოდებით იცავდა და სიამაყით აოთხივკუთხებდა პ. შამუგიას ყროლად სულცდუნებებს, დღესაც ამგვარად ფიქრობს თუ ემიჯნება ამ სივაგლახეს?! თუ ეს ასეა, რით დასტურდება მათი ზნეობრივი და მსოფლმხედველობრივი გარდაქმნა?!

დასასრულ, იმედი მაქვს, პატივს დამდებთ და გულწრფელად მიპასუხებთ, ისევე მიგაჩნიათ თუ არა, რომ სწორად მოვიქეცი, როდესაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ათარეშებულ ბოროტმოქმედებებს შევებრძოლე, საკუთარი უსაფრთხოების ხიფათში ჩაგდებით საზოგადოებას ერთ-ერთმა პირველმა წარმოვუჩინე მ. სააკაშვილის მავნებლური პოლიტიკა და ჩავები უთანასწორო ბრძოლაში, რაც ანგარიშგასაწევი თანამდებობიდან გაძევებად დამიჯდა კიდეც (იმხანად ხომ ზნეობრივი გმირი მიწოდეთ?!)..

ბოლოსდაბოლოს, გაითვალისწინეთ, რომ ეს ჩემთვის ყოფნა-არყოფნის საკითხია. რა შეფასებას აძლევთ ჩემს ნაბიჯს ახლა უკვე ელ. გვაზავას ბანაკიდან, უნდა მებრძოლა საქვეყნო საქმის ღალატის წინააღმდეგ თუ ძალიან ბევრივით მეზრუნა თანამდებობრივი სავარძლის შესანარჩუნებლად?!!

პატივისცემით
სერგი საჯაია

2014 წლის 20 აპრილი, ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული

განცხადებას თან ერთვის პ. შამუგიას შესახებ პრესაში გამოქვეყნებული წერილები.

მინაწერი: დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს განცხადება და მას თანდართული მასალა კვლავაც ვერ ჩავაბარე თქვენს კანცელარიას, ამიტომ გიგზავნით ელექტრო ფოსტით. რაც შეეხება პ. შამუგიას შემოქმედების სახალხო გაკიცხვას, მას ინტერნეტში შეგიძლიათ, გაეცნოთ. ...და ბოლოს, როგორ დავიჯერო, რომ ამჯერად პირადად თქვენი მითითებით დამაბრკოლეს?!.

სერგი საჯაია
19.05.2014 წ.

***

გასაგებია თუ რისთვის სჭირდებოდა და შესაბამისად, რატომაც მფარველობდა მიშნაცური მოძრაობა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკური აბრის ქვეშ ფეხაწყობილ სიმრავლეს: ბრბოდ ყოფნა ამათთვის ფსიქოლოგიური მდგომარეობაა და იგი სულიერ მოთხოვნილებად იქცა ამ მარაქაში.

ეს არაა ის ხალხი, ვინაც ჭაობისკენ გახედვისას იქ ყვავილის მოთვალსაწიერებას ეცდება, სუყველა მათგანი თვითმავალი ბოღმა გახლავთ.

საერთოდ, ამ სინჯის საზოგადოებაში ე. წ. სწავლებიდან გაძევდა განმანათლებლობა და აღზრდა. ეს საქმე დღეს შემოისაზღვრა სახელობო ჩვევათა დაგეშვის გზით განმტკიცებაში. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოდ წოდებულმა საამქრომ ჩვევად გაიხადა ***ვერცხლთმოყვარეობა***. აი, რაში *იგეშება* იგი!..

ეს მაშინ იყოო, იტყვით თქვენ და იკითხავთ, ამ "მეოცნებეებმა" რად ჩაიხუტეს ასე ეს საქვეყნოდ გამოჭენებული ბაცაცებიო?!. რა გითხრათ. მეც ვერ გავიგე აქამომდე და ამაოდ, მაგრამ ასეთი განცხადებით უკვე მერამდენედ მივმართე იმათ, ვინც წესით ასეთ ბაცაცებს უნდა იჭერდეს:

***

საქართველოს იუსტიციის მინისტრს თ. წულუკიანს

სერგი საჯაიას - მცხოვრები ქ. თბილისში,
შანდორ პეტეფის ქ. №17-28
275 46 72; 599 117 593

განცხადება

პატივცემულო თეა,

2012 წლის ნოემბრის შემდეგ პირადად თქვენ და მთავარ პროკურატურას არაერთგზის მოგმართეთ განცხადებით იმის შესახებ, რომ 2011 წლის 18 აპრილს პოლიტიკური შანტაჟის გზით გამთავისუფლეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან.

ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ 2009 წლიდან დავუპირისპირდი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ახლადარჩეული თავმჯდომარის ელ. გვაზავას უკიდურესად არაკომპეტენტურ საქმიანობას და, რაც ყველაზე საგანგაშოა, მის მიერ ამ ინსტიტუციაში ორგანიზებულ ელიტურ კორუფციას. ასეთი საორგანიზაციო დასკვნის (ჩემი გათავისუფლების) საბაბად გამოყენებული იქნა ჩემს მიერ 2005-2010 წლებში გამოქვეყნებული წიგნები, რომლებშიც ვამხილე და საზოგადოებას გავუსაჯარისე მ. სააკაშვილის არასახალხო, ოდიოზური და ქართველთსპობითი საქმიანობა.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ელ. გვაზავას თაოსნობით ორგანიზებული ელიტური კორუფციის შესახებ სათანადო მტკიცებულებები წარმოგიდგინეთ, ამ საქმის გამოძიება საეჭვოდ ჭიანურდება.

ამ მხრივ ე. წ. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, გასაგებია, პირადად ზ. ადეიშვილი, მ. ზოდელავა, ბ. და დ. ახალაიები, ი. თოფურიძე და სხვები დაინტერესებული იყვნენ წინამდებარე საქმის მიჩქმალვით და ყველანაირი ხერხით ხელს უწყობდნენ კიდევაც მის "ჩაფარცხვას", მაგრამ ამ ბოროტმოქმედებათა გასწვრივ ვერანაირად ვერ დაეძებნება გამართლება ამ ხნის მანძილზე იმას, რომ თაღლითი და ყალბისმქმნელი ელ. გვაზავა საქმესთან დაკავშირებით დღემდე დაკითხულიც არაა.

პატივცემულო თეა,

მოგმართავთ რა კიდევ ერთხელ, დაბეჯითებით გთხოვთ, სცეთ პატივი ჩემს ასაკს და სიცოცხლეში მომასწარით პასუხს შემდეგ შეკითხვებზე:

1. ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ელ. გვაზავას მიერ ორგანიზებული ელიტური კორუფცია დღემდე, ისევე, როგორც ზ. ადეიშვილის, მ. ზოდელავას, ძმები ახალაიების, ს. თოფურიძისა და ა. შ. მიზნობრივი მფარველობის პირობებში, ვერა და ვერ იქცა გამიძიების საგნად, წარმოადგენს თუ არა შერჩევითი სამართლის ნიმუშს?
2. მაღალი თანამდებობის პირის (თუნდაც იგი ქვეყნის პრეზიდენტი იყოს) არასახალხო, ქვეყნის დამანგრეველ საქმიანობაში მხილება არსებულ ხელისუფლებას აძლევს თუ არა იმის უფლებას, მამხილებლის მიმართ გაატაროს რეპრესიული ღონისძიებები?!

...და ბოლოს

3. რა გამართლება აქვს იმას, რომ ქვეყნის სადღეისო მართლმსაჯულება ესოდენ ყურდახშობილი და მზერაარიდებული თანაარსებობს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ამ წუთამდე დაუსჯელად მოთარეშე კოლექტიურ კორუფციასთან, უფრო მეტიც, დღემდე არ იძიება ამ ინსტიტუციაში არსებული ბოროტმოქმედებების ფაქტებით მამხილებელი თანამდებობის პირის (ე. ი. ჩემი) სამსახურიდან გაძევების გარემოება?!

სერგი საჯაია - მწერალი, ნ. ნიკოლაძის, გ. შარვაშიძისა და
ზ. გამსახურდიას სახელობის პრემიათა ლაურეატი
1.04.2014 წ.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის ზოგიერთი ადრინდელი განცხადების ასლი და წიგნი, რომელშიც ასახულია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არსებული ელიტური კორუფციის ფაქტები.

***

ამასობაში *"სწავლა სიკვდილამდეო"* და გაბრიყვებულმა მართლა დავიჯერე, რომ მწერალი ა. გასვიანი, რომელიც დევნილთა ბოლოდროინდელ აქციებზე ელ. გვაზავას არაკაცობაში *"ამხელდა"*, მოინდომებდა მის მიმართ კანონით გათვალისწინებულ ზემოქმედებას და მასაც, როგორც დეპუტატს, შევბედე წინამდებარე განცხადება:

***

აფხაზეთის ა/რ-ის უმარლესი საბჭოს დეპუტატს
ა. გასვიანს
სერგი საჯაიას - მცხოვრები ქ. თბილისში,
შანდორ პეტეფის ქ. №17-28
275 46 72; 599 117 593

განცხადება

ბატონო აკაკი,

თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ელ. გვაზავას კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველოს

მთავარი პროკურატურის მეთვალყურეობით შს სამინისტროს ერთ-ერთ ქვეგანყოფილებაში გაჭიანურებულად და მონდომების გარეშე, მაგრამ მაინც მიმდინარეობს გამოძიება.

ამ საქმესთან დაკავშირებით უკვე დაიკითხა თქვენი რამოდენიმე თანამშრომელი, ასევე, ზ. ზარანდია - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მომარაგების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი.

შესაბამისად, ელ. გვაზავა, კვლავაც თაღლითურად იყენებს რა თავის თანამდებობრივ თუ სხვა სათანადო ბერკეტს, თანმიმდევრულად ცდილობს თავის ბოროტმოქმედებებზე არსებული სამხილების გაქრობას ან გადაკეთებას.

აქედან გამომდინარე, 2013 წლის 20 დეკემბერს განცხადებით მივმართე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თ. ხუბუას, პრეზიდიუმის წევრებს მ. კვარაცხელიასა და ჯ. გამახარიას, დეპუტატ ნ. მესხიას, რათა პრეზიდიუმის სხდომაზე განეხილათ საკითხი გამოძიების პერიოდში ელ. გვაზავასთვის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

სამწუხაროდ, ეს საკითხი არათუ არ განხილულა, არამედ, აუხსნელ ვითარებაში 'დაიკარგა" ჩემი განცხადება, ანუ იგი ელ. გვაზავას ზეპირი მითითებით განადგურდა.

ელ. გვაზავას ასეთ დაუსჯელ თავხედობას ისიც განაპირობებს, რომ მიუხედავად ამ განცხადების გაზეთ "ილორში" (2014 წლის 14-21 იანვარი) გამოქვეყნებისა, არც თ. ხუბუას, არც ჯ. გამახარიას, არც მ. კვარაცხელიას და აღარც ნ. მესხიას არ უგრძნვნიათ თავი შეურაცხყოფილად, მათდამი დამისამართებული განცხადება რომ არ მიეწოდათ და იგი მათ ზურგს უკან გააქრეს.

ამასობაში, როგორც თქვენთვის ცნობილია, ელ. გვაზავა კიდევ ერთხელ ემზადება საზოგადოებრიობისთვის თვალებში ნაცრის შესაყრელად და კენჭს ხელმეორედ იყრის თავმჯდომარის თანამდებობაზე, რათა ჩვეულებრივ განაგრძოს თავისი თაღლითური საქმიანობა.

ბატონო აკაკი,

თქვენ, როგორც მწერალი და დეპუტატი, ვალდებული ბრძანდებით არა მხოლოდ სახაზინო თუ ხელშეკრულებითი ურთიერთობით, არამედ, სისხლხორცეული თანამოღვაწეობით გვერდში დაუდგეთ სახალხო ნებასა თუ საზოგადოებრივ დაკვეთას,. ამიტომ, მიუხედავად ჩვენი დაპირისპირებისა, დაბეჯითებით გთხოვთ:

1. პირადად თქვენ დასვათ საკითხი ელ. გვაზავასთვის გამოძიების მსვლელობის დროს თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ;
2. გაარკვიოთ, როგორ მოხდა, რომ სახელმწიფო კანცელარიაში, რომელსაც იცავენ სათანადო სამსახურები, "დაიკარგა" განცხადება და ამას დღემდე შეფასება არ მისცემია;
3. ამასთან ერთად, გამოიყენეთ თქვენი სადეპუტატო უფლებამოსილება და პირადად მიადევნეთ თვალი გამოძიების სამართლიანობას, ხოლო შედეგები მოახსენეთ აფხაზეთიდან დევნილ საზოგადოებრიობას.

ბატონო აკაკი,

ვიმეორებ, გასაგებია, რომ ჩვენ გულითადი ურთიერთობა არ გვაქვს, მაგრამ მე არ გაწუხებთ პირადი საქმისთვის, შეგახსენებთ, ამ თხოვნის აღსრულებით საკუთარ წვლილს შეიტანთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ძალზე შერყეული ბურჯების

განმტკიცებაში. ეს თქვენი სასამსახურო მოვალეობაცაა. ამ საქმეში საზოგადოება (და მე მისი რიგითი წევრთაგანი ვარ) გვერდში უდაოდ დაგიდგებათ.

სერგი საჯაია
1.04.2014 წ.

***

რა სიმდაბლეა, როდესაც ადამიანები ღირებულებათა მიღმა, გამორჩენის გარშემო ჯოგდებიან: ჯ. გამახარიამ არათუ ულელვისფოთლა ელ. გვაზავას ბოროტმოქმედებებსა თუ თაღლითობებს, მისი მოადგილის თანამდებობაზე თავდადგენით თავად გახდა ამ გამოჭენებული ბაცაცას თანამოსაქმე *(აქ მნიშვნელობა არა აქვს, - ელ. გვაზავასავით ხაზინის თანხებით არეცხვინებს თუ არა ბატონი ჯუმალი საკუთარ საცვლებს).*

ჯ. გამახარიას <u>*სა-გ.გვაზავ-ო*</u> გულმოდგინება უფრო შორს წავიდა. როგორც ამბობენ, მან და ვ. ყოლბაიამ თაღლითი გიას (ელგუჯას) თხოვნით გადააფიქრებინეს პროკურორისთვის ჩვენების მიცემა ზ. ზარანდიას, რომელმაც 2010-2011 წლებში ერთი ჯორკიდებული ინტერვიუ მისცა ქართულ პრესასა თუ ტელევიზიას ელ. გვაზავასა და დ. გვაძაბიას მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე. საჩივრები დააგზავნა შესაბამის უწყებებშიც, მაგრამ ამჯერად, სათანადო გამორჩენის ფასად, არჩია პირი <u>მოეკლა</u>. <u>*საქციელი დაუფასდა და აფხაზეთის ა/რ-ის ეკონომიკის სამინისტროში ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ მიამსუბლმაგრეს.*</u>

ეს არ გახლავთ გამონაკლისი...

სწორედ ჯ. გამახარიას წინადადებით დანიშნულა ვირეშმაკი ნ. მგალობლიშვილი *(იგივე „პეტოვიჩი“)* იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც დაწინაურებამდე თვითონ თავკაცობდა. ამ პოლიტიკურმა რგოლმა წესით კონფლიქტების დარეგულირებას, კულტურას, განათლებასა და ა. შ. უნდა უხელმძღვანელოს. თუ როგორ გაართვა ამ საქმეს თავი ბატონმა პეტოვიჩმა XX საუკუნის 90-იან წლებში, ამის შედეგი ჩვენი დევნილობაა, არც ჯ. გამახარიას იმჟამინდელ იქეთ-აქეთობასა და ყოყმანს დაუკლია საამისო ხელი... *აქ უბედურება გაცილებით ღრმაა, ვიდრე <u>„რა მოხდა მერეს“</u> გადასახედიდან ჩანს: იმ ვითარებაში, როდესაც არ არსებობს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის მსოფლმხედველობრივი ათვლა და მასზე დაშენებული სახელმწიფო პოლიტიკა, როცა ეს საკითხი კვლავაც განიხილება რუსიზმის მიერ შემუშავებულ და თავსმოხვეულ მცდარ ანუ აფხაზეთის შინაარსშივე გამსხვისებელ ტერმინებზე თუ პოლიტიკურ, სტერეოტიპებზე დაყრდნობით, რაც მთავარია, ეს საფხაზეთო ტერმინები თავშივე მოიცავენ ქვეყნისა და ერის ერთიანობის დამანგრეველ ხელოვნურ ცდომილებებს, ამ მხრივ უვიცი ნ. მგალობლიშვილი კვლავაც გაიმეორებს იმ შეცდომებსა და დანა-*

შაულს, რაც მან უკვე ჩაიდინა 20-ე საუკუნის 90-იან წლებში, რასაც, როგორც მოგახსენეთ, საქართველოსთვის საბედისწერო შედეგები მოჰყვა.

პირდაპირ ვამბობ, ნ. მგალობლიშვილი თავის სააფხაზეთო საუბრებს სიტყვასიტყვით სწორედ რუსიზმის მიერ შემოჩეჩებულ ტერმინებზე და სტერეოტიპებზე აგებს. ამ მსოფლმხედველობით დღემდე მუშაობს აფხაზეთის სეპარატისტული ეთნოკრატია და *"ქართული"* პარტოკრატია (თვითონ დევნილი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოც).

საერთოდ, ნებისმიერი ტერმინი თავის არსში მოიცავს დაზუსტებულ, მკაფიო შინაარსს, მეტიც, იგი მსოფლმხედველობრივად ანიშანსვეტებს ამა თუ იმ შინაარსობრივ რაობას. აქედან გამომდინარე, ნ. მგალობლიშვილის უვიცობა ასეთ საკითხებში ამჯერადაც დაღუპავს საქვეყნო საქმეს.

ამ მხრივ ესოდენ მნიშვნელოვანმა სახელმწიფო სტრუქტურამ თუ პოლიტიკურმა რგოლმა, როგორიცაა აღნიშნული კომისია, საფუძველშივე უნდა დაანგრიოს რუსიზმის მიერ თავსმოხვეული დივერსიული ტერმინები და შექმნას აფხაზეთმცოდნეობის, საერთოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის ლასკარული რაობის შემსწავლელი სახელმწიფო პროგრამა, გამომდინარე რომლიდანაც შესამუშავებელი გახლავთ ოკუპირებული მამულის გათავისუფლების პოლიტიკური ხერხები. ამასთან დაკავშირებით, ისევ და ისევ, ნებით და უნებლიედ, არ უნდა მოახერხოს ჩასაფრებულმა ავმოსურნე ძალამ ისეთი მცდარი ტერმინებისა თუ პოლიტიკური სტერეოტიპების შემოშლიგინება ჩვენს საზროვნო სივრცეში, როგორც ეს აქამდე ნ. მგალობლიშვილის ხელებითაც ხდებოდა.

დღეს მთელი უბედურება ისაა, რომ ჯ. გამახარიას მეშვეობით მიმდინარეობს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ჩანასვარი საქმეების გადარეცხვა და ამ უზნეო თუ ბოროტმოქმედი ხროვის *„გაკეთილშობილების"* მცდელობა ბატონი ჯემალისთვის საგანაწესო მოვალეობა გახდა.

ასეთ დროს ისღა დამრჩენია, სიმწრისგან ვითავშიცემო:

მიდით, მიაწექით. ერთმანეთს ამოუდექით, წაეშველეთ მომხდურს ქვეყნის გასხვისებაში. პატარა ხელფასს არ იღებთ ამაში!..

არადა, მეტნაკლებად ამგვარია აფხაზეთის ა/რ-ის ხელისუფლებაში *„მოღვაწეთა"* ზნეობა და აქედან გამომდინარე, *„სახალხო თავდადება"...*

...მაგრამ პირწმინდად ვერ დავადანაშაულებ ამ ხალხს ასეთ საძრახობაშიც კი, ***<u>როდესაც საზოგადოება თავადაა გულგრილი ღირსებისკენ გასვლაგეზების მიმართ, მას არათუ აკადრებენ თვალებში ნაცრის შეყრას, წაბურთავებსაც მიუნდომებენ...</u>***

ასე ხდება ეს!

***

ცხადია, ტოლუპოვარმა ვირეშმაკმა ელ. გვაზავამ ამჯერადაც მოახერხა საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრა და, როგორც უკვე იცით, კვლავ აფხაზეთის ა/რ-ის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა თავი.

თვით ეს სიცხადე გახლავთ ისეთივე ბოროტმოქმედება, როგორიცაა მისი ნახელმრუდალი ფათური სახელმწიფოს ხაზინაში. ამრიგად, მართვის ბერკეტები ისევ ამ საქვეყნოდ ცნობილი ჯიბგირების ხელში აღმოჩნდა. ამის აღიარება წამხდარ საქმეს, უკვე გადაფურცლებულს, რაღას უშველისო, მეტყვით თქვენ.

ვერ დაგიჯერებთ!..

„ერთადერთი, რაც დამრჩა, ჩემი კაცური ღირსებაა“-ო... ამოიგმინა 1924 წელს ვორკუტის ჯურღმულებში ნაწამებმა ერისკაცმა ვაშაკიძემ და ასობით თანამოძმეს უზიარა სიმტკიცე, თავადაც გაუბახებლად შეერჩინათ სული, რამაც დააბრუნა კიდევაც მათგან სულმტკიცენი ოდაბადეში...

ჯ. გამახარიასაც შეეძლო ღირსებაში აეკვარცხლბეკებინა საკუთარი ვინაობა, მაგრამ მან ასეთ უნჯს ელ. გვაზავას ნაოხრალი საქმეების ლეღვისფოთლობა არჩია-მეთქი, არადა, თავიდან ხელი გამოიღო და შეებრძოლაო, თითქოს!..

წმინდა წერილი გვამცნობს, რომ არათუ დიდი სიმრავლე, იქაც კი, სადაც ერთი ან ორი მაინც მიემოწაფება უფალს, მუხლმაგრად დაისადგურებსო ქვეყნის გამჩენის მადლი. მხოლოდ ამგვარი ღვთივკურთხეულობისკენ გაკვალული შარა მიისვლაგეზება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსკენ (აფხაზეთისკენ), ანუ ჩვენი ოხორე-შურობუმუსკენ...

ვაგლახ, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ერთიც არ აღმოჩნდა, რომელიც ელ. გვაზავას სავარძელს კი არ შეეცილებოდა მარტო, არამედ, დაუსაბუთებდა თუ რატომ არ უნდა ჩაშხლართულიყო იგი კიდევ ერთხელ ამ სავარძელში.

ამისათვის საჭირო გახლდათ ძალიან უბრალო რამ, თუმცა, მთავარი... პირში უნდა მიგეხალათ ის, რომ, იგი ხაზინის, ანუ დევნილი საზოგადოებრიობის კუთვნილ ხელუხლებლობათა მიმთვისებელი ბაცაცაა, სამარცხვინო, დანაფურთხი, ხალხის მიერ 2014 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს, სირცხვილის დერეფანში გამოტარებული!..

ეჰ... და კიდევ ეჰ... თქვე მართლა <u>***შუბლაბდომშიანებო!..***</u> თქვენი ორპირობით ზნეობის წინაშე ამჯერადაც დამარცხდით, რადგან ჯოჯოხეთში ნავარდიცა და სულის სამოთხეში დავანებაც ერთდროულად მოინდომეთ. ასე არ ხდება, ამიტომ, წააგეთ ისეთ თანამოსაქმეობასთან, რომელიც სახალხო რისხვის ნაწიხლარია დღეს.

აი, მეთქი, სად დადექით, ბატონო ჯემალ, თქვენ!..

ვწუხვარ, მაგრამ ეს თავად ინდომეთ ასე!..

***

<u>***...როდესაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში სულელია ხელისუფალი ერთმანეთს ამდენ ორმოს უთხრის, იქ აუცილებლად ვიოცა ჩავარდება. ამჯერად ამ ორმოში კვლავაც თვალებში ნაცარშეყრილი ჩვენი ხალხი აღმოჩნდა ფეხჩაცურებული!..***</u>

***

წესით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო სამართლიანობას უნდა აღვივებდეს. ვინ თუ არა მან, ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთოს უნდა დევნილთა ბედით წაბურთავებების ჯერჯერობით ოცწლიანი ტაიმი *(საერთოდ, "ჩვენმა" სახელმწიფომ ქართველი ერის ნების გამოხატვის ნაცვლად ავმოსურნედ ჩასაფრებული დასავლეთის თითისქნევებს მიუბეჯითა თავი)*.

მოკლედ, სიცხადე, რომელიც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოდან გვეთვალნაცრება, არც მეტი - არც ნაკლები, მისი პრეზიდიუმის წევრთა ამგვარი შეძახილით უქუხილდება ცხრაგზის ტყავგაძრობილ საზოგადოებას და მისგან უცხვირპიროდ მოითხოვენ, დაიჯერონ იგი: *„არა არს ღმერთი თვინიერ ელ. გვაზავასი და ჯ. გამახარიაა მოვიქული მისი..."*

არ გეხუმრებით, ის, რაც აქ კეთდება, ამას ნიშნავს მხოლოდ.

რა ვქნა, ვხედავ მკაფიოდ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არაქართულ გარემოში, სადაც ე. წ. საკანონმდებლო აგრესიით გვიპყრობენ და გვათავსებენ სახელდახელო ხართაში *(რეზერვაციაში)*. ასეთ დროს ის ფუფუნება, რის უფლებასაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო აძლევს თავს, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, უწესობაა!.. *(დიახ, ქალბატონო რაისა, არც თუ მისაბაძად ცნობილი მაქსიმუტოვნას გადმოასლეგავ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, რაც არ უნდა იუაროთ, ამგვარად გახლავთ ეს!)*.

ცხადია, ჩვენი საზოგადოება *(ამდენად მეც)*, აფხაზეთის პარტოკრატიასთან და ეთნოკრატიასთან უთანასწორო ბრძოლაში ჯერჯერობით დამარცხდა. ამ შემთხვევაში უპირველესადაა სათავზარო ის, რომ გარშემო არავინ ისიგრძეგანებს იმას, - *შეიძლება დაეცე, მაგრამ ადგომა ყოველმიზეზგარეშე უნდა ისწავლო:*

საკმაო ხნის წინ, სადღაც ერთი აღმოსავლური სიბრძნე ამოვიკითხე: *ჯალათებმა რომელიღაც წესიერ კაცს კოცონზე დაწვა მიუსაჯეს. დადგა განაჩენის აღსრულების დღეც.*

ამ დროს ერთმა ბებრეკმა ჭიანჭველამ წვეთი წყლის მოთადარიგება დაიწყო, - წავალ და კოცონს მივასხამო.

ამის შემსწრე თანამოძმეებმა დაცინვა დაუწყეს, - წყლის ერთი წვეთი რას უზამს იმხელა კოცონსო?!

- იმას უზამს, რომ ჩემს მიზანს დაინახავენ. ქვეყანა გაიგებს, არ შეიძლება, წესიერი კაცი კოცონზე ასე დაწვანო!..

მეც ამისთვის გავისარჯე: ქვეყნის ოთხივ კუთხით უნდა ვაჭეკ-ქუხილო, - ხალხისგან განდგომაა ის, რომ თაღლითი ელ. გვაზავა და მისი ბოროტმოქმედი თანამოსაქმეები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ბედს განაგებდნენ. უფრო მეტიც, ეს იმ კუთხიდან დევნილი მოსახლეობის შეგინებაა.

ასე ფიქრობს ხალხი.

6.05.2014 წ.

<u>გიორგობა</u>

≈*≈

როდესაც თანანადები მიუტევებელია,
ანუ
გასაუბრება ბატონ ჯემალ გამახარიასთან
- აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს
პირველ მოადგილესთან

„ჩემზედ ამბობენ: ის სიავეს ქართვლისას ამბობს!
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!"
ბრიყვნი ამბობენ..."
წმინდა ილია მართალი

ბატონო ჯემალ,

სანამ მთავარ სათქმელზე მივაქცევ ასე მოუცლელ თქვენს ყურადღებას, მინდა კეთილმოსურნედ, მაგრამ ფარდა მიუფარებლად ჩაგახედოთ იმ არა და არ გაკეთილშობილებულ სიავეში, რამაც ვეღარ აქცია თქვენდამი რწმუნებული ეგ უწყება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) აგრესიული გლობალიზმის წახალისებითა და რუსიზმის გადმოთარეშებითა და სეპარატისტულ ეთნოკრატიასთან ერთად მათ მიერ განხორციელებული ეთნოწმენდებისა თუ გენოციდის შედეგად წინაპართა სამკვდრისიდან გამოძევებულ ქართველთა (ასევე დევნილ არაქართველთა) უფლების, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის ძილფხიზელ მეხრედ, სულიერ ნიშანსვეტად ან ზნეობრივ საწყაოდ (არადა, 23 წელი გავიდა თქვენს უხვალდღეო ცრუქაქუნობაში).

ყოველივე ამის გასწვრივ თუ მოახერხებთ და წესით თქვენი სახლიკაცების უნუგეშობებს გაისიგრძეგანებთ, ვიმეორებ, თუ მოახერხებთ-მეთქი,რადგან აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წევრებიდან (ე. წ. დეპუტატებიდან) სწორედ წითელი გენერალი გივი ლომინაძე, მასთან ერთად უკაცობისას ***„კაცად"*** მოთადარიგებული გია გვაზავა, რაისა ქარაია, ნუგზარ მგალობლიშვილი, თემურ მჟავია, რუდიკ ცატავა, ანზორ წოწონავა, დავით გვაძაბია და მისთანანი დღესაც ის სიმართლე ვერ შეღწეული ჯავშანი გახლავთ, რომლებიც ყველა საშუალებით ცდილობენ სიმცდარის, ანუ უზნეობის დახლთან დაამწკრივონ მათი ***„ამომრჩევლები"***, დიახ, ბატონო ჯემალ, თუ ამ დაბრკოლებას გადაცოცხავთ, მხოლოდ მაშინ მოითვალსაწიერებთ იმას, რომ ეგ უწყება ამ სახით უმაქნისია და ჩვენმა მოსახლეობამ მის მკვდრადშობილ ანაბიჯებებში არ დაიგულა თავისი ოდაბადისკენ (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსკენ (აფხაზეთისკენ) წარმძღოლის ძალისხმევა. სამწუხაროდ, თქვენ ამას არ იზამთ და უარს იტყვით ამაზე, იცით რატომ?! დუმილისთვის, სწორედ პირში წყლის

ჩაგუბებისთვის გებოძათ ეგ სავარძელი!.. იმისათვის, რათა გაერკვე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესისაბჭოს ზნეობრივ შინაარსში, საყველპურზე მეტ წარმოდგენას ქმნის აი, იმ, დიახ, ქვეყნის ცხოვრებაში მოტუტუცე ჯაბა იოსელიანის წიგნი ***„მესამე განზომილება“.*** აწგანსვენებული მისთვის ჩვეული ჩამშვებლობით იხსენებს თუ როგორ შემოუსხედით გივი ლომინაძის გაშლილ საბანკეტო სუფრას,სხვებთან ერთად, თქვენ და პეტოვიჩი (ნუგზარ მგალობლიშვილი) 1992 წლის 14 აგვისტოს და თუ რასთან დაკავშირებით, ცხადია, გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მსხვერპლ მოსახლეობას არ გაუჭირდება ამის მიხვედრა.

ამასთან დაკავშირებით ასევეა ყურადსაღები ბატონ ნაპო მესხიას - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის წიგნები (***„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“,*** ქართულ და რუსულ ენებზე) და პუბლიკაციები გაზეთ „ილორში“. მართალია, ავტორის მოსაზრებები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) შინაარსის შესახებ და ისტორიული ექსკურსი ამ მხარესთან დაკავშირებით არათუ დაზუსტებას,საფუძვლიან ჩასწორებას მოითხოვს, მაგრამ ამ ნაშრომის ის ნაწილი, სადაც საუბარია იმაზე, რომ აგრესორ-სეპარატისტ ვ. არძნიბასთან ერთად ამ სომარი ავანტიურის ინსპირატორი ე. შევარდნაძეცაა, რომელსაც გვერდში ედგა წითელი გენერალი გ. ლომინაძე, ასევე თქვენდამი რწმუნებული ინსტიტუციის დეპუტატები გ. გვაზავა (დღეს თავმჯდომარე), რ. ქარაია, ნ. მგალობლიშვილი, ე. ასტემიროვა და ა. შ. ამაში ცამდე მართალი ბრძანდება ეს კაცი. სხვა ბევრ რამეშიცაა იგი მართალი თქვენდა სამწუხაროდ და ქვეყნის საუბედუროდ.

მეტსაც გეტყვით, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) გამოძევებულ მოსახლეობას არც თუ უსაფუძვლოდ სჯერა, რომ დროებით ოკუპირებული ცხუმის მხარეში ჩვენთა წინაპართა საფლავების შემგინებელთა ლაგამამოდება ან ბიჭვინთა-კომან-ბედიაში ჩვენი ვინაობის გამშინაარსებელთა სახსენებლის თანმიმდევრული აღგვის შეჩერება დღეს არ წარმოადგენს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავსატეხს (მეტი საქმე არა აქვს!). საზოგადოებას რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი თქვენს უწყებაში მოცლილის თავგართობად იქცა, რადგან ***სხვა საქმე გაგიჩნდათ - საშოვარი და პირადი კეთილდეობა!..*** ადამიანში, თუ ის მთლად ხელიდან წასული არაა, უნდა მოიძიებოდეს მთვლემარე ნერვი, რომელმაც საცდურთან შერკინებისას სინდისი გააღვიძოს უნდა!.. სამწუხაროდ, ასეთი რამ თქვენ არ აღმოგაჩნდათ.

სწორედ ამიტომ მოხდა, რომ 2014 წლის 23 დეკემბერს დევნილი საზოგადოებრიობის უთავალსაჩინოესმა წარმომადგენლობამ ე. წ. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მარად ***„დეპუტატებს“*** მათი

პოლიტიკური ვითომსაქმიანობის გასასახეზოგადებლად თითოეულს პირადად მოუსაჩუქრა მახათი *(უსაქმური ყვ...ში იყრიდაო მახათს)*.

ასეთი შეხმიანება, რომელიც ზოგიერთს წინასაახალწლო გახუმრებად მოეჩვენა, სინამდვილეში ჩვენი გაწბილებული ხალხის გმინვას მომწყდარი შეოწამფაა, ვინაიდან იქ, სადაც მას შეუგინებლობა ეგულებოდა, სისხლაღრეულთა თავაწყვეტამ გაინავრდა! წარმომიდგენია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ე. წ. დეპუტატთა აჭიხვინებულ თარჩიაში სულბერწთა შორის მარადი რუნგუს, პირადად თქვენი თანამეცალუღის (თანამეხამუტის) - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის (ბაცაცა გ. გვაზავას) მოადგილის დ. გვაძაბიას მათვითკმაყოფილებელი ხითხითი, მათ ხომ, ბოლოს და ბოლოს, მოახერხეს ჯ. გამახარიას გადაბირება, რითაც საკუთარ საუგო ნასაქვარებზე ესოდენ საჭირო დროს გაწითელნაჭრებული ქსოვილის მილეღვისფოთლება შესძლეს. არადა, სიბრძნეს სავარძელი არ იძლევა, ჯიშისმიერი მეხსიერებიდან უნდა გეზოძოს იგი!..

ზემოთ ჯაბა იოსელიანისა და ნაპო მესხიას გამონაქვეყნები შეგახსენეთ თქვენს შესახებ. მათში ისეთ საქმიანობაში იმხილებით, რომელსაც მოჰყვა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ოკუპაცია, ასევე მკვიდრი მოსახლეობის (ძირითადად ქართველების) გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს (ე. ი. თქვენიც) საქმიანობაში წინამდებარე წინგაუხედაობა (ძალიან რბილად ვამბობ) იმდენად თვალში საცემი გახდა, რომ ციხიდან გამოსულმა ე. კვიციანმაც პირის გაღებისთანავე ბრალი დაგდოთ არა მხოლოდ 1993 წლის შემოდგომაზე დევნილთა უმწეო მიტოვებაში, მეტიც, ასეთი დაუცველი და უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანების ძარცვის ხელშეწყობაშიც. ამის გასწვრივ იგი დღესაც გადანაშაულებთ აქ, დევნილობაში ამ ხალხის გაწირვაში (გაზეთი ***„ახალი თაობა“***, 2014 წ. 24 მაისი). ამ აზრს იგი თითქმის ყოველ გზაჯვარედინზე დღემდე ასაჯაროებს. სულ ბოლოს (ჯერჯერობით) ე. კვიციანმა ეს ბრალდება თითმიშვერით მიახალა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს მედია-კავშირ ***„ობიექტივიდან“*** 2015 წლის 28 ოქტომბერს... მაგრამ ყველაზე დიდი ღალატი, პირადად თქვენს მიერ ჩადენილი, იცით, რომელია, ბატონო ჯემალ? არა, ის კი არა, მურმან ზაქარაიასთან, მანგულ ხუბუასთან და ა. შ. ერთად ჩემს ცოცხლად დამარხვას წლების მანძილზე რომ ცდილობდით. მაშინ ჩემს გვამზე გადაიარეთ,რადგან თქვენი ხელიდან მე მკვდარი ვარ და თუ გადავრჩი, ეს თქვენი სულგრძელობა არაა, იგი უფლის წყალობაა, რომელიც ღვთისგან ბოძებული წინგახედულებით მებოძა. ეს მე მოგიტევეთ, არასდროს შემიხსენებია და ამის შემდეგ ქვეყნის სასიკეთოდ გათანამშრომლეთ. ვფიქრობ, გეყოფათ კაცობა, რათა აღიაროთ, რომ ამ

თანანშრომლობას ძირითადად ჩემი პროექტები ჩემს მიერ მოძიებული ფინანსები განაპირობებდნენ.

დიახ, ბატონო ჯემალ, ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც კოლეგები თქვენ, პრეზიდიუმის წევრს, სათოფედ არ გიკარებდნენ (*„აღორძინების“* წევრიაო) და მე შეგიხიზნეთ ერთ ციცქნა ოთახში, ღმერთმა დამიფაროს, დაგაყვედროთ ეს, უბრალოდ, შეგახსენეთ თუ ვინ გაწირეთ!..

...და მაინც, სხვა რამაა მიწაზე ვერ დატეული ღალატი, იგი თქვენ ჩაიდინეთ 1992 წლის 14 აგვისტოს მომდევნო დღეებში, როდესაც ჯ. იოსელიანისა და გ. ლომინაძის მოთხოვნის შესაბამისად, სოხუმის ტელევიზიიდან ნ. მგალობლიშვილთან, თ. მჟავიასთან, ე. ასტემიროვასთან, რ. ქარაიასთან და სხვა მრუდედ ხელგამოღებულ დეპუტატთან ერთად აფხაზეთის საომარი ავანტიურა როცა გაამართლეთ, რითაც წინააღმდეგ ზ. გამსახურდიას მოწოდებისა, - არ დაგვეშვა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) კრემლიდანური გეგმის განხორციელება, ანუ ძმათამკვლელი ომის ნიღაბქვეშ რუსიზმისთვის საოკუპაციო მიზნების განსახორციელებლად საბაბის შექმნა, - თქვენ ე. შევარდნაძეს ამოუდექით გვერდში. ამის შემდეგ, ვალმოხდილს ხუნტის წინაშე, იმავე ნ. მგალობლიშვილთან ერთად საშვი მოგერთვა ე. წ. ი. ბ. სტალინის სამთავრობო აგარაკზე გამართულ ბანკეტზე დასასწრებად. კიდევ ერთხელ ხმის ჩახლეჩამდე უნდა გავიმეორო, შუბლისძარღვშეურხევლად მიუჯექით წითელი გენერლის გ. ლომინაძის თავკაცობით გაშლილ*„საზეიმო“* ტაბაკს და*„ჩაშვებებისა”* და*„გადაგდებების“* დიდოსტატი ჯაბაც კი, როგორც იგი წერს, საკმაოდ გააკვირვეთ.

ცხადია, პირველი ღალატია საყოყმანო, შემდეგ ერთგვარი თავგართობითაც აიკრიალოსნებ მათ. ამჯერადაც ასე მოხდა.

ასე გაწევრიანდით გადაიქეცით იატაკქვეშა მეკობრეთა რიგებში, რომლებმაც იატაკსზემოთ დევნილებისთვის ხელისუფლებად თავშესაღების გასწვრივ, აუგალავნეთ პოლიტიკური გულაგი ეროვნული შინაარსის წინააღდმეგ...

***

მართალია, ბატონი ჯემალი ზნეობასთანს ზურგშექცევის ხარჯზე დაწინაურდა, ისიც ცხადია, აქედან გამომდინარე საქმეც მეტი გაუპიროვნდა, მაგრამ ვერაფერს ვიზამ, მაინც მას უნდა მივმართო, მით უფრო, რომ მისი სააღმასვლო გზა, თითქმის ოცი წელია, მისივე სულნაცდური ძალისხმევით ჩემს*„ჩაშვებასა“* და *„გადაგდებაზე“* გადის!..

მანამდე უნდა გაგაცნოთ ამონარიდი ემზარ კვიციანის მიერ*„ახალ თაობაში“* (2014 წლის 24 მაისი, №143) გამოქვეყნებული წერილიდან (რა თქმა

უნდა, ეს პიროვნება ჩემთვის მახვშისდარად არ სახეზოგადდება, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ნათქვამის გასიგრძეგანება სავალდებულოა):„კარგად მახსოვს პირველი დარტყმა, რომელიც ჩემმა სპეცსამსახურებმა მომაყენეს...*ეს დევნილების დაყაჩაღების თემა იყო.*სანამ ჩვენ ჩინისა და ბაგადას გვირაბებთან სოხუმიდან გამოქცეულ დევნილებს ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატა-ლიონის და უამრავი მოროდიორებისგან ვიცავდით, *დევნილთა ერთი ნაკადი, საკენ-ჭუბერის გზაზე დააყაჩაღეს.*ეს ყველაფერი ხდებოდა იმ ადგილზე, სადაც 14 ათასი შეიარაღებული ჯარისკაცი, პოლიციელი და უშიშროების თანამ-შრომელი იყო. იქ, იდგნენ პროკურატურის წარმომადგენლები, *ადგილზე იმყოფებოდა აფხაზეთის ა/რ-ის დევნილი მთავრობა თავისი შეიარაღებული რაზმებით...*

მეორე სერიოზული დარტყმა იყო ღალატის დაბრალება...*ამას მაბრალებს ის ხალხი, რომლებმაც შეიარაღებულ რაზმებთან ერთად ჯკერ სოხუმი დატოვეს, მერე გულრიფში, მერხეული, წებელდა, ლათა, 2008 წელს კი კოდორის ხეობა ორ დღეში ჩააბარეს. საკუთარი ხალხი არც კი დაიცვეს არა მხოლოდ მოწინააღმდეგეებისგან, არამედ ნაძირალა ყაჩაღებისგანაც. ეს ნაძირალა ყაჩაღები აღრიცხეს და შინაგან ჯარსა და მესაზღვრეებში დაასაქმეს"... (ხაზგასმები - ს. საჯ.).*

აქ მოხმობილ ნაწყვეტში ე. კვიციანი, როგორც იგი ირწმუნება, მართალია, თვითონ ემიჯნებნა უმწეო დევნილების გაძარცვაში მონაწილეებთან რაიმე სახის ურთიერთობას, მაგრამ აქვე ურყევად და პირში წადგომის წესით ადასტურებს, რომ*1. ეს შემზარავად აღაღადებული საძრახობა საკენ-ჭუბერის გზაზე ნამდვილად მოხდა; 2. სამწუხაროდ, აფხაზეთის ხელისუფლების (მათ შორის 14 მოსარჩელეს), დიახ, ბატონებო, როგორც ე. კვიციანი ასაჯარისებს, მიუხედვად იმისა, რომ მათ განკარგულებაში 14 ათასზე მეტი ჯარისკაცი იყო, აქვე დაბანაკდა პროკურატურაც, პოლიციაც და უშიშროებაც, - თითიც არ გაუნძრევიათ არც გულრიფშის, არც წებელდის, ლათის და ა. შ. დასაცავად, ის კი არადა, აღარც დაუცველი დევნილების უსაფრთხოებისთვის შეუწუხებია უღირსებო თავი;3. ჯ. გამახარიასთან ერთად ამ დღეებში კვლავ აფხაზეთის ა/რ-ის, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დაწინაურებული დ. გვაძაბია, რომელიც იმხანად გულრიფშიც რაიონის გამგებელი გახლდათ (კოდორის ხეობა კი გულრიფშის რაიონშია), ამ წერილის, ანუ თვითმხილველი ე,. კვიციანის ნაამბობის მიხედვით არც ცდილა მის თანამდებობრივ მოვალეობაზე მიპიროვნებული მოვალეობის შესრულებას, უფრო მეტიც, ლაჩრულად გამოიქცა იქიდან და უმწეო მდგომარეობაში ჩატოვა მშვიდობიანი მოსახლეობა. იგივე ჩაიდინეს ა. წოწონავამ და რ. ქარაიამ - ე. წ. დეპუტატებმა გულრიფშის რაიონიდან; 4. ე. კვიციანი აფხაზეთის ხელისუფლების იმ ნაწილს, რომელიც მაშინ კოდორის ხეობას აფარებდა თავს, ბრალს სდებს სოხუმის ჩაბარებასა და თავისი საეჭვო უმოქმედობით დევნილთა მძარცველი ყაჩაღების ხელშეწყობაში. თავიანთი საეჭვო უმოქმედობით დევნილთა მძარცველი ყაჩაღების ხელშეწყობაში, მისი (ე. კვიციანი) მტკიცებით ეს ბოროტმოქმედები შემდგომში ხელისუფლებამ სხვადასხვა ძალოვან სამსახურებში კეთილმოაწყო; 5. ზემოთხსენებულ გამონაქვეყნში ე. კვიციანის ბრალდება მოიცავს გალის რაიონის*

ყოვლად სამარცხვინოდ, თოფის გაუსროლელად გასხვისებასაც. ეს კი პირდაპირ და პირველ რიგში ადანაშაულებს დეპუტატებს ამ რაიონიდან რ. ცატავას(იმ დროს გალის რაიონის გამგებელს), თ. ხუბუას (მოადგილეს), რ. შამუგიას და სხვებს (თოთხმეტეულთ).

(სხვათაშორის, ეს ბრალდება ე. კვიციანმა არაერთგზის გაასაჯარისა 2015 წელსაც (იხილეთ ტელეობიექტივის არქივი)).

ბატონო ჯემალ,ის ადამიანები, რომლებიც იმხანად მაღალ თანამდებობებზე მოკალათდნენ და ძალიან რბილად რომ ვთქვათ ქვეყნისთვის თავგანწირვის თავარიდებაში თითმიშვერით იმხილებიან, ამჟამად თქვენი თანაბანაკელები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ სინდისზეა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მშვიდობიანი მოსახლეობის ყოფნა-არყოფნის ჩიხში ჩახართვა.

ასეთ ვითარებაში არ დაგიმალავთ, როგორც ირწმუნებიან, შედგა თქვენს შორის (აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა შორის) საიდუმლო გარიგებანი, რომლის თანახმადაც გივალდებულებიათ ამ საძრახობათა ჩამომრეცხავი ისტორიის შედგენა (1992-1993 წლების სისხლიან ჭერჩამოქცევათა *„გათეთრება“*). თუ ეს ასეა (და ყველაფრიდან დასტურდება, რომ სწორედ ამგვარადაა), მთავარი დაგვიწყებიათ: *ამაო მცდელობაა, ისტორიასთან საქმეს ვერავინ ჩააწყობს!..*

***

ბატონო ჯემალ,

„ალერსი“, რამაც ყალბისმქმნელთა მარაქისკენ მორიგჯერ გაგანაბიჯათ, გაზეთ „ახალ თაობაში“ (2014 წლის 14-15 ივნისი) ასე გასაჯარისდა: „... მშვიდობიანი პოლიტიკური აქციები დაიწყოს იმ ადამიანების გადადგომის მოთხოვნით, რომლებიც საქართველოს უახლესი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში კონფლიქტის დარეგულირების მიზნით მოზიდულ თანხებს არამიზნობრივად იყენებდნენ...“

„...ვინაიდან ქვეყნის განუყოფელი ტერიტორიები დღითიდღე გვცილდება როგორც სამართლებრივად, ისე - მორალურად, გადავწყვიტეთ, გარკვეული ინფორმაციები საჯაროდ გამოგვეტანა. გრანტების მოზიდვა ჩვეულებრივი მოვლენაა, მათ შორის, კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში. არასწორია, რა მიზნითაც იხარჯება მოზიდული თანხები. მე ვსაუბრობ ზოგიერთი პიროვნების არაკეთილსინდისიერ, ზოგ შემთხვევაში, თაღლითურ და დანაშაულებრივ საქმიანობაზე, რასაც გრანტის განაწილების პროცესში ჩადიოდნენ. ესენი არიან აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია, ე.წ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა და დღეს მოქმედი პოლიტიკოსებიდან პაატა ზაქარეიშვილი, რომლის უშუალო მონაწილეობით ხდებოდა ამ გრანტების მოზიდვა.

...კომპეტენტური ადამიანებისაგან მაქვს ინფორმაცია, რომ რეიჩელ კლოგი, რომელმაც გრანტი ჩამოიტანა საქართველოში, რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. ის ცოლად შერთეს აფხაზი ეროვნების ბიჭს. მას ყოლბაიამ არძინბასთან შეხვედრა მოუწყო. შემდგომ ძალიან დიდი ოდენობის თანხების

ათვისება მოხდა. შეიქმნა ათასგვარი არასამთავრობო ორგანიზაციები სხვადასხვა დასახელებით. ერთ ოჯახში, ვთქვათ, იმავე ალუდა მახარიას ოჯახის ეგიდით, სამი არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა. პირობითად ამას დავარქვი შვილების, სიდედრების, სიმამრების ორგანიზაციები, ანუ ყველაფერმა ამან მარაზმატული ხასიათი მიიღო. ბევრი ადამიანი დღეს ცუდად ცხოვრობს, ასევე ცუდ სიტუაციაშია ქვეყანა და ჩინოვნიკები კი წარსულში დიდი ოდენობის თანხებს ითვიხებდნენ"...

„...ენგურჰესთან დაკავშირებით დიდი ოდენობით თანხების მითვისებაზე ინფორმაციას ველოდები. აქ მოქმედებს ზურაბ ერქვანია, რომელიც იყო საკავშირო სუკის პარტორგანიზაციის მდივანი. ეს ცნობილი პიროვნებაა. ამ სიაში ფიგურირებს ჩვენი კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, რომელმაც რესპუბლიკური პარტიის ეგიდით გადანაწილებული თანხები მიიღო. ამ სიაში მეტ-ნაკლები რაოდენობის თანხებია გადანაწილებული სხვადასხვა პირზე.

იმავე რეიჩელ კლოგმა ევროკომისიის მიერ გამოყოფილი თანხა, 100 ათასი ევრო, მთლიანად გადაუნაწილა რესპუბლიკური პარტიის აქტივისტებს, თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გალში რუსლან ქიშმარიასა და სოხუმში ბათალ კობახიას. რუსლან ქიშმარია და ბათალ კობახია არიან პირწავარდნილი სეპარატისტები, რომლებთან თანამშრომლობაც იკვეთება.

ჩვენს მოთხოვნებს 27 ივნისის შემდეგ მწვავედ დავაყენებთ. ჩვენი მოთხოვნა იქნება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გია გვაზავასა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას გადადგომა. რამდენად მიაქცევს ყურადღებას ჩვენს გამოქვეყნებულ მასალებს ცენტრალური ხელისუფლება, დატოვებს თუ არა პაატა ზაქარეიშვილსა და გურამ ოდიშარიას თანამდებობებზე, ეს მათ სინდისზე იყოს.

აღნიშნული მასალა რამდენიმე თვეა,რაც მაქვს, ერთ-ერთ ღონისძიებაზე სპეციალურად მოვახდინე ინფორმაციის გაჟონვა, ვიცოდი, რომ ხსენებულ ადამიანებს მიუტანდნენ ამბავს. თქვენ უნდა გენახათ, ორი თვის განმავლობაში, რა ამბავი იყო ჩემს სახლში - ხდებოდა რეკვები, ჩემსმიერ დასახელებული პიროვნებების მიერ გამოგზავნილმა პირმა შემომთავაზა თანამდებობა. მეუბნებოდნენ, მაღალი ხელფასი გექნება, კარგად იქნებიო. შემოთავაზებულ თანამდებობაზე დასათანხმებლად ვადა მომცეს. ეს მე მიმაჩნია შეურაცხყოფად,რადგან ვარ აფხაზეთიდან დევნილი და ჩემთვის სულ ერთი არ არის, რა სიტუაცია იქნება იქ. ბოლო წლების განმავლობაში არაფერი გაუმჯობესებულა. პირიქით, სამწუხაროდ, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით, რიტორიკის ცვლილების გამო სიტუაცია გაუარესდა, რისი პირდაპირი შედეგიცაა სხვადასხვა ქვეყნების ოფიციალური დელეგაციების სტუმრობა აფხაზეთის, მათ შორის, თურქეთის პარლამენტის წევრების სტუმრობა. ასევე იტალიის რამდენიმე ქალაქმა აფხაზეთის რამდენიმე ქალაქთან გააფორმა მეგობრობის ხელშეკრულება. ეს მანამდე არ ხდებოდა, რაც ვფიქრობ, ე. წ. რიტორიკის ცვლილების შედეგია".

ამ მასალის გამოქვეყნებიდან წელიწადნახევარზე მეტი გავიდა, მაგრამ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ამის ავტორს (ისევე როგორც ემზარ კვიციანის მიერ გასაჯარისებულ ბრალდებებს) ხმას უბოდიშოდ არავინ სცემს, მათ შორის არც თქვენ, ბატონო ჯემალ, თქვენც საეჭვოდ

გაიყურსეთ, თუმცა, ზურგსუკან მათ (თქვენს მამხილებლებს) დღეში ცხრაჯერ უგზავნით წყევლასა და კრულვას.

თქვენ არ იცით უმთავრესი, რაც ეზოს ფინიასაც არ ავიწყდება: არ შეიძლება სიყვარულის საერთოდ და, განსაკუთრებით, სამშობლოს სიყვარული გააუპატიურო.

ამ სამშობლოზე ფიქრს თქვენ თაღლით გია გვაზავას ლეღვისფოთლობა არჩიეთ, რითაც თქვენი ქართველობა იქცა ქართველობის სახელგატეხვად.

საბედნიეროდ, არის ღვთივკურთხეული წუთებიც (ზემოთ ამაზეც მქონდა საუბარი), როცა საზოგადოებრივი სიმართლე ერთსულოვნად და ერთხმად ირჩევს სისწორეს, ამდენად ღირებულებას. მხოლოდ ასეთ დროსაა ის ერი.ასეთი წუთები ჰქონდა აფხაზეთიდან დევნილ საზოგადოებას 2014 წლის 23 დეკემბერს, როდესაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს მახათები მიუსაჩუქრა.

ასეთ გარემოში, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს გადამჯეგავი თავდასხმების პირისპირ სრულიად მარტო აღმოვჩნდი, თქვენ მიანც ვერ მოახერხეთ ჩემი სასიკვდილოდ დანარცხება, თუმცა, ყველაფერი იღონეთ საამისოდ.

ასე მაგალითად, ჯერ იყო და ზვიად ესებუას ნახელმრუდალმა სასამართლომ თვალებში ნაცრის შეყრის წესით მიაფარდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში გამოჭენებული ბოროტმოქმედებებიდა მე ზუსტად ისე, როგორც ი. კრილოვის იგავშია*(„მგელი და კრავი“)*, იმგვარად *„გამამტყუნა“*. მართალია ამგვარმა განჩინებამ ვერ იპარპაშა ბოლომდე, მაგრამ თავისი საქმე მაინც გააკეთა, საზოგადოების ერთმა ნაწილმა*„მტყუან კაცად“* აღმიქვა.

გივი ლომინაძე, ვახტანგ თორდია, საქართველოს პარლამენტიდან მათი ლობისტები, რომ არაფერი ვთქვათ სასამართლო სისტემაში მოკალათებულ მათ თანამოსაქმეებზე, წარმოადგენდა იმ ძალას, რომელზე დაყრდნობითაც თქვენი თანამოღვაწე მოსარჩელეები, თქვენი დუმილის, ანუ უხმო დასტურის პირობებში, ჩემს განადგურებას ცდილობდნენ.

არ მოხდა ასე, კი ბატონო, არც ისე განიჩინა, როგორც სისწორეს ეკადრება და სიმართლე მოითხოვს, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თავიდანვე ამ საქმის ჩასაფარცხად ძმები ახალაიები, მ. ზოდელავა, ზ. ადეიშვილი, მ. ტყეშელაშვილი, ლ. ბეჟაშვილი, ს. თოფურიძე და ა. შ. გაისარჯნენ, საქმეში ჩახედული დამეთანხმება, საყოველთაო დევნისა და ღალატის პირობებში მე გადავარჩინე მთავარი - ღირსება, უკანდაუხევლობა, მართლის თქმის მოვალეობა და მუშაობის უნარი, აქედან გამომდინარე, წინამდებარე წიგნის (IVნაწილს) მოჰყვება ამ ციკლის V ნაწილი*(„მოგონებათა ამოხველება დაჭლექებული სულის ფორიაქიდან“).*ამასობაში შევაბიჯე 70-ე

წელში. ეს ის ასაკი გახლავთ, როდესაც კაცობა შერჩენილი უკან დასახევ გზას არ იტოვებს: ყველა მტკიცებულება, რომელიც ასახავს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასხვისებაში გ. ლომინაძისა და კომპანიის (თქვენი ჩათვლით) და რომელთა გასაჯაროებისგან ადრე სხვადასხვა მოსაზრებით თავი შევიკავე, - გამოქვენდება.

აი, მაშინ, ბატონო ჯემალ, თუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საზოგადოებრიობას ოდნავ მაინც შერჩა თავმოყვარეობა, წინგახედულება და, რაც მთავარია, საკუთარი იავარქმნილი ოდაბადისადმი ჭირისუფლის მოვალეობა, წესით სახალხო სასამართლომ უნდა გაგასამართლოთ თქვენ.

წუთშესვენება: ხომ დაუძინებელი მტრები ხართ (არა, მარტო ჩემი კი არა, - სახალხო ნების!..), სირცხვილისა და სიბრალულის ოფლმა დამასხა, როდესაც ამ დღეებში გ. გვაზავამ ქართული ტელევიზიებიდან იხმაბოდა - ***„ჩვენი მიზანია აფხაზები ევროპისკენ წავიყვანოთო“...***თუ აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო არაა და შენ თვითონ არ ხარ აფხაზი, ვინ გეკითხება,საითკენ წავა იგი?!

ამის მეტი მიზანი არ გაგაჩნიათ მართლა?! არადა, მე მეგონა, რომ მიზნად ისახავდით საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგების აღმოფხვრა-განკურნებას და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სამშობლოსთან შემოერთსხეულებას.

აი, ესაა თქვენი დონე დღეს, აი, რასთან გარიგდით თქვენ, ცნობილი და არც თუ ურიგო ისტორიკოსი ჯემალ გამახარია, რომელსაც შეგეძლოთ სხვა, უფრო საპატიო კვარცხლბეკზე დამკვიდრება.

***

დიდხანს ვიყოყმანე, მაგრამ თავს ვერ მოვერიე და ეს საზურგე მახვილიც, თქვენგან მოქნეული, საზოგადოებას უნდა გავუცხადო: 2015 წელს აფხაზეთის ხელისუფლების ძალისხმევით გამოიცა კრებული ***„აფხაზეთი - ლიტერატურა და ხელოვნება“.***

როგორც გადმომცეს, როდესაც სარედაქციო კოლეგიას თქვენთვის, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისთვის, რომელიც კურირებს მსგავს საკითხებს, უჩვენებია კრებულში შესატანი მასალები და წარმოუდგენიათ მათი ავტორების სია, თქვენ მორიგჯერ აამეთ გია გვაზავას, დიმა ჯაიანს, რაისა ქარაიას... და არ მოისაკლისეთ ჩემი გვარი მათ შორის.

ეს თქვენი ჯუჯაკაცობის გამოვლენად დარჩება, თორემ, ჩემი ბიოგრაფიიდან ჩასაფრებულთა ფეხაწყობები ვერანაირად ვერ ამოშლიან იმას, რომ 1968 წლიდან სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიურ

ინსტიტუტში ვხელმძღვანელობდი დიდი გალაკტიონის მიერ 1947 წელს დაარსებულ ახალგაზრდა მწერალთა წრეს ***„ზღვა ახმაურდა“.*** ვარ მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, სამი - ნიკო ნიკოლაძის, გიორგი შარვაშიძისა და ზვიად გამსახურდიას სახელობის - პრემიათა ლაურეატი. 24 წიგნის ავტორი და ა. შ.

შენგან გამიკვირდა, თორემ გენო კალანდია... და კიდევ, ჩემი თავი ჯანდაბას, მე ხომ თქვენგანშევირისხე და ჩემისახელის სადმე ჩაწერა, ისევე, როგორც სოხუმელი (მერხეულელი) ლაუს ხსენება საბჭოთა სახელმწიფოში,***არ შეიძლება,გასაგებია ეს, მაგრამ თამაზ ახალაია, ცრემლივით წკონდა პოეტი*** (სხვებიც) როგორ გამოტოვეთ, თქვე მართლა მახათმისაჩუქრებულო უსაქმურებო!..

საბედნიეროდ, ჟამთაბერი გ. გავზავას, ვ. ყოლბაიას, ჯ. გამახარიას, გ. კალანდიას, დ. ჯაიანის, ნ. კორსანტიას თუ სხვათა მიერ მიჩეჩებული სიით არ ადგენს ეროვნული დედო წიგნის შინაარსს, მას საამისოდ უმცდარი და წვერბსარი წერაქვი გააჩნია!..

***

ბატონო ჯემალ,

დღეს თქვენ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბრძანდებით.

ჰოდა, თუ როგორ, რა მსოფლმხედველობის საფუძველზე ზრუნავენ თქვენდამი რწმუნებული სახელისუფლებო შტოები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დევნილ მოსახლეობაზე, ამის სახეზოგადობად გისაჯარისებთ ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკის - ქალბატონ ნელი კოპალიანის მიმართვას მრავალშვილიანი დედისადმი (გულნაზ ხორგუანისადმი), რომელიც მისთვის საეჭვოდ გაუქმებული დევნილის სტატუსის აღდგენას ითხოვდა: „რატომ შობე ხუთი ბავში, მე გთხოვე?!“

აქ ცოტა შევარბილე, როგორ ჩანს, ჩვენი საწუხარისათვის ვინმე ნელი კოპალიანის გამონათქვამები.

ქალი რომ დედაკაცს დედობას დანაშაულად ჩაუთვლის, იქ დამთავრებულია საწმოხონო ფიქრი.

***

დასასრულ, ერთ რჩევას გაგიგაკვეთილებ: რადგან ქოფაკების ხროვაში გაისავარძლე, რწყილებზე არ იწუწუნო, თორემ ვერ მიებუნებრივები მათ!..

სხვათაშორის, შენს მშობლიურ კუთხეში (საარჩევნო ოლქში), დღეს ოკუპირებულ მხარეში, ზედმიწევნით საამდროო ანდაზა მომისმენია: „კოც

ჯუაში მიკოსირღინაფა ოკოდუა დო კაღუთ იჭირინუანდუა, არქა, ვემკიპწიკვავა!..“

2015 წლის 23 დეკემბერი

***

ცნობისათვის: წინამდებარე წიგნების პირველი სამი ნაწილის წაკითხვის შემდეგ აწგანსვენებულმა საზოგადო მოღვაწემ, პროფეროსმა გივი კილასონიამ მოაწყო მათი განხილვა აფხაზეთის საზოგადოებრიობის საჩინო წარმომადგენლებთან.

წამოჭრილი საკითხებით აღშფოთებულმა საფიხვნომ ბატონ გივის დაავალა პირადად შეხვედროდა და გაერკვია თუ რა პასუხი ჰქონდა ყოველივე ამაზე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს.

ასეთი შეხვედრა მართლაც შესდგა 2013 წლის ზაფხულში გია გვაზავასთან. ვინაიდან საუბარმა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ***„კედელზე ცერცვის შეყრის“*** ხასიათი მიღო, იგი გაწბილებული დარჩენილა.

ამ შთაბეჭდილებების გასაჯარისებას აწგანსვენებული, როგორც მან მაშინ საზოგადოებასთან განაცხადა, აპირებდა ჩემი მომდევნო წიგნის წინასიტყვაობაში, რომლის რედაქტორობაზე იგი პასუხისმგებლობის გრძნობით დაგვთანხმდა.

ვაგლახ, რომ მან ეს ვერ მოასწრო!

აქვე მადლობა მინდა მოვახსენო ვაზისუბანში (ქ. თბილისი, ისნის რაიონი) მცხოვრებ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილებს, რომელთა ერთი ნაწილის თანადგომითა და შემწეობით გამოიცა წინამდებარე წიგნი (როგორც უკვე გითხარით მზადდება მისი V ნაწილიც).

2014 წლის 23 დეკემბერს მისაჩუქრებულ მახათებთან ერთად, სწორედ ამ ადამიანების თანადგომა ამ წიგნში წამოჭრილი საკითხებისადმი გახლავთ სახალხო დამოკიდებულება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ორპირული და უღირსებო ყოველდღიურობისადმი.

ბუნებრივია, ასეთ დროს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს არ უნდა, - დევნილთა საზოგადოებაში არსებობდეს მამხილებელი ხმა, ანუ სინდისი.

ვინაიდან, თავიანთი ბოროტმოქმედებების გამო, დღემდე დაუსჯელობის შედეგად მათ ზღვა მუხლამდე ეჩვენებათ, ამიტომ არ ისიგრძეგანებენ საკუთარ ცოდვათა შედეგებს დროსა და სივრცეში.

ცხადია, თავხედობა დიდხანს ვერ აეკაშხალება სახალხო რისხვას, - გაბრაზებული ხალხი კიდევ ერთხელ, აწ უკვე მათ შთამომავლობაზე მიპიროვნებით, გაატარებს ამ ჯოგურ ფეხწყობის სირცხვილის დერეფანში.

ვწუხვარ, რომ ბატონი ჯემალ გამახარია, 1914 წლის 7 აპრილს სწორედ ამ სირცხვილის დერეფნის გასწვრივ აღმოჩნდა იმ სესიაზე, სადაც იგი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ***„აირჩიეს“***.

დიახ, ბატონებო, პატივი და ღირსება, რომლის აღსადგენადაც მათ სასამართლოში მიჩივლეს (და რის ***”გაატმისყვავილებასაც”*** მოსამართლე ზვიად ესებუა შეეცადა), როგორც დრო მიუმცდარებლად ადასტურებს, ამ გამოჭეებებულ ფეხაწყობას საერთოდ არ გააჩნია!..

2016 წლის 4 იანვარი

სარჩევი

გია გვაზავა არის უკიდურესად არაკომპეტენტური ----------3
კაცდმერთული თავაწყვეტების წიაღში ----------9
ვინ ბრძანდებით თქვენ ----------14

ორპირობა, როგორც პოლიტიკური თუ ყოფითი
თვითდამკვიდრების საშუალება---------- 53
ბრძოლა საცდურთა მარადიულ აწმყოში გასასაგნებლად ---------- 82
პოლიტიკური გადაწყვეტილებანი და საორგანიზაციო დასკვნები
ღირსების მავნე გადმონაშთად დადგენის შესახებ ----------130
როდესაც თანანადები მიუტევებელია ---------- 147

.